ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 4 | 2000



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

4 | 2000

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გური ოტობაია
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია და პროზა

3. ზურაბ ლობჟანიძე. ლექსები
6. ბესო ხვედელიძე. წმინდა ქართული ვირუსი. რეივ-რომანი
21. ალექსანდრე გაბური. ლექსები
26. ერეკლე შველიძე. ლექსები
28. ლადო მრელაშვილი. და შექმნა ღმერთმან კაცი... რომანი. გაგრძელება
80. გიგა მახვილაძე. ლექსები
82. იური კახნიაშვილი. ლექსები
84. შოთა ასანიშვილი. ნოველები
88. ხათუნა მუზაშვილი. ლექსები
89. მოსე შიშმილაშვილი. ლექსები
91. რაულ ჩილაჩავა. „პესიმისტის ჩანაწერები" (რამდენიმე მონაკვეთი)
96. ნიკა შენგელია. მზე მაინც ამოვიდა. საბავშვო მოთხრობა

### ხელოვნება

113. მიხო მოსულიშვილი. რას ჩურჩულებენ თითბრის ფირფიტები

### წერილები

116. ინესა მერაბიშვილი. „ვეფხვი მზე... წითელი ენით"
122. კობა წურწუმია. ბიბლიური მოტივები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში
124. ია ნადირაძე. ქართული ხალხური გამოცანა
127. თამარ კუკავა. მეცხრამეტე საუკუნის რუსული ინკვიზიციის დამცველი
130. მირანდა თოდუა. „ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია"
135. ნატო პატარიძე. მიხეილ ნასიძე – თეატრალური კრიტიკოსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ლობჟანიძე



* * *

რაც მიწყალობე, დაუშურველად ვხარჯავ...
შენგან ნაბოძებს მეც უსასყიდლოდ გავცემ...
მერე რა ვუყოთ, თუკი საწუთრო მტანჯავს
და გულდასერილს ეკლის სამოსელს მაცმევს...
მაინც გავუძლებ, რადგანაც სხვა გზა არ მაქვს,
რადგან წყალობა ჩემზე მოიღე დიდი...
დავდივარ ჩუმად, ქვეყნის სიმძიმე დამაქვს,
ვარ მადლობელი, უშფოთველი და მშვიდი...

## დაბრუნება

მოკვდები, ხალხი გიტირებს,
ცრემლებს დაგაღვრის მწარეს...
შენ ამაღლდები და მაღლით
დახედავ მშობელ მხარეს,
იტყვი - რა ტურფა რამ არის,
არ დაუჯერებ თვალებს...
გულდაწყვეტილი გაჰყვები
შინისკენ ზეცის ქარებს...

* * *

ჰოი, რამდენი მახსოვს სირცხვილი,
რაც წუთისოფლის გრძელ გზაზე ვჭამე...
სუყველა იყო თითო სიკვდილი
და ველარ ვიტევ ჩემსავე გვამებს...
ასეთი არის ახალგაზრდობა,
„წვრილი ცოდვების“ ცოცხალი რიგი...
ასჯერ, ათასჯერ გადასადნობი -
უმწიფარის და ყოყოჩის წიგნი...

* * *

არა ყოფილა ადვილი,
ქვეყნისთვის თავის დადება,
მოწამებრივი ცხოვრება,
საიმქვეყნიოდ მზადება...
და საკუთარი სხეულის
მხარს კუბოსავით გადება...
როცა ტანჯული სიცოცხლე
თვალს და ხელს შუა თავდება!..

* * *

თამბაქოს დავანებე თავი,
ღვინოს ვერა და ვერა!..
ქვეყნად დროება დგას შავი,
აღარც გათენების მჯერა...
ეს თქვენ გგონიათ, რომ ხედავთ,
მზის ქვეშეთს საშინლად ბნელა...

* * *

ჯალაბს სძინავს მშვიდი ძილით,
ძილში მაინც შფოთავს ჩვილი...
მე ყურს ვუგდებ მის მფრთხალ სუნთქვას
და გულს რაღაც თბილად მეუსიქავს...
მოისვენე, ჩემო ბიჭო,
და იზარდე უფლის მადლით...
მაინც, მაინც გაზრდა გიჯობს,
თუმც მჭმუნვარედ ვნახავ გაზრდილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყველა ქალი დამავიწყდა, ვინც ოდესმე მინახავს,
მხოლოდ შენდა შერჩი მზერას,
მარად თვალთა წინა ხარ...
წუთისოფლის ცრიატ ცაზე ვარსკვლავივით
ციმციმებ,
მხოლოდ შენით ვდგავარ ფეხზე,
ვუძლებ ქვეყნის სიმძიმეს,
შენით მიდგას პირში სული, მხოლოდ შენით
ვსულდგმულობ,
შენ გიძღვენი ჩემი გული, მე კი დავრჩი უგულოდ...

* * *

გადავეჩვიე მისვლა-მოსვლას,
ლხენას, დღეობას...
ადრე დაზამთრდა გულში!
სადღაა ძველი ძალა, მხნეობა,
რითაც ვცოცხლობდი გუშინ...
მარტოობაა ჩემი სადგომი,
ჭმუნვა მარტყია გარს!
წუთისოფლისგან ცოცხლად განდგომილს
ლექსი მიმშვენებს მხარს...

* * *

ხომ არ ჩაქრა ჩვენი ლამპა...
გავტოპავთ ამ ჭაობს?!
ფესვი ჩვენი ხომ არ ჩალპა -
უხილავთან ვდავობ...
სიზმრები თუ კარგად ახდა
(ძილს რომ გვიკრთობს მრავალს...)
და ჩვენი ცდაც თუ არ წახდა -
სამშვიდობოს გავალთ...

* * *

მე დავიღალე
და, მგონი, შენც დაღლას უჩივი...
ო, როგორ მინდა სიჩუმე და
ყოფნა მუნჯივით...
მაგრამ ვერ გავხდი ყრუ და გულცივი
და უგრძნობელი რკინა-თუჯივით...
მე დავიღალე
და შენც, მგონი, დაღლას უჩივი...

* * *

ვართ გახიდული ცასა და მიწას შუა
და ჩვენში გადის საუკუნეთა ხაზი...
ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ სიზმარი თუა,
მაშ, რაღად უნდა კაცობრიობას ჭკუა...
და რაღად გაჩნდით მცველად სიტყვის და აზრის?!..

* * *

მთავრდება რუსული წყალობა,
მსოფლიოს რომ უქადდა წარღვნით...
მკვიდრდება მიწაზე კვლავ მშვიდობა
და ვწუხვარ ამდენ სისხლს დაღვრილს...
ვწუხვარ უმზეოდ დაღამებულს -
ცხოვრებას - „ჩვენს ხელში დატანჯულს..."
სიცოცხლეს - გაწამებულ-ჩამხამებულს -
ლუკმაპურისათვის დახარჯულს!..

## არჩილ სულაკაურის ხსოვნას

მე ხომ მინდოდა თქვენთვის
თბილი სიტყვების თქმა,
წახვედით, რაღა მეთქმის,
ვერ მოგაწვდინეთ ხმა.
იცოდეს მაინც, მინდა,
ჩემმა ქვეყანამ სრულმა...
თუ მზერა დაიბინდა,
ინათოს თქვენმა სულმა.

* * *

ნაწამებო, ნაჯაფო,
ცისკენ სხივად გაბმულო,
წყვდიადმა არ დაგჯაბნოს,
ჩემო ტკბილო მამულო...
სულ მომავლის ლოდინში,
ხელში ჯვრით და მახვილით...
დიდზე დიდი ბოდიში,
ძილს რომ გიფრთხობ ძახილით!..

## სიყვითლე

იანვარია, ყინავს,
მე თბილ ოთახში მძინავს...
არ მაკლებს ბრინჯს და მაწონს,
ხშირად მისწორებს საწოლს
ჩემი მოხუცი დედა.
ვერ დავიკვეხნი სიმრთელით,
ლიმონივით ვარ ყვითელი...
და მაგონდება წითელა...
და მიპყრობს თბილი სევდა:
მაშინ მე ვიყავ პატარა
და ახალგაზრდა - დედა...

* * *

აღრენილია ბუნება,
ტორტმანებს ჩვენი პლანეტა,
თუ გადაურჩა უვნებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარტეხილებს არ დანებდა,
ერთხანს მშვიდობით იბრუნებს,
(ზეცას შევამკობთ ოდებით...)
მერე ერთბაშად იხუვლებს -
დამძიმებული ცოდვებით...

* * *

ვარ პატიმარი (თან როგორი) სიკვდილმისჯილი...
(მან დაივიწყა ყველაფერი, რაც კი მახსოვდა...)
თან როცა ხვდები - მისჯილი გაქვს რისთვის
სიკვდილი,
რაღა აზრი აქვს თვალთმაქცობას, ტაკიმასხრობას!..
ცხოვრებავ ჩემო, უმზეო და უსიხარულო
(ერთმანეთისთვის არ ვყოფილვართ ჩვენ,
გაჩენილი...),
გაგდიე ისე - უხალისოდ, უსიყვარულოდ,
მით უფრო, რაღა უნდა იყო აწ დარჩენილი!..

* * *

დამქანცველი პროზის მერე -
ვეძებ თბილ და ნათელ ფერებს...
ერთი თვეა, ტანჯვით ვწერე,
თავი კიდეც დავიბერე...
მენატრება ისევ შენი
ეგ სილაღე ღიმის მჩენი...
გულუბრყვილო ბიჭის სტვენით
მოდიხარ და კიდეც გშვენის...
მოდი, გული დამიამე,
მოდი, ტკბილად, დამიღამე,
დამაძინე მშვიდი ძილით,
პოეზიავ, შენი შვილი...

* * *

თავისუფლება ისე გაშინებს,
ვით ნადირს ცეცხლი...
მიჩვეული ხარ შენ ყალბ არშინებს
და გირჩევნია სულს ოქრო-ვერცხლი!..
ლაფში მჯდარს გიყვარს ცაზე ოცნება,
ნაცრის მქექავი დევს ძირს „ანარცხებ..."
იმიტომ „გვილგას" ხვავი ბორცვებად,
მიტომაც მტერი გვსრავს და გვამარცხებს!..

* * *

აგვისტოს ცამეტი, ქარი ქრის ძლიერი,
მწველ ალმურს საამო სიგრილე ჯაბნის...
ფანჯრის წინ ლეღვის ხე ირყევა ხნიერი,
ლურჯ ზეცას ღრუბელი ნაცრისფრად ღაბნის...
ხანდისხან მოისმის ნაყოფის ტყაპანი,
დამსკდარი ლეღვები მიწაზე ყრია...
სულ მალე სვიტრი და კვლავ თბილი საბანი -
შეცვლის მოწყენილი დღეები მზიანს...

* * *

რატომ არის, ეს ცხოვრება
სულ უკუღმა რომ ბრუნავს...
მართალ კაცს არ ეცხოვრება,
წრფელ და ლამაზ სულს თრგუნავს,
გესლს ჯეჯილად აღაღანებს,
მკვლელს შვილივით ჩაკოცნის,
ნათელს ბნელით დაალამებს,
ბოროტს ცამდე ატყორცნის...

* * *

თენდება თუ ღამდება
მარადიულ წრეხაზზე...
ტკივილები ჯამდება,
გაჰკიყიან ერთ ხმაზე -
რატომ! რისთვის! როდემდე!
ასე ტანჯვა-წვალებით!?
სულ შენ უნდა ჰგოდებდე
ცრემლიანი თვალებით?!
დასტიროდე მკვდარ შვილებს
ნაძლევთ კვლავაც ღალატით!..
მათ ხვედრს - მწარე-საშინელს, -
გვამებს - შეჭმულს ბალახით...

* * *

სხვისი რა გითხრათ...
მე კი მყავდა ორი გოგია,
ორი კეთილი ქართველი ქალი,
აბერდები უკვე, წლები გადიან,
იმ სოფლად მათი მიმყვება ვალი.
ვერ მოვიცალე თქვენთვის, კარგებო
(თქვენთვის? საკუთარ თავსაც ვერ ვარგე...),
არც თქვენ ელოდით, მგონი, სარგებელს
და კარგად იცით, რა ნერგიც დარგეთ...

* * *

ღრუბლიან-მზიანი დღე არის
(ქუჩაში მტვრის სვეტი ტრიალებს),
მზის შუქი ღრუბლებში ხან ქრება,
ხან წითლად იალებს...
ირყევა ქარისგან მინები
(ცას ვუცქერ საბანში ჩამთბარი),
ბუზღუნით, ოხვრით და გინებით
გვშორდება ზამთარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბესო ხვედელიძე

## წმინდა ქართული ვირუსი

(რეივ-რომანი)

*„-...გილოცავთ!“ - (იოანე-პავლე მეორე. თბილისი. 7 ნოემბერი. სპორტის სასახლე. თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთი).“*

როგორც მემატიანე გვამცნობს, ლაშას მაღალ მატერიებზე ფიქრით თავი არასდროს აუტკივებია - ერთი უდარდელი თბილისელი ბიჭი იყო, მაგრამ ბებია ჰყავდა ნახევრად ქისტი და სწორედ ამიტომაც დაიკავა ერთხელ, „კინოს სახლში“ ფილმ „გაიქეცი, ლოლა!“-ს პირველად ყურების შემდეგ, არყითა და ლუდით ზედმეტად გამობრუჟულმა, ძმაკაცურ სუფრასთან, რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტზე კამათისას უკანასკნელის მხარე. დაიქადნა კიდეც - მაგ ომში წამსვლელი და სისხლით ნათესავების მხარეს იარაღით ხელში დამდგომიც ვარო. რომ დასცინეს, სუფრა ცივი სახით დატოვა, სახლში შეიარა, გარდაცვლილი ძმადნაფიცის ნაჩუქარ რუმინულ ავტომატთან ერთად თავისი პირადი ნივთებით სავსე მომცრო სკივრი იღლიაში ამოიჩარა და ორთაჭალის ავტოსადგურიდან გამავალ ბოლო ავტობუსს, ვითომ გალეწილი ქალაქელის სახით უბილეთოდ დაემგზავრა პანკისის ხეობამდე. ჩეჩენთა პარტიზანულ რაზმს ლაშა ულელტეხილის გადალახვისას შეუერთდა და მთელი ამ ომის განმავლობაში მისი იარაღი დამცველით არ დაბლოკილა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ლაშა გაუგონრად სასტიკი და ზუსტი იყო. გუდერმესის საბოლოო განთავისუფლებისას, მისმა ოცეულმა მეორე საშუალო სკოლის შენობა შტურმით დაიკავა. იქ შევარდნილ ნიღბიან ლაშას გეოგრაფიის კაბინეტში რუსეთის არმიის კანტემიროვის დივიზიის ჩასველებული კაპიტანი ანტონ შოხი და მისი რადისტი მეუღლე ლუდმილა ხაბიბულინა დახვდნენ. ლაშამ გაფითრებული კაპიტანი სკოლის წინ, სხვა ექვსას რუს სამხედრო პირთან ერთად თვალებახვეული დახვრიტა, მისი ტანადი მეუღლე კი - მამით ნახევრად ბაშკირი, დედის მხრიდან პრჟემისლელი გრაფების მალინოვსკების არაპირდაპირი შთამომავალი ლუდმილა ხაბიბულინა ხარჭად დაისვა და ომის დასრულებამდე გვერდიდან არ მოუცილებია.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ომის დამთავრების შემდეგ ლაშა სქელი ჯიბით და კმაყოფილი სახით დაუბრუნდა თბილისს, ჩამოსვლის დღესვე დაესწრო იან გილანის კონცერტს სპორტის სასახლეში, აცრემლებულმა მეათეჯერ უყურა „ვიდეოზე“ ფრანკო ძეფირელის „ჩემპიონს“ და ცხოვრება კვლავ უდარდელი იერით განაგრძო; გროზნოს გარეუბანში კი, „ჩეჩენნავთობბაზის“ საერთო საცხოვრებლის ოროთახიან ნომერში მას დარჩა თავისი პირადი ნივთებით სავსე მომცრო სკივრი, რომელიც ჯერ იმავე ნომერში შესახლებულ ლუდმილა ხაბიბულინას, შემდეგ კი, მისი მომავალი შვილის საკუთრებად იქცა - ლუდმილა ხაბიბულინას, ლაშას სამშობლოში დაბრუნების რვა თვის თავზე, ორკილონახევრიანი, ლაშას ნიკაპის მქონე ბიჭი ეყოლა, რომელსაც სახელად რუსლანი დაარქვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, რუსლანი მეტად არაკომუნიკაბელური, სათვალიანი და სახედამუწუკებული ბავშვი იყო. ის არასდროს დაინტერესებულა საკუთარი მამის ვინაობითა და ეროვნებით, თუმცა უკვე ხუთი წლის ასაკიდან ეცნობოდა მამის სკივრში აღმოჩენილ ძველ „იზვესტიებში“ სატელევიზიო პროგრამებს, გამოწერილი ჰქონდა ჟურნალი „ნლო“, გულშემატკივრობდა ადგილობრივ საფეხბურთო გუნდ „ტერეკს“ და საპირფარეშოში ჯდომისას დიდი ყურადღებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრუტავდა ასევე მამის სკივრში ნაპოვნ ლეონარდო შაშას წიგნის „პალერმოელი მკვლელების“ სქოლიოებს; ასევე დადიოდა შაშსა და რადიოტექნიკის წრეზე, უსმენდა იმხანად მოდურ „მოდერნ თოქინგს“ და ოცნებობდა ისეთი კოსმოსური ხომალდის აშენებაზე, რომლითაც სხვა კოსმოსურ ცივილიზაციებს მოინახულებდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მაიკლ ჯექსონის პირველი მოსკოვური გასტროლების დროს, ქალაქ გროზნოს ებრაელ ლილიპუტთა ცირკი ეწვია. წარმოდგენას მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან ერთად თექვსმეტი წლის რუსლანი და დედამისი - ლუდმილა ხაბიბულინაც დაესწრნენ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ლუდმილა ხაბიბულინამ დასის ერთ-ერთი წევრი, ლილიპუტი აკრობატი ეველინა კაც ღამის სათევად თავისთან მიიპატიჟა და ორ კოლოფ ხიზილალად და ლაშას დანატოვარ სკივრად თავისი ახლადშეღინღლული რუსლანი დაავაჟკაცებინა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ამ ამბიდან ზუსტად ცხრა თვის თავზე, მოსკოვის გარეუბან სოლნცევოში, ადგილობრივი მაფიოზების კლანური შეკრებისას, რესტორან „სლავიანეს“ სცენაზე, ეველინა კაც რისკიანი აკრობატული ნომრით უნდა გამოსულიყო და ვიღაც სპილოიანი დერვიშისგან ნეპალში ნასწავლი სალტოს შესრულებისას სცენაზე ემშობიარა. ამ ამბავმა რესტორან „სლავიანეს“ არანორმალური რეკლამა გაუკეთა და იმ საღამოს ის სავსე იყო ადგილობრივი კაბელური ტელევიზიების გადამღები ჯგუფებით, მაგრამ ნომერი არ შედგა - ეველინა კაცს სამშობიარო ტკივილმა სცენაზე გამოსვლამდე, კულისებში მოუარა და სასწრაფოდ უახლოეს საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა, თუმცა მისი იქამდე მიყვანაც ვერ მოესწრო - მან მოსკოვ-იაროსლავლის ასფალტირებული გზატკეცილის ორმოცდამეოთხე კილომეტრზე, ყვითელი 06-ის უკანა სკამზე იმშობიარა, ტკივილებით დატანჯულმა იქვე დალია სული და ეყოლა არალილიპუტი ბიჭი, რომელსაც ებრაელ ლილიპუტთა ცირკის წევროსანმა უხუცესობამ ფარული კენჭისყრით შალომ დაარქვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, შალომმა საბჭოთა მოქალაქის პასპორტის აღებისას კატეგორიულად არ ისურვა დედის გვარზე ყოფნა და, ვინაიდან არც ნამდვილი მამისა იცოდა არაფერი, თავად მოიგონა საკუთარი გვარი და გახდა მას მერე პასპორტის მიხედვით შალომ ალეიხემ.

როგორც მემატიანე გვამცნობს, შალომ ალეიხემი იყო უნიჭიერესი და უსპეტაკესი ახალგაზრდა. სკოლის პერიოდში იგი მჭიდროდ მეგობრობდა თანაკლასელ, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ძმის არაკანონიერ ქალიშვილ იულია ბრეჟნევასთან, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო შალომის მგუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უგამოცდოდ მოხვედრას. სწავლის პერიოდში შალომ ალეიხემს მგუ-ს მთელი სტუდენტობა იცნობდა, როგორც სტუდენტური უნივერსიადებისა და რესპუბლიკური სპარტაკიადების მრავალგზის გამარჯვებულს - მას ბადალი არ ჰყავდა ბაგირზე ცოცვაში, ფიგურულ სრიალში, ჭოკით ხტომასა და დიდ ბილიარდში.

როგორც მემატიანე გვამცნობს, შალომ ალეიხემის ცხოვრების ცუდი პერიოდი მაშინ დაიწყო, როდესაც მან მოსკოვის ერთ-ერთ უსახელო სამკითხველო დარბაზში, დედის - ეველინა კაცის დანატოვარ სკივრში ნაპოვნი ძველქრისტიანული, არაკანონიკური მანუსკრიპტების ლუპით შესწავლისას კიტაიგოროდელი ეფედრინისტები გაიცნო. სულ მალე შალომმა სწავლასაც თავი მიანება, ნიკაპზე წვერიც მოუშვა, ქუჩური ლაპარაკიც ისწავლა და იულია ბრეჟნევას დღეობაზე, საპირფარეშოში ანალურადაც იცხოვრა მთვრალ იუბილართან. იმავე საღამოს მან სკივრში ნაპოვნი „ნევას“ ბრიტვით თავი ნოლზე გადაიხოტრა და თავისი სპორტული სიგელების მეორე მხარეს ავტობიოგრაფიული მოთხრობების მეორე პირში წერა დაიწყო. შექმნილი თხზულებებიდან ერთ-ერთი - მოთხრობა „შეუმცდარი ადამის დღიური“, შალომ ალეიხემის ბავშვობის ფოტოსთან ერთად ჟურნალ „იუნოსტში“ გამოქვეყნდა და წლის საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად იქნა აღიარებული.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჟურნალ „იუნოსტის“ რედაქციის ახლად გარემონტებულ ბუფეტში, მკითხველებთან საიუბილეო შეხვედრის შემდეგ გამართულ ალაფურშეტზე, შალომ ალეიხემმა ამავე გამოცემის რედაქტორის მოადგილე, დამა-ქალი ანფისა კალამბუროვა გაიცნო. ანფისა კალამბუროვა ფრიად მოხიბლული დარჩა ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროზაიკოსის ინტელექტითა და იუმორის გრძნობით და ახლადდაქვრივებულმა შალომს ფარული ალფონსობა შესთავაზა, რაზედაც ნიჭიერმა მგოსანმა მარჯვენა ხელის ცერისა და შუა თითის ერთმანეთზე გახახუნებით უპასუხა - მან ანფისას სანაცვლოდ „ხელფასის“ დანიშვნა მოსთხოვა. ხელშეკრულება მყისვე უსიტყვოდ გაფორმდა, თუმცა პირველივე ხელფასით გასტრონომში ნაყიდმა მომწვანო იოგურტმა შალომი ანფისა კალამბუროვას მრავალოთახიან და ანტიკვარიატით გაწყობილ ბინაში სასიკვდილოდ მოწამლა. მან ცხელ აბაზანაში ჩაწოლილმა მაშინ დალია სული, როდესაც სკივრში აღმოჩენილი „ვოქმენით“ ანფისა კალამბუროვას გარდაცვლილი ქმრის საყვარელი ჯგუფის „ნირვანას“ სიმღერა „Rape me“-ს უსმენდა. მსგავსი მოწამვლის შემთხვევები დაფიქსირდა მოსკოვის სხვადასხვა უბნებში - როგორც შემდგომში გაირკვა, ეს „სოიუზიოგურტის“ მიერ ფარულად გამოშვებულმა ექსპერიმენტულმა ასმა კოლოფმა დააზარალა ზუსტად ასი ადამიანი და ყოველ მათგანს სიკვდილის მომენტში ან ტელევიზორი ჰქონდა ჩართული, ან რადიო, სადაც „ნირვანას“ ზემოთ ნახსენებ სიმღერას გადმოსცემდნენ.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ანფისა კალამბუროვამ თავისი პრესტიჟის დასაცავად ამ ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვა სცადა; შალომ ალეიხემის მომცრო სკივრში ნაპოვნი მონგოლური ნაჯახით მან ნაწილნაწილ დაჩეხა საყვარლის ჯერ კიდევ თბილი გვამი, გადაანაწილა „ფანტას“ ცელოფნებში და მომდევნო დღეებში „ელექტრიჩკით“ ჩუმად გაჰქონდა მოსკოვის გარეუბან პერედელკინოსთან მდებარე ტყეში დასაფლავად.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ანფისა კალამბუროვას საეჭვო მოძრაობა მალევე შეამჩნია ამავე ტყეში დაბანაკებულმა პიონერულმა ორგანიზაციამ „თემური და მისი რაზმი“, რომელსაც ტყეში დაკარგული პენსიონერები იეღოველთა ეკლესიასთან გაჰყავდა და თეთრი სოკოთი სავსე კალათით ნომერ 666 ავტობუსში ძალით სვამდა. წითელყელსახვევიანმა პიონერებმა ჟურნალ „იუნოსტის“ მთავარი რედაქტორის ტანადი მოადგილე უმალ დააბეზღეს უახლოეს გაიში და ანფისა კალამბუროვა სწორედ მაშინ დააკავეს სამართალდამცავებმა, როდესაც კარაკულის პალტოში გამოკვართულს ბინიდან უკანასკნელი ცელოფანი გაჰქონდა. ცელოფანში შალომ ალეიხემის თავი და გენიტალიები იდო.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ანფისა კალამბუროვა სასტიკ მკვლელობაში დაადანაშაულეს. ეს ამბავი უმალვე შევიდა საუკუნის მკვლელობათა პირველ ათეულში და მასზე მთელი სამი თვე აღელვებულები ლაპარაკობდნენ „ნიუ-იორკ ტაიმს“, „ლიბერასიონ“, „დეილი მირორ“, „სოვერშენნო სეკრეტნო“ და „კვირის პალიტრა“.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ანფისა კალამბუროვას თხუთმეტი წლით აღეკვეთა თავისუფლება სასჯელის გამკაცრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით და სწორედ იქ, სუფთა ჰაერზე სეირნობისას გაიცნო მან მეგრულ ენაზე მოლაპარაკე მეგრელი ქურდი ნიკა რაგუა - თავის დროზე ლაშას პარალელურკლასელი თბილისის ერთ-ერთ დამის სკოლაში, საიდანაც ის ქიმიის ლაბორატორიიდან წითელი ფოსფორის ქურდობისთვის გარიცხეს; შალომ ალეიხემისგან ფეხმძიმე ანფისა კალამბუროვას, ციხის კანონების მიხედვით, ნიკა რაგუასთან უნებლიე სექსუალური კავშირის დამყარებამ მოუწია და რვა თვეში ციხის საავადმყოფოშივე გააჩინა ვაჟი, ნიკა რაგუა კი ცხარე ცრემლებით დაარწმუნა, რომ სწორედ მისგან ჰყავდა ბავშვი. სიხარულისგან მეშვიდე ცაზე ასულმა ქურდმა ძმაკაც ქურდებსა და მოხუც მშობლებთან მშობლიურ სამეგრელოში სასწრაფოდ აფრინა ქსივა ბიჭიანობის შესახებ. კამერის მეზობელს კი ყურის ბიბილოს ქვეშ ქალღმერთ დემეტრას სახება ამოასვირინგებინა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სოფელ მუხურში შეკრებილმა მეგრელი ქურდების „სხადნიაკმა“ შესაბამისად აღნიშნა პატიმრობაში მყოფი ძმობილის მშობლად ქცევა და პასუხად ნიკა რაგუას ციხეში ბავშვობის ძმობილის, ვინმე ქურდ ხუტას აფხაზეთის ომში მოულოდნელი დაღუპვის ამბავი შეუგზავნა. ნიკა რაგუამ ბავშვს დაუყოვნებლივ საკუთარი გვარი მისცა და დაუფიქრებლად ხუტა დაარქვა. ციხის ადმინისტრაციამ პატარა ხუტა რაგუა დედის ნაჩუქარი პატარა სკივრის თანხლებით, რიაზანის უპატრონო ბავშვთა ინტერნატს მიაბარა და ასეთი მშობლების შვილის მთელმა ბავშვობამ დამამცირებელი პანღურებისა და მწარე ალიყურ-

ების ქვეშ გაიარა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ანფისა კალამბუროვამ და ნიკა რაგუამ მხოლოდ ათი წლის შემდეგ შეძლეს საბჭოთა მილიციონრებად გადაცმულებმა ციხიდან გაქცევა და სამშვიდობოზე გასულები მოსკოვ-იაროსლავლის ასფალტირებული გზატკეცილის ორმოცდამეოთხე კილომეტრზე შემთხვევით გაიტანა სატვირთო „ტრაილერმა“ ქართული ნომრებით. „ტრაილერის“ საჭეს უკვე ოფიციალურად გასამხედროებული ლაშა ეჯდა, ხოლო მის გვერდით მოკალათებული იყო ვინმე ლეიტენანტი ვლადისლავ კუსტბა - დედით ქართველი სამხედრო პირი, ვისი იარაღიდან შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამაც სოფელ ტამიშთან მოულოდნელად იმსხვერპლა ქურდი ხუტა. ლაშა და ვლადისლავ კუსტბა სათავეში ედგნენ რუმინეთში სამხედრო გამოფენაზე საქართველოს ახალი სამხედრო გამოგონებების ჩატანისა და წარმოდგენის მისიას, რომელსაც შემდგომში დიდი სკანდალი, ქართული მასმედიის მძაფრი რეაგირება და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის გ. ნიკოლაიშვილის პენსიაზე გასვლა მოჰყვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ხუტა რაგუას მძიმე ბავშვობამ თავისებური კვალი დაატყო. მან მოწიფული ასაკიდან დაიწყო მუშაობა სიკვდილმისჯილთა გასაიდუმლოებულ ციხეში მთავარ ჯალათ-აღმსრულებლად და სწორედ მას მოუხდა თბილისის აეროპორტიდან თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდების სიკვდილით დასჯა. განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ მთავრობამ ხუტა შეასახლა რაიონ სვიბლოვოში ცხრასართულიანი კორპუსის მერვე სართულზე განთავსებულ „ხრუშჩოვკის“ ტიპის ბინაში და დააჯილდოვა წითელი გუაშით გადაღებილ ოქროს ჩარჩოში ჩასმული სიგელით, რომელზეც არაფერი ეწერა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ხუტა რაგუა მალევე დაოჯახდა და სამოქალაქო ქორწინება გააფორმა ცნობილი ტენორის, ლუჩიანო პავაროტის უკანონო ბებია ევა პავაროტისთან, რომელიც ფილმ „ჯარისკაცის მამის“ პრემიერის დაწყებამდე კინოთეატრ „ოქტიაბრსკაიას“ საპირფარეშოდან ჭუჭყიანი ხელებით გამოსულმა გაიცნო.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მალე ხუტა ცოლის რჩევით ჩამოშორდა არაჰუმანურ თანამდებობას და მოეწყო საბჭოთა მუშათა კლასის ექსკურსიების გიდ-გამცილებლად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მას ევალებოდა როგორც გიდის უშუალო ფუნქციების შესრულება, ასევე ტურისტული ჯგუფებში არამდგრადი პოლიტიკური მენტალიტეტის პირთა გამოვლენა და მათი დაბეზღება ზემდგომ ორგანოებში. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ექსკურსიას დაემთხვა საბჭოთა ჯარების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში. მშვიდობიან მოსახლეობასა და წითელ არმიას შორის, სისხლიანი შეტაკებისას ხუტა გასრისა ჭაობისფერმა ტანკმა წითელი ვარსკვლავითა და სამასოიანი უზრდელური ამონაკაწრით მარჯვენა ფერდზე. ტანკს გაღიმებული ხუტა წინ თავად გადაუდგა ხელაწეული, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ტანკში მისი კარის მეზობელი და მოვალე კაპიტანი პავლუშა კლიუევი იჯდა. პავლუშა კლიუევი ამ ტანკში მართლაც უნდა მჯდარიყო, მაგრამ იგი ამ დროს ერთი კვირით ჰაუპტვახტში იყო გამწესებული ტანკის ფერდზე სამასოიანი უზრდელობის ამომკაწვრელი მაიორის, ვინმე ერმოლაი პოპაკრასნის ჭიტლაყებით ცემის გამ.ი და ტანკში. მას თავად ნაჭიტლაყარი მაიორი ცვლიდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ხუტა [illegible]-იდუმლოდ დაკრძალეს ქალაქ კომიცეში უცნობი ჯარისკაცის სახელით, მოსკოვში კი მერვე სართულზე მას დარჩა სკივრი, ფეხმძიმე ევა პავაროტითურთ. მთავრობამ ევა პავაროტის ხუტას გარდაცვალებიდან ორი კვირის თავზე სწორედ კარის მეზობლის, პავლუშა კლიუევის პირით შეატყობინა სამხრეთ ვიეტნამში კაპიტალისტ ინტერვენტებთან შეტაკებისას მეუღლის გმირულად დაღუპვის ამბავი. ამ დროს ევა პავაროტი სასტუმრო ოთახში მდგარ თეთრ როიალთან იჯდა და მარცხენა ხელით ქმრის სკივრში აღმოჩენილი ნოტების მიხედვით პიოტრ ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ არჩევდა. ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოსასვლელად მთავრობამ ევა პავაროტის გადასცა ქალაქ საჩხერესთან მდებარე კურორტ კვერეთში დასასვენებელი სამკვირიანი უფასო საგზური. შავ „ელასტიკებში“ გამოტკეცილი ევა პავაროტი კვერეთისკენ მეორე დღესვე იმხანად შვებულებაში მყოფ უცოლო პავლუშა კლიუევთან ერთად მოსკოვ-თბილისის ახლად გარემონტებული მატარებელით გაემგზავრა, თუმცა დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია - მატარებლის ქალაქ გროზნოში შეჩერებისას, წყვილმა

ბაქანზე მოხარშული ქათმებით მოვაჭრე ქალისგან გაზეთ „იზვესტიაში" გახვეული მსუქანი ტაბაკა იყიდა. დამშეულებმა ტაბაკა კუპეში თვალისდახამხამებაში შთანთქეს და სასტიკად მოწამლულები კერძო ავტომობილით სასწრაფოდ ევაკუირებულ იქნენ მოსკოვისაკენ. ევა პავაროტის საავადმყოფოში მიყვანამდე, მოსკოვ-იაროსლავლის ასფალტირებული გზატკეცილის ორმოცდამეოთხე კილომეტრზე დაეწყო ნაადრევი მშობიარობა, გააჩინა ვაჟი, რომლისთვისაც სულთმობრძავმა, გარდაცვლილი ქმრის სკივრში აღმოჩენილი და წინა დღით წაკითხული „ტრისტან და იზოლდას" გავლენით, ტრისტანის დარქმევა ითხოვა და ერთდამიან საყვარელ, პავლუშა კლიუევთან ერთად იმ ყვითელი 06-ის უკანა სკამზე მიიცვალა, რომელშიც თავის დროზე ეველინა კაცმა დალია სული. გროზნოში კი უშიშროების სამსახურმა ვაგზლის ბაქანზე ოპერატიულად დააკავა მოწამლული ქათმებით მოვაჭრე, სიოკო ასაჰარას სექტის „აუმ სინრიკიოს" რუსული ფილიალის წევრი ლუდმილა ხაბიბულინა თანამზრახველ შვილთან ერთად და მათ საოლქო სასამართლომ კომუნისტური პარტიის შეურაცხყოფისთვის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში სამუდამოდ გადასახლება მიუსაჯა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პატარა ტრისტანი მამის მსგავსად რიაზანის უპატრონო ბავშვთა ინტერნატში აღიზარდა. ხერსონის უროლოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ის პარტბილეთით შარვლის უკანა ჯიბეში პირველად ესტუმრა ქალაქ მოსკოვს და კანონიერად დაეპატრონა მშობლების დანატოვარ ბინასა და საგვარეულო სკივრს. მან არხეინად იწყო დედაქალაქში ცხოვრება და მის მრავალგანყოფილებიან მაცივარში ყოველთვის მოიძებნებოდა როგორც ბერძნული ზეთისხილი, ისე ალჟირული გრეიფრუტი, უზბეკური ჰალვა, აფხაზური მუშმალა, იაპონური ელემენტები და სინგაპურული პრეზერვატივები. თუმცა სულ მალე უსაქმურობას დაჩვეულმა ტრისტანმა ბინიდან გაიტანა და გაყიდა ყველაფერი, რაც კი მის გალიფე შარვლების ჯიბეებში ეტეოდა. მცირეწონიანი ნივთების გასაღების შემდეგ, ტრისტანმა ბინაში მდგარი უფრო გაბარიტული საგნების თავიდან მოშორება გადაწყვიტა. უპირველეს ყოვლისა, წითელი გუაშით გადაღებილი ოქროს ჩარჩო გადაღნო და, როგორც თავისი ყვითელი სპანიელის მიერ პუშკინის სკვერში შემთხვევით ნაპოვნი ძვირფასი ლითონი, სახელმწიფოს ჩააბარა. აღებული თანხით ტრისტანმა პირველი კერძო კოოპერატიული მანუფაქტურა გახსნა, სადაც აწარმოებდა ბატიბუტს, ბამბის ნაყინსა და თეთრი მიხაკების ცისფრად გადასაღებ აკვარელს და პირველი მსოფლიო ომის წლებში ოთუსბირად ყიდდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

როგორც მემატიანე გვამცნობს, თავისი პირველი სავაჭრო სახლის „У ТРИСТАНА"-ს გახსნის ცერემონიალზე ტრისტანს საგვარეულო სკივრში ნაპოვნი ბატისტის თეთრი პერანგი ეცვა და თავზე ასევე სკივრიდან ამომზეურებული „კენგოლის" ლურჯი ქუდი ეხურა. დამსწრე საზოგადოებაში ფრჩხილებთან მდებარე მკვდარი კანის საჭრელი პატარა მაკრატელი არავის აღმოაჩნდა და ლენტის საზეიმო გაჭრა ტრისტანს სკივრში შემთხვევით აღმოჩენილი „ნევას" იმ ჟანგიანი ბრიტვით მოუხდა, რომლითაც თავის დროზე შალომ ალეიხემმა გადაიპარსა თავი. სწორედ ლენტის გაჭრისას შეეფეთა ტრისტანის ჭროღა მზერა, მომავალში ვლადიმერ ულიანოვისთვის ოთხი ტყვიის დამხლელის - დორა კაპლანის ნახევარდის, ანიჩკა კაპლანის ვნებიან გამოხედვას და იქვე ქალიშვილის არისტოკრატული ყურებიც შეამჩნია. ტრისტანი ანიჩკა კაპლანს იმავ საღამოს გაეცნო, გაუმასპინძლდა ბამბის ნაყინითა და ბატიბუტით, მიართვა სკივრში აღმოჩენილი ოდეკოლონ „კრასნაია მოსკვათი" დანამული ცისფერი მიხაკები და ფრიად მოხიბლული დარჩა ქალიშვილის ზღვარგადასული გრაციოზულობით და მანერებით.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ტრისტან რაგუასა და ანიჩკა კაპლანის არარეგისტრირებულმა თანაცხოვრებამ, ექვსი წლის შემდეგ ქვეყანას მოუვლინა ალბინოსი ბიჭი სახელად სლავა. ანიჩკა კაპლანმა მას ცხოვრებაში სატარებლად არა თავისი, არამედ რატომღაც საკუთარი დედის გვარი აჰკიდა; შემდეგ ტრისტან რაგუამაც კეთილინება ბავშვისთვის გვარის მიცემა და სლავაც ადრეული ასაკიდან ეზიარა ორგვარობას - საბავშვო ბაღიდან მოყოლებული ყველა ლიტვინოვ-რაგუად იხსენიებდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სლავას ბავშვობამ სრულ სიმყუდროვესა და ფუფუნებაში ჩაიარა. თოთხმეტი წლის ასაკში ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებმა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ ცენტრში მიიყვანეს, რათა სამხედრო სამსახურის თავიდან ასაცილებლად მისთვის არანორმალურის ყალბი ცნობა გაეკეთებინათ. ყველაფერი ნაცნობი ფსიქიატრის დახმარებით გაკეთდა, თუმცა გარკვეული ფორმალობის გავლა, ფსიქოლოგიური ტესტის შევსების სახით, სლავას მაინც მოუხდა. პირველ კითხვას: - რით განსხვავდება ტბა მდინარისგან? - სლავამ უპასუხა: - ტბა მრგვალია, მდინარე სწორი. მეორე კითხვა იყო: - რა არის პირველ მაისს? - სლავას პასუხი არ დაუგვიანებია: - პარადი. მესამე კითხვა წინა ორთან შედარებით რთული ჩანდა: - რით განსხვავდებიან ბაყაყი და ყარყატი ერთმანეთისგან? - თუმცა სლავა არც აქ დაფიქრებულა: - ბაყაყი ყიყინებს, ყარყატი ყარყატებს. ფსიქიატრმა სლავას ტესტის შევსება შეაწყვეტინა, ცნობა დაუყოვნებლივ გამოუწერა და მოლოდინში მყოფ მის მშობლებს, ტრისტანსა და ანიჩკას, თანამგრძნობი ტონით მოზარდის მართლაც მძიმე ფსიქიური მდგომარეობის შესახებ აუწყა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ტრისტანსა და ანიჩკას ერთადერთ შვილზე დარდისგან მალევე დასცვივდათ თმა და ერთ ღრუბლიან შუადღეს ტელევიზორთან მსხდომებს სწორედ იმ მომენტში ამოხდათ სული, როდესაც სარაევოში ვიღაც უცნობმა ერც-ჰერცოგი ფერდინანდი დაცხრილა, მათმა საფეხბურთო კუმირმა, მარტინ პალერმომ კი, ერთ თამაშში ზედიზედ მესამე თერთმეტმეტრიანი გააცუდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მშობლების ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ ალბინოსმა სლავა ლიტვინოვ-რაგუამ მამის სკივრში ნაპოვნი მელნისფერი საღებავით სხეულის ყველა თმიანი ადგილი გადაიღება და სკივრშივე ნაპოვნი გაუხსნელი „სგუშჩონკით" ჯიბეში ჯერ ემელიანე პუგაჩოვის სახალხო აჯანყებას, შემდეგ ვიტალკა ვერეტენნიკოვის ბანდიტურ დაჯგუფებას და ბოლოს დეკაბრისტთა გასაიდუმლოებულ გაერთიანებას შეუერთდა. სლავა თავდადებულ მონაწილეობას იღებდა ყველა დაგეგმილ და დაუგეგმავ შეთქმულებაში - ინდუსტრიულ ქალაქებში ვერტმფრენიდან ყრიდა „ლაზურსკის" შრიფტით ამობეჭდილ პროკლამაციებს, საგვარეულო სკივრში ნაპოვნი მეგაფონით ქვეყნის პერიფერიებში ატარებდა მიტინგებს, სკივრშივე აღმოჩენილი შავი ცხვირსახოცით თვალახვეული იდგა ბოლო მომენტში შეწყალებულ დასახვრეტთა შორის ფ. მ. დოსტოევსკის გვერდით, ამზადებდა მაღალი თანამდებობის პირებზე შეუმდგარ ტერაქტებს, რომელთაგან სულ ყველა მისი პირით იქნა გაცემული. ამის პასუხად სლავა ერთ უმთვარო შუაღამეს ტროცკისტ თანამზრახველთა მიერ დაქირავებულმა დონელმა კაზაკებმა, მეტრო „ტიოპლი სტანთან" მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე წვეტიანი „ინსპექტორებით" სასტიკად სცემეს და მას შემდეგ თავში ბევრი რამ აერია.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სწორედ იმ ხანებში გამოასალმეს სიცოცხლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე. მეფის ოხრანკამ მრავალ სამხილზე დაყრდნობით შეადგინა მკვლელის ფოტორობოტი და მისი ფოტოსურათებით მოიფინა მთელი მოსკოვი და ვოლგისპირეთი. კრემლიდან წითელ მოედანზე, დიდი ბელადის ნეშტის ზედიზედ მესამასეჯერ მონახულების შემდეგ, სკივრში ნაპოვნი ყვითელი ესპადრელებით გამობიჯებულმა სლავამ პირველად შეავლო თვალი კედელზე აკრულ მკვლელის ფოტოვერსიას და აუტანელმა შიშმა აიტანა - სურათიდან სლავას, არც მეტი და არც ნაკლები, საკუთარი თავი შემოსცქეროდა. აქედან გამოსავალი მაინც თავისით მოინახა - ელდარ რიაზანოვის მიერ „ბედის ირონიის" გადაღებისას ფილმში მონაწილე პოლონელ მსახიობს ბარბარა ბრილსკას, ცუმ-ში სიასამურის ქურქის შეძენისას ნიანგის ტყავის ჩანთიდან სომეხმა ჯიბგირებმა ამოაცალეს პასპორტი. საბუთი სრულიად შემთხვევით მოხვდა სლავას ხელში და მასაც, ტრადიციულად, ბევრი არ უფიქრია - გადაწყვიტა ამ პასპორტით ესარგებლა და, ქალად გადაცმულს, საგვარეულო სკივრთან ერთად არალეგალურად გადაელახა პოლონეთის საზღვარი.

როგორც მემატიანე გვამცნობს, რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე, ქალაქ პრჟემისლთან მას ერთი კვირა მოუწია ყურყუტი. მესაზღვრე ოფიცერს იქითა მხრიდან, დიდგვაროვან პან გრჟეგოშ მალინოვსკის გული შეუვარდა მასზე და პოლონეთში შესვლის ნებართვას არ აძლევდა. ბარბარა ბრილსკად გადაცმულმა სლავამ, ოღონდაც რამენაირად დაეტოვებინა მეფის რუსეთის ტერიტორია, ცოლად გაყოლაზეც თანხმობა სტკიცა წვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლულვაშა პანს. მათ იქვე მდებარე წმინდა იანუშის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი და პან მალინოვსკიმ ქალად გადაცმული სლავა იმ დღესვე გააქანა ქალაქ კატოვიცესთან მდებარე თავის საგვარეულო საგრაფო ციხე-კოშკში მოხუცი მშობლებისა და ტიტულოვანი ნათესაობის წინაშე წარსადგენად.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ქორწილი დიდებული იყო. მას დაესწრნენ იმ დროს პოლონეთში პირველი კაცი პან იარუზელსკი, ფრედერიკ შოპენი, ნიკოლაი კოპერნიკი, ადამ მიცკევიჩი და 1982 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები, პოლონეთის საფეხბურთო ნაკრების წევრები - ანჯეი ბუნცოლი, მარეკ ძიუბა და გრჟეგოშ ლიატო მწვრთნელ კაზიმეჟ გურსკისთან ერთად. ქორწინების ღამეს, როდესაც ნეფე-პატარძალი ციხე-კოშკის ბოლო სართულზე ბუხრიან ოთახში განმარტოვდა, სლავამ გაიძრო თავისი ქალური სამოსი და სახტად დარჩენილ პან გრჟეგოშ მალინოვსკის შანტაჟით დაემუქრა. პან მალინოვსკის სახელის გატეხვის შეეშინდა და ათრთოლებულმა შესთავაზა სლავას, საზოგადოების წინაშე კვლავ ცოლ-ქმრად მოეჩვენებინათ თავი. იმ დღიდან მოყოლებული სლავა და პან მალინოვსკი ღამით კატოვიცეს ქუჩებში დაძრწოდნენ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებზე ნადირობდნენ და უჩუმრად აჰყავდათ ისინი ციხე-კოშკის ბოლო სართულზე. გაუგონარი ორგიები ბუხრიან ოთახში დილამდე გრძელდებოდა, დილაობით კი სლავა და პან გრჟეგოში ისევ ცოლქმრული იერით გამოდიოდნენ საწოლი ოთახიდან.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პოლონური ზაფხულის ერთ გრილ შუაღამეს ქ. კატოვიცეს კაზინო „პოლონიაში“ სლავას და პან მალინოვსკის ქალაქის მუნიციპალიტეტის უფროსის, პან სავიცკის მეუღლე მარიასა და მის გაუთხოვარ ჩეხ დაქალ იანა სმეტანოვასთან „ფურთის“ თამაში მოუწიათ. მოგებული გვარიანი თანხის სანაცვლოდ, პან მალინოვსკის ციხე-კოშკის ბოლო სართულზე ჩატარებული ველური ვაკჰანალია დილამდე გაგრძელდა; იმ ღამით სლავასგან შემთხვევით დაორსულებულ იანა სმეტანოვას კი ცხრა თვის თავზე კოშიცეში გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სლავამ თავისი ორი გვარიდან არც ერთი არ მისცა, თუმცა პან მალინოვსკის ციხე-კოშკიდან საჩუქრად გაუგზავნა საგვარეულო სკივრი და იანას წერილობით შეალისთვის დიდი კომპოზიტორის ბედრჟიხ სმეტანას სახელის დარქმევა სთხოვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პატარა ბედრჟიხ სმეტანა ენითაღუწერელ კომფორტში იზრდებოდა და უნიკალურ მუსიკალურ განათლებას იღებდა მილანისა და ვენის ძვირადღირებულ კონსერვატორიებში. მისმა კომპოზიტორულმა გენიამ, თავისი სეხნია და მოგვარე კომპოზიტორისა არ იყოს, ახალგაზრდობაშივე დაჩრდილა მთელი ცივილიზებული ევროპა. მისი სახელი ქვეყნიდან ქვეყანაში გადადიოდა და მასზე, როგორც პირწავარდნილ გენიოსზე, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ყველგან, ქალაქ კემეროვოს მთავარი გასტრონომის არაყის რიგში მდგარი უბილო ბებრუხანებიც კი. ოცდახუთი წლის ასაკში მან იქორწინა პრუსიის ჰერცოგ ფონ ენდოსკოპის ქალწულ ივლიტაზე, გადასახლდა შვედეთის ქალაქ გიოტებორგში და ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის გულშემატკივრობასთან ერთად იქ განაგრძობდა სმენაწარმტაცი მუსიკალური ნაწარმოებების ქმნას. სულ მალე დიდების შარავანდედით მოსილი კომპოზიტორი ინგლისის დედოფალმა მარია სტუარტმა გასაცნობად ლონდონს მიიწვია. ბედრჟიხ სმეტანა ნისლიანი ალბიონისკენ გდანსკის პორტიდან გასული აფრიანი ხომალდით გაემგზავრა. გზად დატეხილმა იოდისფერმა შტორმმა და ვიკინგთა ნახევრად ველურ რაზმთან შერკინებამ, რომელსაც ცალწარბა ვიკინგი ენგურ ჰესი მეთაურობდა, ხომალდი საკმაო ხნით შეაყოვნა გზაში. ბედრჟიხ სმეტანას და ხომალდის სხვა მგზავრებს ვიკინგებისთვის გამოსასყიდის გადახდა მოუწიათ და სწორედ აქ დაემშვიდობა სახელოვანი კომპოზიტორი თავის სკივრში ნაპოვნი ათი ოქროს კბილიდან ხუთს. შედეგად დიდი დაგვიანებით ლონდონს ჩაღწეულ წვერმოშვებულ გენიოსს მარია სტიუარტის მომჭკნარ ხელზე ტუჩების ნაკვალევის დატოვება კი არა, მისი თავის მოკვეთის ცერემონიალზე დასწრება მოუხდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ბედრჟიხ სმეტანა აღშფოთებული დაბრუნდა ქ. პორტსმუთის ჰოტელ „სთიქი ფინგერზში“, სადაც ერთი ღამით ცალი ოთახი ჰქონდა ნაქირავები. ცხელ გულზე ოთახში ჩაკეტილმა დალია თავის სკივრში ნაპოვნი ათი გალონი „მანავის მწვანე“ და გონებაარეული წაეარშიყა სასტუმროს ჯანმრთელ დიასახლისს მადლენ მაკბრაიტს. პან სმეტანამ და მადლენ მაკბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიტმა ისარგებლეს სასტუმროს პატრონის, მადლენ მაკბრაიტის ქმრის, მისტერ ოსკარ რობერტსონის პორტსმუთში არყოფნით და ერთმანეთი საფუძვლიანად დააგემოვნეს; - მადლენ მაკბრაიტის ქმარი ოსკარ რობერტსონი იმ დროს ინგლის-შოტლანდიის იმ ომში იბრძოდა, რომელსაც მელ გიბსონის მონაწილეობით დიდ ბატალურ კინოეპოპეად იღებდა „ჰოლივუდი". ორი კვირის შემდეგ სამშობლოში კვლავ აფრიანი ხომალდით გამგზავრებულ კომპოზიტორს ნომერში დარჩა საგვარეულო სკივრი, რომელიც მადლენ მაკბრაიტის შთამომავლობის პირად საკუთრებად იქცა. ბედრჯიხ სმეტანას ხომალდი კი გზაში ისევ ვიკინგების გემს გადაეყარა და კომპოზიტორმა ენგურ ჰესს ამ შეხვედრისას, საკუთარი პირიდან უკვე თავისი ხელით ამოცლილი ხუთი ოქროს კბილი დაუთმო.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ბედრჯიხ სმეტანამ ქ. გიოტებორგში ჩასვლის დღესვე ფაიფურის კბილები ჩაისვა და მალე მეუღლე ივლიტა ენდოსკოპთან ერთად სიბერემაც უწია. ოთხმოცდაერთი წლის ასაკში ის მეუღლითურთ მიიპატიჟეს ქალაქ თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნაზე, სადაც საზეიმოდ უნდა შესრულებულიყო მისი სამნაწილიანი მარში. იქ მან გაიცნო მარშის შემსრულებელი ორკესტრის დირიჟორი ლაშა, რომელიც მემორიალის გახსნას ცხონებული ევგრაფი შევარდნაძის ბლატით დირიჟორობდა - ლაშას მამა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ცხონებული ძმა ახალგაზრდობაში გადაბმული მეგობრები იყვნენ და ერთად გულშემატკივრობდნენ ლანჩხუთის „გურიას". იმავე საღამოს ლაშამ დიდი კომპოზიტორი მეუღლითურთ წაიყვანა ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, სადაც ადგილობრივი „დინამო" კალენდარულ მატჩში ვოროშილოვგრადის „ზარიას" ხვდებოდა. გულშემატკივრებსა და მილიციას შორის სტადიონზე მომხდარმა შეხლა-შემოხლამ ბედრჯიხ სმეტანა მეუღლითურთ საშინლად აღაშფოთა და გადაწყვიტა, სამშობლოში ჩასვლისთანავე შეექმნა და მიეძღვნა მუსიკალური ოდა სამართლიანობისათვის. საფეხბურთო. მატჩის შემდეგ ლაშამ დიდი კომპოზიტორი მეუღლითურთ თავის აგარაკზე მიიპატიჟა და ნამდვილი ქართული სუფრა გაუშალა. იყო ღვინის შეუსვენებელი სმა და „ცისფერი ტრიოს" გულისამაჩუყებელი სიმღერა. იქ ბედრჯიხ სმეტანამ „ვახტანგურ-ბრუდერშაფტების" სმისას გაიცნო იმ დროს ინგლისიდან საქართველომდე ნავით ჩამოღწეული ტიმ სევერინი, ასევე თბილისში საკონცერტო გასტროლებზე მყოფი ბი ბი კინგი, გაუცვალა მათ ავტოგრაფები და შემდეგ, მაგიდაზე მეუღლითურთ შემხტარმა, ფაიფურის კბილებში დანაგაჩრილმა იცეკვა მენუეტი. მეორე დილით ლაშამ წინა დღით ნაქეიფარი და სმენაწართმეული დიდი კომპოზიტორი მეუღლითურთ თვითმფრინავის ტრაპამდე მიაცილა, გაატანა ორი უშველებელი რქა და კეთილი მგზავრობა უსურვა. ბედრჯიხ სმეტანა ქ. გიოტებორგში ჩასვლის დღესვე მეუღლითურთ გარდაიცვალა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პორტსმუთში, სასტუმრო „სთიქი ფინგერზის" დიასახლისის მადლენ მაკბრაიტის ქმარი ინგლის-შოტლანდიის ომიდან უკან არ დაბრუნებულა, თუმცა ავი ხმები ამბობდნენ - ოსკარ რობერტსონმა კაბა ჩაიცვა, შოტლანდიელების მხარეზე გადავიდა, მერე ამერიკაში გაემგზავრა და პროფესიონალური კალათბურთის თამაში დაიწყოო. გაცოფებულ მადლენ მაკბრაიტს ბევრი არ უფიქრია - ჰოტელი „სთიქი ფინგერზი" მომსახურე პერსონალიანად უმალ სადაზღვევო კომპანია „ალდაგში" დააზღვია, სკივრში ნაპოვნ ჰეროსტრატეს ფერად ნიღაბში გამოწყობილმა მეორე დღესვე ჩუმად გადაბუგა და აღებული თანხით ივ კუზანთან ცხვირის, მკერდისა და ყურების ოპერაცია გაიკეთა. პორტსმუთში დაბრუნებული, შესახედად ერთიორად გაახალგაზრდავებული მადლენ მაკბრაიტი ერთ კვირაში გათხოვდა მამაც შოტლანდიელ, გემ „ბრიტანიას" ნაადრევად დაქვრივებულ კაპიტან გრანტზე, რომელსაც პირველი ქორწინებიდან ჰყავდა გოგო მერი და პლატონური სიყვარულით განმსჭვალულ განცხადებებს აქვეყნებდა გაცნობის გაზეთ „ფლიიზში". მადლენ მაკბრაიტი იმ დროს ბედრჯიხ სმეტანასგან იყო ორსულად და შვიდ თვეში გლაზგოს კათოლიკურ სამშობიაროში ეყოლა მჩხავანა ბიჭი, რომელსაც კაპიტანმა გრანტმა, დარწმუნებულმა ვაჟის მამობაში, სახელად ჰარი დაარქვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, გლაზგოში ერთად გატარებული ტკბილი წლების შემდეგ კაპიტანი გრანტი გემ „ბრიტანიათი" შოტლანდიისათვის ახალი მიწების აღმოსაჩენად შორეულ ნაოსნობაში გაემგზავრა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაბურ კუნძულზე გაირიყა, საიდანაც გემიდან თავისი ხელით გადარჩენილი რომის ბოთლებით სხვადასხვა მიმართულებით აგზავნიდა მსოფლიოს ყველა ენაზე დაწერილ ბარათებს. ბოთლებიდან მხოლოდ ორმა მიაღწია ადამიანებამდე. პირველი მათგანი სოფელ ტამიშთან ქურდ ხუტას საძმო სასაფლაოზე დაკრძალვისას ჰაერში ასტყორცნა ზღვის ბობოქარმა ტალღამ და ამ დროს ლეიტენანტ ვლადისლავ კუსტბას მიერ განსვენებულის უკდავსაყოფად ჰაერში უმისამართოდ ნასროლმა ზალპმა მოუღო ბოლო; მეორე კი ხელში ჩაუვარდა გემ „დუნკანის" მფლობელ ლორდ გლენარვანს და თუ როგორ განვითარდა შემდეგში მოვლენები, ეს დაწვრილებით აღწერილია ქართულ ენაზე გამოცემულ ჟიულ ვერნის თორმეტტომეულის მეოთხე ტომში.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მამის პოვნის შემდეგ ჰარი გრანტმა ისწავლა ხელისგულზე მკითხაობა, შეიყვარა დედის სკივრში აღმოჩენილი რიგის „ბალზამის" წრუპვა და ასევე სკივრში ნაპოვნი აკვარელით ნოემბრის გაძარცულ და ხურმებშერჩენილხეებიანი პეიზაჟების ხატვა. მომავალში ჰარი გრანტი შეიქნა მამაზე მამაცი მეზღვაური - ჰიბრალტარის, იოჰანესბურგის, ფოთისა და ბელფასტის პორტებში მწვანეთვალება კახპებს მისგან ჰყავდათ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე გრძელცხვირა შვილები, თვითონ კი ამ დროს მონაწილეობდა ნაირ-ნაირ რისკიან სანაოსნო მოგზაურობებში - მათ შორის ქრისტეფორე კოლუმბის იმ ექსპედიციაში, რომელსაც ინდოჩინეთამდე მიღწევა ეწადა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჰარი გრანტი ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციას ევროპისკენ აღარ გაჰყოლია - იდლიაში სკივრამოჩრილი იგი ახლადაღმოჩენილი კონტინენტის კაქტუსოვან სანაპიროზე დარჩა - სკივრი მას დედამ, როგორც საოჯახო რელიკვია, ამ მოგზაურობაში წამოსვლის წინ უსახსოვრა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჰარი გრანტი მოკლეუხებბა ინდიელთა სოფელში ერთ-ერთ მიტოვებულ ვიგვამში დასახლდა და მალევე გაუცვალა ტომის ბელად „ოზონის ხვრელს" საგვარეულო სკივრში აღმოჩენილი ლენინისთავიანი მანეთიანი ქრონიკული ათაშანგით დაავადებულ მჭეთუნახავ ქალიშვილ ტკალიტუკლიში. მანეთიანი მან ქორწილის წინ სიმამრთანვე ნათამაშები „სეკას" საშუალებით უკან დაიბრუნა და პირველივე საქორწინო ღამის შემდეგ მეუღლითურთ ასახლდა მთებში. იქ ჰარი გრანტმა აიშენა ინდივიდუალური პროექტის სამსართულიანი ვიგვამი და ეყოლა ვაჟი, რომელსაც იქაურ წეს-ტრადიციათა მიხედვით ვიცლიპუცლი დაარქვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჰარი გრანტი შვილს ევროპულ ყაიდაზე ზრდიდა: ხელჩაკიდებული დაჰყავდა ბუენოს-აირესში საფეხბურთო გუნდ „ჰიმნასია დე ხუხუის" გასვლით მატჩებზე და რეგულარულად აკითხებდა თავის სკივრში აღმოჩენილ პრესას - „ლე მონდს", „გარდიანს", „ზიუდოიჩე ცაიტუნგს", „კომსომოლსკაია პრავდას" და „ასავალ-დასავალს". ვიცლიპუცლის სიტყვათა მარაგში სულ მალე დაიდო ბინა ისეთმა სიტყვებმა და გამოთქმებმა, როგორიც არის „პლურალიზმი", „დემოკრატია", „ანექსია", „კოსმოპოლიტიზმი", „მელიორაცია", „მაჟორიტარული არჩევნები", „ძირს ხუნტა", „მე ვიყო გარეთ", „სუდია პიდარასტ", „ხმა მიეცით მოქალაქეთა კავშირს" და „ბუკერის პრემია ოცდაათი წლისაა". თავზარდამცემმა ერუდიციამ ვიცლიპუცლი ამერიკაში მოსახლე ორივე სქესის ინდიელთა თვალში სიყმაწვილეშივე ღვთაებრივი შარავანდედით შემოსა და ადგილობრივი ქურუმების მიერ ის ერთპიროვნულ მესიად შეირაცხა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მოულოდნელად თავსდატეხილმა ადმირალ კორტესის დამსჯელმა ექსპედიციამ, რომელიც პარალელურად ოქროს ქვეყნის ელდორადოს აღმოჩენას ლამობდა, მრავალი ინდიელის სიცოცხლესთან ერთად, ქრონიკული ათაშანგისგან კბილებდაცვენილი ჰარი გრანტიც შეიწირა; თეთრკანიანთაგან დევნილი ვიცლიპუცლი კი იძულებული გახდა მამის სკივრით ხელში, ორ ერთგულ მხლებელთან ერთად უკანა კარიდან დაეტოვებინა მშობლიური ვიგვამი და გადახვეწაზე ეზრუნა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჰონდურასთან ვიცლიპუცლიმ ზღვაში ჩააგდო თავისი ჭრელი გვირგვინი და სანაპიროზე გამორიყულ ქერათმიან გვამს ჯიბიდან ლერი პრიხოდკოს სახელზე გაცემული დიპლომატიური პასპორტი ამოაცალა. ნამდვილი ლერი პრიხოდკო ამ დროს მშობლიურ ბათუმში ხულოელ აჭარლებთან ერთად რესტორანში ქეიფობდა და სპეციალურად ჩაფერფლებული ღვინის ჭიქით „განსხვავებულს" - სიყვარულ-

ის სადღეგრძელოს სვამდა. თურქეთში ტროლეიბუსის ხაზების არალეგალური გადაზიდვისას, დიპლომატიური პასპორტი რიზეს ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში დარჩა და ის ხელში ჩაუვარდა ბავშვობიდან ამერიკაში მოხვედრაზე მეოცნებე ლაზ მყვინთავს, რომელიც ამ თემაზე მისთვის უცნობ ვინმე ლამას კომპიუტერის საშუალებით ყოველდღე „ჩეტში" ემუსაიფებოდა. ამ პასპორტით ვიცლიპუცლიმ სან-სალვადორში სუპერბენზინზე მომუშავე კოსტარიკული იახტა იქირავა და ჩრდილოეთისკენ გასწია. გზად ოსტატურად აუარა გვერდი დომინიკას, ცრუმოძრაობით გასცდა იამაიკას, უზადო ფინტით გააბითურა ანტიგუა, ზედ მიაყოლა ბარბადოსი, თავგზა აუბნია ანტილის კუნძულებს, დიდებულად მოატყუა პუერტო-რიკო, დრიბლინგით ჩამოიტოვა კუბა, შევიდა მაგნიტურ არეში და იახტაც მაგნიტურად დამუხტულ კუნძულთა გარემოცვაში აღმოჩნდა. ნაპირზე მხლებლებთან ერთად გადასვლა ვიცლიპუცლიმ ვერაფრით გაბედა. იგი ერთმა დიდმა უცნაურობამ შეაძრწუნა - უზარმაზარი მაგნიტური ველის გამო ამ კუნძულებზე პირუკუღმა გადაადგილდებოდა ყველაფერი, სულიერი და უსულო - უკუღმა მოძრაობდნენ საათები და ხალხიც უკუღმა მიმოდიოდა. ვიცლიპუცლი სასწრაფოდ გაეცალა ამ უკუღმართ ადგილს და ლერი პრიხოდკოს პასპორტით ფეხი მაიამის ნუდისტურ პლიაჟზე დადგა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჩრდილოეთ ამერიკის გადალახვისას, ვიცლიპუცლის ერთ-ერთი მხლებელი, სახელად „ფეხებიანი ქიშმიში", კონექტიკუტის შტატში სუპერმარკეტიდან აცინცლული „კოკა-კოლას" მეექვსე ყლუპის ყლურწვისას დაიღუპა - თვალებდახუჭულს თავზე ადგილობრივი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მეორე სართულიდან ბიზონივით ინდიელის მიერ ფანჯრისთვის ნასროლი აბაზანის ტონიანი ონკანი დაენარცხა, რომლის წინაისტორიაც ქართულ ენაზე გამოცემულ კენ კიზის ერთადერთ მხატვრულ ნაწარმოებშია მოთხრობილი.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ვიცლიპუცლის მეორე მხლებელს, სახელად „თხის ფეხს" ტორონტოში „ტორონტო მეიპლ ლივზსა" და „დეტროიტ რედ უინგზს" შორის ჰოკეის მატჩზე დასწრებისას იგორ ლარიონოვის მიერ ტრიბუნებზე ასხლეტილმა შაიბამ ჩაუმტვრია კბილები და ბევრი სისხლი დააკარგინა. სისხლის რეზუსი მას სისხლის გადასხმამდე შეუმოწმეს და, როგორც მისი არმქონე, საკვლევი ობიექტის სახით ძალით დააწვინეს კვებეკის უცნობი ვირუსებით დაავადებულთა კლინიკაში. ვიცლიპუცლიც იძულებული შეიქნა, ერთგული მხლებლისათვის ერთი კვირის განმავლობაში, კვარტერონი ექთნის ხელით ყოველდღე ეგზავნა საგვარეულო სკივრში აღმოჩენილი მწიფე კარალიოკები, გაზეთ „ალტერნატივას" ნომრები და სალეჭი კაქტუსები, პარალელურად კი თავის გამოკვებაზეც ეზრუნა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სწორედ ამ პერიოდში ლერი პრიხოდკოს სახელითა და გვარით ვიცლიპუცლიმ გაიცნო საკრამენტოში მოტრიალე რეპერი განგსტერების ბანდა თუპაკ შაკურის, სნუპ დოგი დოგისა და დოქტორ დრეის შემადგენლობით, რომელთაგანაც განსაკუთრებით პირველს დაუახლოვდა და მასთან ერთად მიიღო მონაწილეობა ლოს-ანჯელესის მთავარი სახელმწიფო ბანკის გაქურდვაში. სკრუპულოზურად შემუშავებული ოპერაცია ერთ-ერთი თავდამსხმელის მიერ წინასწარ იქნა გაცემული და ბანკის სეიფებში მოულოდნელად მსხდომმა პოლიციელებმა თავდამსხმელთა მთელი ჯგუფი დაცხრილეს. ვიცლიპუცლი ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც ტყვია საერთოდ არ შეხებია. სამაგიეროდ, დაზარალდნენ ოპერაციის დანარჩენი მონაწილენი, განსაკუთრებით კი ზუსტად ოცდაათ ადგილას დაჭრილი თუპაკ შაკური. სასამართლო პროცესზე თუპაკ შაკურს ვიცლიპუცლის მიერ საკუთარ სკივრში აღმოჩენილი და მისთვის წინასწარი გამოძიების საკანში შეგზავნილი მხედრიონული ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ეცვა. თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, დაინტერესებულებმა შეგიძლიათ მოიკითხოთ ინტერნეტში, მისამართზე: http://www.2 pac.com.

როგორც მემატიანე გვამცნობს, „თხის ფეხმა" კლინიკაში დაწოლიდან ერთი კვირის თავზე, შუაღამით, პალატაში დალია სული. ის ამავე პალატაში განთავსებული, ვითომ შიდსით დაავადებული, სინამდვილეში კი ყალბი საბუთებით კლინიკაში დაწოლილი, დირიჟორობა და კომპიუტერმობეზრებული, წამალზე შემჯდარი ლამას ნერვებმა შეიწირეს. ლამამ „თხის ფეხი" მთავარ არტერიაში ოცდაათი კუბი რიბოქსინის ძალით ჩხვლეტით გამოასალმა სიცოცხლეს, რადგანაც „თხის ფეხი", როგორც ყველა იძულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაადგილებული ინდიელი, ღამით აუტანლად ხმამაღლა ხვრინავდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ცხელი „ჰოთდოგების" გამყიდვლად გადაცმულ და იღლიაში სკივრამოჩრილ ვიცლიპუცლის ალიასკას უკიდურეს სანაპირომდე მიღწევა თეთრ სახლთან მოშიმშილე ჩარლზ ჰაიდერთან ერთად მოუწია. იქ მან ადგილობრივ ინდიელ მეთევზეს მოტორიან პიროგაში გაუცვალა პრეტენზიული თანამგზავრი, ზედ წაუმატა სკივრში აღმოჩენილი „მოტოროლას" პეიჯერი და ბერინგის სრუტის გადაცურვის შემდეგ მარტოდმარტომ დადგა ფეხი რუსეთის თოვლიან სანაპიროზე.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ვიცლიპუცლიმ უსტ-კამენოგორსკის ზონასთან გროზნოს საოლქო სასამართლოს მიერ კომპარტიის შეურაცხყოფისთვის სამუდამოდ გადასახლებული ლუდმილა ხაბიბულინა და მისი წვეროსანი შვილი რუსლანი გაიცნო; დედაშვილი ყინულის ზოდებისგან აშენებულ იურტაში ცხოვრობდა და ორმოცგრადუსიან ყინვაში გასათბობად საკუთარი შალის წინდებით გამოხდილი არყის სმასთან ერთად ყოველდღე ინცესტირებდა. ვიცლიპუცლიმ მათ მზედარტყმულ იაკუტ ექსტრასენსად მოაჩვენა თავი და „ფიშერის" ფირმის თხილამურებში გაუცვალა თავის სკივრში ნაპოვნი „კეპეშ სპორტიდან" ამოჭრილი ალენ პროსტის ფერადი პლაკატი და ასევე ვიდეოკასეტა ფილიპ კაუფმანის ფილმით „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე", სადაც დოკუმენტურად იყო ასახული პრაღაში წითელვარსკვლავა ტანკის მიერ ხუტა რაგუას გასრესვის ფაქტი.

როგორც მემატიანე გვამცნობს, თხილამურებზე ყოჩაღად შემდგარი ვიცლიპუცლი საგვარეულო სკივრით ხელში სრიალ-სრიალით ჩავიდა მონღოლეთს და შეუერთდა მონღოლთა ურდოს, რომელსაც სათავეში თემურლენგი ედგა. ვიცლიპუცლიმ თემურლენგს ძლვნად მიართვა თავისი „ფიშერის" თხილამურები და აგრეთვე სკივრში აღმოჩენილი სექს-კარტი. საჩუქრებით აღტაცებულმა თემურლენგმა ვიცლიპუცლის ეგრევე ბუღას ტიტული მიანიჭა და ცხვირის ნესტოებიდან ლურჯი ნაპერწკლებისმყრელი, გაუხედნავი ულაყი უბოძა. ვიცლიპუცლის ბევრი არ უფიქრია - ცხენს ტალღოვანი კუდიდან ექვსი ღერი ძუა ააგლიჯა,ააწყო ექვსსიმიანი საკრავი, სკივრში აღმოჩენილ ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი მუსიკალური კლიპის მიხედვით ულაყს ქართული საარჩევნო სიმღერა „გიხაროდენ"-ის აკუსტიკური ვერსია უმღერა და უცებ მოითვინიერა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ვიცლიპუცლიმ თემურ ლენგთან ერთად მრავალ სისხლისმღვრელ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საქართველოს რვაჯერ დარბევაში, რომელთა დროსაც ვიცლიპუცლი განსაკუთრებით სასტიკი და დაუნდობელი იყო. ბოლო დარბევისას მან დაბა წყნეთის კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვინმე დიმა დარსაძეს თავი სკივრში ნაპოვნი იმ მონღოლური ნაჯახით მოჰკვეთა, რომელიც შალომ ალეიხემის გვამის დაჩეხვისას ანფისა კალამბუროვას ეპყრა ხელთ. ვიცლიპუცლიმ თავმოკვეთილის სახელით გამომცემლობა „აკორდში" ქართულ ენაზე დაუყოვნებლივ გამოსცა ნიკ ქეივის ბიოგრაფია სახელწოდებით „შეყვარებული ჰენრი". მას ანონსირება გაზეთ „არილის" ას ორმოცდამეოთხე ნომრის ბოლო გვერდზე გაუკეთდა, წიგნი მცირე ტირაჟით გამოვიდა და თვალისდახამხამებაში გაიყიდა სენაკის აეროპორტის „დიუთი ფრიში". ვიცლიპუცლიმ წიგნის გაყიდვიდან აღებულ თანხასთან ერთად მონღოლეთს წამოიმძღვანა კახელი მეღვინის მძღნერ-გოგია მახარაშვილის შავტუხა გოგო მარო, რომელიც თავის დროზე ლაშასა და ნიკა რაგუას პარალელურ კლასელი იყო ქ. თბილისის ერთ-ერთ ღამის სკოლაში.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მონღოლთა დაკნინების შემდეგ ვიცლიპუცლიმ ცოლთან ერთად ჩრდილოეთ ჩინეთში დაიდო ბინა. იქ მან მალევე აუღო ალღო ბრინჯის ჩხირებით ჭამას და ბრინჯის ფეხებდაბრეცილ გამყიდვლებს თავის სკივრში აღმოჩენილი სოხუმის „მარლბოროს" ერთ ბლოკად თავის საკარმიდამო ტერიტორიის გაყოლებაზე კალიების შემოსევისა და მახრჩობელა ქარებისგან თავდასაცავად ჩინეთის დიდი კედელი ააშენებინა. სულ მალე ვიცლიპუცლის მაროსგან ეყოლა ბიჭი, რომელსაც ადგილობრივი წეს-ტრადიციების მიხედვით პინ გვინი დაარქვა, თვითონ კი ერთ მშვენიერ შუადღეს, სადილობისას, მეუღლესთან ბრინჯის საჭმელი ჩხირებით ატეხილ ჩხუბში დაიღუპა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პინ გვინი ფეხებდაბრეცილი ჩინელების გარემოცვაში უმამოდ გაიზარდა და დაბადებიდან ამაზ-

რზენად წვრილი თვალები გამოჰყვა. მან რვა წლის ასაკიდან დაიწყო წვერის პარსვა და სიარული დიდი კედლის გადაღმა მარკო პოლოს მიერ გახსნილ მიკლუხო მაკლაის სახელობის მოგზაურთა უფასო კურსებზე. იქ უცებ აითვისა სიპ კლდეებზე თვალდახუჭული ცოცვა, წარმოუდგენელი სიმძიმეების ზიდვა, განუზომელი დროით შიმშილობა და მდგომიარედ ძილი. შესაბამისი წრთობის შემდეგ, დიდი მოგზაურობის მანიით შეპყრობილი პინ გვინი თავიდან პატარა მანძილების დალაშქვრას შეუდგა - სულ პირველად მამის დანატოვარი სკივრით ხელში შანხაიში ჩავიდა, სადაც დაესწრო ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ მრავალათასიან მიტინგს და სკივრში ნაპოვნი მზესუმზირის კნატუნით უსმინა მაო ძე-დუნის გამოსვლას. შემდეგ მიაშურა ხაიდარაბადს, სადაც ადგილობრივი რაჯას წინაშე წარსდგა სკივრში ნაპოვნი ჭადრაკის სახელმძღვანელოს მიხედვით ნასწავლი და ვითომ თავისი მოფიქრებული ჭადრაკის თამაშით და ჯილდოდ მოითხოვა ერთი შეხედვით სასაცილოდ ცოტა, სინამდვილეში კი წარმოუდგენელი ოდენობის ბრინჯის მარცვალი. რაჯამ პინ გვინს ბრინჯი ვერ მისცა, სამაგიეროდ უხვად დააჯილდოვა სუნელებითა და დედა-შვილ ინდური სპილოთი. სუნელები პინ გვინმა ინდურ ჩაიზე გადაცვალა და დედა-მაროს სამშობლო საქართველოში ჰუმანიტარულ დახმარებად აფრინა; შვილი სპილო კი საჩუქრად ჩერნობილის ზოოპარკს გაუგზავნა, სადაც პატარა სქელკანიანი ატომური სადგურის აფეთქების შედეგად დასხივდა და ქ. თბილისის ზოოპარკში „ბაჩოს“ სახელით ევაკუირებული მალევე მიიცვალა. „ბაჩოს“ გაკვეთისას კუჭში აღმოუჩინეს ბოთლის ნამსხვრევი, რომელიც სოფელ ტამიშთან ბალახის თიბვისას შემთხვევით შეჰყვა მისთვის განკუთვნილ თივის ზვინს - ეს სწორედ იმ ბოთლის ნაწილი იყო, ქურდ ხუტას დასაფლავებაზე ვლადისლავ კუსტბას ზალპად ნასროლმა ტყვიამ რომ მოუღო ბოლო.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პინ გვინი დედა სპილოზე შემჯდარი ჩატორტმანდა კატმანდუში. იქ დაბნეულსახიან თბილისელთა ჯგუფს გადაეყარა, რომელთაც ტიბეტში ასვლა ეწადათ. მათ შემადგენლობაში მყოფ ლაშას წამალი უკვე კაი ხნის გადაგდებული ჰქონდა და ლენინგრადის „ვზიტ მიკის“ დამთავრების შემდეგ ბლანქემოშვებულს კინოდოკუმენტალისტობა დაეწყო. პინ გვინმა სპილო კატმანდუს ცირკს მიჰყიდა, აღებული თანხით სამი კილო ფხვიერი ჰაშიში შეიძინა, კატმანდუში გასტროლებზე მყოფ ებრაელ ლილიპუტთა ცირკის აკრობატს ეველინა კაცს ერთი დერვიშული სალტო ასწავლა და თბილისლებს ტიბეტისკენ ფეხშიშველა წარუძღვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პინ გვინის ტიბეტში მოღვაწეობის შესახებ ფაქტობრივად არაფერია შემორჩენილი იმ მცირე ფოტო და ვიდეომასალის გარდა, რომელიც ჯგუფის ერთ-ერთი წევრის რეჟისორ გიო მგელაძის მიერ არის გადაღებული. ასევე ცნობილია, რომ პინ გვინი ტიბეტში ასვლისთანავე დაუახლოვდა გამხდარ დერვიშ იოსა და მის მოწაფე ისას, რომლებიც მთელი დღე ერთმანეთის მეზობლად მდგარ თოვლიან გორაკებზე ფეხმორთხმული ისხდნენ და მოწკურული თვალებით ჭვრეტდნენ ცას. სულ მალე პინ გვინმა თავისი მოქნილი იდეებით და სკივრში ნაპოვნი ქართული ხალხური ანდაზების ხმამაღალი ციტირებით მთელი ტიბეტი მონუსხა და აღტაცებულმა ყმაწვილმა დალაი-ლამამ ის ტიბეტის სამხედრო ლამის, გიორგი დორჯიევის მარჯვენა მკლავად დანიშნა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ტიბეტის დაცემის შემდეგ პინ გვინი გამხდარ დერვიშ იოს და მის მოწაფე ისას ისრაელისკენ დაემგზავრა, თუმცა დიდი ხანი არც იქ გაჩერებულა. იოს თავის მოჭრის და ისას ჯვარზე გაკვრის შემდეგ ისრაელის მიწა-წყალი გულგატეხილმა დატოვა და კართაგენს მიაშურა, სადაც ვიცლიპუცლის დანატოვარ სკივრში აღმოჩენილი „კუბიკ-რუბიკით“ გამოისყიდა მონა ქალი იზა. ცხრა თვის შემდეგ იზასა და პინ გვინს ეყოლათ ქოსა ვაჟი, რომელსაც პინ გვინმა სკივრში აღმოჩენილ კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ევროპელი მომღერლის ენგელბერტ ჰამპერდინკის სიმღერის „Can't take my eyes off of you“-ს სიყვარულით ენგელბერტი დაარქვა, თვითონ კი კართაგენის დაცემისას მეუღლესთან ერთად დაიღუპა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ღვთის ნებით გადარჩენილი ქოსა ენგელბერტი სრულ ჰარმონიაში იზრდებოდა, თუმცა წინაპრების დარი ნიჭი არ გამოჰყოლია - ის სკოლის ასაკიდან მოყოლებული ქმნიდა უკბილო ელეგიებს, რომელთაც ნაადრევად

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაღუპული მშობლების საფლავზე გასული ხმამაღლა კითხულობდა და იქვე ხევდა. დღისით ენგელბერტი თავის ბაღჩაში მოწეული უნაბით ვაჭრობდა, ღამით კი სკივრში ნაპოვნი დურბინდით მეზობლებს უთვალთვალებდა და ნაადრევად მოძალებულ იმპოტენციას იქარვებდა. მალე მან თავის სხვა სფეროში წარმოჩენაც სცადა და ტროას აღებისას ცხენში მჯდომ მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა, რისთვისაც უნაბით ვაჭრობისას დაგროვილი თანხის და მამის დანატოვარ სკივრში აღმოჩენილი პორტატული კომპიუტერის ქრთამად მიცემა მოუწია სიის შემდგენლისათვის.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ტროას აღების და დაცემის შემდეგ გულდაწყვეტილი ენგელბერტი კართაგენს აღარ დაბრუნებულა. ის ძველ ეგვიპტეს გაიხიზნა, სადაც ფარაონის კარზე ზღმარტლისფერკანიანი დედოფლის ცვედან-მემასაქედ იწყო მოღვაწეობა. სხვა ცვედან-მემასაქეებისგან ენგელბერტი მარად კუს ფეხივით მომჩვარული სასქესო ასოთი განირჩეოდა, რაც მის კოლეგებს საერთოდ არ ჰქონდათ. ერთხელაც, როდესაც ენგელბერტი უდაბნოს ხვლიკების ნერწყვში ახლად ნაბანავებ დედოფალს მკერდს ფილიპინური მასაჟით უმუშავებდა, მისმა კუს ფეხმა უნებური ზრდა-გამკვრივება იწყო და ენგელბერტის მაჯისცემა გაუგონარ სიჩქარეებს მისწვდა. სულ მალე ზღმარტლისფერკანიან დედოფალს ეყოლა ვაჟი, რომელიც ფარაონმა საკუთარ მემკვიდრედ მიიჩნია, სახელად ამენხოტეპი დაარქვა. მალევე გამოაშკარავებული ენგელბერტი მხლებლებს მონა ქალების რძეში სახალხოდ მოახარშინა, მისი სკივრი კი ახლად წამოჩიტულ შვილს შიგთავსიანად სათამაშოდ გაუფორმა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, თავის სეხნია ფარაონებში რიგით მეოთხე ამენხოტეპი ჩვილობის ასაკიდან ყოველდღე ეწეოდა უკვდავების დაკბილულფოთლება მცენარეს, რომელსაც მისი ძმადნაფიცი, ვიკინგთა სახელოვანი ცალწარბა მეთაურის ენგურ ჰესის ხუთოქროსკბილიანი შვილთაშვილიშვილი არღუნ ჰესი ცეილონიდან ხომალდებით უზიდავდა - ამის გამო ამენხოტეპი უკვე თხუთმეტი წლის ასაკში ოთხმოცი წლის ბებერივით გამოიყურებოდა და ცხვირშეჭმუხნილი სასაცილო ბრძანებებს იძლეოდა. ნაადრევად დაბრძენებული ამენხოტეპ მეოთხის მმართველობის პერიოდში ძველ ეგვიპტეში მეტად რომანტიკული ხასიათის სახელმწიფო რეფორმები გატარდა, რამაც სამეფოს კულტურა და ცივილიზაცია არაბუნებრივი სისწრაფით წასწია წინ. მალევე ამენხოტეპმა თავის სათამაშო სკივრში ნაპოვნი მერვე კლასის ძსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით სახელად ეხნატონი დაირქვა, ცოლად უმშვენიერესი ნეფერტიტი მოიყვანა და ეყოლა ქალიშვილი, რომელსაც ასევე თავის სკივრში აღმოჩენილი ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით სახელად აიია დაარქვა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, პატარა აიიას იისფერი კანი და ამავე ფერის თვალები ჰქონდა. მას ბავშვობიდან უყვარდა ლურჯი იები და მამის მიერ სათამაშოდ ნაჩუქარ სკივრში ნაპოვნი „ჯოტოს“ ფლომასტერებით თვალ-ტუჩ-წამწამის ნაირფრად ღებვა. იგი ნაამენხოტეპარმა ეხნატონმა ჯერ კიდევ თორმეტი წლის ასაკში გაატანა ცოლად ვერაგ ტუტანხამონს, რომელიც ყმაწვილკაცობიდან ფარაონის ტახტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ჩაიგდორა ხელში ეხნატონის ულამაზესი ასული, სიმემ დიდი წვლილი შეიტანა სიმამრისა და სიდედრის ტახტიდან ჩამოგდებასა და დაღუპვაში. მცირეწლოვანმა მეუღლემ მას ოქროსფერთმიანი ვაჟი გაუჩინა, თვითონ კი, როგორც მშობიარობისთვის მოუმწიფებელი, პირზე იისფერი ღიმილით ამავე მშობიარობას გადაჰყვა. ტუტანხამონს გლოვის ნიშნად ზუსტად ხუთი წელი არ დაუჭრია ფეხზე ფრჩხილები და წვერი არ გაუპარსავს. ხუთი წლის შემდეგ კი საერთოდ აიღო თავზე ხელ-ფეხი - ფრჩხილები ერთიანად დაიძრო, მთელი სხეულის აბსოლუტური ეპილაცია გაიკეთა და ახალ ცოლად ეჭვიანობის ქალღმერთი ერინია მოიყვანა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, გადედოფლების შემდეგ ერინიას ეჭვიანობამ ყოველგვარი საზღვარი დაკარგა. იგი ეჭვიანობდა ყველაფერზე: ხიდან მწვანე ფოთლის ტაატით ჩამოვარდნასა და სველ ქლიავებზე არეკლილი მზის ამოსვლაზე, კარზე სამჯერ კაკუნსა და სასახლის სარკეებში თვალმოკრულ საკუთარ ანარეკლებზე. სწორედ მის დროს აიკრძალა ფარაონის სასახლეში და შემდეგ მთელ ეგვიპტეში არეკვლადი საგნები და მათთან ერთად გუბეები, ტბები და ყველა მდინარე დიდი ნილოსის გარდა. ეჭვიანობა ერინიას სისხლხორცეული თვისება და პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირი მოვალეობა იყო, მაგრამ მთავარ საეჭვო ობიექტს მის მოკბეჩილ ვაშლისფერ თვალებში მაინც ტუტანხამონის ოქროსფერთმიანი ვაჟი წარმოადგენდა. ერინია ბიჭზე ეჭვიანობით ღამეებს თეთრად ათენებდა, ქვედა ტუჩს ილეჭავდა და ძუძუსთავებს ისრესდა, რამაც ცალი წარბი და ბოქვენი ნაადრევად გაუჭაღარავა. მოთმინებიდან გამოსულმა ერინიამ ქმარს საჭმელში თეთრი აქლემის თვიური გაურია, გონება დაუბინდა და პირამიდებთან დედის ნაჩუქარი სკივრით მოთამაშე ექვსი წლის შვილის მოკვლაზე დაგეშა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, შვილის მოსაკლავად უდაბნოში გასულ ტვინდანისლულ ტუტანხამონს გზად იმხანად კაიროს შოპ-ტურში მყოფი ლაშა შემოეყეთა; ლაშა უკვე კონტრაბანდისტულ საქმიანობას ეწეოდა და გეზი მენკაურას პირამიდისკენ ჰქონდა აღებული, საიდანაც ფარაონის მუმია უნდა მოეპარა და კრიმინალური გზით დუბაიში გადაეტანა. ლაშას ბოროტმოქმედი აურით დასხივებული, მომენტალურად გონებაგახსნილი და თვალახელილი ტუტანხამონი მიხვდა, რა ავსულობაზეც უბიძგა დედოფალმა და თავისი ჭკუით ვირეშმაკული სვლა გააკეთა - გარდაცვლილი დედის ნაჩუქარი სათამაშო სკივრით სილაში მოთამაშე შვილს შუბლზე ეამბორა, სკივრი მხარზე აჰკიდა და ლაშას კვალს აადევნა, დედოფალს კი უდაბნოში მოკლული ველური აქლემის გული მიართვა და დაამშვიდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ბავშვმა ლაშას ზიგზაგური ნაკვალევი მალევე დაკარგა, გზა აერია და სკივრით ხელში არაბ ტერორისტებს ჩაუვარდა ხელთ. ტერორისტებმა ის ლიბანში გაიტაცეს, იქიდან შუმერის მიწაზე გადაიყვანეს და მონათა ბაზარზე თხუთმეტ პიდარად შუმერ ყასაბს ენვერ ხოდუას სკივრთან ერთად მიჰყიდეს.

როგორც მემატიანე გვამცნობს, უცოლშვილო ენვერ ხოდუამ დიდსულოვნება გამოიჩინა - მომცრო სკივრიანი ბიჭი მოჯამაგირედ კი არ დაიყენა, საერთოდ იშვილა, სახელად ნოე დაარქვა და შუმერული აღზრდა-განათლება მისცა. თუმცა ნოემ მამობილს ამაგი მაინც არ დაუფასა - თექვსმეტი წლის ასაკში ილლიაში სკივრამოჩრილი სომეხი მეკურტნის მსუქან ქალიშვილ კარინა შახგელდიანთან ერთად არარატის მთის მიდამოებში გაიპარა და ტრიალ მინდორზე უსახლკაროდ იწყო ცხოვრება. ერთ მშვენიერ დღეს უსახლკარობასთან დაკავშირებით ცოლის გულისგამაწვრილებელი წრუწუნით შეწუხებულმა ნოემ სახლის აშენება გადაწყვიტა და რადგან მშენებლობაში ბევრი არაფერი გაეგებოდა, საგვარეულო სკივრში ნაპოვნ „ბიბლიაში“ აღწერილი, თავისი სეხნიის აგებული კიდობნის პროექტის მიხედვით შეაკოწიწა ხის უზარმაზარი უფანჯრო ნაგებობა და ცოლიც გააჩუმა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მთელ თავიანთ შინაურ და იქაურ გარეულ ცხოველებთან ერთად სახლში შესახლებულ ნოესა და კარინას მალევე ეყოლათ ოთხი ძე - სემი, ქამი, იაფეტი და ზოსო. უკანასკნელის შესახებ ოფიციალურად არაფერია ცნობილი, რადგანაც დიდი წარღვნის დროს აწეული აურზაურისას ის შემთხვევით გაუსხლტა დედა-კარინას ხელიდან და მომცრო სკივრით ხელში სახლის იატაკზე ამოჭრილი ბიდედან გარეთ გავარდა. დახრჩობას ძუძუთა ასაკის ზოსო თეთრმა ვეშაპმა გადაარჩინა და სამშვიდობოს გაიყვანა. ეს ის ვეშაპია, რომლის გარეგნობაც ჰერმან მელვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი ქართულ ენაზე გამოცემულ თავის სქელტომეულში. თეთრმა ვეშაპმა ზოსოს ექვს წელიწადს აწოვა ძუძუ, ასწავლა თევზების ენა, წყალში სუნთქვა და შემდეგ სკივრთან ერთად გარიყა ნახევარკუნძულზე, სადაც პირველყოფილი თემური წყობილება სუფევდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მრავალმხრივი მონაცემების ზოსო დიდობაში შეიქნა თავისი ტომის ყველაზე საუკეთესო მონადირე სკივრში ნაპოვნი ტყვიამფრქვევით ბიზონებზე ნადირობაში და ალტამირას გამოქვაბულის კედელზე ვიღაც უცნობის დატოვებულ გაუგებარ წარწერას - „ლაშა. 2000.“ - სკივრში ნაპოვნი წითელი ცარცით მიახატა თავის მიერ მოკლულ ბიზონთაგან ყველაზე დიდი.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ადამიანური ყოფა-ცხოვრების პარალელურად ზოსო არ წყვეტდა დედობილ თეთრ ვეშაპთან და სხვა თევზეულობასთან მჭიდრო ურთიერთობას, საკუთარი თმის ვარცხნილობისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კი ცისფერი ვეშაპის, უშაპინას გაცნობის შემდეგ დაიწყო. სულ მალე უშაპინას ზოსოსგან ეყოლა ორი ნახევრად ვეშაპი ვეშანგი და უშანგი (მეტსახელებად დინო და ზაური), რომლებმაც დაუდეს კიდეც სათავე დედამიწაზე დინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავრების ხანის დაწყებას.

როგორც მემატიანე გვამცნობს, კაცობრიობაზე მწარედ დაბოღმილი ვეშანგისა და უშანგის შთამომავლობა მეტად სწრაფად მოედო წყალსა და ხმელეთს და საკმაო ხანს წარმატებით ახორციელებდა სისხლისმღვრელ ქიშპს პირველყოფილი ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც თავის მხრივ სათავეში ქერაკულულებიანი ზოსო ედგათ. ზოსოს ცოლად ქერათმიან ამორძალთა ცალძუძუიანი დედოფალი ლოლა ჰყავდა და ისიც ასევე ვაჟკაცურ მონაწილეობას იღებდა დინოზავრების წინააღმდეგ სასიკვდილო ხაფანგების დადგმაში. საბოლოო ჯამში, დიდმა გამყინვარებამ ადამიანები და დინოზავრები ერთიანად ამოწყვიტა და დაცარიელებულ დედამიწაზე დატოვა მხოლოდ ზოსო მეუღლითურთ და აგრეთვე ზოსოსთვის გენეტიკურად ნაცნობი ორი ნახევრად ვეშაპი - უშანგი და ვეშანგი (მეტსახელებად დინო და ზაური). უკანასკნელი სისხლიანი პაექრობისას ზოსომ შვილებს სკივრში აღმოჩენილი „სი-ესის“ ბალონით სახეში მომწამლავი გაზი ასხურა, ვერაგულად დახოცა და სკივრში ნაპოვნი ხელის ბარით ამოთხრილ ერთ დიდ საფლავში დაფლა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სიბერის გატარება უშვილძირო ცოლ-ქმარს, ზოსოს და ლოლას, მარადმზიურ ბაღნაროვან კუნძულზე საგვარეულო სკივრთან ერთად მოუწიათ. კუნძულის ნოყიერ მიწას ყველანაირი მადლი ეცხო და მოხუცებს თითის განძრევაც არ სჭირდებოდათ თავის შესანახად, თუმცა მათ ყველაზე დიდ ოცნებას - ჰყოლოდათ შვილი, თუნდაც გონჯი ან კუტი - საშველი არაფრით ადგებოდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ღრმა სიბერეში, როდესაც ზოსოს და ლოლას თვალებს ლიბრი გადაეკრა, მათ ის შეამჩნიეს. ის ყოველთვის შორიახლოს იჯდა, აყალო მიწისგან პაწაწინა ჩიტებს ძერწავდა, სულს უბერავდა და აცოცხლებდა. მისი იქ ყოფნა ყველაფერს ეტყობოდა - კაქტუსებიც კი დღეში რამდენჯერმე ყვავილობდნენ. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ზოსო და ლოლა მას ერთხელაც ვერ შეეხნენ - მათი მიახლოებისას ის ჰაერში მჭვირვალდებოდა, უხმაუროდ ქრებოდა და ირგვლივ, ახალგაფურჩქნული შავი ვარდის მათრობელა სურნელს ტოვებდა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, ზოსომ და ლოლამ ახლად აყვავილებული ვაშლის ხის ქვეშ დალიეს სული. ხის ძირას მშვიდად მსხდომმა მოხუცებმა საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დაუხუჭეს ერთმანეთს თვალი, როდესაც ის თვითონ მოვიდა, მათ ფერხთით მყარად მდგარ სკივრს თავი ფრთხილად აჰხადა, იქიდან ქაღალდის ხელსახოცში გახვეული ერთი მუჭა ქართული მიწა ხელისგულებზე გადმოიყარა და ზოსოსა და ლოლასთვის რაღაც უგზოუკვლოდ ნაცნობისა და თბილის ძერწვა დაიწყო.

როგორც მემატიანე გვამცნობს, მრავალი წლის შემდეგ ესპერანტოზე თავისუფლად მოლაპარაკე არქეოლოგთა მრავალეროვანმა ექსპედიციამ სწორედ ამ მიდამოებში მოაწყო დიდი არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციის შემადგენლობაში სხვა სამას არქეოლოგთან ერთად ახლად გაარქეოლოგებული ლაშაც ირიცხებოდა. ერთ მთვარიან შუაღამეს, როდესაც ექსპედიციის სხვა წევრები უზარმაზარ კოცონთან ისხდნენ და ხმამაღლა კითხულობდნენ ესპერანტოზე თარგმნილ აკა მორჩილაძის ახალ რომანს, ლაშამ ვერაფრით მოისვენა - თავისი კარვიდან ფეხაკრეფით გამოსულმა მარტოდმარტომ განაგრძო წინა დღით ამოჩემებული ადგილის თხრა და მთელი ღამის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ადამიანის ცამეტნეკნიან ჩონჩხსა და თავისი პირადი ნივთებით სავსე მომცრო სკივრს გადააწყდა. სკივრი ლაშამ ეგრევე იცნო და უმალ თავის პერსონალურ კარავში გადამალა, ხოლო უძველესი ადამიანის არაორდინალური ჩონჩხის აღმოჩენის თაობაზე ნაპოვნი სკივრიდან ამომზეურებული მეგაფონით მეორე დღესვე ხმამაღალი განცხადება გააკეთა. ამ აღმოჩენის შესახებ მთელი ხუთი თვე პირი არ გაუხურებიათ „სი-ენ-ენს“, „რაი დუეს“, „ენ-ტე-ვეს“, „კანალ პლიუსს“, "ვივა ცვაისა“ და „პირველ სტერეოს“, ლაშამ კი სპეციალური არქეოლოგიური მადლობა მიიღო მსოფლიო არქეოლოგთა კონგრესისგან და არქეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

როგორც მემატიანე გვამცნობს, სულ მალე ლაშა თავისი პირადი ნივთებით სავსე მომცრო სკივრთან ერთად ბედნიერი სახით დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და მაშინღა შეამჩნია, რომ „კინოს სახლში“ „გაიქეცი, ლოლა!“-ს ჩვენების მხოლოდ მეორე დღე იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ცნობილ პოეტს ალექსანდრე გაბურს 50 წელი შეუსრულდა.*

*ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.*

# ალექსანდრე გაბური



* * *

არ ცრუობს წერა-მწერალი,
თუ კი ხარ ჩემის წერისა
მაინც ვერაფრით გელევი
ანცსა და მწიკვისენისას.

ზამთრის საღამოს თავს მახვევ,
თუ ქლურტულა გულს მოიფხან.
ვისარაფერი გამახვე –
რა კაწიბანა ყოფილხარ.

დღეებს გიქარგავ სხვადასხვას,
შენი ცა თუ გადავმკლავე,
ჩემს ბედის ღამეს ავასხამ
შენგან მაწილულ ვარსკვლავებს.

უშენოდ დარდი დამათოვს,
სიშორეს რამ შემაგუა.
ვინ დაგიგულევებს სასხვათოდ –
ასე ჩემსა და კარგუას...

* * *

იქიდან აქეთ ვჩქარობდი,
აქედან იქით მივტირი
გულს, გამეტებულს სამობით,
დღეებს – გაფრენილს ჩიტივით.

საამაღლებო დრო უნდა
ჩამოქნილ ყელის სურობას.
შენი ღვინობა მომწყურდა,
მომშივდა შენი პურობა.

რა გიღირს ერთადერთობა,
მოგროვებული წვეთობით.
ახლო ხარ, ის არ გეთმობა,
შორი ხარ, მე არ მეთმობი.

კვლავაც დროება მოწალდავს
ნარჩენ დღეების სერობას.
შენი ქარობა მომწადდა,
შენი თავთუხისფერობა.

ვიტოვებ ხსოვნას ანაკლებს
მძიმე სიცოცხლის პასუხად.
შენეულ მიზეზს არ აკლებ
ჩემს ლოდინსა და საწუხარს.

რა წუთი გამომეტირა
სავალალოდ და საქებრად.
იქიდან აქეთ ვმეტივარ,
ვაკლივარ იქით-აქედან!..

* * *

ამ დღის ლოდინი წაყვება დიდხანს
საამაღლებო ფიქრის გზაწვრილებს
და მოვა ქალი, რომელიც მიყვარს
და საღამიე თმებს დამაწვიმებს.

კვლავ გადაწვდება საწიერს თვალი
და უპასუხოდ დარჩენილ კითხვად
ამ დღის ლოდინთან მექნება ვალი
ქალის, რომელიც ძალიან მიყვარს...

* * *

ეს შემოდგომა გზებზე მოვფინე -
გადაპენტილი დღეების წყენა...
მხოლოდ უარი მაკმაყოფილებს,
მხოლოდ ტკივილი მიმშვიდებს რწმენას.

შენ ვეღარ მეტყვი ჩემს მშველელ სიტყვას,
სხვა არის ჩემი სიცოცხლის წესი.
გამეტებული მახსოვს და მიყვარს,
დავიწყებულის მჯერა და მესმის.

ზოგჯერ გულს მწარე უარით მოვფხან
ლექსებს - სისხლიან ძუძუნაწოვებს.
მხოლოდ სიშორე მიმართლებს ყოფნას,
მხოლოდ ქარები მაწონასწორებს.

არსთაგამრიგეს შენდობას ვუთვლი
და ვიადვილებ ჩასავლელ თავქვეს.
ხანდახან უცხო მეწვევა წუთი,
რომელსაც რაღაც სიხარულს ვარქმევ.

* * *

დრო უნასივით სისინებს,
მაინც ღმერთიდან კაცამდე, -
ჩემი სასმენი ვისმინე,
ჩემი სავლელი ვაცადე.

ზავდადებული სიკვდილთან
ბერწი ფურივით ვწველე დღე.
წუთისოფელი მიკვირდა,
სხვათუარე და მწერელტყვე.

და მაინც გვიჩანს ცხონებად
სხვა ყოფა, როცა იქ არ ვართ.
ერთი წუთია ცხოვრება,
სხვა დანარჩენი - მიქარვა.

უფრო რა ფიქრი გაკუთვნო,
რა მაცრიატებს, რა მბოჭავს.
არა ყოფილა საწუთრო
ფაფიან ჯამის ამოჭმა.

* * *

არას ვცოტაობ საწუთროს,
არც ცას და მიწას ვცოტაობ, -
რომ მაკმარო და მაკუთვნო
შენი მადლი და ცოდვაო.

და დავდგომივარ მსახურად,
რაც გამეტებას მანიჭებს.
თავს ვიწრო ზეცა არ მხურავს
და ფეხზე მიწაც არ მიჭერს.

გულსგარეთ ვინ დამაცალა
ამაღლება თუ დაშვება.
არც „ჰო“ მაკლია, არც „არა“,
არც წუხილი და არც შვება.

მიმართლებს იმედს გაცდენილს
საბადნარე და სამკალი.
ცრემლიც ჩემი მაქვს, საცდელიც,
ჩემი ქვაც მაქვს და კაკალიც.

* * *

ვერ შეუცვლიხარ ცხოვრებას, ღელავ,
რომ შენზე ფიქრებს კვლავაც ვედავო.
თვალებში ისევ არაგვი ღელავს,
ღიმილში ისევ მზე ნაღვერდალობს.

კვლავ შემახსენე, კვლავ გამიახლე,
რაც ერთხელ ამ გულს ღაღად დააჩნდა,
და მაცდუნებლად ციმციმ მიარხევ
ზეცას - შენივე ფრთებით გადამრჩალს.

ვით დაეღწიე ღვინობის ქარვას,
ჟამის სიავეს და ბედკრულობას?
რამ გაგამართლა? - მოსჯილმა არამ,
თუ სიყვარულის უსასრულობამ?!

და უძლურია დრო-ჟამის ობი,
ვიდრე საცეცხლე დღე იცრის ვნებას...
თვალებით კვლავაც არაგვი მორბის,
ღიმილით ისევ მზე იცრიცება.

* * *

განა რა მზეს და მთვარეს მამადლი?
განა რა ცოდვით ვამძიმებ მიწას? -
ეს რა უმწეო ვალი დამადე -
სიცოცხლეს ერთი სიკვდილით მიწყავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ტკივილი სულგრძელად მითმობს,
ჟამი-ჟამ ცდილობს, სვე ჩამიმწაროს...
აქ ვარ და მაინც არა ვარ თითქოს, -
სიცხადეს ერთი სიზმრით მიწყალობ!

თუმც ბედისწერა ჯიუტად დუმდა,
მაინც სამზეო ცა გავაწვიმე.
მე თვალუწვდენი სიშორის მშურდა, -
ზეცამდე ერთი მიწით გაწბილებ!

შენს ცივ დღე-ღამეს ვიხდი და ვიცვამ,
ვიდრე თვალები ცრემლს შეიშრობენ
და ყრუდ ჩავბღავი ნაზამთრალ მიწას, -
გაზაფხულს ერთი თოვლით მიშორებ!

და მიადვილებს ასავლელ აღმართს
შეგუების და შეჩვევის შიში,
მაინც გამოღმას მიმართლებს გაღმა, -
სიხარულს ერთი წუხილით მიშლი!

რა დამითბილებს წვასა და ძრწოლას,
სამწუხრე რწმენა თუ დავისისხლე
და ნაწვიმარი კუნძივით ებოლავ, -
სინათლეს ერთი ღამით მისხვისებ.

სახვალიეო ცდუნება შველის
შენი ლოდინით დაღლილ იმედებს.
არც ისე დიდი რამ მმართებს შენი,
ლოცვამდე ერთი წყევლით მიმეტებ!

განა რა მზეს და მთვარეს მამადლი?
განა რა ცოდვით ვამძიმებ მიწას?
ეს რა უმწეო ვალი დამადე, -
სიცოცხლეს ერთი სიკვდილით მიწყავ!.

## დ-ს

ფიქრები ჩემი ლექსების გადაბეჭდვისას

მხოლოდ მე ვიცი, რა ცეცხლზე
გადაუვლია მაგ თითებს...
კვნესს გული - ბუდე სამერცხლე,
სალეგენდე და სამითე.

მხოლოდ შენ იცი, რა დილით,
რა მწუხრითა და რა ღამით -
სად კვნესის ფიქრი - ნამდვილი,
სად ლაღობს ფიქრი - არამი.

ბედი სად მცდიდა მეხტეხით,
მძაფრი წყურვილით დანაშრობს...
შენეულ ზეცას შეხვდები,
შენეულ ქარს და ქარაშოტს.

შენ იცი, წასვლა კაცისკენ
როგორი გზებით ვერ შევძელ,
სად ვეძებ ღიმილს საცისკრეს,
სად-საღამიე გზებს ვეძებ.

კვლავ იცნობ ლამეშერეულ
დღეს - ჩემი გადასახდელით.
ლოდინს შეხვდები შენეულს,
შენეულ ნატვრით ახდენილს.

სად იყო ზეცა საქები,
მიუწვდომი და ნამდვილი
და სტრიქონ-სტრიქონ ჩაყვები
ჩემთან მოსასვლელ გზა-ბილიკს.

დილას შეხვდები ცვარ-ნაცვამს,
ის მზის მოსვლა რომ გაცნობოს...
თლილი თითებით დამარცვლავ
ნაცნობ „არას“ და ნაცნობ „ჰოს“.

გულს დაიბრუნებ, დამხობილს
არდავიწყების ნიჭიდან...
იმ სატკივართან ვლაღობდი,
აი, ამ ლხინთან მიჭირდა!

აქა-იქ მადლობს მზის შუქი,
როგორც შველა და ნუგეში.
არხოტის ზაფხულს იქ გჩუქნი,
აქ ვწევარ სისხლის გუბეში.

რა მამართლებდა მიწამდე
შორეულ ზეცის მიღმიდან...
შენ იცი თუ რას ვფიცავდი,
რით მწამდა, რა რად მიღირდა.

ვინ მამადლიდა სანისლეთს,
გულს თავის ნებით მივყავდი.
იქ, თითქმის... მაგრამ არც ისე,
აქ კი ძალიან მიყვარდი.

დუმილის მოთქმაც შენ გესმის
რასა ვგმობ, რასა ვნატრულობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მიდის... ვაგლახ, ჩემს ლექსშიც
ყორნების გუნდი მატულობს,

და ვიდრე ჩამოგვიქროლებს
დღე, ჩემს ნუგეშად რომ იყავ, -
მხნედ ჩამოყევი სტრიქონებს,
ივლი და ჩემთან მოგიყვანს!
.............................
ეს ლექსი ვზარდე კივილით,
ვასვი სისხლი და სამსალა,
ინებეთ ჩემი ტკივილი,
გადაბეჭდილი სამ ცალად!..

* * *

გული - მძევალი მძიმე დღის
ვიდრე ჩაიწვის სანთლად, -
დამახარჯვინე იმედი,
დამახარჯვინე ნატვრა!

და, რახან გვერდს ვერ ავუვლი
ჩემს სახესა და მოდგმას, -
დამახარჯვინე ხმაური,
დამახარჯვინე მოთქმა!

არ ჩამაყოლო საფლავში
გაულევი და მთელი.
დამახარჯვინე თამაში,
დამახარჯვინე ცრემლი.

გამომამჟღავნე ბოლომდე
ბედუცნაური კაცი.
დამახარჯვინე, რომ მქონდეს,
კვალად ამავსე დაცლით!

გამითბე მზე გადახრილით
ნაკლული ბედისწერა.
დამახარჯვინე ძახილი,
დამახარჯვინე რწმენა!

დამარქმევინე ნანატრი
სიცოცხლეს - გასაოცარს.
დამახარჯვინე ღალატი,
დამახარჯვინე კოცნა!

და ვიდრე ღამეს ვთმობ დილით,
უცხო წვითა და რიგით, -
დამახარჯვინე ლოდინი,
დამახარჯვინე ფიქრი!

არ დავიმადლებ სხვის წილ წვას,
თავდავიწყებას სხვისას.
მიწამ მიხედოს მიწისას,
ზეცამ მიხედოს ცისას!

რაცა მაქვს გადანახული,
შენია, პირველყოვლის.
დამახარჯვინე ზაფხული,
დამახარჯვინე თოვლი!

ვინ მითვლის, ჭაშნიკს ვინ მიღებს,
რა ბედ-იღბალი დამყვა.
სიკვდილი ისეც მიმიღებს
უქონელსა და საპყარს.

* * *

„რად გავჩნდი ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმადა"
ვაჟა

ქცევას ვინატრებ წვიმად არც,
თუ კაცად ყოფნა არ მეყო, -
არხოტის კლდეთა ჯიხვადამც
მოვსულიყავი ამქვეყნად.

გზები მელახა შიბწვერის
საოხად, საიალაღოდ
და მეწიაწა ბიჭები
სამთრეხლოსა და საამლოს.

გამართლებად და ქილიკად
მტერი მყოლოდა შემქები,
მელოკა ნისლის ბილიკი,
ამომეგორა მზე რქებით.

მეკვალა გზა ნასისხლარზე,
სიცოცხლემ თუ დამამძიმა.
მთვარე მეჩიგა სისხამზე,
ჯიხვ ვყოფილიყავ მანძილა.

ლტოლვას ვწეოდი კაი ყმის,
მუხლის და თვალის საწურთნად, -
ვიდრე სიცოცხლეს წაიყრის
ჩემი კუთვნილი საწუთრო.

გადამეფრინა ჭიუხი,
ჩემი სადგომი - თეთრჩოხა.
მაძღარს ბუნების სიუხვით
ღამის ცა ამომეცოხნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემოხეულს დროს ეკლად,
თუ გავეხსნები - რა მიშავს, -
პირსწორად ნასრევს მოვეკალ,
ამასაც ენატრობ ჟამი-ჟამ.

* * *

აღარც დღეის, აღარც ხვალის
რაღა დარჩა, ხსოვნითა ხარ.
ვეღარ ნახავს უკვე თვალი
უფრო უკეთს, რაც გინახავს!

ახლა ყოფნა ადვილია,
აღარ გიკვირს, აღარ გჯერა,
შენი წყალი ჩავლილია,
ჩამქრალია შენი კერა.

მოგკრებია უკეთური,
უსახური მოგსევია.
ვერ მოისმენს უკვე ყური
უფრო უკეთს, რომ გსმენია!

იმით გიღირს, რაც გიცემა
ამ საწუთრომ ნაგერალმა.
გაგიჭირდა? - ხსოვნის მცველად
დამაყენე, აგერა ვარ!

## სისხლი

შენ თუ ტყუი! - ის არ ტყუის,
შენ ვერ ამბობ? - მაშ, ის იტყვის
და გაუმხელ ფიქრს თუ დუმილს
მიადგება კითხვა-კითხვით.

მორიალე უცხო ხმებად
გადმოივლის სამანს ჟამთა.
ან მიმწუხრზე შემოგხვდება,
ან გიყელებს გარიჟრაჟთან.

დაგიმდაბლებს ტკბილს და მწარეს,
თუ თავისას არ დაიშლი...
შენი ჯიშით შეგაყვარებს,
შეგაძულებს შენი ჯიშით.

დაგაბრუნებს თავის თავთან,
მიმოფანტულს მისხალ-მისხალ.
ის დუმილი შენსას ჰგავდა,
ამ ხმაურს კი ერქვა სხვისა.

აქ შეცდომით აპატიე,
იქ ამაოდ ძრწოდი შიშით.
შენი ჯიშით აგატკიებს
გაგახარებს შენი ჯიშით.

შენ ამ გზაზე ბევრი დათმე,
დაამადლე რაიც კითხვას...
ხვალე თუკი გაგამართლებს
დაიჩოქე ბატონ სისხლთან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერეკლე შველიძე

* * *



გადალახე თავი შენი!
მეოცე საუკუნის მიწურულის, დეკადანსის და
ხმაურიანი ქუჩების მებრძოლო;
გადალახე თავი შენი, უაზრო ხმაურით გარშემორტყმულო,
საერთო ჰეგემონიის ლეგიონერო!

გადალახე თავი შენი,
დაივიწყე წარსულის შავი წუთები,
მანქანების მწყობრი მარულა,
პრეზიდენტების მრავლისმეტყველი სახეები,
აუცილებლობის პრინციპი,
მასწავლებლების დაჟინებული მოწოდება სწავლისაკენ,
უაზრო სიხარული და ამავე უაზრობისგან წამოსული
სევდა და სიცილი.
დაივიწყე ეს დღე.
ეს საათები,
ეს წუთები,
ეს წამები,
რომ გარბიან და უსასრულობაში იკარგებიან.

გადალახე თავი შენი,
შენ ხარ მებრძოლი შენივე თავის,
გამოუტანე განაჩენი შენი ცხოვრების
უაზრო წუთებს.
აუშვი სადავე დახშულ სურვილებს,
დამწყვდეულ ვნებებს
და დაბუდებულ სიძულვილს.
გადალახე თავი შენი,
მსხვერპლად შესწირე თავისუფლებას
შენი უგნურება,
დაიმონე საკუთარი აზრები
და მოუქნიე მათ მათრახი,
რომ წაგიძღვენენ ჭეშმარიტებისაკენ.
გადალახე თავი შენი,
სულ ერთი წუთით მაინც
დაემორჩილე, შენს სამშვინველში დაბუდებულ
უსაზღვრო ნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკანასკნელი ამოსუნთქვა

ის დაიბადა რომელიღაც ქალაქის უბანში,
მას უყვარდა მშობლები,
ის იზრდებოდა და დრო მას ნერვებზე შლიდა,
ის გაურბოდა დავიდარაბას და სწამდა ღმერთი,
მან ვერ გაარკვია საზღვარი დასაზღვრულსა და დაუსაზღვრელს შორის,
მას უყვარდა ჭამა და ღვინოში ეძებდა იგი გაქცევას,
მას აწვალებდა ღამღამობით ძაღლების ყეფა
და არ უყვარდა ფუტურო სახეების გამოხედვა,
წვიმის წვეთები ახალისებდა მის თმას თავის ქალის ზედაპირზე,
მას უყვარდა ქალის ალერსი ნაზი,
იგი ფიქრობდა გარდასული დღეების პანაშვიდზე
და მომავალი წუთების მარშზე
და, როგორც ჯარისკაცი, მიუყვებოდა ხალხით გატენილ ქუჩებს,
უსულო ქუჩებს,
ამ სიარულში ის დაიღალა და დაეფლითა ხორცი ნაჭრებად,
მან ვეღარ გაუძლო წამოსული ნიაღვრის შემოტევას,
და იგი გახდა მსხვერპლი ჯარისკაცთა ნაბიჯების.
და სიკვდილის წინ, როდესაც დარჩა ამოსუნთქვა უკანასკნელი,
ფიქრი მოაწვა ასეთი:
ნეტავ კი ღირდა ცხოვრება ამად?
მეტი მინდოდა, მაგრამ ამითაც,
მსურს, კმაყოფილი ვიყო...

* * *

რა ლამაზია, როცა ოცნება
საზღვრებს გადავა და გაოცდება,
როცა სიყვარულს გრძნობა გავალებს,
გაგიხანგრძლივებს წუთებს ნამალევს.
წაიღებს წვიმა დასიცხულ ნაღველს,
შენი სხეული კრთება დღის დამლევს.
და გაღვიძება იქნება ძნელი,
როს იკარგება შეგრძნება მწველი.
რა ლამაზია, როცა გეცნობა
წარსული ხიბლის ახლად შეცნობა;
როცა ქალაქის ნაწვიმარ ქუჩებს
აქეთ სინანული და სიმსუბუქე.
გაფართოვდება და გაოცდება,
როცა გადავა საზღვრებს ოცნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო მრელაშვილი

## და შექმნა ღმერთმან კაცი...

### რომანი

– ნუ მკრეხელობ, შვილო ჩემო, მდიდარი თუ ერთი ხელით იღებს, მეორე ხელით გასცემს კიდეც.

– თქვენ იყუჩეთ, „წმინდა“ მამაო. ეგ ფანდი ჩემთვის კარგა ხნის ცნობილია. მდიდარი ცალი ხელით თუ გასცემს, მხოლოდ იმიტომ, რო მემრე ორი ხელით მოხვეტოს. – ლევანამ მღვდელს ცერად გაჰხედა და წარბი შეიკრა. – მამა დოსითეოზ, მე თქვენც კარგად გიცნობთ. ისიც კარგად ვიცი: ვინც ტაძარში შედის, ღმერთთან ყველა პირნათელი არ არი. რწმენა და სიწმინდე გრძელ წვერსა და განიერ ანაფორაში კი არა, სუფთა და გაურყვნელ გულში ბინადრობს. ბევრი ანაფორიანი ვიცი, რომელსაც ფულის წინ უფრო ხშირად მოუყრია მუხლი, ვიდრე უფლის წინ. ვიცი, რო ათას ცოდვაში გავლებული ნაიბაშვილების ნაწყალობევი კვლავ ჩხრიალებს თქვენს ჯიბეში. ფული? – კაცობაა ძნელი, თორემ ფულის შოვნას რა უნდა? – მე შემიძლიან ეხლაც, ამ წუთში, აქვე, ამ დარბაზში უამრავი ფული ვიშოვნო, მაგრამ ამგვარი გზა უეჭველ დანაშაულზე გადის ყოველთვის. ოღონდ დასანანი ის არი, რო წმინდა ეკლესიის ბევრი მსახურის თვალში ფული წუწკ ძაღლსაც კი „ბატონ ყურშად“ აქცევს.

– ფუ ეშმაკსა! ფუ ეშმაკსა! ღმერთო შეუნდე, რამეთუ არა უწყოდეს, რასა იტყოდეს! – მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა, ანაფორის მარჯვენა სახელო იდაყვს ზევით გადაიკეცა და ხონჩიდან არტალა თავისი თეფშისკენ გააჩოჩა.

ლევანამ ყანწი ასწია.

– მოდით, ამ ღვინით იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ფულით კი არა, სულით იქნება მდიდარი. რომელმაც იცის, რო ერთი უსინდისოდ ნაშოვნი ლუკმის გულისთვის ათასი პატიოსანი ლუკმა არ უნდა დაკარგოს. რომელმაც იცის, რო თავისი სიმდიდრე სხვათა სიღატაკეზე არ უნდა ითბობდეს ხელსა. – ლევანამ ყანწი მოიყუდა, მერე დაცლილი სასმისი თავის თეფშს მოუდო, დაჯდა და კვლავ გაირინდა.

ნეფემ მამა მოიხმო ხელით. ჩუმად, მოგუდულად რაღაცას მკვახედ ელაპარაკებოდა. იმდენად იყო გააფთრებული, სულის ქანგი სახეზე გამოსჟონოდა. თვალებს წარაუკძო აბრიალებდა და თან უხეიროდ ცდილობდა თავისი განწყობილების დაფარვას.

მამა მხრებს იჩეჩავდა, თავს საუაროდ აქნევდა, სურდა, რაღაცაში დაერწმუნებინა, მაგრამ შეეტყო, რომ შვილის საბუთებმა გადაძალა, გაბრუნდა და დარბაზიდან გავიდა.

ლევანამ იდროვა და წამოდგა. ამ წამოდგომას ორი რამ ედო საძირკვლად: ერთი, რომ სუფრაზე ჩამოწოლილი უხერხული სიჩუმე და მასპინძელთა საჩოთირო, წვეულთათვის, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელი თათბირი გაექარწყლებინა; და მეორეც, – წასვლა უნდა დაეჩქარებინა. კვლავ ბოლოში მოიხადა თამადასთან და სუფრასთანაც.

– როგორც წეღან მოგახსენეთ, ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ერთ სადღეგრძელოსაც ვიტყვი, ერთი წუთითაც წავიცეკვებ ჩემი ძვირფასი დეიდაშვილის საპატივცემულოდ

---

* გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №3



და მერე თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

– მერე რა ხმალმა უნდა გასჭრას ეგ კისერი, ბატონო ლევან? – ამ მდუმარებაში თამადამ ივაჟკაცა და გაიხუმრა.

ლევანმა „მარანი“ მოითხოვა.

მოუტანეს და გაუვსეს.

– ამას დავლევ და აქედანაც გეახლებით.

მღვდელი დაღვრემილი იმზირებოდა. მერე თავი დანანებით გადაიქნია და თქვა:

– მაგ მარანში მთელი ხელადა ჩადის. ნუ დალევ, შვილო ჩემო, – სიმთვრალე ცუდი მრჩეველია.

– ნუ სწუხართ, ღირსო მამაო, ჩემგან ცოდვა არ ეგების. რაც შეეხება მდიდრის სიმთვრალეს... მდიდარს გარედან იმდენი ქონი აკრავს, ადვილად ფარავს შიგნით შეშვებულ ყოველგვარ ცოდვას.

– მე ზოგი რამ ვიცი, შვილო ლევან, და არ გირჩევ გულის აყოლას. უკვე ყველაფერი დაგვიანებულია.

– აკი ამიტომაც ვჩქარობ, მამაო, რადგან კარგად ვიცი, რო დავიგვიანე: სანამ ჭკვიანი ტანთ გაიხდიდა, ბრიყვი უკვე წყალგაღმა გავარდა.

– მოთმინებითა შენითაო, გვასწავლის მაცხოვარი.

– სხვის მწუხარებას თუნდაც ას წელს მოითმენს კაცი. მაგრამ, მამაო...

– დამიჯერე, შვილო ლევან, ძალიან დაგვიანებულია.

– მაგაზე ნაღველს ნუ გაისიებთ, მამა დოსითეოზ, – კოვზიდან პირამდის ჯერ კიდევ კარგა მანძილია გასავლელი. – ლევანმა მარანი ასწია. – აჲს მარანი ჩემი ბიძაშვილის სანდროს ნახელავია. კახეთში თუ არი ვინმე კარგი მეჭურჭლე, იმათში სანდროც ურჩევნია. აი, ნახეთ: სხვებისა თუ ერთსართულიანია, ამას ორსართულიანი გაუკეთებია. ეს წვრილ-წვრილი ჭურჭელი ისეა ერთმანეთზე ილიკანტურად შემდგარი, როგორც მეფერხულეები ერთმანეთის მხრებზე. აჲს ქვევრია, ეს ხელადა, ეს ჭიჭლა, – იმერლები რო ჭინჭილას ეძახიან, ეს ჯამი და ესეც მტევანი... ეს ყველაფერი დედამიწის ნაყოფიერებას გამოჰხატავს. აი, აქეთკენ კი ხარის თავია, – ნიშანი მშრომელი კაცის სიმაშვრალისა და ქვეყნისათვის თავდადებისა; ამას იქით დაგრეხილრქებიანი ყოჩის თავი, – ნიშანი სიმსუქნისა, ყოყოჩობისა, თავხედობისა და სიბეცისა; ამის გვერდზე კი ოსტატს შვლის თავი გამოუსახავს, – ნიშანი სილამაზისა, სიწმინდისა, სინაზისა, უსუსურობისა; ეს რქაბორჯღა ირმის თავი კი ნიშანი სიამაყისა, ღირსებისა და ლაზათიანობისა. აი, აქ თავთავებია გადაჯვარედინებული, რომელიც ჰკრავს და აერთიანებს ტყისა და მინდვრის ბარაქას. მაშასადამე, ამისი შესმა ნიშნავს მთისა და ბარის გაერთიანებული ძალის მიღებას.

– შენ უმაგისოდაც არ უნდა უჩიოდე ძალის სინაკლულეს და ნუღარ იზამ მაგის დალევას, შვილო.

– ტყუილად ცდილობ ჩემს შეჩერებას, მამაო, თევზს რო მარტო წყალი ჰყოფნიდეს, ანკესს აღარ წაეტანებოდა.

მღვდელმა კიდევ ერთხელ გადაიქნია თავი.

– როგორც ბადეში მოყოლილს, ეგრე ანკესის წამტანებელ თევზს გრძელი გზა არ უდევს, შვილო, ამქვეყნად.

– მე ისეთ თევზზე მოგახსენებთ, მამაო, ბადესა და ანკესს რო ჰგლეჯავს. ვეშაპი კი ისეთს არაფერს ჩაჰყლაპავს, ვერ მოინელოს.

– კარგი, შვილო, შენი ეშმაკი დიდი იყოს. მე ხო ვიყივლე და გათენება ღმერთზე ეკიდოს.

– დეე, ეკიდოს! მე იგეთ ადგილებშიაც მივლია, სადაც მამლები არა ყივიან, მაგრამ იქაც ღმერთის გარეშეც კარგად თენდება.

– ნუ სცოდავ, შვილო, ღმერთის გმობა დიდზე დიდი მკრეხელობაა.

ლევანმა მღვდელს ქეშად გაჰხედა. ერთხანს უმზირა ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილით, რომელშიაც დაკვირვებული კაცი მწარე წუხილის ანარეკლს გაარჩევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თათარს უთქომს; „ინსანინ ნაფასი, ალრიდიხდა ალლაჰა და ნიფრათ ედირ!“ თქვენ თათრული იცით, მამაო? არა? მაშინ რუსულად გეტყვით, რადგან ქართულად ვერაფერს გაგებინებთ: ბოლიტ დუშა, - პროკლინაეშ ი სამოგო ალლახა!

მღვდელმა გაკვირვება ვერ დამალა და თავი ჩუმი მოწონებითა თუ თანაგრძნობითაც კი ააცანცარა.

- ეგრე, მამაო, მე ისედაც დავიგვიანე. თანაც ჩვენი აჭია-ბაჭიით სუფრასაც და ბატონ თამადასაც თავი შევაწყინეთ.

თამადამ ჭერისკენ აღაპყრო თვალები და ცრემლმომდგარმა ხელი გაასავსავა.

- თამადას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თქვენ როგორც გენებოთ, ისე განაგრძეთ, ყმაწვილო. ღმერთმა გაანათლოს იმ ქვეყნად დიმიტრის სული - ეს სულ მისი სკოლაა. მაგრამ არ მეგონა თუ ოდესმე იმ პატარა ბიჭის შემდეგ თქვენნაირ სულითა და ტანით ასე ახოვან ვაჟკაცს გადავეყრებოდი. ასეთ ნიჭიერ კაცს თუ იპოვნიდა დიმა შეგირდად. განაგრძეთ, ბატონო ლევან, განაგრძეთ.

- ბევრი აღარა დამრჩენია-რა, ეხლავე მოვათავებ და დაგტოვებთ კიდეც. დიახ, მე არ ვიყავი იმ დროს აქა, როცა ნეფედედოფალს „საჯვრისწერო პური“ და ეს მარანი მოართვეს. მაშინ სასმელად მომარჯვებულ ამ ყოჩის პირს ნეფის პირი შეეხო. ამიტომ ნუ დამძრახავთ თუ ნეფის ნაპირალს ჩემს ნაპირალს არ დავაზმანებ.

ეს კი ველარ მოითმინა ნეფემ და გაავებული წამოვარდა ფეხზე. მაღალი იყო ნეფე, ჩაკურატებული და ბეჭგანიერი.

- გაეთრიე! ეხლავე აქედან გაეთრიე! შენ აქ არავის მოუწვევიხარ და არც დაუპატიჟნიხარ! ქურდო! შენ მოსაწევი მაიპარე! ქურდო!

- ცოტაც მოითმინე, სათქმელს დავამთავრებ და წავალ.

- არა, არა-მეთქი! ეხლავე გაეთრიე! მაგრამ, სანამ გაეთრევი, თქვი, როგორ აჰწაპნე, როდის მოიპარე ეგ მოსაწევი! თქვი, შე ქურდო, ყაჩაღების ამფსონო და თავათ ყაჩა... ყაჩა... ყაჩა... - და ხაფმა ხმამ ნელ-ნელა დაიწია, დაიწია, შემდეგ ჩურჩულად იქცა და ბოლოს სულ ჩაქრა. ნეფე ძირს მძიმე-მძიმედ დაეშვა, დაიფუკა, დაიფუკა და... მერე ერთბაშად, მოწყვეტით დაეშვა სკამზე თვალებდაელმებული, ნაუცბათევად ფერმიხდილი და დაუპატიჟებელი სტუმრის ტანზე მიციებული.

ლევანას თქმით არაფერი უთქვამს დეიდაშვილისთვის, მხოლოდ ნაბდის კალთებს შეუშვა ხელი, აქამდის რომ საგულდაგულოდ ეჭირა და მარანი მაღლა ასწია. ნაბდის გაშვებული კალთები გადაიხსნა და შავ ჩოხაზე ასხმული, მხრებზე გადაგდებული პატრონტაშებით გაჭედილი მკერდი გამოჩნდა. ნაბდის ბოლოს, სანთლების შუქზე, შავად ლაპლაპებდა კარაბინის ლულა.

უმალ გაავსო სუფრა ქალების ჩურჩულმა:

„ქორქიკა“!

„ქორქიკა“!

„გარეთ, ალბათ, ეზო ყაჩაღებით არი სავსე!“

„ვაიმე, დედავ, რა გვეშველება, ნამდვილად ქორქიკაა!“

„არა, ეგ ქორქიკა არ არი, ეგ ლევანაა“.

„ვინ ლევანაა?“

- „ჩვენებური, ჯანაანელი, მეეტლე ლევანა, კოწია ბოქაულმა ერთ ღამეში სამჯერ რო დახვრიტა და მაინც ცოცხალი წაუვიდა“.

„ვაი ჩვენს დღესა! ეგ უარესი ვიღაცა ჩანს ქორქიკაზე!..“

სუფრის ჩოჩქოლზე ლევანას ყურიც არ შეუბღერტია. საოცარი ნათელი გადაპფენოდა სახეზე, თვალებში ისეთი სინაზე ჩასდგომოდა, ისე გულმიმტაცად ეფერებოდა გაფხორილი ყოჩის გვერდით გამოსახულ ნამლევა შვლის თავს, ისე ფაქიზად უსვამდა ვეება, უხეშ თითებს კოხტად აცქვეტილ ყურებშუა, რომ კნეინებსა და სხვა ღირსეულ მანდილოსნებსაც ნეტარებისგან გული მიელიათ.

- აი, ამ შვლის პირს კი დედოფლის მოკრძალებული, ჩვილი ბალღივით შეუმწიკვლავი ტუჩები შეეხო. დედოფალი ჯერ კიდევ ისეთი გამოუცდელი და მორიდებულია, ისეთი სუფთა და შეურყვნელია, ისეთი გულუბრყვილო და დამჯერეა, არც კი უცდია იმის გახსენება, რო ყველა ხე კვიპაროსი არ არი და ყველა ლერწმიდან შაქარი არ გამოდის... მე მაგის გვერდში მჯდომს კარგად ვიცნობ: ეგ იგეთი ძუნწია, ნახნავში ჩავარდნილ ნემსს არ დაჰკარგავს; იმდენად გულბოროტია, წვიმა რო იყოს, მარტო თავის ბოსტანში მოვიდოდა. მაგრამ მაძღარს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ის ტყავი, რომელსაც შიმშილის ჟამს უმად ღეჭავდა. არც ის უნდა დაივიწყოს, რო გულით ბრმა თვალით ბრმაზე ბევრად უარესია. ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიფაროს - და, ეგ რო წაიქცეს, უქრთამოდ არ ადგება. მე კი, ჩემდათავად, ისეთ კაცს ვიცნობ, ასეთი დედოფლის გულისთვის შვიდჯერ წაქცეული რვაჯერ რო წამოვარდებოდა ფეხზე!.. ფულით სუფთა სიყვარულის ყიდვა არ შეიძლება. ხოლო, ვისაც უყვარს და თავისი სიყვარულის დაცვა არ შეუძლიან, ის არც არი იმ სიყვარულის ღირსი... მე ვსვამ დედოფლის სადღეგრძელოს მის ტუჩშენავლებ შვლის ტუჩებიდან.

ამის მსმენელი მანდილოსნები შიშნარევი ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ ნეფეს, რომელიც ყოველ სიტყვაზე უღონო ბრაზით იტენებოდა და, შეუმცდარი ალღოთი გრძნობდნენ, მალე დარბაზში მეხი გავარდებოდა.

სიძე კი მაინც დუმდა და იცდიდა, რადგან კარგად იცნობდა თავისი დეიდაშვილის ბუნებას. ისიც კარგად იყო მისთვის ცნობილი, რომ ას ნაბიჯზე ტყვიას მაკრატლის სათითურში აძვრენდა... ამიტომ იცდიდა. დარბაზიდან გასულ მამას უცდიდა. დანარჩენი სუფრა კი, ღრენის ხასიათზე დამდგარი, მაინც მონუსხული უსმენდა და გაოცებით მისჩერებოდა, რადგან ამოდენა მარნის დაცლა ერთ მოყუდებაზე არავის ენახა.

ლევანამ სასმისი დაცალა და წამოაპირქვავა. - სასმისს წვეთი არ გავარდნია.

- თქვენთან დიდი ბოდიში, ბატონებო და ქალბატონებო, მაგრამ ეს ისეთი სახლია. სადაც ასეთ წმინდა სასმისს ბილწი ტუჩი არ უნდა ეხებოდეს. - მოიქნია, „მარანი“ კედელს მიალეწა და მერე მეზურნეებს გაჰხედა. - ეხლა კი შაუბერეთ! ლევანა ერთი-ორს გაივლის და მემრე ამ დარბაზიდანაც გაეთრევა! - სუფრას გასროლილმა სიბრჭყვიალემ გადაუქროლა და ოქროს თუმნიანი ამობრუნებულ დაირაში ჩაეცა.

ლევანა ცეკვავდა. ისე მსუბუქად, ისე მოხდენით, ისეთი დაუნჯებით, ბერიკაცებსაც კი ფეხები აუთამაშდათ. ნაბდის კალთებში ჩავლებული ხელები ნაბდიანად გაეშალნა და ისე უვლიდა, ყოველ შემოვლაზე ქარს აყენებდა. მერე მივიდა, თავი თავაზიანად დაუკრა და დედოფალი საცეკვაოდ გაიწვია.

აქამდე თავჩაქინდრულ, ქვეშ-ქვეშ გამომზირალ, ფერდაკარგულ დედოფალს თვალებში სიცოცხლე გამოუმზევდა. ლაწვებზე ალისფერმა იძალა და წამოიწია. წამოიწია, მაგრამ ნეფის ხელმა მალულად მაჯა შეუპყრა.

ლევანამ ერთი წრე კიდევ შემოუარა და კვლავ გაიწვია დედოფალი.

არც ახლა გაუშვა მიმინომ ჩიტი.

სუფრა ტკბებოდა ლევანას ცქერით. მისი ჯომარდობითა და ჩაუქური სისხარტით. დროდადრო, როცა მუხლითავამდის ჩამოზიდული თითბრით ნაჭედქარქაშიანი ვეება ხანჯალი ცეკვის ტაქტზე აყოლილი თავადაც შეითამაშებდა, რაღაც იდუმალი, არასასიამოს მოლოდინით გამოწვეული დაძაბულობა აისახებოდა მათ აღტაცებულ მზერაში. და მაშინ უნებლიე ტურტურ-ჩურჩული გადაუვლიდა სუფრას.

ლევანამ იდროვა და მესამედაც გაიწვია დედოფალი.

ახლა კი, მოულოდნელად, მთელი ძალით დაიქნია დედოფალმა მკლავი და ნეფეს მაჯა წაჰგლიჯა ხელიდან.

პირველი შემორბენის შემდეგ, როცა მოცეკვავენი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, აქამდე გატრუნული დედოფლის ტუჩები ამოძრავდნენ და საშინლად აფორიაქებულებმა მოკანკალე ხმით წაიჩურჩულეს: „გაიქეცი, ლევან, სასწრაფოდ გაიქეცი! შენს მოსაკლავად კაცი გაგზავნეს...“ „დარდი ნუ გაქვს, თინათინო, მგელმა თქო: ჩემ დამჭერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო“. „ამათ ნუ ეხუმრები, ცუდი ხალხია, გაიქეცი! ცოტათი მაინც თუ კიდევ გიყვარვარ, გაიქეცი! შენ რო მოგკლან, - ერთ წუთს აღარ ვიცოცხლებ თავს!“ „იმაზე მეტად მიყვარხარ, ვიდრე მიყვარდი“. „მაშ, გაიქეცი! აი, ამ წუთსვე გაიქეცი!“ „უშენოდ არა! - წამოხვალ?“ „საითაც მეტყვი!“

ლევანამ ცალი ხელით დედოფალი აიტაცა, ორი ნახტომით კარებთან გაჩნდა და მოტრიალდა. ელვის სისწრაფით მარჯვენა მხარზე პირდაღმა დაკიდებული კარაბინი პირაღმა ამოაბრუნა, ტუჩი ზემოთ უქნა და გრიალმა შესძრა მთელი დარბაზი. კარის თავზე დაკიდებული ლამპა თავის ჯაჭვს მოსწყდა და იატაკზე დაიმსხვრა.

წუთიც და კარებში აგუგუნებული ცეცხლი ჩადგა გაქცეულთა და მეჯვარეთა შუა.

* * *

- სასმელი ქვეშაფსიასაც ათამამებს. როგორ დავიჯერო, ლევანა პაპავ, იმოდენა ხალხში ერთი მამალი ბიჭი არ ერია, რო გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამხტარიყო და ლაგტაკებოდა.

ლევანა ჩაფიქრდა.

- იქნებ ერია კიდეც, მაგრამ იარაღს დიდი ძალა აქვს. თანაც ძალიან ეშინოდათ, - ბევრმა იცოდა, რო ქორჟიკა ჩემი მამიდაშვილი იყო. ის კი ვერავის უსამართლობას ვერ იტანდა. რო არ დავიტრაბახო, არც ჩემი შიში ჰქონდათ ნაკლებათ. გარდა ამისა, მაშინ სხვანაირი ქორწილი იცოდნენ.

- როგორ სხვანაირი - ქორწილი ქორწილია.

- ეგრე არ იყო წინათ, ჩხიკვო: შინ შესული სტუმარი ჯიბის დანის მეტს არაფერს იტოვებდა. როგორც კი ოჯახში ფეხს შესდგამდა, უმალ ყველა იარაღს აიყრიდა, მასპინძელს ჩააბარებდა და სუფრაზე იგრე ჯდებოდა. იარაღი მხოლოდ წასვლისას ეძლეოდა პატრონს.

- მაშ, რატო შენ არ აიყარე, როცა ქორწილში შახვედი?

- მე იქ არც საქორწილოთ შევსულვარ და არც იარაღის ასაყრელად. მხოლოდ ერთი განზრახვა მქონდა: ან მკვდარს, ან ცოცხალს იქიდან ის გოგო უნდა წამომეყვანა.

- შენგან გამიგონია: სხვისას არაფერს გავკარებივარო.

- ადამას ცელის მერე არც გავკარებივარ.

- მაშ, სხვის ცოლს როგორ გაეკარე?

- ის ქალი არავისი ცოლი არ იყო. თანაც ის გაეკარა ჩემ საცოლეს. მე კი, ვინც მიცნობდა, ყველამ კარგად იცოდა, ჩემთვის რამის წამრთმევს, ვინც უნდა ყოფილიყო, რა დაემართებოდა.

- შენც რაღა დეიდაშვილს უცდიდი, რატო მანამდის არ წაიყვანე?

- ქალაქში ვიყავი გაქცეული, კოწია ბოქაული დამდევდა დასაჭერათ. ჩვენმა სანდრუამ კაცი გამომიგზავნა. მაშინ გავიგე, რაც აქ ხდებოდა.

- მარტო იყავი?

- გარეთ წაპწია მელოდებოდა ჩემი ფაიტონით.

- არ გეშინოდა, ბოქაულს რო ჩავარდნოდი ხელში?

- როდის იყო, წყალწაღებულს დასველებისა ეშინოდა? როცა თავზე ხელი გაქვს აღებული, ეშმაკს პერანგს გაჰხდი და თავად გადაიცვამ. ამას გარდა, წაპწია, როგორც კი საფრთხეს იყნოსავდა, მიკიოტივით დაიკივლებდა. კივილი კი იგეთი იცოდა, აქედან ახმეტაში ყრუვს გააგონებდა.

- ეგ ის წაპწია იყო, მაგრათ რო ჭიდაობდა?

- ის იყო, ცხონებული. ძაან ადრე წავიდა საწყალი იმ ქვეყანაში.

- რამ მოკლა ეგეთი ფალავანი?

- ბევრმა ჭამამ, ავარდნილმა ცხოვრებამ და ბევრმა სმამ. კარგად შემწვარ მწვადს ვერ მიაკარებდი. მწვადს რო სჭამდა, თან თითქმის სისხლი გასდიოდა. ეგრევე სხვა საჭმელი. კვერცხს, გინდ სააღდგომოდ ყოფილიყო შეღებილი, თავის ნაჭუჭიანად ჰგზავნიდა მოუკუპრავში. ამიტომაც მუცელში სულ გალაყებული იყო, შარვალი სულ ხელში ეჭირა. რო ჩაიხდიდა და შიშველ კურტუმს აიშვერდა, ლამის ორ საჟენზე ასხამდა ბატიეით. ჩვენთან ყოველგვარი ანგლობა და მამაძაღლობა მაგისი მოგონილი იყო. გულით მძინარ კაცს გააღვიძებდა და თან თითონვე ეკითხებოდა: რა გინდაო? - ხალხს სიცილით ჰხოცავდა და ძალიანაც უყვარდათ ბიჭებს.

გიგა ერთხანს იყო გასუსული, მერე იკითხა: ძაან უყვარდი?

- წაპწიას?

- არა, იმ გოგოზე გეუბნები.

- ძალიან.

- მა რათ გაჰყვა იმ კაცს, შენ დეიდაშვილს?

ლევანამ პასუხი დააყოვნა.

- ორი-სამი წელი არ ჩამოვსულვარ, ქალაქში ვემალებოდი კოწია ბოქაულს.

- იმ შენმა დეიდაშვილმა იცოდა, რო ქალი შენი იყო?

- იცოდა კი არა, შემოვუთვალე, ყური ეგდო. არაფერი მოეკლო და ვინმესთვის არ გაეტანებინა. ასმაგად გადაევუხდიდი, როცა ქალაქიდან დავბრუნდებოდი... მაგან კი ქალს თვალი დაადგა და სათავისოდ გაჩარხა საქმე. მე მანამდის არაფერი გამიგია, სანამ სანდრუამ „ჯდარბი" არ გამომიგზავნა: ხვალ საღამოს ქორწილი აქვს, შენს თინას ირთავსო.

- მართალია, ჯდარბი ერთ დღეში თბილისში ჩადიოდა და ამოდიოდაო?

- მართალია. მოკლე ბილიკები იცოდა მთებზე. აქედან შუაღამისას ადგებოდა, ცივს გადაივლიდა და საგარეჯოში ჩასული ეგრევე მოკლეზე გადასჭრიდა გზას ლოჭინამდის. იქიდან განა რამდენი ხნის სავალია ორ-

ხევამდე, ორხევში კი ცხენების შესაცვლელი სადგური ჰქონდა ოსკანოვს.

- მახსოვს, ერთი პატარა, დაბარძღული კაცი იყო. განა რა მუხლი ჰქონდა იგეთი?

- მაგისთანა მუხლის პატრონი, არა მგონია, კახეთში თუნდაც ხუთი ყოფილიყო.

- მართლა ასს გადაცილებული მოკვდა?

- მართალია.

- მეორე „კრუგზე" რამდენი გაიარა?

- ასშვიდისა იყო.

- შენ როდისღა ამთავრებ პირველ კრუგს. ლევანას „კრუგზე" გაეცინა.

- მე ამაღამ გადავალ მეორეზე.

- იგრე კი არ გააკეთო, მეორეზე სადმე სხვაგან გადაუხვიო.

- მთარსავ, შე მამაძაღლო?

- ღმერთმა დაიფაროს! ვინღა მამიყვება იმ ამბავს, გომბორში, „ პოვოზკაზე" დადებულ თივაზე მძინარ რუსის დედაკაცს რო აიმასქ-ნებდა ადამა, შენ კი საწყალ კაცს აღარ დააცადე საქმის მოთავება, მარტოდმარტომ დაავლე ხელი „პოვოზკის" ხელნას და მთელ ეზოში დააწოწიალებდი თივაზე მობუქნავე ადამას.

- ლევანა ჩუმად ხითხითებდა.

- რა ეშმაკმა გაგახსენა, ჩხიკვო, მე რო შენთვის ეგ არ მიამბნია?

- აი, მეც სწორედ მაგასა ვჩივი, სხვაგან არსად გადაუხვიო-მეთქი... მაშ, იცოდა შენმა დეიდაშვილმაც და მაინც წაიყვანა?

- იცოდა და მაინც წაიყვანა.

- მაშ, რაც გიქნია, ახი ყოფილა იმაზე... ქალი რაღათ გაჰყვა?

- ძალით გააყოლეს.

- ვინ გააყოლა?

- მამამ.

- რატო არ გაექცა?

- სად გაექცეოდა? სხვენში დაემალა, - იპოვნეს! საქათმეში შეძვრა, - იპოვნეს! ერთხელ მეზობლის თონეში ჩაჯდა, მთელი ღამე იქ გაათენა; მარანში შეიპარა და თავზე გოდორი ჩამოიმხო... ყველგან იპოვნეს, გამოათრიეს და ძალით დასწერეს ჯვარი...

- მამამ არ იცოდა თქვენი ამბავი?

- როგორ არა, იცოდა... მაგრამ სიმდიდრემ აუბა თვალები... ერთხელ დედაჩემის სანახავად ჩავედი ჯანაანში. მართალია, ღამით მიედი, მაგრამ სოფლიდან ღამიანადვე გასვლა დამიგვიანდა და გათენებისას ვიღაცას ვენახნე, რო წყაროზე ცხენს წყალს ვალევინებდი. ბოქაულმა ჩასაფრებები მომიწყო. ვეღარ ჩავდიოდი სანახავად. თანაც იმ ვაჟბატონმა, - ჩემმა დეიდაშვილმა, უკვე სათავისო ძალლობა ჩაიფიქრა. ჯანაანში მოენეები გაიჩინა. გოგოსთან თურმე ზოგს ამბავი მიჰქონდა, რო ცოლი შევირთე და თინა ვიღას ახსოვს! ზოგი იამს ამბობდა, რო ქალაქში კინტოებმა ჩხუბში მომკლეს; ზოგი კი - სათათრეთში გადავარდაო და, რა ვიცი, ვინ რას აღარა სჩმახავდა თურმე...

- თუ ნამდვილათ შენი დეიდაშვილი იყო, რაღა მაგას ეცა?

- თინას მამა სასიძოს სიმდიდრეს დაეხარბა, სასიძო თინას სილამაზეს.

- მამაჩემი იტყოდა ხოლმე: ლევანა რო თელავში გაივლიდა, თუ ვინმე თვალში არ მოუვიდოდა, ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა ის კაციო. იმ შენ დეიდაშვილს შენი არ ეშინოდა მაინც?

- აბა, რა გითხრა, ვფიქრობ სიმდიდრემ გააბედვინა. თანაც შორს ვიყავ და ეგონა, ვერ მივწვდებოდი. ყველაზე მეტად კი კოწია ბოქაულის იმედი ჰქონდა. ეგეც არ იყოს, „გასულ ბიჭებთან" ძმაკაცობისთვის ვძულდი, რადგან ყველა ისინი მაგის სიმდიდრეს ემუქრებოდნენ.

- იარაღი სადღა იშოვნე?

- ქორჟიკას იარაღის მეტი რა ჰქონდა, განა იმ იარაღით სულ მე არ ვამარაგებდი? - გომბორზე რო გადმოვედი, ვერონაში ბიძურა არაბული ვინახულე. იმათი კაცი იყო, იარაღიც იმასთან ინახებოდა. მთელი ის იარაღი და ტყვია-წამალი ჩემი ფაიტონით ადიოდა ქალაქიდან ვერონაში. მხოლოდ მე მენდობოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაიგეს, რო კოწია ბოქაულმა მთელი ღამე გაათენა კურდღელაურის ბოლოს, დუქანში და დახვრეტითაც ვერ გამტეხა. ძალიან ვუყვარდი და ბრმად მენდობოდნენ.

- მერმე თავათ ვერ მოგეხმარნენ?

- როგორ არ მომეხმარნენ.

- მაშ, როგორ გაგიშვეს მარტოდმარტო, წაპწიას ამარა, იმოდენა ზღვა მექორწილე ხალხში?

- ისინი რო იქ ჩამომეყვანა, ჩხიკვო, მთელი მაზრა ფეხზე დადგებოდა. მაშინ ქალი გვერდზე დარჩებოდა, ჩვენ კი თავის გადარჩენაზე უნდა გვეზრუნა. ბევრი ვიფიქრე და მივხვდი: რისკი უფრო გაამართლებდა. და რისკზე წავედი. ვინც რისკზე მიდის, ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგებს. იმ ქალს ცოცხალი თავით არავის დავანებებდი!

– ეე, ღვინო მამაძაღლია, ლევანა პაპავ, შექეიფიანებული ხალხი იარაღს სტაცებდა ხელსა.

– აკი სტაცეს კიდეც ხელი.

– მაშ, რატო ვერ წაგართვეს?

– ზაქიას სახლთან დამეწივნენ. ფსიტიანის ციხის დაბლა. სადაც ეხლა ხიდია თურდოზე.

– მერე? – ჩხიკვი ყურებად იქცა.

– ის იყო გავცდით სახლს, რო გაყურსულ ტყეში გზამ იგეთი გუგუნი მოიღო, გეგონებოდა, დრაგუნთა მთელი პოლკი სალაშქროდ ამდგარაო.

– მერე? – ჩხიკვმა კიდევ უფრო დაძაბა სმენა.

– მერე ჩვენს უკან რაღაცამ იგეთი მკვახეთ დაიჭექა და ზედ შუა გზაზე იგეთი ზღართანი მოადინა, ხმა, ალბათ, სეროღნამდის ავიდა. მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა. წაპწიას ვუთხარ, ცხენებს ნუღარ დაჰხოც, ნელა ატარე და თეთრ-წყლებში გამოვცვალოთ-მეთქი.

– რაო, რა მოხდა?

– არაფერი, – ჟორჟიკამ თავისი სიტყვა შეასრულა.

– რა სიტყვა?

– იარაღი რო მომცა, მითხრა: შენ ზაქიას სახლამდის ამოიყვანე და იმის იქით როგორ დაგედევნებიან, ის ჩემზე იყოსო.

– რა ქნა იგეთი? ეხლა მთლათ ნუკი გადამაყოლებ ერთ წიტიან ქორწილს.

– აი, შე უდღეურო, აღვილია, ხო, სხვის თავზე კაკლის მტვრევა! – რა ქნა და გზის აქეთ-იქით მდგარ ორ ხეს იგრე მიაჭრა ძირი, მარტო მიწოლაღა სჭირდებოდა. როგორც კი იმ ადგილს გავცდით და მდევრის ცხენების ფეხის ხმა მოახლოვდა, ის ორი ხე წააქცია და მთელი გზა გარდიგარდმო ჩახერგა. მოადგა თუ არა ხერგილს მდევარი, იმისმა ბიჭებმა გალმა-გამოღმიდან დაჰკივლეს და ზედ იგეთი ბათქი მიაყოლეს, იქ რომელი ჭკვათამყოფელი დადგებოდა!

– მოკლეს ვინმე?

– არა, კაცო, მთლათ გიჟები კი არ იყვნენ, მაინც საწყალი ხალხისთვის ცდილობდნენ.

ჩხიკვი ცოტა ხანს გაჩუმდა, პაპას დაელმებით აჰხედ-დაჰხედა, ცოტა წაიქსუტუნწამოიქსუტუნა და სათქმელი თქვა:

– ლევანა პაპავ, შენ არასოდეს მოგიკლავს კაცი?

– კაცი? – ლევანამ ჩხიკვს გაოცებით შეჰხედა. ერთხანს მდუმარედ უცქერდა, მერე წამოჯდა, ფეხები აიკეცა, ზედ ხელები შემოიხვია და თავი მუხლებშუა ჩაყო.

* * *

ფაიტონში ოთხნი ჩასხდნენ. სულ პატარა ბიჭები იყვნენ, – თხუთმეტ-თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისანი.

– ედემის ბაღი! – თქვეს და წელში დარდიმანდულად გაიმნიქნენ.

ცხენები აუჩქარებელი ჩაქჩაქით მიდიოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომა იყო და ცაც საწვიმრად თუ სათოვლედ ემზადებოდა, ქუჩაში მაინც ბლომა ხალხი ირეოდა.

ჩოფურ-სონა თავისი დუქნის წინ გამოსულიყო, რომელსაც ფრიად სერიოზული სახელი, – „პივნოი ბარი“ ერქვა, და კონკის გავლას ელოდებოდა. ჩვევადა ჰქონდა: ყოველ გავლაზე კონკა უნდა გაეცილებინა. უზარმაზარი დედაკაცი იყო. ძუძუები ქალის რუხ ახალუხში შეყუდებული ხელადებივით ელაგა. წელზე მძიმე, საოცრად განიერი, კარგი ოსტატისაგან მოსევადებული, სამ-გობაკიანი მძიმე ვერცხლის ქამარი ერტყა. აქეთ-იქითა გობაკი მომცრო გახლდათ, შუა გობაკი კი იმოდენა იყო, შიგ ნახევარ ლიტრ ღვინოს ჩაიწყავდა. გამოვიდოდა, განიერ, თამთამა თეძოებზე დოინჯს შემოიდგამდა, ღონიერ ფეხებს გან-განზე გასდგამდა და ეგრე, ჩასპანდურადვე გააცილებდა კონკას. მთელი თბილისი იცნობდა ჩოფურ-სონას. მართალია, ცოტა პირნაყვავილარი იყო, მაგრამ მუშტრებს იგი ძაან სანდომიანად მიაჩნდათ. მის ბარში მთვრალების ქინიანობა და აყალმაყალი არავის ახსოვს, რადგან ხალისიან დედაკაცს გრძელ ხელებზე იმოდენა მუშტები ესხა, ყარაჩოღელები „ცხვრის თავს“ რომ ეძახდნენ.

ლევანა ჩოფურ-სონას შინაურულად მიესალმა.

– თეთრად შენი სარეცხი, სონაჯან.

– ჩემ სარეცხს ლუდითა ვრეცხავ დუქანშივე, ლევანჯან. – ზოგი პირთეთრი გამოდის, ზოგი პირშავი. – ჩოფურ-სონას ლევანას დანახვა გაუხარდა, მაგრამ მისი მგზავრები თვალში არ მოუვიდა. – ეგ ნაგავი სად უნდა გადაჰყარო, ლევანჯან!

– ეეჰ, სონაჯან, ბევრჯერ, ჩვენ რო გარედან ნაგავი გვგონია, გაჰქექავ და შიგ ალმასები ჭიატობენ. შენ რა იცი, ესენი რა ბიჭები არიან!

– ოჰო, ჰო, ჰო! გამოხვედი, რაღა, მაგათი ოხჩუმი! დაიცა ცოტა ხანს, ცხვირსახოცს გამოგიტან, – გზადაგზა ხანდახან ცინგლი მოსწმინდე ხოლმე.

– გაუხსნელ ნიჟარას არავინ აგდებს, სონაჯან. რა იცი, შიგ რანაირი მარგალიტი დევს.

– მაინც სად გინდა მიიკერო ეგ მარგალიტები ლევანჯან?!

ამ „ღირსეულ“ შეკითხვას ლევანას ყურამდის აღარ მიუღწევია.

„ედემის ბაღი“ „ბაბაჭუას“ დუქანთან გახლდათ, საბურთალოს აღმართის დასაწყისში. თავის დროზე კარგ კალატოზად ითვლებოდა ბაბაჭუა. კოლა ერქვა, მაგრამ მთელი ქალაქი ბაბაჭუად იცნობდა. ჯანმაგარი იყო, ტანსრული. როგორც კი ფული იგდო ხელთ, მაშინვე დუქანი ჩადგა ვერეს პირას და მერე დიდი, ორსართულიანი სახლიც მიაშენა. პირველ სართულზე დახლ-ბუფეტიანი, სანაღიმო დარბაზ-კუპეებიანი რესტორანი გამართა, ზედაზე კი სასტუმროს ნომრები. კეთილი კაცი იყო ბაბაჭუა; თუ მის რესტორანში იქეიფებდი, შეგეძლო, სასტუმროში ღამე უფასოდ გაგეთენებინა.

ლევანა მგზავრებს ძალიან მოეწონათ. არ გაუშვეს და სუფრაზე მიიწვიეს.

– სუფ-სარქისის მადლმა, არ ინანებ. – თქვა შავად ჩაღამებულმა კუსპარა ბიჭმა.

„გიჟი ქორწილში შევიდა და – ჩემ სახლს ესა სჯობიაო“. – და ლევანა დარჩა.

განაპირა დიდი კუპე დაიჭირეს, ოფიციანტს შეკვეთა მისცეს: რაც კარგი გაქვს, აქ მოიტანეო; მეარღნეს უხმეს, კუპეს წინ დააყენეს და – გაჩაღდა ქეიფი!

კუსპარა ბიჭი, რომელიც მათში თაობდა, ამოუხაპავი ჯიბიდან წარამარა იღებდა ფულს და გადადიოდა მეარღნისკენ მანეთიან-სამმანეთიანები! მეეტლე, რომელიც ჩოფურ-სონას „მწარე“ ენისაგან ისე ოსტატურად იცავდა წეღან მოქეიფეებს, განსაკუთრებულ პატივში ჰყავდა: ჩასპანდურად გადაეწვდებოდა და თავისი ხელით უცვლიდა ქუდქვეშ შეცურებულ ხუთმანეთიანსა და თუმნიანებს: „ეგ დაძველდა, – ეგ ჯიბეში ჩაიდე და ახლა ეს გაიკეთე!“ და უმალ დააძრობდა ჯიბიდან, ზოგჯერ ოცდახუთმანეთიანებსაც.

სვამდნენ და სვამდა ლევანაც...

ბიჭებს ღვინო მოერიათ და მეეტლის ეჭვი დადასტურდა: მის გვერდით მჯდარმა აყლაყუდამ ჰკითხა კუსპარას:

– შატ ე ტანჯელ ქეზ?*

– მინჩე დილიჯან ჰეტევეცი, ელი იმს არეცი*.

და მეეტლე მიჰხვდა, რომ ჯიბგირებთან ქეიფობდა.

ლევანა წასასვლელად წამოდგა.

არ გაუშვეს: „ძლივს ნაღდი კაცი გვიპოვნია, – ურეს გნუმ, ტოო!*“

– წავალ ცხენებს დავხედავ, თექალთოებს დავაფარებ, – თოვლ-ჭყაპია, არ გაცივდნენ.

– არა, აქ იჯექ. – შრელემ ქუ ძიერინ!* – ამაღამ მოკვდებიან? ხვალ დილით ახალი ცხენები გეყოლება, – იმ არევ, აი, ცაზე ვარსკვლავი რო არ არიი? – სუ იმას ეთამაშონ. ამის მემრე, საცა არ შავხვდებიით? – ძმობა გვითქომს!..

სვამდნენ. სვამდა. არღანი უკრავდა... და ქეიფობდნენ!..

როცა მეარღნე წავიდა, სმის ეშხში შესულმა მიიხედ-მოიხედა: მასპინძლებს მწვადის თეფშებზე, გელაქნურის მათლაფებზე, ხაშლამისა და „ცოცხალის“ ნამუსრევებზე ედოთ თავები და ძილის ქვეყანაში გადასულიყვნენ. აყლაყუდა სკამის საზურგეზე ნახმარი პირსახოცივით გადაკიდებულიყო, ხოლო სკამიდან ძირს ჩაცურებული კუსპარა მაგიდის ქვეშ ნებიერად განისვენებდა.

ლევანას დაენანა, იატაკზე გაცივდებაო, დაავლო ხელი, გამოათრია, ორი სკამი კედელთან ერთმანეთის გვერდით დადგა და ზედ დააწვინა. კუპედან გავიდა, ბუფეტი გააფრთხილა: ბოლო კუპეში ხალხს მიჰხედეთო და კარისკენ გაემართა.

ეზოში უკვე ცივი ქარი უბერავდა, წვიმაში თოვლს ურევდა. მბჟუტავი ნათურების შუქზე, ფთილა-ფთილა ფიფქის რიალში ძლივს ილანდებოდა ეტლი და ცხენები. მივიდა, აჩქარებით ახსნა ეტლის თვალზე გამობმული სადავეები, კოფოს ყუთში ცხვრის ტყავის ნაგლეჯი და თექის ნაჭერი მოჩხრიკა, წყლით გაჟღენთილი კოფო კარგად გაამშრალა, ქვეშ

--------

* ბევრი გაწვალა? (სომხ.)
* დილიჯნამდის ვდიე და მაინც ლაეფხანე. (სომხ.)
* სად მიდიხარ? (სომხ.)
* მიიმუსაია შენი ცხენებისთვის (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



თექა დაიგო და დაჯდა.

ის იყო, ძაძვრას აპირებდა, რომ ზურგიდან ჩახლეჩილი ხმა მოესმა:

- საბურთალოსკენ გარეკამ!

ლევანამ მოიხედა. ფაიტენის საფეხურზე ვიღაც იდგა. ძლივს ინაკვთებოდა ქინდლბურუსში მისი მაღალი ტანი.

- ფაიტონი „ზანიატია“. - ახლა გაახსენდა, რომ პატარა სირაჯხანასთან ხევსური ელოდებოდა.

- შენ საითაც გითხრეს, იქით გარეკამ. - კინტოს ქუდის მოკლე წინაფრი თითქმის თვალებსაც უფარავდა.

ლევანაც კარგად იყო „შექინდილებული“, მაგრამ ტკბილად თქმა ამჯობინა.

- იგრეც დაგვიანებული ვარ, ძმობილო, მართლა არა მცალიან. ცხენებიც...

- ყრუებისთვინ სამჯერ არა რეკამენ! დაიძარ, სანამ თირკმელებში გაგივლის.

ლევანამ იგრძნო, ფერდში წვეტიანი რაღაც რომ მიებჯინა. და მეეტლე აიჯაგრა: ვიღაც ყარაჩოღელის თუ კინტოს ნაბიჭვარი კუნაპეტ ღამეს, თოვლ-ჭყაპში, ვინ იცის, სად და რომელ დასაკარგავში აიძულებდა წანწალს ამ შუაღამით. მაგრამ სისხლში გამჯდარმა ცნობისმოყვარეობამ გადაძალა. თანდათან ჩაცხრა და გადაწყვიტა: „ჯანდაბას, გავიყვან საბურთალოზე. ნინიას ბაკს კი არ გავშორდები“, - და ცხენებს სადავეები წამოუწკაპუნა. როგორც კი აღმართი აათავა, ნინიას ბაკის სინათლეც გამობჟუტდა.

ბაკი უზარმაზარი იყო. მთელ თბილისში ნინიაზე დიდი ბაკი არავის ჰქონდა. დღე და ღამე მუშაობდა და მუდამ მზად იყო, მიეღო მუშტარი ღამის სათევად. აქ მოდიოდა ხაშურის, გორის, ცხინვალის, ახალციხის, ყარსის, არდაგანის, სარაყამიშისა და ართვინის ომნიბუსები, დილიჟანსები, ეტლები, ფაიტენები, ფურგონები, დროგები, „პოვოზკები“, მარხილები, ღრუჭუნები, კამეჩებისა და ცხენის ურმები; მოდიოდნენ ცხენებით, ჯორებით, ვირებით, აქლემებით და მთელი ბაკი სავსე იყო უამრავ ენაზე მოლაპარაკე ხალხით, ცხენთა ფრუტუნ-ხვიხვინით, ჯორების ჯლოყინით, ვირების ყროყინით, აქლემთა ბოყინით, ხარების ბღავილით, კამეჩთა ყოყინით, ცხვრის ყმუყუნითა და თხების კიკინით...

ბაკს შუაღამის სიმშვიდე დაუფლებოდა. მხოლოდ ჩალისა თუ თივა-ბზის ყრუ ხრამახრუმი ან ქერის თოფრებში ცხვირჩაყოფილი ცხენების კმაყოფილი ჩაფრუტუნება თუ გაერეოდა ფაიტონში შებმულ ქურანათა მწყობრ ფეხისხმას. აქ, მაღლობზე, ქარი უფრო მეტად მძლავრობდა. კოფოზე მჯდარმა ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, მეეტლის ხიფთანი კიდევ უფრო მჭიდროდ შეიკრა, მაგრამ სახე კი ვერაფრით მოარიდა სიცივის მათრახს.

ბაკს კარგა გასცდნენ. ტრიალ მინდორზე ქარი პირდაპირ დათარეშობდა. თოვლის ფიფქებს კიდევ უფრო მეტად ურევდა წვიმაში.

- რატო არ მეტყვი, სად მიგიყვანო?

- იარე!

პასუხი სიმოკლესთან ერთად შთამბეჭდავიც იყო.

- საით წავიდე, გზა აღარა ჩანს.

- ჩანს, იარე!

და ლევანაც მიდიოდა. მიდიოდა და ბოლმისაგან იტენებოდა: „ვინ არი? სად მიდის? რა უნდა? კარგი სული რო არა ჩანს, ამას არ უნდა მისან-მკითხავი. მაგრამ ორნი ვართ ამ სიბნელის უდაბნოში, - ერთი კაცი არ არი? ერთმა კაცმა რა უნდა მიყოს? - მივყვები ბოლომდის, უკვე მე თავათ მაინტერესებს, ვინ არი და სად, ვისთან მიეხეტება.“

და მიდიოდნენ მუხლადი ცხენები აღმართს შეკიდებულნი. ლევანამ იგუმანა, რომ ეს ლისის გზა იყო და ცხენები ნელ ნაბიჯზე გადაიყვანა.

- ფაიტონი რათ დადგა?

- არ დამდგარა, აღმართზე მივდივართ. - თავი დაღუნა, რათა ქარის შემოტევას უფრო მეტად გასძალიანებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ალღოთი მიჰხვდა, რომ მარჯვნივ ლისის ტბა უნდა ყოფილიყო. აქეთ ზოგჯერ იხვებზე მონადირენი მოჰყავდა ხოლმე.

როცა ტბასაც გასცდნენ, კვლავ იკითხა:

- ლისში მივდივართ?

- მარცხნივ შეუხვიე.

ტბის იქით აღარ იყო ნამყოფი. არც გზის ავ-კარგი იცოდა.

- აქეთ ვერ წავალ, არ ვიცი, სად მივდივართ.

- არც არი საჭირო.

- არა, ვერ წავალ.

- წახვალ. - და მეეტლემ კიდევ ერთხელ იგრძნო ფერდზე მიბჯენილი ხანჯლის წვერი.

„ჯანდაბას, რაც მოსახდენია, მოხდეს, -

ერთი კაცი არ არი?“

- კარგი. მივდივარ. მომაშორე ხანჯალი.

- ეგრე. იარე!

ცხენებმა მარცხნივ შეუხვიეს.

გზა ძალიან გაფუჭდა. ალაგ-ალაგ ფაიტონი ისე გადაიზნიქებოდა, გეგონებოდა, სადაც არი, აყირავდებაო. შიგადაშიგ ქვა-ღორღი აწვალებდა თვლებსა თუ ცხენებს. შეაღმართდა. ცხენები უფრო ფრთხილ ნაბიჯზე გადავიდნენ. აივაკეს და დაბალი ტყეც დაიწყო, ალბათ, ძეძვიანი. მერე ესეც დაილია და გაიმინდვრეს. აქ წვიმამ უკლო და ფიფქმა უმატა. აქეთ-იქით თხლად დაფენილ თოვლის სითეთრეზე უკვე გზის სიშავე ირჩეოდა. და მიდიოდნენ, შეუჩერებლად მიდიოდნენ.

სადღაც შორს, შორს, კენტად დაჩნდა რაღაც სინათლე. - სოფელი თუ იყო. როცა ახლო მივიდნენ, შენიშნა, რომ მარცხნივ, გზიდან ოდნავ მოშორებით, მარტოხელა სახლი იდგა. ფარდაჩამოფარებული სარკმელი მკრთალად ანათებდა და იქაურობას საიდუმლო ელფერს აძლევდა. ეზოდან ძაღლის ყეფაც არ ისმოდა. თავად სახლი კი, ამ უდაბურ ადგილას მდგარი სახლი, - საშიშ, უნდო და გამოუცნობ მოულოდნელობას ფარავდა.

ცხენებმა სინათლის დანახვაზე ფეხი შეანელეს.

- ეზოსთან მიიყვა.

ცხენები ნელა დაიძრნენ. უეცრად კოფოს ძირში, ფეხი რაღაც მაგარზე მოუხვდა ლევანას. კარგად მოსინჯა. გაახსენდა, რომ დილით ფურგუნის სალტეებისთვის გრძელი, ბრტყელი ქლიბი იყიდა. ფრთხილად გადაიხარა, მარცხენა ხელით დასწვდა და აიღო. ხელში მოსინჯა სიმძიმე. როგორ არა, სამოთხ გირვანქას აიწონიდა!

ფაიტონი კართან გაჩერდა.

- მოვედით, ჩამობრძანდით.

მგზავრი ერთ წამს ყუჩდა. მრე ღრენით თქვა:

- როგორ ატყოფ, ამ ლაფში ჩექმას მოვითხუნავ?

- შიგ ვერ შევალ, - ეზოს ჭიშკარი არა აქვს.

- შახვალ.

- ღობე მაღალია, ფაიტონი ვერ გადავა.

- ფაიტონი რათ მინდა, ჩუნესა ვირიშვილო, ჩამოთხლევედი და ხელში ამიყვა, იმ სახლში ეგრე ციმ-ციმ უნდა შავიდე!

ეს უკვე იმაზე ბევრად მეტი იყო, რაც „ედემის ბაღიდან“ აქ მოსვლამდე გადაიტანა. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა... მაინც დაიოკა თავი და წყნარად თქვა:

- მოდი, მშვიდობიანად დავშორდეთ ერთმანეთს, ძმაო. ამ ქვეყნის დაქცევაში აქამდის მომიყვანიხარ, ეხლა ჩადი და წადი. შენი არც ფული მინდა და არც მადლობა.

- შენ ფულს ვინ გაძლევს, შენი დედის...

მგზავრს გინება აღარ დაუმთავრებია, საფეთქელთან ყრუდ გაისმა ქლიბის დარტყმა და კინტოსა თუ ყარაჩოღელის ნასხლეტმა ძლივს გასაგონად დაიკრუსუნა. უუუ-უუუ და ფაიტვნის საფეხურიდან გადმოვარდნილი გზისპირა ტალახში ჩუმად მიწვა თავის ხანჯლიანად.

ლევანამ ერთი კი გაჰხედა მარტოხელა სახლის სარკმლიდან გამომდინარ შუქს, ფრთხილად მოატრიალა ფაიტონი და უკან გამობრუნდა. გამობრუნდა და, როგორც კი ნახევარ კილომეტრზე გასცილდა იმ ადგილს, - აბა, ეხლა გაფრინდითო! - ორთავ ქურანას შოლტი გაულაწუნა!

ცხენები გაფრინდნენ.

* * *

- მოკვდა? - ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ჩხიკვმა.

- არ ვიცი, უკან არ მივბრუნებულვარ.

- არ დაგენანა?

- მაშინ არა.

- თუ იგეთი ბნელი ღამე იყო, რატო არ გადმოჰხტი ფაიტვნიდან და არ გაიქეცი?

- გაიქეციო? ერთ კაცს როგორ გავექცეოდი, ჩხიკვო? ხანჯალი კი არა, ატომური ბომბი რო ჰკიდებოდა? ან ფაიტონსა და ცხენებს როგორ მივცემდი ვინმეს ცოცხალი თავით?

- კაცი ხანჯალს გირჭობდა და მა რას იზამდი?

- თუ გამოცდილი კაცი ხარ, სხვადასხვა ზნის ადამიანებს გადაჰყრიხარ, იმათთან ურთიერთობა გქონია და დაჰკვირვებიხარ, რაღაცნაირად მიჰხვდები: სად, როდის, რა შემთხვევაში როგორ მოიქცევა ესა თუ ის კაცი. მთავარია, გულში შიში არ შეგეპაროს. ის მე გზაში არ მომკლავდა, ჯერ დანიშნულ ადგილზე მიყვანა უნდოდა. იქ კი, თუ შესძლებდა, მეც გამასაღებდა და ცხენ-ფაიტონსაც წაიყვანდა. გითხარი, ერთი კაცი იყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, - ქლიბიც რო არა მქონოდა, იგრე ბნელოდა, ხელით მაინც მივწვდებოდი. უფრო კი, მართალი გითხრა, ძალიან დამაინტერესა: სად მიდიოდა, რა კაცი იყო და რა ხალხთან უნდა მისულიყო. იმას რო ხანჯალი არ ამოეღო და არ ამხირებოდა, ფანჯარასთან მიპარვას ვაპირებდი. მინდოდა, შიგ შემეხედნა, დამენახნა, შიგ ვინ იყვნენ, ეგეთ კაცს იქ ვინ ელოდებოდა, რა ხალხი იყო, რისთვის იკრიბებოდა იმ განმარტოებულ სახლში. ძალიან ინტერესიანი ვიყავი.

- რო გაეგოთ?

- ძალიან ბნელოდა. შიგნიდან გამოცვენილი ხალხი ვერაფერს იზამდა, სანამ ნალამფავარ თვალს სიბნელეს არ შეაჩვევდა. ძაღლს კი ეზოში არ დაუყეფნია.

- მაინც რო გაეგოთ?

- სიფრთხილე არ მაკლდა: ფაიტონს წინასწარ იგრე დავაყენებდი, საჭიროების დროს მალე მოვხტომოდი და ედევნათ მერე ქარისთვის მინდორში.

- მართლა იგეთი უშიშარი იყავ, როგორც ამბობენ?

- შიში ყველა კაცს გამოუცდია. მე მაშინაც შემეშინდა, კოწია ბოქაულს რო უნდა დავეხვრიტე.

- შე კაი კაცო, დასვრეტისა, შენ კი არა, არსენა მარაბდელს შეეშინდებოდა,-მაგრამ შენ ერთ კინტოს რათ უთხარ უარი, - არ წავალო?

- ნაქეიფარი ვიყავ, იმ შუაღამისას იმ ამინდში წანწალი დამეზარა. თანაც ცხენები დამენანა, - დიდხანს იდგნენ სიცივეში. ბაკში მისვლაც მინდოდა თავის დროზე. ისიც მაინტერესებდა, იმ ჯიბგირებმა ფული რამდენი მომცეს.

- შენ თუ პატიოსანი კაცი იყავ, ნაქურდალ ფულს რათ იღებდი ჯიბეში?

- ის ფული, ავაზაკო, იმათთვის იყო ნაქურდალი, თორემ მე პატიოსანი შრომით დავიმსახურე. ამასთან, იმას, ვისაც ის ფული ამოაცალეს, როგორ გგონია, კაი გზითა ჰქონდა ნაშოვნი იმოდენა თანხა? ეხლა რო დიდად პატიოსნად მოაქვთ თავი, განა მაშინდელი კომუნისტები სულ ძარცვაყაჩაღობით არ შოულობდნენ „ხელის ჭუჭყსა“? ეგეც არ იყოს, იგრე შემიყვარდა ცხენები და მეეტლეობა, გადავწყვიტე, მე ჩემი საკუთარი ფაიტონი და ცხენები მყოლოდა. დამოუკიდებელი, თავისუფალი მეეტლე ვყოფილიყავი. იგრე ვიყავი მაშინ ცხენებში ჩამწვარი, იმათმა სიყვარულმა ვაზიც გადამავიწყა და სავაზე მიწაც. ოსკანოვი დიდი სიყვარულით მექცეოდა, დიდ პატივშიც ვყავდი, მაგრამ მე თავისუფლება დროზე ადრე მომწყურდა, რადგან უკვე ჩათრეული ვიყავ სოციალისტების მარაქაში და დამოუკიდებლობა მაგრათა მქონდა ძარღვებში გამჯდარი.

- შენი საკუთარი ბაკი გინდოდა?

- ბაკი კი არა, დამოუკიდებლობა. ეს კი უფულოდ არ იქნებოდა. ბაკზე ოსკანოვი თუ უარს მეტყოდა, ნინიას ბაკში წავიდოდი.

- კაცო, განა იგეთი რა ბაკი გააკეთა იმ ნინიამ, რომ ქვეყანა იქ მიდიოდა?

- ძალიან დიდი ბაკი იყო. ავლაბარში, ფორაქაანთ ბაკში ურმებთან ერთად აქლემები რო ვეღარ ეტეოდნენ, ნინიას ბაკში მიჰყავდათ ხოლმე. თავად ნინიაც კარგი კაცი იყო. მიღებაზე და ღამის გათევაზე არავის ეუბნებოდა უარს. იმისთვის ერთ ბერაში გადიოდა: მდიდარი, ღარიბი, გიჟი, ჭკვიანი, კუტი, საღ-სალამათი, ბრმა თუ თვალხილული. იმიტომაც მარტო თბილისში კი არა, მთელ საქართველოში გაიგონებდი: „სად მოსდიხარ, განა ნინიას ბაკიაო“, ან „შენ ნინიას ბაკი ხო არა გგონიაო“.

- მე „ნინიას ბაღი“ გამიგია.

- მეც გამიგია, მაგრამ ამას უცოდინარი ხალხი ამბობს. „ნინიას ბაღი“ დედამიწაზე არ არსებობს. არც არასოდეს არსებულა. ეს, ვინც არ იცის, რა არი სიტყვა „ბაკი“, იმათი გადაკეთებულია „ბაკი“ - „ბაღად“. ამგვარმა უცოდინარმა ხალხმა აქცია „ყარამან-ყათილი“ - „ყარამან-ყანთელად“. ყარამანი ყანთელი კი არა, ერანელი იყო. ყანთელი სადაურობის აღმნიშვნელია, დამახინჯებულ „ყათილი“-დან არი მიღებული. „ყათილი“ - „გამანადგურებელს“, „მუსრავსა“ ნიშნავს. ესე იგი - „ყარამან-მმუსრავი,“ „ ყარამანგამანადგურებელი“. და არა ყანთიდან მოსული ყარამანი. მარტო საქართველოში კი არა, ყანთა, საერთოდ, მგონი დედამიწაზე არც არსებობს. ხოლო, თუ ყანთა არ არსებობს, მაშინ არც ყანთელი იქნება სადმე.

- კაცო, ლევანა პაპავ, ერთი ეს გამაგებინე, რამდენი ენა იცი?

- ქართული, რუსული, თათრული და სომხური.

- სპარსული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სპარსეთში ცოტა ხანს ვიყავი, შიგადაშიგ მესმის რაღაცა.

- ჯოხით ჩხუბი სადღა ისწავლე?

- რა ჯოხით ჩხუბი?

- მამაჩემი ამბობდა: ჯოხით იგეთი ჩხუბი იცოდა, ხელში ერთი უბრალო ჭიგოც რო ჰჭეროდა, ოც კაცს არ გაიკარებდა ახლოო. მარუასა, იმის სიძესა, იმის ქმარსა, იმის სამ ბიჭსა და თუ ვინმე ნათესავიცა ჰყავნდათ იმ დროს იქა, მარტოკა იგრე დაირეკავდა წინ ცხვრის ნოტოსავით, სუ ბღავილჩხავილით მიჰრეკამდა იმათ კიბემდისო.

- ხალხმა ცოტა გაბუქება იცის ხოლმე. სარაყამიშში რო ვმუშაობდი სახერხ ქარხანაში...

- ეგ სარაყამიში სადღაა?

ლევანამ იყუჩა. მერე მძიმედ ჩაილაპარაკა:

-აჭარის გვერდით... წინათ ჩვენი იყო... ეხლა თურქებისაა... ლენინის წყალობით.

ჩხიკვმე ამ ნათქვამსა და ნათქვამის ტონს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. თვითონაც გადაგორდა ტახტზე და თავადაც ამოიწყო თავქვეშ ხელები.

- მემრე? იქ რა გინდოდა, თურქეთში?

- მაშინ თურქეთი არ იყო იქ, გაუგებელო! ჩვენი მიწა ჩვენ გვეკუთვნოდა!

- განა ყრუვი ვარ, რას ჩამყვირი? გეგონება ლენინის მაგივრათ მე მიმეცეს თურქებისთვინ!

- ჰაი, რა ბედნიერები ხართ შენ და შენისთანები, დაბდურო, რო ამ ქვეყნიერებისა არაფერი გესმით!

- ახლა ისევ მე მამდგა. თავმჯდომარე გააჯავრებს, - მე ვყევარ სახარჯოთ; ფოსტალიონი მიჰქარამს რაღაცას, - მე უნდა მამდგეს; ქათმებისთვინ დაყრილ საკენკს თუ გორჭელა ურევია, - მე ვარ დამნაშავე; თურქები თუ რუსები წაგვაღლეტენ რამეს, - მე უნდა შამაჰანდურონ! - კარგი რაა, ნამუსი აღარ არი? თქვი, ბოლოს და ბოლოს, იქ რა გინდოდა?

- ბედნიეროო! ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო. მაშინ საკუთარი ფურგუნი მქონდა და დახერხილ ფიცრებს ვეზიდებოდი.

- ფურგუნი? აკი ფაიტონი მინდოდაო?

- ძაან ადრე მოვინდომე საკუთრება. ფურგუნი და იმისი ცხენები უფრო იაფი ღირდა. მემრე იმ ფურგუნმა მაშოვნინა ფაიტონიცა და იმისი ცხენებიც.

- თქვენ რა, იქ იმ ფიცრებს ხერხავდით თუ ჯოხებითა ჩხუბობდით?

- აი, შე ავაზაკო, რატო არ მაცლი მოყოლას?

- შენ რაღა შირაქის გზასავით გაჭჭიმავ ხოლმე?

- მოყოლასაც თავისი ემხი აქვს, დაბდურო. რასაც იტყვი ან გააკეთებ, ყველაფერს თავისი ლაზათი უნდა დაადევნო.

- კარგი, ჰოო, შენც რა სახლიკარამდინ მამყვები ხოლმე. მიდი და, რამდენი ლაზათიც გინდა, იმდენი ადევნე.

- იქ ერთი გერმანელი ინჟინერი იყო, გვარად ბუხჰოლცი, ის ქარხანა იმან დააპროექტა. იმანვე ააშენა. საშუალო ტანისა იყო, მკვრივად ჩასხმული. ძაან კაი კაცი იყო. მუშებს შინაურულად, თავისიანებივით ექცეოდა.

- გერმანულიც იცი, ლევანა პაპავ?

- არა, კაცო, ჩვენებური კაცი იყო, ეკატერინოფელდელი. ქართული შენზე კარგად იცოდა. ძაან განათლებული კაცი იყო, - ბერლინის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

- დედა ქართველი ჰყავდა?

- არა, ლიტველი.

- ეკატერინოფელდი სადღაა?

- ბოლნისს წინათ ეკატერინოფელდი ერქო, რეგვენო, - გერმანელები ცხოვრობდნენ იქა.

- და ჯოხებითა ჩხუბობდნენ?

- არ ვიცი, მე იმათი ჩხუბი არ მინახავს.

- მაშ, იმან საიდან იცოდა?

- ჩხიკვო, დამაცა მოყოლა, თორემ მეც ენა შენსავით კი არ მექავება.

- კარგი, კარგი, ეხლა უკვე იგრე გავჩუმდები, როგორც სამოვარში მოხარშული მამალი.

- ბრიყვო, ეხლა შენ მაგას შენებურათ მთელ ქვეყანას მოსდებ.

- მა რას ვიზამ? ეგეთი რამე ჩამიგდონ ყურში და იმას შიგ დავარჩენ?

- თავში ქვა გიხლია, ლაზღანდარავ, ოღონდ ნუ მაწყვეტინებ წარამარა, როცა რამეს გიყვები.

- კარგი, ჰოო, ალალი იყოს ჩემი გაჩუმება შენზე. - და იდაყვზე წამოწეული ისევ ნებივრად მიწვა ტახტზე.

- იმას ვამბობდი: სახერხი ქარახანა იყო და ხე-ტყეს ვხერხავდით-მეთქი. ერთხელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყაჩაღები დაგვეცნენ. სამნი იყვნენ. მინდორში გამოგვერეკეს და მწკრივზე დაგვაყენეს. ორი ყარაულად დაგვიდგა, ერთი კანტორისკენ წავიდა სალაროს გასაძარცვად. გვითხრეს: რაც რამე გაქვთ, ან ხელზე გიკეთიათ, ამოიღეთ, წაიძრეთ და ჩაგვაბარეთო. ყაჩაღი დაუნდობელია: იტყვის და უნდა შესრულო! ვისაც რა გვქონდა, ამოვიღეთ. ერთი ადგილზევე დარჩა თოფმომარჯვებული. მეორე ჩვენთან მოვიდა. ბოლოდან მოჰყვა: ხალხს ფულს ართმევდა და საათ-ბეჭდებთან ერთად ჯიბე-უბეში იტენიდა... მე ვდგევარ მწკრივში ეგრე საცოდავად უიარაღო და ჯავრისაგან ლამის გავგიჟდე! - ჩემ სიცოცხლეში არავის არაფერი წაურთმევია, ეხლა ამ ნაბიჭვრებს როგორ უნდა მივცე რამემეთქი. მაგრამ უიარაღო ვარ, რას გაჰხდები თოფიან ხალხთან? როცა ჩვენამდის მოვიდა, ჩემ გვერდით მდგარმა ინჟინერმა ამოიღო ფული, ზედ ოქროს ძეწკვიანი ოქროსავე საათი დაადო და გაუწოდა. როცა გაუწოდა, ყაჩაღმა თითზე ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი დაუნახა. მე შენი დედა... ეგ რაღათ დაირჩინეო? ვეცადე, ბატონო, მაგრამ თითიდან ვერაფრით წავიძრეო. აბა, მე ვცდი, წაგძვრება თუ არაო! - თოფი მხარზე ჩამოიკიდა და ხანჯალი დააძრო, - თითი უნდა მოაჭრას... ყაჩაღი როცა ყაჩაღობს იმდენ ხალხში, ყოველთვის უნდა მზად იყოს მოულოდნელობისათვის. ამ დროს პატარა შეცდომა ბევრს სიცოცხლის ფასად დასჯდომია. ეგრევე მოუვიდა იმასაც, რადგან არ იცოდა, თუ თავისზე დიდი ყაჩაღების შეგირდს გადაეყრებოდა. სანამ ზარდაცემული ინჟინერი დაამთავრებდა: მომითმინეთ, მომითმინეთ, მე თითონ ეხლავე მოგართმევთო, მანამ ვისკუპე, ზურგიდან ორივე ხელი მოვხვიე, თოფ-ხანჯლიანად ავიტაცე და ელვის უმალ პირი თავისი ამხანაგის თოფისტუჩისკენ ვუქენი. „გაუშვი, თორემ გესვრი! გაუშვი, თორემ გესვრი!" - ყვირის მეორე ყაჩაღი და თან თოფს მიმიზნებს. „არ ისროლოთ! არ ისროლოთ! ყველაფერს მოგცემთ! ყველაფერს მოგცემთ! თითი არ მოაჭრათ! არ მოაჭრათ! - ვყვირი მეც ამ ჩაბღუჯულ კაცს ამოფარებული და თანაც იმას თოფისაკენ მივარბეინებ. ის კი ისევ: „ახლო არ მოხვიდე, თორემ გესვრი! ახლო არ მოხვიდე, თორემ გესვრი, შენი დედაც!" მოულოდნელობისგან იგრე დაიბნა, ოთხ-ხუთ ნაბიჯზე მიმიშვა. ეგეთ დროს კაცს დიდი ძალ-ღონე და სისხარტე ეძლევა. როგორც კი მივუახლოვდი, ჩაბღუჯულს იგეთი ხელი ვკარი, თოფოსანს მივახალე! გავარდა თოფი და ორივე მიწაზე დაეცა. აღარც მე დამიხანებია, გადავხტი და გულაღმა დაცემულს თოფი ავართვი, კონდახი თავში ვხეთქე და შამხანა გონზე მოსულ, ჩემკენ გამოქცეულ ინჟინერს გადავუგდე: „ოლგერდ, დაიჭი! თქვენ დაწექით!" - ვუყვირე მუშების მწკრივს და წაქცეული ყაჩაღების უკან წავემხე. მესამე ყაჩაღი კანტორიდან გამოვარდა თოფმომარჯვებული. გვესროლა. გვესროლა და აქედან მე და ოლგერდმა მივეცით ბათქი. ის მამაძაღლი ძალიან ყოჩაღი ჩანდა: აივნის სვეტიდან სვეტთან გადარბოდა და თან ყოველ სვეტთან თითო ტყვიას გვიწუწუნებდა. მემრე მოაჯირს გადაახტა და ტყეში შევარდა.

- ვერ მოჰკალით?
- ვერა, წაგვივიდა.
- ისინი?
- ერთი გონზე მოვიყვანეთ, მეორემ კი შენი ჭირი წაიღო, - თავისი ამხანაგის ტყვია შუბლში მოჰხვედროდა.
- ამბობენ, რო შამხანის ტყვია მატარებლის რელსსა ჰხვრეტავსო, იმას რო მოჰხვდა, შენ რანაირად აგცდა?
- მე სამაგისოდ კარგი სკოლა მქონდა გავლილი. იმას რო ხელი ვკარ, უმალ მიწას გავეკარი, მემრე წამოვხტი და წაქცეულებს დავახტი.
- არ შეგეშინდა, რო მოეკალი?
- მართალია, არც იგეთი თვალხუჭელა გულადი ვარ, ჩვენებმა რო იციან თქმა: „ის გულადად არ ითვლება, ვინც თავისი საქციელის შედეგზე ფიქრობსო", მაგრამ სიმამაცე არსად არასოდეს მკლებია.
- მამაჩემი ამბობდა: ლევანა რო გაბრაზდებოდა, ათი კაციც ვერ დაიჭერდაო. ძალიან უბედური გაბრაზება იცოდაო.
- არც იგეთი, როგორც უთქომს. მე მარტო მაშინ ვბრაზდებოდი, როცა ხალხში ვინმე ნებითა თუ უნებლიეთ შეურაცხმყოფდა. ანდა ჩემი თანდასწრებით ვინმე ვინმეს დაჩაგვრას მოინდომებდა. თუ მარტონი ვყოფილვართ, ბევრისთვის მიპატიებია იმისი ურიგო საქციელი.
- მაშ თოფიან კაცს, - მაყაშვილების მეტყევეს, რუისპირელ გათენაშვილს, რომელმაც ფსიტიანის ტყეში ხის მოჭრა აგიკრძალა, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის შუბლში დამიზნებულ თოფიან კაცს, როგორ გამოუდექი ცულით და ვარდისუბნის თავამდის ჭენებით ჩამოიყვანე გულგახეთქილი?

- ეგ კაცი იმ დროს შემომხვდა, როცა მე თავათ ვეძებდი სიკვდილს.

- რათა, კაცო, რა გჭირდა იგეთი?

- არ მინდა გახსენება. ნურაფერს მკითხავ მაგაზე.

- მაშინ ყაჩაღებზე რას მიყვები, იმაზე მოჰყევი, ჯოხის ხმარება როგორ ისწავლე.

- აკი მაგაზე გიყვები, ჩხიკვო, შენ კი არ მაცლი.

- კარგი. ვჩუმდები, როგორც მოლა მეჩეთში.

- ეგ უფულობაზე ბევრად უკეთესია... ჰოდა, პატრონმა კაცი გაგზავნა. მოვიდა პოლიცია. ყველას ახსნა-განმარტება მოისმინა, რა როგორ მოხდა.

- ჯოხით ჩხუბი ვინ გასწავლა, ჯოხით!

- ოლგერდმა მითხრა: შენ დღეს მთელი ქარხანა დაიხსენი, მე კი დამახინჯებას და იმ საშინელ ტკივილებს გადამარჩინე, რომელიც აუცილებლად მელოდაო. ამოიღო და ფულს მაძლევს. მე არა ვშვრები: რა ბედენაა, თუნდ ყაჩაღებს წაურთმევიათ, თუნდაც მე ჩამიდვია ჯიბეში-მეთქი. ამ ბეჭედს მართლა ვერ ვიძრობ, თორემ კანონით შენ გეკუთვნისო. აი, ეს ოქროს საათი აიღე, ჩემ სახსოვრად გქონდესო. ამაზედაც უარი ვუთხარი: მე შენ კი არა, საკუთარ თავს და კაცურ ღირსებას ვიცავდი-მეთქი. გადაირია საწყალი კაცი! ღმერთმა აცხონოს, ძალიან პატიოსანი კაცი იყო. სულ იმას ფიქრობდა, რით ვესიამოვნებინე. იმათებური ჯოხით ჩხუბიც იმან მასწავლა... მემრე, რუსეთ-ოსმალეთის ომი რო დაიწყო ერთმანეთს დავშორდით.

- ომში წაგიყვანეს?

- არა, დედაჩემს ჩემს მეტი შამნახავი არავინა ჰყავდა. ჩემისთანეები მაშინ ომში არ მიჰყავდათ...

- რათ მატყუებ? მე ხო ვიცი, რო იქ ნამარი ხარ?

- შემთხვევით მოვხვდი. რამდენიმე დღით... მემრე, ქაქუცა რო დაიჭრა, მე გამოვიყვანე ჩემი ფურგუნით იმ სასაკლაოდან.

- რაო? შენ ქაქუცას მანამდის იცნობდი, სანამ დაგატყვევებდა?

- ვიცნობდიო? ჯერ, ფეხში რო დაჭრეს, მე შევუხვიე!

- ექიმები არა ჰყავნდათ? კინოში მინახავ წითელჯვრიანი ფურგუნები.

ლევანას ნიშნისმიგებით, დამცინავად გაეღიმა.

- შენ რა იცი, ბალღო, ქაქუცასი? განა ის კაცი იყო, რო ფეხში დაჭრილს ფრონტი მიეტოვებინა? რასაც დიდი გარჯითა და სისხლით დაეპატრონა, თათრებისთვის მიეცა?

- შენ რაღაცას ურევ, ლევანა პაპავ, აბა, კარგათ მითხარ, რა მოხდა?

- აი, რა მოხდა, შვილო: ცხრაას თოთხმეტ წელში ჩხუბი რო ატყდა, ქაქუცა აფიცერი იყო და ომში წაიყვანეს. ავსტრიის ფრონტზე ფეხში დაიჭრა.

- იქაც ფეხში დაიჭრა, კაცო?

- ჯერ იქ დაიჭრა.

- ის მობელძაღლები, რაღა ყველგან ფეხში უმიზნებდნენ? იმ ძაღლიშაქნილებს, ეტყობა, მაგისი ცეკვა არ უნახნიათ, თორემ, არა მგონია, ფეხში დასაჭრელათ გაემეტებინათ.

- დაიჭრა და რო მორჩა. შინ კი არ გაუშვეს, ჩვენკენ გადმოიყვანეს, - თურქეთის ფრონტზე. ზურგის ჯარის მუშა-ასეულს მეთაურობდა. რუსებს სანიტრები და საზიდრები აკლდათ და ჩემი ფურგუნი რეკვიზიციაში მოაყოლეს.

- რაში მოაყოლეს?

- ომიდან დაჭრილების საზიდად ჩამომართვეს.

- სუ ჩამოგართვეს?

- არა, დროებით. ცხენები და ფურგუნი არავის ვანდე და ისევ მე დავჯექი ზედა. ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამომყავდა, ვაწვენდი ფურგუნზე და ლაზარეთში მიმყავდა, ვეხმარებოდი სანიტრებს და ისევ სანგრებისკენ გავრბოდი.

- ქაქუცას წინათ იცნობდი?

- როცა სარაყამიშში ჩამოვიდა, მაშინ მითხრეს: მუშების ასეულის აფიცერი თქვენებური ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიაო.

- ქაიხოსრო ვინღა იყო?

- ქაიხოსრო ქაქუცას ნამდვილი სახელია.

- ჰოო... ჯერ ქაი თქვი და მემრე ხოსრო! ეგეთი სახელი რო მქონოდა, იმაზე მაგარი ცეკვა მეცოდინებოდა!

- შენ ყველაფერს საპამპულოთ ნუ აქცევ ხოლმე.

- დედა ვაცხონე მაგისი და მამა, - მამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემსავით „ჩხიკვსა“ და „ავაზაკს“ კი არ დაარქმევდნენ... ჰო, კარგი, რაღაცა ვთქვი და მოვრჩი. მერე, – ნახე?

– მაშინ არა. როცა ოსმალომ სარაყამიშს შემოუტია, იქ რუსის ჯარი ცოტა იდგა. გარშემო ყველა გორა და მაღლობი დაიჭირეს. იქ ერთი მთაა, ყველაზე მაღალი, თათრები „კართალ იუვასის“ ეძახიან. ქართულად „არწივის ბუდეს“ ნიშნავს. ზედ თავზე გადმოჰყურებს სარაყამიშს. ვინც მოასწრებდა და იმ მთას დაიჭერდა, სარაყამიშიც იმისი იყო. თურქები ბევრნი იყვნენ და რუსები „არწივის ბუდიდან“ გამორეკეს. ცუდად იყო საქმე: თათრებს ეხლა მარტო სარაყამიში კი არ რჩებოდათ, – რუსის ჯარსაც ალყაში აქცევდნენ. ბრძანება მოვიდა:. ქაქუცას თავისი მუშა ასეული უნდა შეეიარაღებინა და ის „არწივის“ ბუდე“ წაერთო თურქებისთვის. როგორი ბიჭობაა: ნამდვილმა ჯარმა დაკარგა და მუშა ასეულმა უნდა დაიბრუნოს! – ომში, საერთოდ, შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე დაბრუნება... ქაქუცამ ჩვენც, – ქარხნის მუშებსა და სანიტრებს დაგვირიგა თოფები და, აბა, თქვენ იცითო! – მე თქვენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე ამათიო! – და ჩვენც შევუტიეთ!.. ძაან გამწარებით იბრძოდნენ თურქები. არ უნდოდათ იგეთი მარჯვე ადგილის დაკარგვა... ბოლოს, როგორც იყო, დავძალეთ და ვიფრინეთ იქიდან!.. ახლა ჩვენ ჩავსხედით იმათ გათხრილ მზამზარეულ სანგრებში. სანამ მაშველი ჯარი მოვა, ეს მთა უნდა შევინარჩუნოთ... ამ ბრძოლაში დაიჭრა ფეხში ქაქუცა. კოჭს მაღლა. ყველაზე ახლო მე ვიყავი და წითელი ჯვრის ჩანთაც თანა მქონდა. გავხადე ჩექმა, მუხლზევით, ბარძაყზე არტახი გადავუჭირე და შევუხვიე. ეხვეწნენ: ასეული სხვას ჩააბარე და შენ ლაზარეთში წადიო, მაგრამ აემ ცაცხვს ესმის რამე? მეც ვუთხარი: ჩვენებური კაცი ჰყოფილხართ, ფურგუნი ქვემოთ მიდგა, ჩემი ხელით ჩაგიყვანთ იქამდის-მეთქი. ზედაც არ შემომხედა, იგრე იღრიალა: ყავარჯენი მომიტანეთო!.. აიღო გახდილი ჩექმა, ხმლით ყელი წააცალა, მერე იმ ჩექმის ნარჩენში, როგორც იყო ის დაჭრილი ფეხი ჩაყო და იღლიაში სახელდახელოდ გამოჩორკნილი ორყაბაზი ჯოხი ამოიჩარა... ეგრე დაჭრილმა მოიგერია სამი იერიში და არაფრით დაანება თურქებს „არწივის ბუდე“...

– ჰაი, დედასა! თავადაც არწივი ყოფილა და არწივი ვის დაანებებდა თავის ბუდეს! – აღტაცება ვერ დამალა ჩხიკვმა.

– მაინც ძვირად დაგვისვეს თურქებმა ეს გამარჯვება. მესამე იერიშის დროს ყუმბარის ნატეხი მოჰხვდა ქაქუცას. ღმერთმანი, არ მეგონა თუ ამ კაცს რამე წააქცევდა. ერთი თალია ვიფიქრე, – თავათ ხო არ დაწვამეთქი. ვხედავ: პირაღმა გდია და აღარ ინძრევა. მივხოხდი, – გულისპირი წითლად ელებება. გავუგლიჯე საკინძე, უნდა შევუხვიო. შეხვევისას გადმოვაბრუნე თუ არა, იმედი დავკარგე: იმ ოხერს ზურგში, მარჯვენა ბეჭთან, იგეთი კარები შეება, ფილტვის ნაგლეჯები გარეთ გამოეტანა. ძაან მძიმე ჭრილობა იყო. იმის გადარჩენას ვინ იფიქრებდა? მაგრამ მაგარ ფოლადნარევი იყო და ღმერთიც, ალბათ, იმისთვის ინახავდა, რო ის ჩაედინა, რაც მერე ჩაიდინა.. რაც შემეძლო, იგრე შევბორბლე ბანდითა. ამასობაში დიდი ძალებით შემოგვიტიეს თურქებმა. უმეთაუროდ დარჩენილ მუშა ასეულს შეეშინდა და გაიქცა. როგორც კი ხელჩართულზე გადმოვიდნენ, აი, მაშინ კი იმ ჯოხით ჩხუბი გავიხსენე. გადაველაჯე დაჭრილს, ავამუშავე ხიშტ-კონდახი და ქაჯად ვიქეცი!.. როგორც კი ჩემამდე მოსული მეწინავენი დაწვნენ, უკან მომყოლებმა პირი იბრუნეს. სანამ ისინი გონზე მოვიდოდნენ, რო ერთ კაცს გაექცნენ, დავავლე ხელი ქაქუცას, მთის წვერიდან ჭენებით დავეშვი და ფურგუნამდის მკლავებზე ბალღივით გადაწვენილი მივიყვანე. მაღალი კაცი იყო, ჩასხმული, ძალიან გამიჭირდა ტარება, მაგრამ ვის ეცალა დასვენებისთვის! ფურგუნის ძირში თივაზე დავაწვინე და ლაზარეთამდის ძალიან ფრთხილად, მაგრამ აჩქარებით ვატარე.

– შენ გადაგირჩენია.

– მე კი არა, თავისმა რკინის ჯანმრთელობამ გადაარჩინა.

– ექიმობა სადღა ისწავლე?

– შეხვევას რა ექიმობა უნდა, დანიელოვთან მეტი რა მინახავს? რაც კი რამ იცოდა, ყველაფერს ცოტ-ცოტას მასწავლიდა ცხონებული.

– მეეტლეობაც იმან გასწავლა?

– ორთვალა ეტლი ჰქონდა, ორკაციანი, აი, შარაბანს რო ეძახიან. თან რო ვეტანე, მაშინ დამაჭერინებდა ხოლმე სადავეებს. მივეჩვიე და მერე სულ მე დამყავდა, საითაც გაუტევდა... იმის მერე, ოსკანოვმა რო ბაჯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართა, აღარ გამიშო და ფაიტონზე დამსო... მას შემდეგ შემიყვარდა ცხენები. ძაღლს მერე ადამიანისთვის მე ეგეთი ერთგული ცხოველი არ მეგულება.

– მაგ ცხენებმა გადაგაფიქრებინეს ვენახის გაშენება?

ლევანა ჩაფიქრდა.

– არა, ეგ ეგრე ერთბაშად არ მომხდარა. ფაიტონი ფულის შოვნის საშუალება იყო, ფული მიწის შოვნისა, მიწა საკუთარი ვენახის გაშენებისა, საკუთარი ვენახი კი იმ ახალი ჯიშის შექმნისა, რომელიც ჩაფიქრებული მქონდა... ცხენების დიდი სიყვარული მაშინ გამიჩნდა, როცა კოწია ბოქაულს ქალაქში გავექეცი. ქალაქმა თავისი ქნა: თანდათან გამრია თავის ცხოვრებაში და მერე რევოლუციონერებსაც გადამკიდა.

– შენ გადაეკიდე თუ იმათ გადაგიკიდეს?

– ერთიც იყო და მეორეც. დანიელოვთან ყველა ჯურის ხალხი იყრიდა თავს. ძალიან განათლებული ხალხი მოდიოდა ქალაქიდან, თელავიდან თუ სოფლებიდან. ექიმი ამ დროს მხოლოდ მე მიმსახურებდა სუფრაზე მერიქიფედ. მართალია, ბალღი ვიყავი, მაგრამ ძალიან ბევრი რამე წამოვკრიფე მაშინ იმ სუფრაზე.

– ქალაქში? რევოლუციონერებთან როგორ მოჰხვდი? ისინი ხო ეგრე ადვილათ არ ენდობოდნენ არავის?

– ერთმა ხევსურმა და ქორქიკასთან სიახლოვემ მიშველა. მერე გამიცნეს და მე და ჩემი ფაიტონი ძაან მოდაში შემოვედით იმათთან.

– გიგააავ! ჰაი, გიგააავ! სად ეშმაკებში წაეხირე, სადა ხარ, ბიჭო! ჩანელდა თონე. მოდი, ამ ოხერი ორომის გატანა მიშველე, ბიჭოოო!

– აი, ჰხედავ? თუ შინ დამიგულა, არ მამასვენებს. გუნდა ამოუღია. წავალ, ორომს გამოუტან და მოვალ.

* * *

ცაცხვქვეშ კვლავ ღრუბლიანი დღის დამახასიათებელი სიგრილე იდგა. ემო ახლა უკვე სიჩუმეს მოეცვა. ეტყობა, ქათმებიცა და ინდაურებიც დილის აუცილებელი კონცერტის შემდეგ ჩაწყნარდნენ და რიყის გასადევარზე გავიდნენ. ჯიბგირამ, ალბათ, ჩვეულებრივ, თაგვებსა და ვირთაგვებზე სანადიროდ გასწია. არც ბრუნოს ჭაჭანება იგრძნობოდა სადმე. ირგვლივ სიმშვიდე და მომთენთავი სიმყუდროვე იდგა.

ლევანამ ტახტზე გადაფარებულ ფარდაგზე მოაფათურა ხელი, მუთაქა იპოვნა, თავქვეშ ამოიდო და „ავაზაკის“ დაბრუნებას დაელოდა. ეს ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც მის სიმარტოვეს იყოფდა. უყვარდა გარდასულ ამბავთა მოყოლა და, როგორც კი თავს შინ დაიგულებდა, მაშინვე ლევანა პაპასთან მორბოდა. ლევანაც, თითქოს ჩქარობს, სააქაოს არაფერი დამრჩეს უთქმელიო, ესმოდა თუ არა რამე ამ ბიჭს მონაყოლისა, მაინც დიდი მონდომებით მოუთხრობდა. ბიჭს ხარბი ყური ჰქონდა, – ლევანას ამბების ამოუწურავი ყულაბა... კარგა ხანს ელოდა. მერე იფიქრა, სანამ მოვა, ცოტა თვალს მოვატყუებო და წასთვლიმა. როგორც კი ჩაეძინა, მაშინვე ის ყვავი დაესიზმრა. საწყალს ბოლოსა და ფრთის წვერებზეღა შერჩენოდა ბუმბული. შიშველი ტანი შავ-ლურჯად ჰქონდა შერუჟღული. მოღლეტილი კისერი ქლიავის ჩირივით დაეჭკნო მზესა და ქარწვიმას, გამხმარ კანჭებზე იდგა, ორთავ თვალთაგან უწყვეტად სდიოდა ცრემლი და ლევანას მთელი ქვეყნის სამდურავით მისჩერებოდა. დროდადრო ძირს დააწყობდა გამხმარ მკერდზე ახუტებულ ხუთიოღე კვერცხს, ფრთების წვერებით იწმენდდა თვალებს და ამუნათებდა: „რა გინდოდა, რას მერჩოდი, რატომ დამიხოცე შვილები. განა ჩვენ – ყვავებს კი გული არა გვაქვს? განა ჩვენ კი არ გვიყვარს ჩვენი შვილები? წელიწადში ერთხელ ძლივს გვეღირსება დედობა და მაშინაც გინდათ, რო წაგვართვათ. ღმერთს რო ამქვეყნად ყვავების ყოფნა არა სდომნოდა, განა ნოეს კიდობანში შეგვიშვებდა? ხანდახან რაღაც მარცვლებს ავკენკავთ, ხანდახან იქნებ პურის ყუაც კი ვიგდოთ ხელთა, მაგრამ სამაგიეროდ ხო უფრო დიდ სიკეთეს ვაძლევთ ადამიანებსა და ბუნებას. ყოველგვარ დამპალსა და უვარგისს ვანადგურებთ, ვასუფთავებთ მიწას და ჰაერს, ხელს ვუშლით ათასგვარ ჭირისა და ავადმყოფობის გავრცელება-გაჩენას, ვამრავალფეროვნებთ ნადირ-ფრინველთა გასაგისს... ოხ, ლევან, ლევან! არ შეგრჩება ჩემი შვილების დახოცვა! ღმერთი მაღალია და იმ სიმაღლიდან ყველაფერს კარგად ხედავს. ყველას ცოდვები ხელისგულზე უწერია. განკითხვის დღეს რა პასუხს გასცემ უფალს ჯერ კიდევ გაუჩენელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერცხებში გამომწყვდეულ, ქვეყანაზე ახლად მოსავლენ სიცოცხლის განადგურებაზე? შენ დაარღვიე ბუნების უზენაესი კანონი, კანონი დასაბამიდან უსასრულობამდე სიცოცხლის გაგრძელებისა და, მოვა დრო, უმაღლესი სასჯელი მოგეგება შენ ამისათვის. როცა სამართლის სასწორზე შენი ცოდომადლი აიწონება, ჩემი შვილების ცოდო გადასწონის შენს უსუსურ მადლსა და უფრთხილდი მაშინ უფლის განაჩენს, რადგან დღე და ღამე თვალები დამეთხარა ცრემლების ღვრით, მუხლები დამელღიტა ძირს დამხობით, ხოლო მკლავები - გამოხარშული, გამოუტეხელი გაციებული კვერცხების ტარებით.

ცოდვილო!

ცოდვილო!

ცოდვილო!

არ გეღირსოს ლოგინში სიკვდილი!

არ გეღირსოს სასუფეველი ცათა და სამარადჟამოდ ჩაგკეტოდეს კარი სამოთხისა!.."

მერე კიდევ ერთხელ დააწყო ძირს კვერცხები, დაიჩქოა, თვალები სასოებით აღაპყრო ზეცად, ფრთები სიცივით გალიგვებულ, შიშველ მკერდზე დაიკრიბა, აღახვნა ნისკარტი და უფალს შეჰღაღადა:

„- ჰოი, ყვაააააა-ყვა!

- ჰოი, ყვაააააა-ყვა!

- ჰოი, ყვაააა-ყვაააააააააა!!!"

ლევანას ერთბაშად გაეღვიძა. ჭირისოფლდასხმული შუბლი ქუდით მოიწმინდა და წამოჯდა... ეს მერამდენედ ჰხედავდა ამ სიზმარს, ეს მერამდენედ შემოსჩიოდა ყვავი დახოცილ შვილებს, მერამდენედ უთვლიდა საშინელ წყევლას... რა დღესაც ამ სიზმარს ნახავდა, იმ დღისით რაღაც ავს უნდა გადაჰყროდა. სიზმარი არასოდეს არ სწამდა. მისით ნაწინასწარმეტყველები დედაბრების ნაბჟუტურებად მიაჩნდა, მაგრამ ეს სიზმარი კი ძლიერ ცუდად ჰქონდა დაცდილი. საოცარია, რას უნდა მიანიშნებდეს? სხვა დროსაც დასიზმრებია, მაგრამ ის ყვავი ეგრე საცოდავი, ეგრე უსასოო, ეგრე გულმოკლული, ეგრე გამწარებული არასოდეს სჩვენებია... ლევანამ მეხსიერებაში გადაჩხრიკა მთელი თავისი გრძელი ცხოვრების გზაზე ჩადენილ ცოდვათა ნუსხა და მათში ამაზე დიდი ცოდვა ვერსად მოჰხელა. რა უშველის ასეთი ცოდვით დამძიმებულ სულს? მონანიება?.. მონანიებამ მგლად ქცეული მეზვერე ქრისტეს მოციქულად აქცია!.. მაგრამ როდისღა უნდა მოინანიოს? - განა უკვე დაგვიანებული არ არი? დაგვიანებულს იქნებ ეშველოს, მაგრამ თუ მონანიების ყაელი გასულია? იქნებ ცოდვის მონანიებას არასოდეს არ გასდის ყაელი?.. მეზვერეს ცოდვის მაგალითის მიხედვით, მიდი და, რამდენი ცოდვაც გინდა, იმდენი ჰქენი, ოღონდაც კი მოინანიე!.. გამოდის, რო ღმერთს უყვარს მონანიება... დანაშაულის გარეშე კი არ არსებობს მონანიება! - მაშასადამე, დანაშაული თავად ღმერთისაგან არი ნებადართული, რათა შემდეგ დამნაშავემ მოინანიოს?.. არა, აქ რაღაც შეუსაბამობაა ცოდო-მადლს შორის... ეე, ლევან, ლევან, შე ძველო და ძველისძველო, - ახალგაზრდობისას არ გიმტვრევნია თავი ამ ხლართში გასაყოფად და ეხლა გინდა გაება შიგა? გინდ მოინანიო, გინდ არა, - ცოდო, ცოდოა და მუდამაც შენს სინდისზე უწევს დარჩენა... ოჰოო! - იქნება ისიც ცოდოა, რო ჯვარდაუწერლად...

* * *

- ჰეი, მაჰმად! არ გესმის, მაჰმად?! ეგ ფურგუნი აქეთ მოაგორეთ! ეგრე არა, - პირი მტკვრისკენ, ზურგი აქეთ, - ჩვენკენ უქენით, ეგ ხელნა იგრე დაუჭირე, რო ლულა გალავინსკზე, - მთავარმართებლის სასახლისკენა ჰქონდეს მიშვერილი. ჰა, მათე, რას უდგეხარ, მიდი, მიეხმარე!.. ხაჩიკ! ხაჩიკ! - აი, დაგაყრუა ჩემა გამჩენმა! - ხაჩიკ! შენ და ხეჩუამ მეორე ფურგუნს მიჰხედეთ!.. აბა, მაჰმად, ეგ ბორტები იგრე გადახსენ, სეტყვაში მოყოლილი ყვავივით ჩამოყაროს ფრთები და ბოლო დაბლა!.. ეგრე! კარგია!.. აბა, ეხლა ეგ მეორე ამას მოადგი ზურგით! ჩქარა, რას ზოზინობთ? - აგე, სირაჯხანიდან უკვე მაიტანეს სავსე ტიკი!.. ვაი, თქვენი შნო და ლაზათი! - დურრრრაააკ! მაგსიგძე ხელნა სად მოგაქ, აბა, სად უური - წინა ფურგუნი ფაშატია, ეგ რო უკან ულაყივით მოაყენე?! ეხლავე შააბრუნე და ეგ ხელნა კუკიისკენ უქენი!.. აეგრე! - ეხლა ჩამოხსენ უკანა ბორტი და ფურგუნებს კურტუმი კურტუმზე მიადებინე!.. აეგრე, შე ქითაბ-ძაღლო! - ააა-ჰა! - ესეც თქვენი სტოლი!.. ეხლა, ის ზეწრები, სასტუმროს დიასახლისი თახახგა-უტეხავათ რო ინახავს, ოთხი ცალი, - არა, ოთხი კი არა, ხუთი იყოს. მაიტათ და ფურგუნებს სუფრათ გადააფარეთ... აი, ძირს დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ფურთხებ და სანამ გაშრება, აქ იყავით!.. ეეგრე, აი, ეგრე! პირდაპირ გადააფარეთ. ეხლა კუნძები შემოუმწკრიეთ, ზედ ფიცრები დააწყეთ სკამებათ და გაშალეთ ხორაგი... სტაქანი არ დამანახოთ! - ჯამებით უნდა ვსოთ, ჩვენებურათ!.. აჰა, ნამდვილი სკამებიც მოვიდა ნეფე-დედოფლისთვინ... ტარიელ, ტარიელ! - ჰაი, შე დაბდურო, მაშ მე მიხა უნდა მერქოს და შენ ტარიელი? - რას უდგეხარ? გავარდი ეხლავე და ორი კინტო მაიყვანე! აქვე გავიდნენ ნავებით და მტკვარს ბადეები დააყარონ - ნავებიდან პირდაპირ სუფრაზე უნდა ცვიოდეს მურწა და ჭანარი!.. აბა, მიტრო, დატრიალდი და სუფრა ნაგვიანევი ვარდებით შაამკე, - პატარძალს ესიამოვნება!.. შენა, ქუმლიჭამიავ, ეხლავე გავარდი ფაიტვნით და ჭრელ აბანოდან ჰაზირას დასტა მამგვარე! ჰა, გაინძერით, თქვე წყნეთური მაწვნით დაბერილებო, - სადაც არი, ხაზეინიც მობრძანდება! მართალია, ცოტა ცივა, მაგრამ მზიანი დღეა და გარეთ, სუფთა ჰაერზე ჰჯობია ჯდომა. აბა, ჰა, სანამ წუხანდელ დამეგამოვლილი სასიძო და საპატარძლო დასვენებულები გამოვლენ, ყველაფრის მომზადება უნდა მოვასწროთ! ბადრიავ, ჩემი ქურქი და ერთიც საბანი მაიტა, ბადრიავ, - დედოფლისთვინ ფეხების დასათბუნებლათ! - ვარდისუბანში შაწყვეტილი ქორწილი აქ უნდა გავაგრძელოთ! აქ უფრო ჯიგრიანი, ჩვენებური, ჩასპანდური სმა წავა! ქორწილი ყველგან ქორწილია, ოღონდ ეხლა ნაღდი, ჩვენი ჯილაგის შასაფერი სიძე გვეყოლება! - აი, ჰაზარუმ - ჰაზბანდარრუმ!.. შენ რა, ისევ აქა ხარ? როგო ნაქურდალ ციცასავით შამამყურებ?!

- კაცო, მიხავ, სხვის ჯვარდაწერილზე ღმერთი რას იტყვის, - როგორ უნდა იქორწილოს, კაცო?

- შენ მიდი, რასაც გეუბნებიან! ყმაი ვინა ჰკითხამს, ბატონი რა გზით წავა? ღმერთი და ლევანა თავათ მორიგდებიან ერთმანეთში! აბა, გავარდი, თორემ ავშალე ჩემი ჰაჯი-ბახ-ტარტაროზები!..

და დაუღლელი წაპწიას ხაფი ხმა ყველგანა სწვდება, - ყველა მეეტლეს, მეჯინიბეს, ბაკის ყარაულს, თავლის მომვლელს, საწყობის მიმხედავს თუ თივა-ბზისა და ქერის გამრიგეს...

* * *

...ოო, ღმერთი დიდია და ყოვლის შემძლე... და უეჭველად იმ ლამაზ დღეს ცოდვად ჩამითვლის... ჰაი, ლევან, ლევან, - რა ზურგმა უნდა გაუძლოს ამდენი ცოდვების ზიდვას? აქ, ჯანდაბას, აიტან როგორმე, მაგრამ იქ, - იმ გრძელ სოფელში, ვინ გაგიღებს კარს სამოთხისას?..

უეცრად თავი მუხლებშუაააცანცარა და ჩაიქირქილა: განა რამდენი ხანია, რაც ღმერთსა და სამოთხეზე ფიქრი დაიწყო ლევანამ? - ცხონებული ოსკანოვი იტყოდა ხოლმე: „რომელ სამოთხეშიც მე არ ვიქნები, თუნდაც ვირს ყროყინით აუკლიაო!..“

ოსკანოვი...

ოსკანოვი...

* * *

ლევანამ ვერის დაღმართი ჩაათავა, ცირკის შენობას თვალი მიმოავლო და მერე ხიდს გაჰხედა. გამვლელ-გამომვლელნი ხიდის მარჯვენა მხარეს გადადიოდნენ და თავს იქ იყრიდნენ. ლევანა ხალხის გროვას მიუახლოვდა, ნელა მოსწია სადავეები.

ხიდის კიდეზე ვინმე კინტო გადამდგარიყო და გაჰყიოდა: „დაიხრჩოოო! დაიხრჩოოო! დაიხრჩოოო!“

აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა მოდიდებულ მტკვარს გადაჰყურებდა და თვალებით ეძებდა დასახრჩობად განწირულ თუ უკვე დამხრჩვალ კაცს.

ლევანამ მღვრიე ტალღებში მხოლოდ ზედაპირზე მოტივტივე ჭუჭყ-ნაგავაი, ფიცრის ნამტვრევები და ორიოდე წვრილი ძელი შენიშნა.

უეცრად კინტომ კაი მაგარი რეხვა და იმ წამსვე მიაყოლა: „გავიდააა! გავიდააა! გავიდააა!“ - და თვითონაც გასუსული ხალხიდან გავიდა და წავიდა.

ლევანას გაეცინა. არც ადრე უყვარდა ქალაქის ეს „დამამშვენი“, ფუქსავატი, ყიამყრალი, თახსირი მოდგმა, ხოლო მას შემდეგ, რაც გასული შემოდგომის მიწურულს ერთ ღამეს გადაჰხდა, - სულ შეიძულა. ცხენებს ფერდებზე სადავეები მოუცაცუნა და ფაიტონი დაძრა.

ხიდის ბოლოში ხიდზე მყოფთა დამჯარებელს წამოეწია.

კინტოს თავზე შემოდგმული ვეება თაბახი სხვადასხვა ფერის ვარდებით კოხტად მოერთო. ვარდების ალყაში ერთ მხარეს მწვანილი მოეთავსებინა, მეორე მხარეს თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხართუთა. მიდიოდა და თავისი წელანდელი ანგლობით კმაყოფილი ღიღინებდა.

ლევანამ ოციოდ ნაბიჯზე შეაჩერა ცხენები.

კინტოს ფაიტონისთვის არც შეუხედავს, ისე ჩაიარა:

*„ჩემი ცოლი ანანააა*
*ხან მწყალობს და ხან არააა....*
*ქალო ხაბარდიანოოო,*
*გაქს და გიხარიანოოო“*

კინტო მოსახვევში შებრუნდა და ახლა იქიდან მოისმა ხრინწგარეული ძახილი:

*„თუთა, თუთა, - ხართუთააა,*
*გამო, გოგო, შავტუხააა.*
*ტკბილი, როგორც ზედაშეეე,*
*აუტანე დედაშეეენ“*

და მერე ზედვე მიაყოლა:

*„მწვანილი, მწვაანილიიი! -*
*ორთაჭალის მწვანილიიი!*
*პატარძლის დაკრეფილიიი,*
*ნავით გამოტანილიიი!*

ლევანამ სადავეები კვლავ წამოუტყაპუნა ცხენებს, ნელი ნაბიჯით მიხაილოვის ქუჩაზე ავიდა და მარჯვნივ გაუხვია. იჯდა კოფოზე და თან მოსიარულეთ ათვალიერებდა. როგორც კი გერმანელი კოტრინას კარეტებისა და ფაიტონების სახელოსნოს გასცდა, მტკვრამდე დაქანებულ ქარავნის ქუჩაზე გაქცეული ხალხი დაინახა. მტკვრის პირი ბრბოს გაევსო. იყო ერთი ჩოჩქოლ-ტორტმანი და მიწევ-მოწევა.

„მართლა ხო არავინ დაიხრჩო?“ - ლევანამ ფაიტონს მტკვრისკენ უქნა პირი და თავქვე დაეშვა. ცხენები იქვე ახლოს შეაჩერა და ბრბოს შეერია. იყო ერთი ფაფხური, ერთმანეთის ხელის კვრა და წინ მდგომების ზურგზე შეხტომა. ყველას უნდოდა, დაენახა, რა ხდებოდა წრის შუაგულში.

ლევანამ ქუჩაშივე მოჰკრა ყური, კაცი დაუხრჩვიაო და მკლავები აამუშავა. როგორც იყო, მიაღწია შუაგულამდის და შიგ გადაიხედა.

წრეში ოთხი-ხუთი კაცი მოძალებულ ხალხს უკან ახევინებდა.

- დაიწით, დაიწით, - კაცს ჰაერი მიეცით!

- ცოცხალია, ცოცხალი, - თვალი გაახილა!

ძირს გამოტილ ახალგაზრდასთან ორი ტანშიშველი კაცი ტრიალებდა. ეტყობოდა, ორივ გამოცდილი იყო ამ საქმეში და დამხრჩვალს პირველ სამედიცინო დახმარებას უწევდა.

ხალხის ჯგრო ირწეოდა და ჩოჩქოლებდა.

- ნეტა ვინ არი, რა ლამაზი ბიჭია!

- ოჰო-ჰო-ჰო, დახე რამოდენა წყალი ჩაუყლაპნია!

- ნახე, ფერზე მოდის!

- ეხლა ამას ხო პატრონი ეყოლება?

- ჯიბეები უნახე, რამე საბუთი ექნება!..

- არაფერი აქ, - ჯიბეგაფხეკილი ვინმე ჩანს.

- ვაჰ, ბატონიშვილივით კი აცვია!..

როგორც კი ნაყლაპი წყალი ამოასხმევინეს, სახეზე მიწებებული თმა შუბლზე გადაუწიეს და თვალიც გაახელინეს, ლევანამ მაშინვე იცნო ვინც იყო. უმალ მიყარ-მოყარა წინ მდგომნი და წრეში შევიდა.

- მე ვარ პატრონი, მომეხმარეთ ფაიტენამდის მიყვანაში. - ლევანამ იღლიებში დასტაცა ხელი.

ორმა წელზევით გაშიშვლებულმა კაცმა პატრონი შეათვალიერა, მერე ერთმანეთს გადაჰხედა და გადაულაპარაკა: „ქელანნა ერევუმ, აბა, ღუ გიდეს, ბახჩოჯან!*

- შენ ნუ შასწუხდები, ალაჯან, მე და არტუშა ეგრევე საღ-სალამათს მოგიყვანთ შინა. - თქვა ბახჩომ და ორივე უმალ იღლიებში მხრებით შეუდგა.

ხალხი შუა გაიპო და მაშველნი გაატარა.

„მართალი ყოფილა ის დაღლარა კინტო“, - გაიფიქრა მეეტლემ. ხელახლა სულჩადგმული დამხრჩვალი ფაიტონში ჩასვა, აქეთ-იქით ტანშიშველნი მოუსხა და ცხენები გარეკა.

ოსკანოვი შინ დაჰხვდათ. ხელში გიშრის კრიალოსანი ეჭირა, რომლის მარცვლებიც ადამიანის თავისქალებს გამოსახავდა, ხოლო მარცვლებს შუა გამყოფად გიშრისავე შიშველი დანა ეკიდა ტარით. ერთბაშად გააკვირვა იგი სულთნის ჯალათებივით წელზევით გაშიშვლებულ კაცთა ღნახვამ. ხოლო, როდესაც თავით-ფეხამდის წყალში დამბალი შვილი იცნო, წვრილი თვალები დაეჭვებით მოჭუტა და სახე ბანჯღვლიანი წარბებით ჩამოხუფრა. მერე მეეტლეს მიუბრუნდა და უხმოდ ჰკითხა: ეს რა ცირკი გაგიმართნიათო?

- მტკვარში იხრჩობოდა და ამათ გადაარჩინეს.

ოსკანოვმა კრიალოსანზე ერთი ქალა

- - - - - -

* მსუქანი ვინმე ჩანს, მიდი, ბახჩოჯან! (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოაგდო.

– ესა? მტკვარში?

– ჰო, ესა, ადაჯან, ხიდიდანვე დაველევენეთ მე და არტუშა. ჩემი სიყმის მზემ, ძალიან გაგვიჭირდა, ძაან დიდი მოდის. წყალმა ასეთი გამოქანებული ფიცარი მაჯახა, კინაღამ სული გამაგდებინა. აი, ნახე ჩემი გვერდი!

ოსკანოვს არც ერთის გვერდისთვის არ შეუხედავს. კრიალოსნიდან კიდევ ერთი ქალა ჩამოაგდო და გაიოცა:

– ამას მტკვარში რა უნდოდა, – ვინმე იხრჩობოდა და მიეშველა?

– არა, ადაჯან, თითონ გადამხტარა ვერის ხიდიდან.

– ჰოო? ამბობენ იმ ხიდქვეშ კარგი ორაგულები იცისო. – ერთი თავისქალა კიდევ ჩამოაგდო. – ამას მტკვარში რა უნდოდა? ადლი ვერ აუწევნია, ფართალი გაზომოს. ალბათ, ტროტროზე კარგათ ვერ გაიარა, სემიჩკას ფეხი წამოჰკრა და გუბეში ჩავარდა.

აქ კი ველარ მოითმინა უკვე საკმაოდ მოსულიერებულმა დამხრჩვალმა და მკვახედ მიახალა:

– არც ავწევ, არა! მე ადლის კაცი არა ვარ! ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, ერთხელ და სამუდამოდ შევიდეს შენს ბანჯგვლიან ყურებში, შენს ფულზე ფიქრით გამოტენილ თავში! – მე სწავლა მინდა, სწავლა!

ოსკანოვმა კრიალოსანი ღონიერ მუჭაში ჩაბღუჯა, დოინჯი შემოიდგა და შვილი თავით-ფეხებამდე შეათვალიერა.

ბიჭი საშუალო სიმაღლის, მავგვრემანი, სანდომიანი სახისა გახლდათ. გონიერი, მაგრამ არცთუ ისე თვინიერი გამოხედვა ჰქონდა. ახალთახალი, დაჭმუჭნილი, მღვრიე წყლისაგან შელანძღული, ჟილეტიანი ევროპული კოსტუმი ეცვა. ჟილეტიცა და რუხმოყვითალო ლამით შეღებილი პერანგი, რომელიც წყალში ჩავარდნამდე, ალბათ, ქათქათა თეთრი ფერისა იყო, ჭიპამდე ჩაეხსნათ, საყელოზე გამობაბთული შავი ჰალსტუხიც დიდად მოეხალვათებინათ და მკერდზე თუთის წკეპლაზე ორად აყრილი ხარალივით ეკიდა. მუცელზე მოფოლხვებული შარვალი მოდურ ფეხსაცმელებამდის ჩამოსჩაჩოდა.

ლევანამ მზერა გააპარა მამისკენ და მის თვალებში ზიზღის მაგვარი, ხოლო ულვაშების ბუწკნარში გახლართული დამცინავი ღიმილი შენიშნა.

ოსკანოვს შვილისთვის არაფერი უთქვამს. შებრუნდა, ოთახი ერთიორჯერ დაბოლთა, კრიალოსანი სარტყელში გაიყარა და მაშველებს მიაჩერდა.

– ეხლა, იცი რას გეტყვით, როგორც არ მაიყვანეეთ, იგრევე წაიყვანეთ და საიდანაც არ გამაიყვანეეთ, – ისევ იქ გადააგდეეთ. აბა, გნაც! – მოსულნი კარისკენ შეაბრუნა, სამივეს თითო-თითო პანღური უჭირა და ხელები ერთმანეთზე გაიბღერტა. – მაგას რო თავის დახრჩობა არა სდომნოდაა, ვერის ხიდიდან კი არა, ჰავლაბრის ხიდზე გავიდოდა და იქიდან პირდაპირ მეტეხის მორევში გადაეშვებოდა! – გაბრუნდა, კარისკენ ზურგშექცეულმა ცალი ფეხი სკამზე შედგა და სარტყლიდან კვლავ კრიალოსანი დააძრო.

ლევანა გარეთ გასულებს გაჰყვა.

– ვაჰ, კაცოო! ნამუს ჩუნეს? ეს ვინა ყოფილა, ტოო! – იძახდა ბახჩო და თან წარამარა წყალში გდებით გაჯირჯვებულ ხელებს კარისკენ აღშფოთებით იშვერდა. – მაშ ქართველი ამას იზამდა? კაცს შვილი დახრჩობას გადავურჩინეთ, იმან კი ფულის მაგივრათ თითო პანღური ამოგვისო და გარეთ გვისროლა! – სულ გადაავიწყდა შვილის იქ ყოფნა და სომხურად ერთი კარგად „დაუთათრულა“: იეს ნრა საღ უ სატკაწ!..* არა, მაშ ეგ მამაა?

– მამა კი არა, ჯოჯოხეთია!.. არა, ეგ ჩემი მამა არ არი! ეგ ავი ძაღლია, რომელიც არც თითონა შჭამს და არც სხვას აჭმევს!

– აბა, აბა, ჰოვანეს, მამის გინება არ გავიგო! – გაწყრა ლევანა, – ყველაფერს რო თავი დავანებოთ, მამისგან სიცოცხლით ხარ დავალებული.

– რა ჭირათ მინდა ეგრე გაძაღლებული სიცოცხლე, ლევანჯან? თუ არ ვისწავლი, სუ ერთია, თავს არ ვიცოცხლებ! ის კარგი ადგილი მიმასწავლა მეტეხთან.

ლევანამ ორი მანეთიანი ამოიღო ჯიბიდან და მაშველებს უთხრა:

– არაფერი გეწყინოთ, შვილის სისულელემ გაამწარა. აჰა, ესეც აბაზი და ეს ბიჭი ჩუღურეთში, თავის ბინაზე მიიყვანეთ. ეხლა, შენ, ჰოვანეს, ამათ გაჰყვები და შენს ბინაზე დამიცდი. მამაშენს ორ სიტყვას ვეტყვი და მოვალ. სანამ არ მოვალ, ფეხი არსად გასდგა და ძველ სისულელეს ახალი ტუტუცობა არ

-----

* მე მაგისი მკვდარი და ცოცხალი!.. (სომხ.)

დაუმატო. მპირდები?

- გპირდები, ლევანჯან, გპირდები. მე შენ არასოდეს არ მოგატყუებ. ჩემი მამჭა და ძმაც ეხლა შენა ხარ.

ლევანა გაბრუნდა და ოსკანოვთან შევიდა.

ოსკანოვი ისევ ისე იდგა, როგორც დატოვა, ოღონდ კრიალოსანს ახლა უკვე ნელა, თანაბარზომიერად მარცვლავდა.

ლევანა მაგიდის მეორე მხარეს დაჯდა და „ხაზეინს" მიაჩერდა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ადამიანის თავისქალებად ჩამოქნილ მარცვლებს და ჰკითხა:

- ეს იკლიკანტური სათამაშო სად გიშოვნია, ალა-იაგორ?

იაგორას, სანამ ბოლომდე არ ჩაათავა „სათამაშო", მეეტლისკენ არ მოუხედავს.

- ეს შენი ჩათუქესანი დოსტის ნაჩუქარია, წეღან რო დაგიპანჩურე.

- ჰოვანესასი? საიდან, როგორ!

- მაჩუქა და, ჰამაც, შიგ დიდი „ჰაზრები" ჩააყოლა: ეს მეკოპრის, - ზღვის ყაჩაღის ნაქონია და ამისთვის არაფერი ნიშნეულობა არ ექნება, ზღვის ყაჩაღს ედება ჯიბეში თუ ხმელეთისასო. მთავარია, რო ისიც ადამიანის თავისქალებს ითვლიდა და შენც ამასვე დაითვლიო... ჰოდა, როცა უსაქმობა არ მაწუხებს, ვზივარ და აი, ამ კრენჩხებს ვითვლი.

ლევანას მხოლოდ გაეღიმა, ხმა არ გაუღია.

იაგორამ კარგა ხანს იცადა. როცა სიჩუმე აღარ დაირღვა, თავადაც ჩამოჯდა და პერანგის ფარფარა სახელოები მაგიდაზე დააწყო. კიდევ იცადა და მერე გაკვირვებული მზერა მიბრჯნით მაცქერალს შეაგება.

ლევანას თვალი არ მოუცილებია.

- რაო, ჩასპანდ, არ მოგეწონა ჩემი სამართალი?

- ალა-იაგორ, გამოუყენებელი სიმდიდრე რაღა მიწაში და რაღა მიწის ზემოთ.

იაგორამ ხის უბრალო საბურნუთე ახლოს მიიწია და ხუფი აჰხადა. იქიდან მწიკვით ამოღებული ბურნუთი ორივე ნესტოთი სათითაოდ, ბლომად შეისუნთქა. მერე ზედიზედ ისე სწრაფად დააცემინა, ხუფის დახურვა ველარ მოასწრო და ნახევარზე მეტი ბურნუთი მაგიდაზე გაფინა.

- ხეირ იოლსუნ!* - უთხრა ლევანამ.

- შნორაკალემ*, - თქვა ოსკანოვმაც და თვალებში შეყრილი თამბაქოს მტვერი სარტყელზე დაკიდებული უბრალო ჩითის ხელსახოცით ამოიწმინდა. - ეს ოხერი, ვიხარბე და ცოტა მეტი მომივიდა. დამთხარა, რაღა თვალები.

- ეგ არაფერი, ალა-იაგორ, - ანუგეშა მეეტლემ, - მალე გაგივლის. მაგრამ ჭკვიან კაცს მუდამ უნდა ახსოვდეს, რო სიხარბემ, ყოველთვის თუ არა, ხშირად თვალების თხრა და ცრემლის დენა იცის.

- ჰაი, რა წიწაკა-სიტყვა გაქვს ხანდახან, ჩასპანდ. კაცი რო თავისი ხორცის ჭამის ხასიათზე არ იყოოს, შენ მაინც შენსას არ მაიშლი. - ოსკანოვი ზეწრის ოდენა ხელსახოცით ღვარად წამოსულ ცრემლებს იშრობდა და თან ცდილობდა, მეორე დაცემინებამდის საბურნუთესთვის ხუფი თავზე ისევ მოერგო.

- დააგდე ეგ პირსახოცია თუ ხელსახოცი, გამოსწიე მუჭა და თვალები წყლით მოიბანე. ნეტა დაგანახვა, რას გიგავს ცხვირ-პირი.

ოსკანოვმა ჭკვიანურ რჩევას დაუჯერა, მალე განთავისუფლდა ტკივილისაგან და თვალებიც, როგორც იყო, ააპარპალა.

- ჰაი, რა დამთარსა დღეს იმ ვირიშვილმა! - ზედიზედ კიდევ რამდენჯერმე დააცემინა გვერდზე გაღერილი ცხვირით, მერე მაგიდაზე მოფენილი ბურნუთი ხელისგულით ისევ შეაქუჩა და იმასაც საბურნუთეში უკრა თავი.

- ლევანჯან, ყველა მამისთვის უვარგისი შვილის ყოლა დიდი სასჯელია. ეტყობა, წმინდა კარაპეტმა ეს სასჯელი იმიტომ მარგუნა, რო ბალღობის აქეთ მუშში აღარა ვყოფილვარ და აღარც მარხვა შამინახნია. ბდლი, პაპაჩემისეული ადლი, რაც ფული მაშოვნინა, იმის მემრე ეგრე რო მივაგდე, მუშში რო აღარ წავიდე და იმ წმინდა საფლავზე აღარ დავდე, ღამე არ უთიე, რო იმ ცოდვებისგან გაწმენდილიყო, რაც მე იმ ადლით, - აბა, შენთან როგორ დავმალო, - რაც მე იმ ადლით რამ ცოდვები ჩამიდენია... მაგრამა მუდამაც ეგრე ყოფილა: საწყალი კაცი რო არ გაძლებაა, ღმერთი ავიწყდება ხოლმე. ჰოდა, მეც მოსავალს იგრე ვიმკი, როგორც დავთესეე... რაც მე თაგვივით არ შავაგროვეე, მაგას უნდა, კატასავით შასვლიპოს. მე ერთი ორჯერ მითქომს კიდევაც, რა უყო სულაძაღლებულმა მამაჩემმა ცხონებულ პაპაჩემს. მე პაპის დარიგება, აი, აქ მაქვს ჩაწერილი. - ბანჯღვლიან გულზე დაიბაგუნა მუშტი

------

* ხეირი გქონდეს (თათრ.)

* გმადლობ. (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭარმა. - მე რო დღეს მაგის ჰოპოპებს არ ავყვე, - ხვალ ჩემი უძრავ-მოძრავი შაითან-ბაზარზე გაიყიდება. არა, ლევანჯან, ვინც კაპიკის ფასი არ იცის, იმან არცა ღირს იმ კაპიკის ფასათ.

- ალა-იაგორ, დიდ კაცს დიდი ჭკვაც მო-ეკითხება. მე კი, ჩემდათავათ, შენზე დიდი კაცი მარტო თელავში კი არა, თბილის-ქალაქსაც არ მეგულება. კაცს ყოველთვის ბურ-ნუთი ხო არ ექნება თვალებში შეყრილი, - საჭიროა, ზოგჯერ ცოტა შორსაც გაიხედოს. იგრე ნუ გააკეთებ, როგორც შენ უძაღლებ სულს მამაშენს, ეგრე მემრისთვის შენ აგი-ძაღლოს სული შენმა შვილმა. როგორ შეიძლება, ყველა კაცმა ერთი ხელობა იცო-დეს. მაშინ ხო მთელი ქვეყანა დაიღუპება!

- მამაჩემმა პაპაჩემის ნაშოვარი ქეიფში გაფლანგა.

- ჰოვანესა ხო საქეიფოთ არ იწევს, - კაცს სწავლა უნდა. შენც კარგათ გახსოვს დანიელოვი. იმისთანა ნასწავლი არ შემხვე-დრია. აღლი არასოდეს სჭერია ხელში, მაგ-რამ დიდი სიმდიდრის პატრონი იყო. კაცს სწავლა უნდა, - გაუშვი რაა, ისწავლოს. მემრე იქნებ შენზე მაგარიც გამოვიდეს.

- უნდა, უნდა, უნდა! მეც ბევრი რამე მი-ნდა, მაგრამ რატო ჩემზე არავინ ფიქრობს?

- ალა-იაგორ, შენ რაც გინდა, გაქვს კიდეც? იმას რაც უნდა, არა აქვს! - აი, თქვენი მინდა-უნდა.

- მესმის, ლევანჯან, მაგრამ მაგისი ყველა ნდომა ხლაფორთში შასასვლელი კარებია. მართალი გითხრა, ძალიან მეშინიან. მაგას პირველივე გაჭირვება გასტეხამს, რადგან რკინა ცოტა ურევია. ხის ჭურჭელი კი ცეც-ხლზე მარტო ერთხელ იდგმება.

- ალა-იაგორ, ვისაც რისკისა ეშინიან, ის არც არი რამის გამკეთებელი. შენა და შიში?! გაუშვი, რომც არაფერი გამოვიდეს, ქვეყანას ნახავს. ქვეყნის მნახავი კაცი კი ქვეყნის უნახავზე მუდამ მეტია. ეხლა გადარჩა, მაგ-რამ, რა იცი, რო მემრეც ვინმე გადაარჩენს? ჭკვიანი კაცი ხარ, ალა-იაგორ, და დღეს იმას ნუ იზამ, რასაც ხვალ ინანებ. შენ ტყუ-ილათ ჰფიქრობ, რო ფული ყველაფრის საძირ-კველია. დაფიქრდი, შენმა ხელმოჭერილობამ უფრო მეტი არ დაგაკარგვინოს. სჯობია, ჯანმრთელობას ავადმყოფობამდის მოუარო, ვიდრე მემრე მორჩენაზე თავი მიაკლა.

- ლევანჯან, აი, ვფიქრობ და წარმოდგენა არა მაქს, - ჰოვანესა და პრაფესორი?! - მერე თვალები დამცინავად მოჭუტა. - შენ ყვავი ხო იცი, ყვავი?

- ყვავი?.. - ლევანა ყვავის ხსენებაზე მცირე ხანს გაისუსა, - ყვავის მეტი რა ვიცი!

- ჰოდა, ეს ყვავი ერთხელ ადგა და მტრედათ გადასაქცევათ წავიდა. წავიდა და ის კი დაავიწყდა, რო ნოემ ყვავთან ერთად მტრედიც ჩასო თავის კიდობანში... ყველამ თავის სკინტლიან ბოლოს ადგილზევე მოუა-როს, - პარიჟი რა მაგის საქმეა? არა, ლევან-ჯან, მთელი ცხოვრება ერთი ხელით გადაყ-რილს ორი ხელით ვკრეფამდი. ეხლა მოვდგე და ეს მოკრეფილი ორი ხელით ვფანტო? მამის ფულისთვინ შვილი იგეთივეა, როგორც ჩრჩილი მატყლისთვინა.

- ალა-იაგორ, სწავლაზე დახარჯული ფული გადაყრილი არ არი. შენ მაგ ფულით თავის დროზე უფრო მეტ ფულს მოიგებ და შვილსაც შვილად დაიბრუნებ. რუსთაველზე ჭკვიანი კაცი დედამიწაზე არ მეგულება. აი, ამ რუსთაველმა თქო: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“.

ოსკანოვმა პატარა ხანს იყუჩა, მერე ჩაფი-ქრდა, კრიალოსნიდან ერთი თავისქალა ჩამომარცვლა და მოსაუბრეს თვალი დაე-ჭვებით შეავლო.

- რუსთაველი, ბალიკჯან, იქნება მართლა დიდი კაცი იყო, მაგრამა, აი, ეგ, რაც უთ-ქომს, რაღაც ჭკვიანურათ არ მეჩვენება. დუქ-ანში დანახარჯის გადახდა სხვისი ჯიბიდან ადვილია. მაგას რო არა სწერამდაა, მე რო მაშინ იქ არა ვყოფილიყავიი, ვეტყოდი: ეე, ახპერ! ეხლა მე გეტყვი და, რომელიც არა სჯობდეეს, ის ჩაწერე მანდა-მეთქი, ცავატ-ანემ.

- აბა, ალა-იაგორ, რუსთაველს შენ რას ეტყოდი, კაცი ღმერთს ეუბნებოდა: ჩამო, მაგ ადგილზე მე უნდა ვიჯდეო.

- შენ ნუ იცინი, ბალიკ, - თხა თხაზე ნაკ-ლები მგელმა ჭამოს. მე ვეტყოდი: აი, შოთა-ჯან, მოდი, მე დამიჯერე. ეგ წაშალე და შიგ აი, ეს ჭკვიანური ჩაწერე: ვინც თავის ქონებას არ უფრთხილდება, იმას მალე სხვის კარზე მოუწევს ხელის გაშვერა-მეთქი. ამას რო არ მოვრჩებოდიი, მემრე შენ გეტყოდი: ყველა კაცმა ჯერ უნდა დაიმსახუროს და მემრე მაითხოვოს-მეთქი.

- დამსახურება მეტი რაღა გინდა, ალა-იაგორ, სემინარია კარგათ დაუმთავრებია,

ნიჭი არ აკლია, ჭკვა კი გამოცდილებით მოდის. ააჰა! მიეცი ფული, ისწავლის კიდეც და გამოცდილებასაც მიიღებს. ეგ ბიჭი იგეთი უჭკუოც არ არი, როგორც გგონია. შვილის ღირსებას მშობლებზე ადრე სხვები ჰხედავენ. აბა დააკვირდი: თვალებთან ყველაზე ახლო წამწამებია, მაგრამ უსარკოდ დაუნახნიათ თვალებს როდისმე? შენი სარკე, შვილის კარგად დასანახად, სხვათა აზრია. მაინც მამა ხარ, მაინც შვილია და იგრე ნუ იზამ, რო შენმა შვილმა შენვე დაგწყევლოს.

– რა უყოთ, ლევანჯან, მწყევლოს, რამდენიც უნდა; როდის იყო, ძაღლის წყევლა მგელს რამეს უშვრებოდა. თუ სწავლა უნდა, აქაც კარგად ისწავლის. არა, ლევანჯან, წარბის გასწორებაში თვალს არ გამოვითხრი.

ლევანას მოეწყინა ამდენი დიჯინი.

– მაშ არა?

– არა! – კრიალოსანზე ბოლო თავისქალა ჩამოვარდა და შიშველი დანა მაღლა აღიმართა.

– აბა, მაშ ეხლა კარგად დამიგდე ყური: თუ შენი დარდუბლის კიდობნის კლიტის გაღება არ გინდა, ნება მომეცი, რომელ ფაიტონზედაც მე ვზივარ, იმ ფაიტონის მთელი შემოსავალი ყოველთვიურად შენს შვილს ვუგზავნო პარიზში. მე ჩემთვის არაფერს ავიღებ და ეგრე უფასოდ გემსახურები.

ოსკანოვი ამ აზრმა კიდევ უფრო დიდხანს ჩააფიქრა.

– ეხლა ოჯახი გაქვს. მალე, ალბათ, შვილიც გეყოლება, იმათ რას უზამ?

– იმ რუსთაველს ერთი ეგეთი ნათქომიცა აქვს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა...“ შენ თუ, რაც გითხარ, იმაზე უარს მეტყვი, მაშინ, თინას მზემ, მეც გაგწირავ და არ გაგიკვირდეს, თუ ერთ ღამეს ქორჯიკა, ან ზამბილი, ან უტრუჩუნე თავზე დაგადგება. მაშინ შენი კიდობნის კლიტეს უგასაღებოდაც მოუვლიან. იმათი „მოვლისგან“ კი ყველა სულიერი ღმერთმა დაიფაროს!

ოსკანოვი ერთხელ კიდევ კარგად ჩაფიქრდა. მერე მის ხელში კრიალოსნად ასხმულმა თავისქალებმა კვლავ დაიწყეს ერთიმეორის მიყოლებით ჩამომარცვლა.

– კარგი, ლევანჯან, რაკი თინაც დაიფიცე, შენი ეშმაკი დიდი იყოს ჩემ აგნელოზზე... ბაშუსტა! – და კრიალოსნის თავზე აღმართული შიშველი დანის წვერი დაბლა, იატაკისაკენ დაეშვა...

* * *

ლევანამ მუხლებშუა ჩაქინდრული თავი ასწია და გაირინდა... ბევრი მადლი გიქნია, ლევან, შენს სიცოცხლეში, ძალიან ბევრი, მაგრამ მაინც რა მადლი მოგხსნის ყვავისთვის ნაქნარ ცოდვას?.. „მადლს დავთვლი ათასობითა, ცოდვა სამ მრჩება კენტადა...“ და ეს კენტად დარჩენილი ცოდვა, ალბათ, მარადჟამს გადასწონის ათასობით ჩამოთვლილ მადლსა... და ლევანამ კვლავ მწარედ ჩაქინდრა მუხლებშუა თავი... ჰოი, ღმერთო! – აი, აჰა, ას წლამდე მიაღწია და ჭკვა მაინც ვერ ისწავლა, – ვერ იქცა ნამდვილ ქრისტიანად: იმას, ვინც ოდესმე სცადა მისთვის ყბაში გარტყმა, აღარც ერთი ყბა არ შერჩა მთელი, ხოლო მტერი თვისი ვერაფრით შეიყვარა! ან მტრის შეყვარება რა კაცობაა? მტერი, პირველ რიგში, უნდა გატეხო! – გატეხილი მტერი კი რა შესაყვარებელია?.. მაშასადამე, ჭკვათა მყოფელი კაცისთვის მტრის სიყვარული შეუძლებელია. „იას უთხარით, ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო...“ ჭია იის მტერია, – რაღ უნდა შეიყვაროს იამ ჭია? ის ხო იას ჭამს? როგორ შეიძლება, თავისი შემჭმელი შესაჭმელმა შეიყვაროს? არა! ჭია უნდა მოისპოს, გაისრისოს, შეიმუსროს, რადგან ია სილამაზის, სინაზის, სიხარულისა და სიყვარულისთვის არი გაჩენელი. განა სილამაზისა და სიყვარულის მტრის შეყვარება შეიძლება?.. „იას უთხარით, ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო...“

* * *

წინ გახუნებულჩოხიანი კაცი მიდის. ჩოხა მწიფე-შვინდისფერია. ფეხთ ჩექმები აცვია. თავზე შავი, გრძელბეწვა ფაფახი ჰხურავს, ყელზე ყაბალახი შემოუხვევია. ყაბალახის ტოტები ზურგზე აქვს გადაყრილი. ხელში ჯოხი უჭირავს. ამ ჯოხს ხან ჩამოქვეითებულ მეურმესავით ზურგს უკან სახრესავით შემოიდებს, ხანაც წვერით წინ წაგდებულ, ტარჩაბღუჯულ დაშნასავით უჭირავს. იშვიათად თუ დააკარებს მიწას. რაღაც შეუსაბამობა ინაკვთება ლამაზ ჯოხსა და მეცხვარულ ქუდს შორის.

მიდის კაცი მძიმე, გამოზომილი, ღონიერი ნაბიჯით. არც ხალხს აქცევს ყურადღებას, არც ეტლების სრბოლას, ტვირთკიდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვებს, არც საღამოს საშოვარზე გამოსულ, ფეხთწინ წამოფრენილ ბეღურებს და არცა გვერდით კისკისით ჩავლილ ლამაზ ბანოვანთ. განიერ მხრებშუა ამოზრდილი, ოდნავ ჩაცვივნილ-მაგარყბებიანი თავი მელიერით გაშეშებული მიაქვს. გაქვავებულ სახეზე დაუხამხამებელი თვალები ადამიანებს, ხეებს, შენობებს ბურღავენ და სადღაც დასაკარგავში, მიუწვდომელსა თუ შეუცნობელში იმზირებიან. დროდადრო გამტკნარებული ტუჩები აცმაცუნდებიან და კვლავ შეახმებიან ჭადარა ულვაშებქვეშ.

ჩარდახჩაკეცილი კრიალა ფაიტონი. შიგ შებმული ცხენები თითქოს ცეკვავენ. ვერცხლის ღილებასხმული აკაზმულობა ჰშვენით. გაწმენდილ-დაბანილი მზზინავი ბეწვი კიდევ უფრო ლამაზ პეწს აძლევთ. განივ თასმათა კიდეებს პაწაწინა ეჟვნები შემომწკრივებია. კოხტად დაწნული ფაფარი წვრილ-წვრილ ნაწნავებად დაჰკიდებიათ გვერდზე. ირემივით ჩამოქნილ, კოპწია ფეხებს, ეჟვნების მუსიკას აყოლილნი, ხმაშეწყობილად მიაპაკუნებენ. ფაიტონი წინ მიმავალ ფაფახიან კაცს, ხან გვერდში ამოუდგება მცირე ხნით, ხანაც უკან მისდევს ფლოქვთა გამოზომილი ტკაპუნით. კაცი კი მიდის ყველაფრისადმი გულგრილი, ბრმა, ყრუ, უტყვი და უგრძნობელი. მიდის, მიდის და ჯოხს ხან ჩამოქვეითებულ მეურმესავით წელზე შემოიდებს, ხანაც ტარჩაბღუჯულ, წვერით წინწაგდებულ დაშნასავით მიაქვს მტრის კვალს აღევნებული მოსისხარი ხევსურივით.

ფაიტონი ამ კაცით მაშინ დაინტერესდა, როა იგი „ქოსების სარდაფიდან“ ტყვიასავით გამოვარდა და თან გასისხლიანებული ხელი გამოიტანა.

- ეი, მეეტლევ! ფაიტონი, ფაიტონი!

მაგრამ მეეტლეს მუშტრების ძახილი არ ესმის. კაცს თვალს არ აშორებს. მიჰყვება უკან და დროდადრო მცირე ხნით ამოუდგება გვერდით.

კაცმა გადაიარა კუკიის ხიდი, გასცილდა ვორონცოვის ძეგლს, გადაჭრა მადათოვის კუნძული, უკან მოიტოვა ორბელიანთა ძველი ხიდი, გაეიდა ალექსანდრეს ბაღთან და მარჯვნივ გაუხვია. მტკვრის პირამდის მისული აუყვა მდინარის ტოტს და იმ ადგილს გაჩერდა, საიდანაც დედას ასხლეტილი ტოტი ცალკე კალაპოტს იდებდა მარჯვენა ნაპირზე. აქ ხუთიოდ წუთს იდგა ვორონცოვის ძეგლზე არანაკლებ გაქვავებული, მერე შეინძრა და რიყეში ჩავიდა. აქაც ერთხანს გაირინდა კაცის სახედ ჩამოქნილ ვეებერთელა რუხი ლოდივით, მერე ჩამოჯდა, ჯოხი წინ დაიბჯინა, ზედ ნიკაპი ჩამოდო და კვლავ ლოდად იქცა.

კაცი იჯდა .ხუთ წუთს, ათ წუთს, ორმოც წუთს! - ერთ გაუთავებელ, საუკუნედ ქცეულ საათს!!! მერე წამოდგა. როგორც კი გზის პირას ამოვიდა, მაშინვე შედგა: გზაზე ფაიტონი იცდიდა!.. ფაიტონი ცარიელი იყო. მხოლოდ მეეტლე იჯდა კოფოზე. იჯდა და მას მისჩერებოდა.

კაცმა მეეტლის მზერაში ცნობისმოყვარეობაზე მეტი ამოიკითხა. გუმანით მიჰხვდა, რომ სარდაფიდან ამოვარდნის შემდეგ მეეტლე მას მისდევდა. მერე რიყეზე ჩასულს აქ დაელოდა.

თუმცა ჩამავალი მზის სხივები უკვე საბორნის თავზე წამომდგარ გორაკს ჩაჰფარებოდა და რიყეს პირველი ბინდის ცრიატი შესტორღიალებოდა, ჩოხოსანს მაინც ემჩნეოდა, ქვედა ქუთუთოჩამოღღლერძილ მარცხენა თვალზე როგორ კიაფობდა ზედ შეყინული ერთადერთი ცრემლის წინწკალი. შავი, მეცხვარული ქუდის ბალანი ყაბალახამდე სწვდებოდა და კისერს, ყურებსა და წარბების ბოლოებს ფარავდა, თორემ წარბთა შესაყართან მიყრილი ორი მრისხანე ნაოჭი კარგად მოუჩანდა. მარჯვენა თვალი უტეხად, საკბილოზე დაგეშილი ქორივით მიბრჯნით და ავად მისჩერებოდა.

მეეტლემ უბრალოდ თქვა:

- წავიდეთ.

ჩოხოსანს სახის გამომეტყველება არ შესცვლია. მცირე ხნის დუმილის შემდეგ მშრალად თქვა:

- მადლობთ, ძმობილო, ისევ ფეხით ვარჩევ გავლას.

- ფეხით სიარული რისხვას აცხრობს და ნაღველს აქარვებს. მაგრამ ეხლა წავიდეთ.

კაცის მზერა თითქოს ჩააცხროო წარბით მარჯვენა თვალის ჩამოხუფრამ. იქიდან გამომკრთალი შუქის სიჭიატემ არცთუ მცირე გაოცება აირეკლა. უცრად, არც აცია, არც აცხელა, კოფოს ხელი მოჰკიდა და ერთი აქნევით ბრგე ტანი მსუბუქად აიტანა.

- კოფოზე როგორ გეკადრებათ, ფაიტონში ჩაბრძანდით.

- მრგვალი მაგიდის რაინდები ყოველთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის თანაბარი პატივით ისხდნენ ერთურთის გვერდით...

რესტორანში საკმაოდ ჩანდა ხალხი. მაღალი, ლამაზი მებუფეტე ღირსეული თავდაჭერით, თავაზიანად იღებდა და ისტუმრებდა მიმსვლელ-მომსვლელს. მან საანგარიშო ერთიც მიაჩხაკუნ-მოაჩხაკუნა და მერე ახალ მუშტრებს ჰკითხა: კუპეს ხომ არ ინებებთო.

- კარგს იზამთ, თუ კარგ კუპეს შეგვირჩევთ. - უთხრა მეეტლემ.

ფაფახიანმა კაცმა ბანჯღვლიანი ქუდი მოიძრო, მებუფეტეს გადააწოდა და ზედაც ლამაზი „ტროსტი" მიაყოლა.

- ეხლავე ოფიციანტს გაახლებთ. - ჯოხს მუშტრის თვალით აჰხედ-დაჰხედა მებუფეტემ.

ის იყო, შერჩეულ კუპეში დასხდნენ, რომ ოფიციანტი შემოვიდა.

- რას ინებებთ, ბატონო!

- თევზეულით დავიწყოთ.

- თართი, ცოცხალი, გელაქნური, ლოქო ქინძ-ძმრით, ცივათ მოხარშული „ასეტრინა", „ასეტრინა ნავერტელე", შავი ხიზილალა, წითელი ხიზილალა...

- მოიცა. თქვენ რას მიირთმევთ?

- თუ არჩევანია, - ქინძ-ძმრიანი ლოქო იყოს. ხიზილალას წითელს ვარჩევ.

- კარგი. ეხლა ცივად მოხარშული ღედალი დასჭერი. ყველი თუშური იყოს. მწვადი ღორის სუკებისა. მოიცა, სად გარბიხარ? - ღვინო რომელი გაქვთ?

- გვაქს, ბატონო, ნაფარეული, - თეთრიც და წითელიც; გვაქვს წითელი მუკუზანი; რქაწითელი წინანდლის საუფლისწულო მამულისა...

- მოიცა. ღვინოს რომელს მიირთმევთ?

- თეთრსაც და წითელსაც, მაგრამ რჩევით, ისევ წითელს ვარჩევ.

ეხლავე მოგართმევთ, ბატონო, - ოფიციანტი გაბრუნდა.

როცა ორნი პირისპირ დარჩნენ, ერთმანეთი შეათვალიერეს.

- სადაური ხარ, ძმობილო?

- თელაველი.

- ფაიტონი შენია?

- ოსკანოვის ბაკისა.

- ეგეც თელაველია?

- თელაველი გახლავთ.

- აქ როგორ მოჰხვდი?

- ბაკი აქაცა აქვს, - რიყეში.

- მე მიცნობ?

- ვერა.

- გინახივარ როდისმე?

- ერთხელ.

- სად მნახე?

- თელავში.

- დიდი ხანია, თელავში აღარ ვყოფილვარ.

- ორი წლის წინ თქვენ ერთ გაჩეჩილთმიან კაცთან ერთად მოსდიოდით ნადიკვრის მხრიდან. თითქმის მთელი თელავი გაიარეთ და სარქისა სუქიასოვის „ოტელ-ესპერანტოსთან" შესჩერდით.

- ჰო, გამახსენდა. იქ ერთ ჩემ თანაკლასელთან გახლდით. შინ არ დამიხვდა და უკან მობრუნებისას გადავეყარე იმ კაცს. იმ დროს იქ იყავ?

- მე ღლევანდელივით თქვენს გვერდით მოვდიოდი ფაიტონითვე და თქვენი მოკლე საუბარიც უნებლიეთ მოვისმინე.

- რა საუბარი?

- როგორც შევატყე, ის კაცი თქვენთვის უცნობი იყო. იმან კი კარგად იცოდა, ვინც იყავით. რესტორანში შეგიპატიჟათ და თქვენ არ შეჰყევით. კაცი გაგიჟდა: თქვენ არ მითხარით წეღან: სიამოვნებით დავჯდები კაი კაცთან პურის საჭმელათო? „დიახ, მე გითხარით, მაგრამ - კაი კაცთან-მეთქი". კაცი გაშრა. იგეთი ფერი დაედო, როგორც რქაწითელს ისვრიმობისას. „მაშ, მე კაი კაცი არა ვარ?" აბა, როგორ გითხრა: არ უნდა იყო. თელავი პატარაა, აქ ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს, - ჩვენ კი ნახევარ თელავზე მეტი გავიარეთ და არც ერთი კაცი არ მოგესალმებია". ის კაცი ჩემ თვალწინ იგრე დაილია, იგრე დაილია, ლამის საკუთარ თმაში შემძვრალიყო დასამალად.

- შვიდი წელი ვსწავლობდი თელავში, მაგრამ ეს ბალღობისას იყო. ორი წლის წინ კი უცხო ვიყავი თელავისთვის... აქ რაღად ამედევნე, როცა დიდ ქალაქში თითქმის ყველა ერთმანეთისთვის უცხოა?

- ძალიან აღელვებული, გამწყრალი და განრისხებული გამოჰვარდით „ქოსების სარდაფიდან". ხელიც გასისხლიანებული გქონდათ. აი, ეხლაც სისხლი გდით.

- სისხლი? - კაცმა მარჯვენა ხელზე დაიხედა. - ოჰოო! მაგიდაზე მუშტის დარტყმისას ფიცარი ჩაიმტვრა. მგონი, რამდენიმე ჭიქა და თეფშიც გატყდა. ალბათ, მაშინ გამეჭრა. - ადგა, კუპედან გავიდა, ბუფეტის გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანთებულ ბუხართან დაიხარა და მარჯვენა ხელის ნების ძირი და ნეკი მღვივან ნაკვერჩხლებში არეულ ცხელ თურთქელში წაყო. ერთხანს გააჩერა, მერე გამოიღო და ჩოხის კალთით გაიწმინდა. როცა კუპეში დაბრუნდა, სისხლი უკვე შეწყვეტილიყო.

– ეხლა უკვე მჯერა, რო იმ მეცხვარეს მართალი უთქომს.

– ვინ მეცხვარეს?

– ამას წინათ შაითან ბაზარში ჩვენმა ბიჭებმა ცხვარი იყიდეს. იაფად მოგვცა ქიზიყელმა მეცხვარემ. ბიჭებს ძალიან მოეწონათ ეს კაცი და სირაჯხანის ბოლოს, „თოქმა მიკიტნის" დუქანში შევედით. მაშინ გვაჩვენა მარჯვენა ძუძუსთან მტკაველიანი ნახანჯლარი.

– რაო, რისად მჭირს ნაჭრევიო?

– შირაქში, ჩვენ საძოვარზე, პანკისელმა ქისტებმა შერეკეს ცხვარიო. ჩვენ გაერეკეთო. მოგვიხტნენ ქისტები და ძალით მოინდომეს ისევ შემორეკვაო. მოცვივდნენ ჩვენი ბიჭებიც. ჩავარდა ჩხუბი. ჯოხებით რო ვერაფერს გახდნენ, იძრეს ხანჯლებიო. უცებ, საიდანღაც ჩვენი სარქალიც გაჩნდა და თან ორი კაციც მოიყოლაო. იქიდან ერთი დაწინაურდა, ეგრე ცხენდაცხენ შიგ ჩხუბში შემოვარდა, გადიგდო ნაბადი, მეხივით დაიქუხა: რას სჩადით ვაჟებო, გაყუჩდითო! და ცხენიდან ჩამოხტაო. მარტო ერთი მიდეგა ქისტი არ ჩერდებოდა, იგინებოდა და ისევ ხანჯლით იწევდა ჩვენზეო. იმასაც უთხრა იმ კაცმა ქისტურად: დადექო! მაგრამ იმან ახლა იმას მიუტანტურა ხანჯალიო. მაშინ იმ კაცმა მარცხენაზე ჩოხის კალთა დაიხვია, დასტაცა შიშველი ხანჯლის პირი, მარჯვენით მაჯა ჩაუბღუჯა, გადაუგრიხა, აართვა იარაღი და მკვახეთ უთხრა: „რაის კილოსა ხარ, ჯოყოლოელო, ვერ თუ მიცანი?!" ეტყობა, იმ ქისტს კაცზე უფრო ხმა ემცნაურა, მოგეცა ლხენა, იმან მაშინვე გაყუჩება იკადრაო. სანამ სარქალი იმის ვინაობას გვეტყოდა, მანამდის მოგვენადირა იმისმა არწივულმა მოხტომამ. მაშინვე მივხვდით, რო უბრალო კაცი არ უნდა ყოფილიყოო...

– მაშ, თელავიდან მიცნობდი?

– არა. კუპედან გასვლამდის არა.

– კუპედან გასვლა რაო ვითომა?

– აქედან შევხედე, იმ ცხელ ღადარ-ნაკვერჩხლებში როგორ შეჰყავით ხელი და სისხლი როგორ შეიწყვიტეთ.

– მემრე რაო?

– არაფერი. ეჭვი დავიდასტურე.

– რა ეჭვი?

– ეხლა უკვე დასტურ ვიცი, ვისთან ერთად ვზივარ სუფრაზე.

კაცი მეეტლეს დააკვირდა.

– მაგრამ ერთი რამ უნდა შეგკადროთ.

– თქვი. ჩემისთანა კაცი, თავხედობის, სიცრუისა და სიმხდალის გარდა, ყველაფერს იტანს.

– მე წინასწარ არა მითხოვნია-რა თქვენთვის. მხოლოდ ერთი სიტყვა ვთქვი და, სადაც წავედი, უთქმელად წამომყეთ სრულიად უცნობს.

– ის, ვინც არწივივით შადის ჩხუბში, თვალიც არწივივით უჭრის, ძმობილო. გულიდან წამოსული თუნდაც ერთი სიტყვა კი უეჭველად მიდის მეორე გულამდის.

ოფიციანტი შემოვიდა და შეკვეთილი სასმელ-საჭმელი შემოიტანა.

– შამფურებს მიჰხედე, – მწვადი ცვრიანი უნდა.

– კი, ბატონო, მწვადსაც მალე მოგართმევთ.

– თქვენ რომელს მიირთმევთ? აქ თეთრიც არი და წითელიც.

– მე წითელს დავლევ, შენ რომელიც გინდა.

– წითელი იყოს. – წითლიანი ხელადა აიღო მეეტლემ.

– რაკი ვითომდა ჩემი შაიტყე, ეხლა შენი სახელიც მითხარ, ჯეილო.

– ჯოყოლა მქვიან, ძმობილო, ალხასტაიძე გვარადა.

სტუმარს ჭიქა მაგიდაზევე შეაცივდა, თვალებში გაოცება ჩაუდგა და, მიუხედავად გულზე ყინულის სალტედ შემოდებული ბოღმისა, მარჯვენა თვალი დაახამხამა. ერთხანს უცქირა ჭიქაში გიშერივით მოლაპლაპე სითხეს და მერე მასპინძელს მიაჩერდა.

– კახი ვარ, – ლევან ჯანაშვილი.

– ლევანი?

– არა, ლევანა.

– სულერთია, ორივე ლომს ნიშნავს. მეცა მყავს უფროსი შვილი, – ლევანი.

– ღმერთმა შეგარჩინოთ, თქვენზე არანაკლებ სახელიანად ატაროს ქვეყნად, მაგრამ, არა მგონია, მეორე ვაჟა-ფშაველა კიდევ გაიმეტოს ქართველთა ბედ-იღბლის დასატირად თუ გასამხნევებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კარგად ლაპარაკობ. არც შენა ჩანხარ უბრალო ვინმე.

- მართალია. ჩემი სადგურიდან იმათ სადგურამდის, მგზავრებისთვის გადებული ხიდი ვარ.

- არ არი ცუდი ხელობა, მაგრამ კარგისთვის რო ხიდად გაიდები, უხეიროც ზედ გადაგივლის.

- რა უყოთ. მე რა გამგე ვარ მაგისა? „ბოლოდ შეჰყარა მიწამან ერთად მოყმე და მხცოვანი...“

- ეტყობ, წიგნთანაც არ უნდა იყო უკაცრავად.

- იმდენი მაინც ვიცი: ცა იგრე მაღალია, ხელით ვერ შესწვდები; მიწა იმსისქეა, ბოლომდის ვერ გაჰხვრეტ.

- ჩემი რა გაქვს წაკითხული?

- ყველაფერი, გარდა დაუწერლებისა.

- ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები...

- ყველაფერი, ყველაფერი.

- გიცქერ და მგონია, იმ ფრანგთაგანი ვარ, რომელიც ხევის მთებში მეცხვარე ყაზბეგის ფრანგულს ისმენდა.

- ეგ ჩემთვის უდიდესი პატივია, ბატონო ვაჟავ, მაგრამ უფრო დიდ პატივს დამდებთ, თუ ითამადებთ.

- ორ კაცში თამადობა არ მოდის. წეღან მრგვალი მაგიდა ტყუილად არ მიხსენებია. რიგრიგობით ვთქოთ სადღეგრძელო.

- მაშ, ბრძანეთ. ბარშიაც გახლავთ შემორჩენილი უფროსებისადმი რიდი და კრძალვა.

- ეს ჩვენი შახვედრისა იყოს, ბარელო. ნათქომია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. გაქცევა ყოველთვის სიმხდალეს არ ნიშნავს. ზოგჯერ კი, თუ ღღევანდელ დღეს ვიანგარიშებთ, შეიძლება, მომგებიანიც გამოდგეს.

- ეგრე იყოს. მაგრამ თუ მოგებაზე მიდგა საქმე, მე უფრო მომიგია, თუმცა არ გავქცეულვარ. პირიქით, მოთმინებით მოვიპოვე დღევანდელი მოგება.

- იყოს ეგრე. რა სჯობია, თუ ორთავე მოგებულები დავრჩებით.

სტუმარი ნელა, დაგემოვნებით შეექცეოდა ქინძმმრიან ლოქოს, ზედ მწვანილს აყოლებდა და დროდადრო მაღლა იკეცავდა ჩოხის სახელოს. მაღალ შუბლს ნახევრად მოსდებოდა ჭაღარა ქოჩორი, სწორი ცხვირი შუა ჰყოფდა თვალთა სილამაზე-სიმახინჯეს. ოღონდ, ეს მაშინ შეიმჩნეოდა, თუ სახის ნაკვერებს ცალ-ცალკე დააკვირდებოდით. მთლიანობაში კი სანდომიან, სიღრმისეულ იდუმალებაში გადასულ სილამაზეს შენიშნავდით. ოდნავ ყვრიმალებგამოწეული, ხმელი სახე სუფთად იყო გაპარსული, ხოლო მძლავრი ნიკაპი ხანდახან ებჯინებოდა ბოლო დილამდე შეკრულ ახალუხს, რომელიც ამის გამო ყელთან ოდნავ ეკეცებოდა.

სტუმარმა მასპინძლის მზერა დაიჭირა და ჭამა შეაჩერა.

- რა ციცასავით შამამყურებ, კახო, ხო არ გგონია ბეგარას იხდი. შენც გამოჰკარ კლანჭი, თორო თავადაც დამეკარგება მადა.

მასპინძელს ნირი არ შესცვლია. სტუმარს დაკვირვებით უცქერდა და ამბობდა:

- აი, გიყურებთ, ბატონო ვაჟავ, და მიკვირს: დიდი ადამიანებიც რო ჩვეულებრივი მოკვდავებივით სვამენ და სჭამენ.

- ტყუილად გიკვირს, ჯეილო, - შადრევანი რა სიმაღლემდისაც არ უნდა ავიდეს, ბოლოს მაინც უნდა მაიხაროს. შენ ამ ყურებაში ამ ლოქოს გამათავებინებ და შენ ცარიელი დამრჩები.

მწვადი შემოიტანეს და კუპე მადის აღმძვრელი სუნით გაავსეს. მასპინძელმა შამფურებიდან უკეთესი აარჩია და სუკი სტუმარს დაუთალა თეფშზე.

- ნამეტანსაც ნუ გამანებივრებ, ვაჟო. ე ღვინოც ძალიან მამწონს, ე ლოქოც და ე ხიმილალაც, მაგრამ, ღმერთმანი, ყველაზე მეტად შენ მამწონხარ. გიყურებ და მგონია: ჩემი დიდი წინაპარი იმედა ამდგარა საფლავიდან-მეთქი. სულ ვფიქრობ, რო შენ უნდა გვგვანებოდა.

- რა კაცი იყო?

- აბა, ჯერ ეხლა რა არი და მაშინდელი ფშაველი რა იქნებოდა? - მუდამ ცხენზე იჯდა, მუდამ იარაღასხმული, მუდამ მღევარი საქართველოს მტრებისა. მთის ყელებსა და სალეკო გადმოსასვლელებზე ქუჩ-ბალახს ერთმანეთზე გადააბამდა შეუმჩნევლად. ორ დღეში ერთხელ მაინც დაჰხედავდა. თუ სადმე გაწყვეტილს ნახავდა, ნიშნავდა, რო ლეკები გადმოსულან ფშავში. მაშინვე შაჰყრიდა ვაჟკაცებს, შაჰკრავდა მთის ყველა გადასასვლელ ყელებს. იშვიათად მამხდარა, თავიანად გაბრუნებულიყოს უკან ლეკი, ეს ის იმედაა, ერეკლე მეფეს რო ეტყოდა ხოლმე: ორი რო შენ მითხრა, მეფეო, ერთიც ჩემი გაი-

გონეო.

– დიდი მადლობა ამოდენა პატივისცემისთვის, მაგრამ, აბა, იმედას როგორ დავედრები. მე ერთი მშვიდობიანი მეეტლე ვარ, ჩემი წინაპრები კი, ალბათ, დროდადრო ხმალ-ხანჯალზედაც გაივლებდნენ ხოლმე ხელს, მაგრამ სავაზე და სახსლავი იყო იმათი მუდმივი იარაღი. იმათი გამოყვანილია ჩვენებური „ჯანაანურა“. მეც ჩემებურად ვჩხირკედელაობ ამ საქმეში და, ეს რო არა, შეიძლება, ჩვენ ვერასდროს შევხვედროდით ერთმანეთს. ჩემი საკუთარი ვენახი რო გავაშენო, ამისთვის მიწაა საჭირო. მიწის ყიდვას ფული სჭირდება და მეც ამ ფულისთვის ვარ გადმოხვეწილი ქალაქში.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ჩანს, ჩემზე უკეთესი ავანჩავანი ხარ ღვინისა, მაგრამ ერთი რამ მეც კარგადა მაქვს შენიშნული: თუ ღვინის ჭურჭელი დანაკლულდა, ან ისევ ღვინით უნდა გადაავსო, ან უნდა ბოლომდის დაპხარჯო, თორემ დაძმარება იცის.

– სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ლაპარაკში გავერთე. უნდა შემინდოთ.

– შაგინდნას უფალმა: ტკბილი სიტყვა და სურნელა ღვინო იმგვარი გასაღებია, რომელიც ყველა გულის კლიტეს ერგება.

მასპინძელმა სავსე ჭიქა ასწია.

– ბატონო ვაჟავ, ბალღმაც იცის, რო გასაღები კლიტეზე ძლიერია. კარგი ღვინო და ტბილი საუბარი კი დროს შეუმჩნევლად ამოკლებს. მოდით, ამ გახსენებაზე, ჩვენი დიდი წინაპრები მოვიგონოთ, რომელთაც დღევანდელი საქართველო ავად თუ კარგად თავიანთი მშიერი კბილებით, შიშველი ფეხებითა და შიშველი ხმლით ჩვენამდე მოიტანეს! – ჩვენ რაც შეგვეძლო, არაფერი დაგვიკლია მცდელობისათვის, ეხლა თქვენთვის ჩაგვიბარებია და, აბა, თქვენ იცით, სასიკვდილოდ თუ არ გასწირავთო... „დედა-შვილობას, ნუ სჩივი, ღმერთმა აცხონოს გმირები, რომ არ წაიღეს საფლავში ლაფით მოსვრილი პირები...“ იმ პიროფლიანთა სადღეგრძელო იყოს, ვისზედაც წყალობა მოიღო უფალმა და პირნათელნი მიუვიდნენ თავიანთ მამა-პაპას „ამოღებულის ხანჯრითა“.

ვაჟა იჯდა და ხმას არ იღებდა. წარბთაშუა შეყრილი ორი ნაოჭი უფრო ჩაღრმავებოდა, ჩამოხაფრული წარბები კიდევ უფრო ჩამოპხაფროდა, ჭაღარა ულვაშები მძიმედ დასწოლოდნენ მტკიცედ მოკუმულ ტუჩებს, ხოლ ჩამოხეულიცა და საღად მაცქერალი თვალიც ერთად ჩასციებოდნენ შავად გალიპლიპებულ ჭიქას. დიდხანს იჯდა ასე სტუმარი. იჯდა და დუმდა.

იცდიდა მასპინძელიც. თავადაც ჩუმად იჯდა და იცდიდა. ბოლოს, როცა იმაზე მეტხანს გაგრძელდა ლოდინი, ვიდრე ამ სადღეგრძელოს ეკუთვნოდა, ეჭვი შეეპარა: „ჩემს ნათქვამში ისეთი რამ ხომ არ გაკრთა, რომელიც სტუმარს უნდა სწყენოდა“. ცდილობდა, სახეზე არა დაეშჩნია-რა, გარნა გულში შეშფოდება ისადგურებდა.

სტუმარმა ბოლოს თავი ურჩი ხარივით გაიქნია, თითქოს აბეზარ ბუზანკალს იგერიებსო და მასპინძელს შეაცქერდა.

საღ თვალს კიდევ რამენაირად აიტანდა კაცი, მაგრამ ის მეორე, ღაწვისთავამდე ჩამოხეულ-დაწყლულებული თვალი, გულს იქით ატანდა და სულს უბურღავდა.

– მაინც დამასწარ, ბალღო... ეგ ჩემი სადღეგრძელო იყო ყოველთვის. – კაი ყმის სადღეგრძელო... მე დიდ პატივსა ვცემ ჩინელებს. მარტო იმიტომ კი არა, რო ქაღალდი, თოფის წამალი ან კომპასი გამოიგონეს, იმიტომაც, რო პოეზიაც დიდი ჰქონდათ და ფილოსოფიაც. იმათი სიბრძნის წყაროდან მე ერთი მამწონს ძალიან: „თუ არ იტანჯე, ბუდად ვერ იქცევიო“ უფალმა ჩვენმა, ჩვენ, ქართველებს, ან იმიტომ მოგვკერძა სატანჯველი, რო ბოლოს სამოთხის კარი გაგვიღოს, ან სატანის პირში გვიპირებს ჩაყრასა და წინასწარ გვამზადებს ჯოჯოხეთისთვის. მთელი ჩვენი ისტორია ერთმანეთის აუტანლობის, გაუტანლობის, გულგრილობის, შურისა და ღალატის ისტორიაა... მაგალითად ისიც ვვეყოფა, სვეტიცხოვლის ამშენებელზე რა ლექსიც არი ხალხში დარჩენილი. ვინც საქართველოსთვის კაცობის გვირგვინის დადგმას მოინდომებს, ეგრე თუ ყველას მკლავი მოვჭერით, წინ როგორ წავალთ? ხოლო თუ წინ არ წავედით, უკან არავინ გამოგვყვება! – ჩვენ თავათ მოგვიწევს სხვათა უკან ჩანჩალი! წინ არ წახვალ და – ხელში უჭირავს ერს სიკვდილი!.. ჩვენი მოდგმა დასაბამითვე დაუწყევლია განგებას: ერთი პირი ნუმცა ჰქონიათ ქართველთაო! თითქმის ყოველ ქართველში პაწაწკინტელა ბელადი ზის და ყოველი ჩვენგანი გაიძახის: უჩემოდ ვინ იმღერეთაო. და ყოველ სააკაძეს პანღურით ვაგდებთ საქართველოდან. იცი თუ არა, ჯეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო, რო მთელი ქართველობა თავის არსებობას, ამ რვაასი წლის მანძილზე, ყველაზე უფრო მეტად ორ კაცს უნდა უმადლოდეს? - ერთია დავით აღმაშენებელი, რომელმაც შექმნა საქართველო და მეორე - გიორგი სააკაძე, - რომელმაც ეს შექმნილი გადაარჩინა!.. ჩვენ კი მოვმდგარვართ და, ეს მერამდენე ასწლეულია რაც გავყვირით: როგორ შეიძლება შავ ქათამს კვერცხიც შავი არა ჰქონდესო?.. არ მოგვდგამს კარგი შავიფეროთ. შორს რად გვინდა წასვლა, განა გუშინ არ იყო, ილიას, რომელიც მთელი სიცოცხლე ქართველთა თვალის ახელას ცდილობდა, თავად ჩვენ სამუდამოდ დავუხუჭეთ თვალი? ჩვენივე ხელით გამოვასალმეთ წუთისოფელს ჩვენი მამა და პატრონი. მამულის დარაჯად ძილდაუძინებლად მდგარი მარადჟამს. გამწარებულმა აკაკიმ ტყუილად არა თქო: „ფურთხის ღირსი ხარ შენ - საქართველო!..“ დავხლეჩილვართ რაღაც პარტია-პურტიებად, ეშმაკეულ ჯგუფებად თუ ხროვებად და ყოველი მათგანი თავის ახრჩოლებულ ბუხარს უბერავს სულსა. ვინ მისცა პატარა ერს ეგეთი ფუფუნების უფლება? ჩვენ, როცა ერთად ვიყავით, ყოველთვის შეგვეძლო თავის დაცვა. ჩვენი გადათელვა მხოლოდ ჩინგიზ ხანის ნაშიერთ შეეძლოთ და აკი გადაგვთელეს კიდეც. მოდი, ამას ლაშა გიორგის მექალთანეობას, ლოთობასა და სამხედრო საქმეში უნიჭობას ნუ დავაბრალებთ. მონღოლებმა ისეთი ქვეყნები მილეწ-მოლეწეს, მაშინდელ ევროპას ლამის ნიმუშებად რო მიაჩნდა ვაჟკაცობასა და სამხედრო საქმეში... მაგრამ საცდელი კაცმა ბოლომდის უნდა ეცადოს. ჩვენ არ უნდა ავყოლოდით ამპარტავნობას და უარი არ უნდა გვეთქო ჯალალედინის ჭკვიანურ შემონათვალზე. გარნისის ომი რომ არა, ვინ იცის, ქართველთა და ხვარაზმელთა გაერთიანებულ ლაშქარს სასწაულიც კი მოეხდინა. აი, ეს გაუზომავ-აუწონავი ამპარტავნობაც ნიადაგ ჭირად გვაზის კისერზე. ამპარტავნობა და შური ჩვენზე უკეთესისადმი. გარნისის ომიც ამ შურმა წაგვაგებინა. შურმა და უდარდელობამ. უდარდელობამა და თავის ძალებში ზომაზე მეტად დარწმუნებულობამ. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ჭიანჭველა რო დაგემტეროს, სპილოდ უნდა ჩასთვალო და სასპილოოდ გაემზადო. მაგრამ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს შენი მტერი, შიში არ უნდა აჩვენო. მტრის დაშინებული კაცი მტრის თანამდგომი და იმისი მოკავშირეა. ყოველთვის უნდა გახსოვდეს“: პირი რო სისხლითა გქონდეს სავსე, მტრის წინაშე არ უნდა გამოაფურთხო... ბევრი რამ გვავნო აეგეთმა დაუდევრობამ. რუსთა ხელში მოქცევამ ხო ერთბაშად მოგვიღო ბოლო. იმათმა ცრუ დაპირებებმა, ომში ღალატმა და უდიდესი გასაჭირის ჟამს მარტოდ მიტოვებამ მოგვითავა ხელი. იცი თუ არა, ჯეილო, რო აღა-მაჰმად ხანი ჩვენს წინააღმდეგ რუსებმა წააქეზეს, რათა სპარსელებთან ომში ერეკლე დაესუსტებინათ და მერე ის ჩაედინათ, რაც ჩაიდინეს? იცი, რო მაშინ, როცა თბილისი იწვოდა, უჯარმაში მდგარი რუსის ერთი პოლკი - ოთხი ათასი კაცი, - მთელი ოთხი ათასი რუსის ჯარისკაცი! მაღალ-გორაზე იდგა და იქიდან უცქერდა ღონინჯშემოყრილი თბილისის ხანძარს?!. და არც ერთი კოჭლი ტირტეოც კი არ გამოუგზავნიათ დასახმარებლად! და, როცა ეგეთი გაუგონარი ღალატით ქანცი გაგვაცალა, მოვიდა ერთმორწმუნე, წაქცეული უფრო მაგრად დაგვბუბნა, მოგვისპო სახელმწიფო და მამული ხელიდან წაგვგლიტა. თან მამობრივი რუდუნებით ჩაგვძახოდა: „თქვენ არაფერზე ინაღვლოთ, კაი დრო ატარეთ, დაცვით კი ჩვენ დაგიცავთ და ჩინ-მენდლებსაც არ მოგაკლებთ“. და იმდენი ქნა, ქართველთა ღვრიტა, - თავადაზნაურობა, რომელიც ქვეყნის სამხედრო ძალას წარმოადგენდა, ნაწილი სხვათა ქვეყნების მოსათელად თავის სამსახურში გაამწესა; ნაწილი, ლუარსაბ თათქარიძესავით მძორათა და ცოცხალ ლეშად აქცია. დაგვრია ხელი სიზარმაცემაც და დაგვავიწყდა, რო, ღამით თუ არ წავედით, დილით მიზანთან ვერ მივალთ... აი, ეგრე, - რაზედაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ბოლოს წინ მაინც ისევ ილია აგვესვეტება. მთელი თავისის სიცოცხლე გზის მამალივით მუდამ საქართველოს მეწინავე ურემზე რო იჯდა და თავისი მძლავრი ხმით გვაფხიზლებდა: შერცხვენილი სახელი საკუთარი საფლავის ქვაზე მძიმეაო; დღეის პური ხვალისთვის გადასდე, მაგრამ დღეის საქმეს კი ხვალისთვის ნუ გადასდებო... ცხონებული ალექსანდრე ყაზბეგის მწყემსად ყოფნა რო გაიგო, აიკვიატა: „ თუ გინდა შვილი კაცად აქციო, მწყემსებს მიაბარე აღსაზრდელად“. კარგა ხნის მერე კი, არ ვიცი, რაღათ, ეს დაამატა: „მაგრამ იქიდან მანამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიყვანე, სანამ თავადაც პირუტყვად გადაიქცევა...“ ჰაი დედასა, – რა კაცი გავწირეთ! – იჯდა ვაჟა, ჩაშტერებით ჩაჰყურებდა შავად მოლაპლაპე სასმისს, თითქოს სუფრაზე კი არა, იქ, ჭიქის ძირში უზის მსმენელი და მასთან საუბრით იკლავს ლაპარაკის ჟინსო. თითქოს ღვინოც დავიწყებოდა, სუფრაც და სუფრასთან მჯდომიც. ეს ან ნათქვამმა სადღეგრძელომ გაუღელა იარადქცეული ჭრილობა, ან საკმაოდ მოასწრო იმ სარდაფში შესმა, საიდანაც გამძვინვარებული ამოვარდა, ანდა ისეთი რამ მოისმინა იმ სუფრაზე, რომლის გახსენებამაც მთლად დაუკარგა სმის ხალისი.

მასპინძელი ვერაფრით წარმოიდგენდა მომჩივან ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ერთბაშად გაახსენდა ლევან გოგოჭურის მონაყოლი შემთხვევა, როცა რაღაცაზე ნაწყენი ვაჟა თოფით გამოეკიდა მოსაკლავად თავის თანასოფლელს. მაშინ მთელი ჩარგალი დაედევნა უკან და სადღაც ხევში წამოეწია... უპატრონოდ მიშვებული, შეკაზმული ცხენი მოშორებით სძოვდა ბალახს, თოფი ბუერებში ეგდო, ხოლო თვითონ, კლდეზე დაკიდებული ჩანჩქერის ძირში ორთავ მუხლზე ჩაჩოქილი, ერთი არშინის სიმაღლეზე ორად გაყოფილი ნაკადის შუა კლდეზე ამოსულ პაწაწკინტელა ცისფერ ყვავილს ვეება ხელებს რიგრიგობით უსვამდა თავზე სიფრთხილით და თან საოცარი სიყვარულით ეჩურჩულებოდა რაღაცას ნაზად. მას აღარც ვინმეს წყენინება ახსოვდა, აღარც ის, აქ საიდან და რატომ გაჩნდა, არც ხალხის გუგუნი და უეცრად შეწყვეტილი შეძახილები გაუგია, არც ის, თანდათან როგორ შემოადგნენ გარს ჯარად მეზობლები და თანასოფლელნი. იდგა ხატის წინ ორთავ მუხლზე დაცემული მწირივით და ის მთლად ბუნებაში იყო გაქნილ-გათქვეფილი, ბუნება მასში... უცებ თავი ასწია, თვალი გარშემო მოატარა. მის ნამთევ, იმ წყლით გალოკილ კლდესავით გარუჯულ სახეს ისეთი წმინდა, ღვთიური ნათელი გადასდიოდა, თითქოს მისი გონება თანდათან გამოდის ბიბლიური ხილვებიდანო. ყველას ენით უთქმელი სიყვარულით, უმანკო ბალღის ღიმილით გაუღიმა და ყვავილი აჩვენა: „ერთი უყურეთ, ხალხო, ერთი უყურეთ, სიცოცხლეს სად გაუხარნია, სად აღმოცენებულა, სად მიუგნია თავისი წილი მიწის, მზის, წყლისა და ჰაერისათვის! ნახეთ რა ყინჩად აუღერნია ყელი და რა სიხარულით გადაჰყურებს სამყაროს! აქ არც დიდი ჭანდარი ჰფარავს, არც ქარ-წვიმა ჯმუჯნის და ასველებს, არც სიცივე აზრობს და ვერც კაცი გასთელავს... აი, ეს არი სრული ნეტარება და სიცოცხლის სიყვარულით სრული ტკბობა, რომელიც ჩვენ-კაცთ, ეგრე გვაკლია!..“ და, გვიან, სულ გვიან, მარჯვენა ხელის ცერით, თითქმის მალვით მოიწმინდა სად თვალზე დაკიდებული ერთადერთი ცრემლი...

სტუმარმა ბოლოს ჭიქიდან თავი ასწია, მასპინძელს დაკვირვებით ჩაჰხედა თვალებში და, თითქოს ბოდიშობსო, მშვიდად თქვა:

– აი, ისევ ბუს ავედევნე. ბუს მაძევარი კი ბოლოს ნანგრევებთან უნდა მივიდეს. ჩვენი კაცობის, ჩვენი ეროვნულობის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნანგრევებთან. მაგრამ არ იფიქრო, ჯეილო, – აქ სტუმრის ხმაში კვლავ ფოლადმა გაიჟღრიალა, – არ იფიქრო, რო ვაჟა-ფშაველაც იმ ცანცარა, იმ ცვედან, იმ დაკოდილ ინტელიგენციას ეკუთვნის, რომელი ინტელიგენციაც არც იგრე დიდი ხნის წინ დატოვა „ქოსების სარდაფში...“ მე მინახავს სიცოცხლე შიშველ კლდეებზეც, ისიც ვიცი, მზე ხანდახან თაგვის სოროშიაც რო შეიხედავს, მე მჯერა, ნაძარცვით აშენებული სახლი რო წყევლით დაიქცევა, მაგრამ ყველაზე მეტად ის ვიცი, რო გულხელდაკრეფილი კაცის თავზე სახელი და დიდება არ ეცემა... სტირიან და ტირილიც კი წესიერი არ შეუძლიანთ. საცოდავად წუწუნ-ფშლუკუნებენ. ჰაი დედასა, ქამალაღუელო! თუ სტირი, ისრე იტირე, ბრმასაც კი ცრემლები წამოსცვივდეს!.. ამ არაგვისპირელს რაღა დაემართა? მე ზოგიერთი მაგისი ნაკალმარი მამწონდა კიდეც. მწერალი ერის ფარ-ხმალი უნდა იყოს. მისი გზის მანათობელი ლამპარი. ლამპრიანი კი მუდამ წინ უნდა მიდიოდეს. რა აქვს სახალხო მწერალს ბანკის ვირთაგვებთან საერთო? ვის გაუგია ჩვენებრ პატარა ერის მწერლის პესიმიზმი? მაგათთან ერთად როგორ დავჯდები, მაგათთან ერთად როგორღა გავტეხ პურსა?..

და ლევანა უმალ მიჰხვდა, რა ბოღმამაც ამოაგდო ეს ცალთვალა ლომი სარდაფიდან.

– არაფერია, ბატონო ვაჟავ, ყველა მწერალი ილია, აკაკი და ვაჟა როგორ იქნება? მართალია, რკინაც და ფოლადიც ერთი ქურიდან გამოდის, მაგრამ ერთიდან ნიადაგ

მახვილი იჭედება, მეორისგან – ჯორის ნალი. რა თქვენი საკადრისია კაცუნებზე განაწყენება?

სტუმრის თვალებში გაოცება ჩადგა.

– ე რა კარგ რამე სთქვი, ძმისწულო! ჰაი, ეგ ცოცხალი მიცვალებულები! მაგათ ჰგონიათ, რო სულ ამ დღეში ვიქნებით, ცხრაას ხუთი-ექვსი წლის თავში ჩაკერას რო მოჰყვა. რამდენჯერ ამაზე მეტიც უგემნია ქართველს, მაგრამ იმისი კვნესა-წუწუნი ვინ გაიგონა? ეხლა კი კატასავით ერთი წუთით ქოთანში ჩაყვეს თავი და ლამის შიშით გულები დაიხეთქონ: დახეთ, მთელი ქვეყანა წყვდიადში როგორ ჩაიძირაო!.. არა, მე მაგათთან სუფრაზე როგორღა დავჯდები! – და სავსე ჭიქა ერთ ყლუპად გამოცალა.

– ბატონო ვაჟავ, მინდა ერთი რამ გკითხოთ ამ ცხრაას ხუთ წელზე და თან ვფიქრობ, უხერხული ხო არ იქნება-მეთქი.

– შენ ე ღვინო დაასხი, სანამ დაძმარდება და მემრე, თუ გინდა, საუხერხულოცა მკითხე.

ლევანამ ღვინო დაასხა და ოფიციანტი მოიხმო.

– ეხლა წესს ნუ დავარღვევთ მთისასა. – თქვენი ჯერია სადღეგრძელოსი, – და შემოსულ ოფიციანტს ქინძმრიანი ლოქო კვლავაც შეუკვეთა.

– არა, ლოქო აღარ, ეხლა ცოტა ხიზილალასაც მოვეფეროთ, რო არ დაგვემდუროს. – დანით მისწვდა წითელ ხიზილალას და პურს ბარაქიანად წაუსვა. ერთხანს ყურადღებით, დაგემოვნებით კბეჩდა შოთის ყუას, მერე ჭიქას მისწვდა და მასპინძელს მიაჩერდა.

– შენ რო არ შამამხვედროდი, ძმისწულო, შეიძლება ქალაქში აღარც დავმდგარიყავი. მთაში უხერხემლო ხალხს ვერსად გადაეყრები. ბეჩავსა და საწყალს იქ რა გამოჰლევს, მაგრამ მოტეხით კი აღვილ არ მოსტყდების... აქ ჩამოსულისად ილია იყო ჩემი ქოლგა და ნავთსაყუდელი... წავიდა ილია და ქალაქმაც დაჰკარგა თავისი პეწი და ანდამატობა... ჯავრი მკლავს, ძმისავ, მაუნელებელ ჯავრი მას მემრე... რად სადამ არ ვიყავ იქავ ჩემ ბერდენკაითა და რად არ შავსხლიტე შავეთისად იმ ნათელგადამაველ შუბლის დამთოფნი, სადაც საქართველოსა და ქართველი კაცის გაუზომავ-აუწონავი სიყვარული იყო შადედებულ-შაბელტებული; იმისი ენისა, მამულისა და სარწმუნოებისა... შენ, ბალღო, წეღან გმირები ახსენე. ძალიანაც მამხვდა გ'ულზე, მაგრამ ის გმირები ფარ-ხმლის გმ'ირები იყვნენ უმეტეს. ილიამ კი კალამი ხმალს გაუთანაბრა და ხმალზე არანაკლებ აგელავებდა, სანამ მოულოდნელად გადაეყრებოდა ჩასაფრებულ სიკვდილს... იმის სახსოვრად, მინდა, მწერალი იმ გმირებს გავუთანაბრო, ვინც არ წაიღეს საფლავში ლაფით მოსვრილი პირები. მე მგონია რუსთაველის ნათქომმა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ ან „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა“ და სხვა ამისთანებმა არანაკლები სიკეთე დასდო ერს და ქვეყანას ფარ-ხმლის მომხმარებლებზე... მე მჯერა, რო ყოველი ქართველი დიდი მწერალი, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ფარ-ხმლის დიდი მამხმარეც იყო. ამ ცხრაას ხუთში განა ილიამ არ შეუთვალა მთავარმართებელს: თუ გურიიდან ალიხანოვს არ გამოიყვან, ჯარს მოვკრებ, ჩავალ და ქართველების იქ დაღვრილ სისხლს არ შეგარჩენთო? – ჰაი დედასა! განა ათასჯერ არ შაჰფეროდა, ხელში ხმლის ნატეხმარჩენილი იქ აეჩეხნათ თავის მოძმისად მიმხმარებელი, ვიდრე წიწამურთან წუწკი თულებივით ჩამსხდრებს მოეკლათ იგრე მურდლად?!. და მეც იმასთან ერთად ვყოფილიყავი ტყვიადაკრული!..

– მე ვიცი, ბატონო ვაჟავ, რო თქვენ მაშინ ფშავ-ხევსურეთიდან ორასი კაცი მზად გყავდათ იარაღში ჩამჯდარი. ორმოცდაათი ფშაველ-ხევსური ლევან გოგოჭურს უნდა გამოეყვანა სეროდნიდან, კობაძედან, სალებლიდან, თეთრ-წყლებიდან, ვერონადან, გომბორიდან, ასკილაურიდან და რუსიანიდან. უჯარმის თავზე უნდა გადმოსულიყვნენ, მცხეთაში შეგერთებოდნენ და იქიდან გურიაში ჩასულიყავით კაზაკებთან საომრად.

– შენ საიდან იცნობ გოგოჭურს, ბალღო?

– გომბორიდან. მემრე აქაც შევხვდი, ქალაქში.

– გომბორში რა გინდოდა?

– მოჯამაგირედ ვიყავ ექიმ დანიელოვთან.

– ჰოო. – დაფიქრებით თქვა ვაჟამ, – დიდი კაცი იყო დიმიტრი, დიდი ქართველი.

– ის დანიელოვი პოლონელი იყო, – დანიელოვსკი. თუმცა მთელი ქვეყანა დანიელოვად იცნობდა.

– ვიცი. მამამისი ვარშავის აჯანყებისას ბატალიონს მეთაურობდა. რუსებმა დაიჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს და კავკასიაში, - გომბორში გადმოასახლეს. რამდენჯერმე შევხვედრივარ კახეთში ჩამოსვლისას. ირემზე სანადიროდაც ჩამოუყვანია ჩემთან, ყვარელში, კისისხეველ ბახუტაშვილს.

- ილიასთან ჩასულს?

- არა, და მყავს ყვარელში გათხოვილი. დიდი განათლებული კაცი იყო დიმიტრი. ხალხოსანი. საწყალ ხალხს სულ უფასოთა ჰმკურნალობდა.

- მე შეილივით მზრდიდნენ. იმათ მასწავლეს რუსული წერა-კითხვა.

- მჯერა, ბალღო, მჯერა. ოღონდ ეს გახსოვდეს მუდამ: კაცი, რომელიც ქართულ საქმეს აკეთებს, რომელიც სისხლ-ხორცეულად ემსახურება შენს ქვეყანას, ყოველთვის იქნება დიდი ქართველი, თუნდაც არაბთა უდაბნოდან იყოს ჰაბოსავით გადმოხვეწილი... ერთი ეს მითხარ, შენ მაგ ლევანას კარგად იცნობ? - გოგოჭურს.

- როგორც თაგვი თხილს. ეხლაც ხშირად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

- ჰოდა, ბალღო, ჩემ მაგივრად უთხროდი მაგას, იმ ჟორდანია-მორდანიებს თავ დაანებოს, თორო მაგით ვერაფერს ხეირს მოუტანს საქართველოს.

- ვეტყვი. - მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა ლევანამ.

- ეეჰ, ბარემლა კაგი იყო გურიაში ჩასვლა! - ორას ორმოცდაათი ფშაველ-ხევსური ხეირს არ დააყრიდა ალიხანოვს!.. ნეტარ კი მაცნე არ მოსულიყო და ამბავ არ ამეტანა: რუსი გამოვიდა გურიიდანო... ისიც გავიგე: იოსებ იმედაშვილს კახელების ცხენოსანი რაზმი ჩამოეყვანა საგარეჯოდან და მეფისნაცვლის სასახლის კარწინ მუქარით ჩაევლოთ საგურიოდ დაკაზმულთ... ეგრე რო, ჯეილო, ნამდვილ მწერლებსაც შაუძლიანთ თავის მამულისთვის თავის დადება...

- მაგ სამგადისამდის რატო გავლენიანმა ხალხმა არა სთხოვა მეფის ნაცვალს? წინანდალსა და თელავშიც იყო გამოსვლები. წინანდლის მებატონე, თელავის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი, - მაქს ჭავჭავაძე, ვორონცოვ-დაშკოვის ქვისლია. როცა მაზრაში კაზაკთა პლასტუნის ბატალიონი ჩამოვიდა, ჭავჭავაძემ ტელეგრამა გაუგზავნა და ის ბატალიონი უკანვე გაიწვიეს.

- რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ვორონცოვ-დაშკოვს საქართველოს ყოველ კუთხეში თითო ქვისლი ჰყოლოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მაგ მხრივ უფალმა მკაცრად დაგვსაჯა. ეგეთი აზრი ილიასაც უთხრეს, მაგრამ იცი რა უპასუხა?.- „ფოთოლმა რამდენიც არ უნდა იშრიალოს, ქარი მაინც თავისას არ მაიშლის. ძალას უნდა ძალა დაუპირისპირდეს, თორემ, როდის იყო თხოვნა-თხოვნით ღორი ბოსტნიდან გამოდიოდა?..“ ჰოდა, სანამ არ იგრძნეს, რო ძალას ძალა უპირისპირდებოდა, მანამდის სწვავდნენ და სჩეხავდნენ გურიას.

- ეს ალიხანოვ-ავარსკი საიდანღა გამოატყვრინეს?

- საიდანაც გრიგოლ ორბელიანი, - „ემირ ავარიი!..“ რუსს ვერაგობით ინგლისელებიც ვერ გაუტოლდებიან. რუსი სიკეთის დამხსომებელი არ არი. საქართველო რო არა ყოფილიყო, რუსს ვინ მიასუნინებდა სპარსეთთან ან თურქეთთან? ან, როგორ გგონია, ეგრე ადვილად ჩაიგდებდნენ შამილს ხელში, საქართველო და ქართველები რო არ ყოფილიყვნენ? გრიგოლ ორბელიანს უზარმაზარი წვლილი უდევს მაგ საქმეში. ეხლა კი დრო იხელთეს და სამაგიეროს მისაგებად ლეკი გამოგზავნეს საქართველოში! ოოო, დიდი ვერაგები არიან რუსები, - სხვათა ხელით ნაკვერჩხლის ამღებნი...

- გამოდის, ერეკლე მეფეს რო ის ხელშეკრულება არ დაედო...

- ერეკლემ სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო და არა საყმო, ბალღო! ზღვაში დასახრჩობად განწირული გველსაც კი სტაცებს კუდში ხელსა. მაგ საქმეში ლეკებსაც კარგა დიდი ცოდო ადევთ კისრად. - მკვახედ შეაწყვეტინა ვაჟამ, - გასაჭირის ჟამს მისდგნენ და ქართლ-კახეთი ფეხქვეშ გაგალეს. თავიანთი უჭკვობით და უგუნურებით თავადვე მაიშალეს თავიანთი ზურგი.

- ისტორიაც ბევრს ამბობს ლეკების დანაშაულზე, მაგრამ თქვენ ბევრად უფრო მეტსა სწერთ ქისტებზე, ვიდრე ლეკებზე.

სტუმარმა იდაყვები მაგიდას დააყრდნო, ხელები ერთმანეთს გადააწნა და ზედ შუბლი ჩამოდო.

მასპინძელი უმზერდა, გახუნებული ჩოხის სახელოებიდან როგორ იწყებოდა ის ხელები, ხმელი, ძლიერი, უხეში თითებით რომ ბოლოვდებოდა, თითებით, რომელშიც ის კალამი ეჭირა, საიდანაც განუზომელი სიმარჯვით, სიცქაფითა და დაჟინებით იასავით

ნაში, არაგვივით მბორგავი, გაზაფხულივით ლამაზი, ზაფხულივით მცხუნვარე, შემოდგომასავით მსუყე, ზამთარივით სპეტაკი და ლომივით გულშვიადი სიტყვები იბღერტებოდა სუფთა ქაღალდზე. ხოლო დახრილი, თმახშირი ჭაღარა თავი იმდენ სიბრძნეს, სილაღეს და ჯადოქმნილ სამყაროს იტევდა, მისი ვერმცნობი ვერც ერთი კაცი გულში აზრადაც არ გაივლებდა, რომ მის წინ კაცთა შორის ბუმბერაზი იჯდა: პატიოსნების, სიქველის, მამულიშვილობისა და სიმამაცის ნიმუში!.. ბოლოს აიწია ეს ჭაღარა თავი და ყველაფრის გამჭოლი ორი მჭრელი თვალი კვლავ მიბრჯნით მიაცქერდა მოსაუბრეს.

მოსაუბრეს თვალი არ მოურიდებია და წყნარად თქვა: „ქისტებსა, არხოტივნებსა შუ უდისთ სისხლის წყალია“.

– შენ მართალი ხარ, ბალღო, მე განსაკუთრებით მიყვარან ქისტები. ეს ის ხალხია, რომელთაც მარტო ქართველები კი არა, სხვებიც უნდა სცემდნენ პატივს. – უეცრად შედგა და მასპინძელს ჰკითხა: – შენ ტოლსტოი გაგიგია? რუსების მწერალი – ლევ ტოლსტოი?

– გაგებით გამიგია, მაგრამ მაგისი არა წამიკითხავს-რა. დანიელოვს კი ჰქონდა შინ მაგისი წიგნები, მაგრამ იმოდენები იყო, ერთი ჯორი ვერ აიკიდებდა. – იმას რა წამაკითხებდა. თანაც მე ლექსები მიყვარს. იმათი წაკითხვაც და მოსმენაც.

– მწერალი, რა ტომსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, როგორი დიდი ხალხის შვილიც არ უნდა იყოს, უპირველესად მართალი უნდა იყოს კაცთან და ღმერთთან. ყველა ტომის კაცს თავისი ნაღდი წილი უნდა მიუზღას. ტოლსტოის აქვს ერთი დიდი მოთხრობა, სადაც თერგს გაღმა დავლაზე გასულ ქისტებს ალყაში მოიმწყვდევენ კაზაკები. იქ სიკვდილი გარდუვალია. ეს იციან ქისტებმა და ამიტომ, რომელიმე მათგანი შიშისაგან რო არ გაიქცეს, ყოველ შემთხვევისათვის, ფეხებზე შაბმულ თასმებით გადაებმებიან ერთმანეთს... ეს მე დიდ შეურაცხყოფად მიმაჩნია ქისტებისთვის. დავლაზე ყველა წამსვლელმა კარგად იცის: სადაც დავლაა, იქ სიკვდილიც არი ჩასაფრებული. ამიტომ სადავლაოდ მუცალისა და ჯოყოლასნაირი ბიჭები მიდიან. ან, როგორ გგონია, ალუდას მუცალის ძმა წინასწარ რო არ მოეკლა, გაიქცეოდა და ძმას გასაჭირში მიატოვებდა? ან პირველი ტყვიით მუცალი რო მომკვდარიყო, საიდან ვიცით, რო იმისი ძმა არ გასწევდა მუცალობას? ვინ იცის, რო ის მუცალზე დიდი ვაჟკაცი არ იყო? უბრალოდ, არ დასცალდა, ბეჩავს, თოფამდის მიწვდომა... ისე რო, არ არი მართალი თასმებით ქისტების გადაბმა ერთმანეთზე. სხვა არა იყოს-რა, განა ქისტი ეგრე სულელია? თანაც, ვინ იცის, მერამდენედ იყვნენ დავლაზე. მოდავლე კი მარტო გულადი კი არა, ეშმაკი და ჭკვიანიც არი. ვთქოთ და ხმალზე მისულიყო საქმე, თასმით ფეხებგადაბმულებს როგორ უნდა ებრძოლნათ?.. მე რა მსაჯული ვარ ეგეთი ღვთისტოლისა, მაგრამ ამ ამბავს ვერც ლიტერატურულად და ვერც ისტორიულად სიმართლედ ვერ მივიღებ. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიტყვი: ქისტები ის ხალხია, რომელნიც სიკვდილის ჟამს იმ სამასი არაგველის ტოლფარდნი არიან, რომელთაც უკლებლად დასდეს თავი კრწანისზე! ხევსურებსა და მათ შორის მართლაც განუწყვეტლად დიოდა სისხლის წყალი, მაგრამ მიპარვით, მოტყუებით არასოდეს არ შეურყვნიათ თავიანთი სახელი. მართალია, ისინი ეცემოდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს სტაცებდნენ ცხვარსა და საქონელს, მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი ელფერით ხდებოდა, რო არსად იბღალებოდა მათი სიმამაცე და პირდაპირობა. ეს ორი ტომი, – ხევსურები და ქისტები, ის ხალხია, რომელთაც თავიაანთდა შეუცნობლად ერთმანეთის საქციელი სხვათა მისაბაძ მაგალითად აქციეს; კაცობისა და მამაცობა-რაინდობის სიქველე ხმლისა და ხანჯლის წვერით შეუშვეს ერთმანეთს ძარღვებში... შენ თუ გინახავს დანას დანაზე როგორ ლესავენ? – გინახავს. აი, ეგრე ლესავდნენ ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში გმირობისათვის, მამაცობისათვის, ძმობისათვის, სტუმარ-მასპინძლობისათვის... მათი მტრობა არასოდეს გადაზრდილა სიძულვილში. პირიქით! – ეს მუდამ იყო თავად მათთვისაც გაუცნობიერებელი, ბოლომდე გაურკვეველი ერთურთის სიყვარული, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრისას, სიტყვითა თუ იარაღით თავისებურად გამოხატავდნენ. ღმერთმა ნუ ქნას, რო ეს ორი ხალხი ერთმანეთს დაშორდეს, თორემ უქისტოდ დარჩენილი ხევსური ველარ იზამს ხევსურობას. გახარების მაგიერ დაღონდება, დაიბოლმება, უმტროდ დარჩენილი დაჰკარგავს სიფხიზლეს, დაჩლუნგდება, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაზე აულესავი დანა და საქართველოსაც მოერღვევა ჩრდილოეთის კედელი! აი, რად მიყვარან ქისტები!

– „მუცალსამც შაეწირები, მაგ მაუნათლავ გმირსაო!..“

– ღმერთმანი, ბალღო, ძალიან მიხარიან შენთან შახვედრა. დღევანდელი ჩამწარებული დღე ბევრად გამიტკბილა ამ საღამომ. ვაჟას ჩაჟამებული სახე დამწყაზრებოდა, ორთავ თვალში თანაბრად ჩასდგომოდა სითბო და ტუჩებზე ჩამობურულ ულვაშებშიც კი ღიმილის მსგავსი ჭიატობდა.

– ალუდამდის არვის უთქომს ხევსურებისთვის ის ყველაფერი, რითაც თქვენ ეხლა მეც დამაკვალიანეთ. მაგრამ ცუდად იტკიცეს ეს ხნიერთაც და ახალ-უხლებმაც.

– ეს, ალბათ, ეგრეც უნდა მამხდარიყო, რადგან ალუდამდის იმას, რაც მე მოვყევი, ხევსურებისა და ქისტებისთვისაც ტაბუ ედო. ყველამ იცოდა ეს შინაგანად, მაგრამ იგი საჯაროდ უთქმელი უნდა დარჩენილიყო. მე მჯერა, რო, თუ ქისტებს თავიანთი მთების დატოვება როდისმე უწერიათ, მაშინ აღარც ხევსურებს დაედგომებათ ხევსურეთს... ნამეტანი კი გაგვიჭიანურდა ეს სადღეგრძელო, ვაჟო. აბა, ერთბაშად შავსვათ ხმლისა და კალმის სადღეგრძელო.

თეფშზე დარტყმული დანის წკარუნზე ოფიციანტი შემოვიდა.

– ეს ხელადა შრება, ახალი, სველი ხელადა მოვიდეს. ბოზბაში თუ გაქვთ?

– ემ მინუტას მოგართმევთ.

– არა. – თქვა ვაჟამ, – აღარაფერია საჭირო.

– ცხონებულ ლუარსაბს კი ძალიან უყვარდა.

– იქამც იყოს, სადაც უყვარდა. ხინკალ მირჩევნავ ბოზბაშსა, ზედიზედ შავსჭამ ორ ჯამსა.

– ეხლავე მოვა ხინკალი, შამაამტერიოს წინ კარი.

– ა ბეჩავ, ბარელო, შენაც გცოდნია ლექსის მარილი! – თქვა ვაჟამ და ჭიქა ჭიქას მიუჭახუნა. – არ მიყვარს მიჭახუნება, – ქართული არ არი, მაგრამ დღეს გადავუხვევ ამ წესს... ლექსებსა სწერ?

– არა, ვკითხულობ. ვაჟა-ფშაველა მწამს ყველაზე დიდ პოეტად ცოცხლებში.

ვაჟამ ჭიქა დადგა.

– ილიაზე გეპატიება, – ცოცხლებში აღარ არი, მაგრამ აკაკი?.. აკაკი ჯერ კიდევ მაგარ ჯანზეა.

– ღმერთმა კიდევ უფრო დიდი ჯანი მისცეს, ბატონო ვაჟავ, მაგრამ მე აქ ვარანცოვდაშკოვივით ხარისხებსა და ჩინ-მენდლებს კი არ ვარიგებ, ჩემს ჭიასა ვკლავ. აბა, მე რა გამეგება შაირობისა? ეს თქვენი, – მწერლების საქმეა. მე ერთი უბირი გლეხკაცი ვარ, სადღაც ჯანაანიდან ქალაქს სამოვარზე გადმოვარდნილი. ჩვენი მუზიკა პაზირას ჭიანური და იმისი ჰანგებია; საქეიფოდ ორთაჭალის ბაღები; სიმღერებიდან გივიშვილისა და სკანდარნოვას ლექსები.

დიდხანს იჯდა ვაჟა დაფიქრებული. მერე იკითხა:

– რა მოგწონს მაგ პოეტებისა?

– მიამიტი, ხალასი გული და ალალი სიტყვა.

– ეგ პოეზიის საზომად არ ივარგებს: რომელი სიმღერა გიყვარს მაინც?

ლევანამ ვეება მუშტები მაგიდაზე აქეთიქით დააწყო, სკამს ზურგით გადააწვა, სტუმარს ღიმილიანი თვალით მიაჩერდა და ბაიათის ხმაზე ეშხიანად წაიღიღინა:

*ქვეყანა ჩალად არა ღირს,*
*სიცოცხლე ძალად არა ღირს,*
*გინდ გქონდეს ქვეყნის სიმდიდრე, –*
*ერთ ლამაზ ქალად არა ღირს!*

ვაჟამ თავი მძიმედ ასწია და მასპინძელს დაღრუბლული მიაჩერდა. მის მზერაში ერთბაშად გამქრალიყო წეღანდელი სითბო და ხალისი.

– ეგ, ჯეილო, შეიძლება ჰანგად ყურისად საამო იყოს, სისხლისად ცხელი და დროისად გასათრევ, მაგრამ გულისად უცხო, გონებისად მავნე და ქვეყნისად დამაქცევარ. ეგ კაცის სულს ქვეყნად მოსვლის არარაობით აჭუჭყიანებს, სიცოცხლის ამაოებაზე უღირღებს და კაცისა, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე ადამიანური ვალის მოხდას ლაფში ჰსვრის. რაც შეეხება ქალს, ქალი მერვე საოცრებაა დედამიწაზე. იქნებ პირველიც?.. ქალზე ძლიერი არავინ მეგულება ცისქვეშეთში, რადგან ქვეყნად ყველა კაი ყმა დედაკაცის გაჩენილია. და თავად დედაკაცია ქვეყნის სიმდიდრე, რადგან შეუძლიან კაცის აშენებაც და იმისი დაქცევაც. ღმერთისაგან ნაშენი კერა შეიძლება გაცამტვერდეს, მაგრამ ქალისგან ნაშენს თავად ეშმაკიც ვერას დააკლებს! ქალში არამარტო ღვთაებრივი, ეშმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეულიც დიდი არშინით იზომება. ქალს სხვანაირად უნდა მღერა, სულ სხვანაირად. აი, იგრე, როგორც საქართველოს ყველაზე დიდი ჭირისუფალი, - ილია უმღეროდა. ჯერ კიდევ ბალღი ხარ, ჯეილო. მე არ მინდა მხიარულება მოგიშალო. თავის დროზე და თავის ადგილას არც ვაჟას უთქომს უარი ლამაზ ქალზე, მაგრამ გარეგნული სილამაზე ათი-ხუთმეტი, ჰა-და-ჰა, ოცი წელია. ქალის ნამდვილი მშვენება იმისი ზნეობრივი და სულიერი ღირსებებია! აი, ამაზე უნდა ითქოს დღეს საქართველოში, არამარტო ჩუმი, ტკბილი ხმით, - იქნებ უფრო მწარედ და ბღავილითაც!..

დიდხანს იყო სუფრაზე სიჩუმე. მერე მასპინძელმა მკერდზე ქულაჯა გადაიღეღა, გულხელი დაიკრიბა, თავი ჩაჰკიდა და მძიმედ თქვა:

- ეს მართლაც ჩემი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გონების ნაყოფი უნდა იყოს, ბატონო ვაჟავ. არ უნდა დამვიწყებოდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“. მაგრამ ეგეთი რამე, ეტყობა, სახადივით არი და ჯეილობამ უნდა მოიხადოს.

- და, რაც უფრო მალე მოიხდის ამას ქართველობა, მით უფრო ადრე წაადგება საქვეყნო საქმეს. ამან გადააგვარა ჩვენი თავადაზნაურობის საკმარისი ნაწილი, - უმიზნო დროსტარებამ და ქალის კაბის ღლიცინმა.

ლევანამ კვლავ ასწია ჭიქა, სახე კვლავ გაინათა და სტუმარს უთხრა:

- თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო ვაჟავ, - სადაც ბედაურებითა ვაჭრობენ, იქ სახედრებს რა ხელი აქვთ? რუსთაველმა ტყუილად კი არა თქო: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქო ერთი-ორი“. რა თქვენთან სასაუბროა ბაზრის ბიჭების იწილ-ბიწილო?.. მე რო პირველად „ბახტრიონი“ წავიკითხე, სანამ ბოლოში გავიდოდი, ზღვად ვცურავდი ნეტარებისა და წვერი ხელთ მეპყრა კალთისა... ძაან გულმაგარი კაცი ვარ, მაგრამ, იმ ადგილას რო მივედი,

*- საკაცით ვინღა მოგაქვისთ,*
*ნაბადში შახვეულები?*
*- კვირიაი და ლელაი,*
*ჩვენთვის სისხლდათხეულები.*
*ღმერთმა აცხონოს ესენი!*
*ამათ გაგვიღეს კარები!*
*რო შავიჭრენით შიგნითა,*
*ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.*

განსაკუთრებით კი, როცა კითხულობენ:

*- ვის მიულოცოთ სახელი,*
*ვინა ხართ სახელიანი?*
*- პირველი ობოლ-კვირია,*
*სახე აქვს ნათელიანი,*
*მეორე - ლელა ბაჩლელი,*
*ქალი ხელ-ფარტენიანიო,*

ძმობამ, ცრემლმა გადმოჟონა ლაწვებზე... მამა რო მომიკვდა, ცხრა წლისა ვიყავი. ძალიან მიყვარდა მამაჩემი, მაგრამ არა და არ მომეკარა ცრემლი არსაით. ხალხისა მრცხვენოდა და ჩუმათ ნერწყვს ვისვამდი თვალზე... „ბახტრიონის“ კითხვისას კი ლამის ულვაშის ბოლომდის უწევდა ცრემლი... აი, მოდი, იმ ცრემლს გაუმარჯოს, რომელიც თავისი პატრონის უკითხავად დაცემულა ნამდვილი პოეზიის საკურთხეველზე!

იჯდა თავჩაღუნული ვაჟა და დუმდა. დიდხანს იჯდა ეგრე. მერე, როცა თავი აიღო, ერთხანს კვლავ მდუმარედ უმზირა მასპინძელს. ბოლოს სიხარული ველარ დამალა და ლექსად გადმოღვარა:

*კარგი გყოლია გამზრდელი,*
*ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარია,*
*ას წელსმც გეხმაროს მარჯვენა,*
*როგორაც მოგიხმარია.*
*მკლავზე გეწვინოს პირიმზე,*
*მუქურ-მასკვლავა ქალია,*
*ცხრა ვაჟ მაგეცეს უფლითა,*
*თითოი ლომთა დარია,*
*ქალ მოგცეს - დამტირებელი*
*ლელაის დანამგვანია,*
*ცხენი გყოლოდეს საფერხე,*
*- ფეხებს უბანდეს ქარია.*
*ას წელსა ჰქუხდე მტრის წინა,*
*როგორაც თერგი დარიალს.*
*გარჯილსა საქართველოსთვის*
*წინ მიგიძღოდეს ჯვარია.*
*შენსამც სახელსამც ამკობდეს*
*მაღლა მთა, დაბლა ბარია.*
*იქ ყვავილობდნენ ყვავილნი,*
*სად რას დაატყო კვალია.*
*მიწას გაეღოს უხვ-მადლი,*
*ზეცას სამოთხის კარია.*
*შენის მტერობის მოწადე*
*ლამს და ქვიშასამც შაჰრია.*
*ამაგას გეტყვის თავის ძმა, -*
*რაზიკაული, - ხარია!*

მერე წამოიწია და ადრევე ფეხზე ამდგარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეწოდა.

*გინდ ძმად მიმიღე, ლევანო,*
*გინდა მიმიღე მამადა.*
*კაცად - კაი ყმა ჰყოფილხარ,*
*სუფრაზე მაგარ თამადა.*
*თავზე გვვიოდეს სიკეთე, -*
*ციდან წამოსულ ნამადა,*
*თაფლად შაგერგოს რაც გითხარ,*
*შენ მტერს შაერგოს შხამადა!*

გადაეხვია, გადაჰკოცნა. და, როცა დაჯდა, ერთიც გაჰხედა ქეშად და სალი თვალი ოდნავ დაავიწროვა.

- ერთი ეს მითხარ, ძმისწულო, ე ვეფხვის ტოტებ როსამ არავისად დაგიკრავს ჯერა?

ლევანას ცალყბად გაეღიმა.

- ყოფილა შემთხვევა.

- თუ ვინმეს უცემიხარ როსამ.

- ეგეც ყოფილა.

- რაის კაც იყვა ეგეთა.

- ერთი ფშაველი მოჯამაგირე ჰყავდა დანიელოვს, - დახარებული კაცი. თოთხმეტ-ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, ნაავადარი. ახალი მოხდილი მქონდა ხორველა.

- ხორველა გაქვს გადატანილი, ბალღო? რა დაგემართა, რატო არ გაერიდე.

- ვერ გავერიდე. ხაზეინის ოჯახს დაერია. ყველა მოჯამაგირე გაექცა. მელა დავრჩი იმათ პატრონ-მომვლელი, წყლის მიმწოდებელი. ბოლოს მეც წამაქცია; ექიმიც არ დაინდო. მე და იმისი ცოლ-შვილი გადავრჩით.

- ექიმის ამბავი ვიცი. ისიც ვიცი, ცოლმა რო იქაურობა გაყიდა და პეტერბურგს გადასახლდა. ძალიან გადარჩენილხარ. ეტყობა, რაღაც დიდი მადლი გაქვს დათესილი ღვთის წინაშე. - ცოლ-შვილი გყავს?

- ცოლი ამ ზამთრის პირზე შევირთე.

- ღმერთმა გაბედნიეროს, უფალმა გიშველას. ეხლა კი, როგორც ქიზიყელები იტყვიან, ისევ ჩვენ ვირზე ვილაპარაკოთ.

და შუაღამემდე ლაპარაკობდნენ...

მხოლოდ ერთხელ გავიდა გარეთ მეეტლე. ცხენებს დაჰხედა, სათიათოდ მიეფერა, თოფრები გაუსინჯა, - ქერი რომ არ გასთავებიათო და უკანვე დაბრუნდა...

შუაღამისას ვაჟამ სკამიდან აიწია.

- ეხლა კი წასვლის დროა.

- რა დროს წასვლაა, სმის ეშხში ეხლა შევდივართ.

- არა. შენ თუ შესდიხარ, მე გამოვდივარ. არა, ტყუილადა მთხოვ, რაც არ იქნების, არ იქნების. - გაბმული სმა ერთ-ერთი უწესო ჩვეულებაა, რომელიც ჩვენა გვჭირს. გათენებამდის სუფრასთან ჯდომა უსაქმურთა ხელობაა. არ მიყვარს უსაქმურობა, - უსაქმურობა ეშმაკეულ აზრებსა ჰბადებს.

- როგორც ინებებთ, ბატონო ვაჟავ. სევირამ, ჩუნქი სევმაია ლაასხან.

- ეგ რასა ჰნიშნავს?

- ქართულად ეგრე იქნება: მიყვარხარ, რადგან ფასი ვიცი სიყვარულისა.

- კარგი ნათქომია. ვისი ნათქომია?

- ალლაჰ ბილირ*.

- თათრული იცი?

- ვიცი.

- თუ სომეხთან მუშაობ, თათრული საიდან იცი?

- სომხურიც ვიცი.

- კაცმა რამდენი ენაც იცის, იმდენი კაცია.

- ალბათ, ეგრეა. მე კი ბევრი არაფერი გამეგება მაგისა.

კუპედან რო გავიდნენ, რესტორანში მხოლოდ მებუფეტე დაჰხვდათ.

მებუფეტემ ორივეს ქუდები გადმოაწოდა, დახლზე იდაყვებით დაყრდნობილმა ხელები ნიკაპს შეუყენა და შემწყნარებლურად დაუწყო ლოდინი, როდის დასტოვებდნენ მუშტრები რესტორანს.

- ჯოხი? - იკითხა მუშტარმა.

მებუფეტეს კითხვა არ გაუგონია.

- ჯოხი? - ისევ იმ ტონით იკითხა მუშტარმა.

მებუფეტეს კითხვა არც ახლა გაუგონია.

- შენ რა, ქართული არ გესმის? ჯოხი რა უყავ?

მებუფეტემ მხოლოდ ახლა შენიშნა მუშტარი.

- რა ჯოხი? - გაკვირვებული მიაჩერდა შემკითხველს.

- ჯოხი, შასანახად რო მოგაბარე.

მაღალმა, მხარბეჭიანმა მებუფეტემ ზიზღნარევი ამრეზით აჰხედ-დაჰხედა გახუნებულ ჩოხოსანს.

- რა ჯოხი, რის ჯოხი! შენ ჭკვაზე აფრაკათ ხო არა ხარ? - იდი ტი კ ჩორტუ!

- ეხლა მე შენ კარგ ჩორტს მოგცემ! - ჩოხოსანმა ელვის სისწრაფით სტაცა საყელოში ხელი და წინ ისეთი ძალით გადმ-

------

* ალაჰმა უწყის. (თათრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოიქნია, მთელი დახლი თან წამოიღო. უმალ მებუფეტე და დალეწილი ჭურჭელი ერთმანეთში აირია.

მეეტლემ თვალის დახამხამებაში ზურგი აქცია სტუმარს და ხმაურზე გამოცვივნილ მზარეულ-ოფიციანტების წინ განივრად გაიბოტა.

– აბა, რომელია ყველაზე ცნობისმოყვარე! რომელს უნდა პირველმა დაყნოსოს, რა სუნი უდის ამ დახლის იატაკს!

მათდა საბედნიეროდ, არც ერთს არ გამოუჩენია ასეთი სურვილი.

– მაპატიეთ, კნიაზ, უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, – ვერ გიცანით, ერთბაშათ ვერ გიცანით. – წრუწუნებდა მეეტლის ზურგს უკან მებუფეტე.

– ეგ ჯოხი მეც ძალიან მამწონს და იმიტომაც დამაქვს თან. რო გეთხოვენა, იქნებ მამეცა კიდეც; უფალს უთქომს: განიკითხეთ სულით გლახაკნიო. რაზე გამაცეცხლე ეს ცხვარივით კაცი? ეხლა კარგად დაიხსომე: ჯერ ძვალი უნდა გაჰზომო და მემრე გადაჰულაპო.

– ინებეთ თქვენი ჯოხი, უმორჩილესად გთხოვთ, ინებოთ და მაპატიოთ მე უგუნურს, – ერთბაშად ვერ გიცანით, კნიაზ.

ჩოხოსანმა დაუდევრად აიღო თავისი ჯოხი და მძიმე ნაბიჯით გავიდა გარეთ.

მეეტლემ იქ მყოფნი სათითაოდ ჩამოათვალიერა მოქურუხებულმა, თავი სინანულით გადაიქნია და თავადაც დასტოვა რესტორანი.

გარეთ მშვიდი ღამე იყო, უქარო და თბილი. მოწმენდილ ცაზე ზომაზე მეტი სიკაშკაშით ჭიატობდნენ ვარსკვლავები. მტკვარი ყრუდ მიირწევ-მიბუტბუტებდა კასპიისაკენ. ოდნავ წამობერილ ნიავს ვერის ბაღებიდან ახლად გადაბარული მიწისა და ნუშის ნაადრევად გაშლილი ყვავილის სურნელი მოჰქონდა. ნელად მიმავალი ფაიტვნის თვლები ჩუმად მიგორავდნენ ქვაფენილზე. ქალაქის სიმყუდროვეს მხოლოდ ცხენების მოსართავთა ეჟვნების წკარუნი და მათთან ხმაშეწყობილი ნალების ჭახუნი ისმოდა. მეეტლეცა და მისი სტუმარიც კვლავ კოფოზე ისხდნენ და უსიტყვოდ ტკბებოდნენ თბილისური შუაღამისეული მყუდროებით.

მღეთის ქუჩაზე, დაბალ ჭიშკართან შეჩერდა ფაიტონი.

– ეს არი?

– ეს არი.

მერე კვლავ დადუმდა სტუმარ-მასპინძელი. ერთხანს ისხდნენ ისევ ჩუმად და გაუნძრევლად, მერე ერთმა აიწია და ძირს ჩავიდა.

მეეტლე კოფოზე არც განძრეულა.

სიჩუმემ მცირე ხანს გასტანა.

– ერთხანად შენც ჩამახე, იმედავ.

ლევანა კოფოდან ისე ჩავიდა, სადავეები ხელიდან არ გაუშვია.

– აბა, ძმისწულო, ყველა მახვედრა გაყრის დასაწყისია. ეხლა ჩვენც უნდა გავიყარნეთ. მაგრამ გაყრამდის, მინდა, ერთი რამ განდო... ოღონდ, სანამ დაგიძახებ, მანამდის უნდა მაგრად შაინახო.

– თუ დიდი საიდუმლოა, მითხარი მაშინ, როცა დაგჭირდები.

მე შენ, იმედავ, იმ ბულბულად არ მეჩვენები, ყველას გალიაში რო გალობს.

– ეგ ეგრეც არი, ბატონო ვაჟავ, მაგრამ ერთი თათრული სიბრძნე ამბობს: საიდუმლო ორთა შორის მაშინ ინახება, როცა ერთი მათგანი ცოცხლებში არ ურევია.

– ეგრე მკაცრად ყველაფერს ნუ განსჯით, ძმისავ. მე კაცის ცნობა ადვილ არ მეშლება. რომც არა ვთქო, საქმე თითონ ამბობს. უთქმელად არა გამოვა-რა. ოღონდ კაცებია შესარჩევი შენსავით სანდო.

– ბრძანეთ, ბატონო ვაჟავ, მეც ვიცი, რო ჯდომელა კაცი კურდღელს ვერ დაიჭერს.

– შენი ძალიან მჯერა და გეტყვი... მე აჯანყების კარგი გეგმა მაქ... საქართველო უნდა გავანთავისუფლოთ მონობისაგან. როგორ და რანაირად, ამას მემრე გეტყვი. ეხლა კი დაიფიცე, რო ათ კაცს, შენსავით მაგარ და სანდოს, კახეთში შაჰკრებ და მზად გეყოლება საქართველოსთვის სიცოცხლის გასაწირად.

ლევანა კარგა ხანს დუმდა.

– თუ გული გეღარღლება, ნუ დაიფიცებ.

– არა, მაგაზე არ შევყოყმანებულვარ. მე, საერთოდ, არ ვიფიცები. ვამბობ და ვაკეთებ; უარს ვიტყვი და არ ვაკეთებ.

– თუ ვერ გააკეთებ, ნურაფერს იტყვი.

– კარგი. – თქვა კვლავ დუმილის შემდეგ, – როდისთვის გინდათ?

– შენ მაგათი ათისთავი იქნები. ჩვენ ეგეთი თავდადებულნი მალე ხუთი ათასი კაცი გვეყოლება. ხუთი ათასით შეიძლება აჯანყების დაწყება. მემრე სრულიად საქართველოც აღდგება. პირველ რიგში კი ტფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისი უნდა ავიღოთ... ნიშანი იქნება და შენ შენი კაცებით ადგილზე მოხვალ.

- ეგრე იყოს. ეგეთებს მოვრეკავ, თითო ორ-სამ კაცს უდრიდეს.

- იმ შენ ძმას განდობილი ვარ. - ორმოცდაათ კაცს მამგვრის დარჩეულებს.

- რომელ ძმას? - შეოცდა ლევანა.

- შენ სეხნას? - გოგოჭურს... მაგას უთხროდი შენა, რო იმ ჟორდან-მორდანიებს თავ დაანებოს, თორო ხეირს არ დააყრიან ისინი ქვეყანას... ეხლა, იცი, რას გეტყვი, ძმისწულო: შენ თუ თათრებისა იცი, მე არაბებისას მოგახსენებ: „ვინც თქო და გააკეთა, - კაცია; ვინც არა თქო და გააკეთა, - ლომი; ხოლოთ, ვინცა თქო და არ გააკეთა... მუტრუკი!..“ აბა, დიდი მადლობა და ღამე მშვიდობით. თუ ჩემი ნახვა მოგწადდა, აქავა მნახავ ჩემ ძმა სანდროსთან. არრა გეწყინოს ბიძაისაგან.

ხის კარმა გაიჭრიალა და ცალთვალა ლანდი კარს იქით გაუჩინარდა.

* * *

„იას უთხარით, ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო...“

ჭიამ შეჭამა თავად ამის დამწერიც...

ჭიაა ადამის ძეთა ბოლო სადგური, სადაც დაღლილ ცხენებს ეტლებში უკვე აღარავის უცვლიან...

ჭია არ არჩევს ცოდვილს და უცოდველს...

ქრისტემდე თუ ალაჰამდე მისასვლელი გზაც ჭიაზე გადის...

და, ბოლოს, ჭიაა ყველას ბატონ-პატრონი!..

აი, აჰა, ცხოვრება კაცისა!..

ცხოვრება...

ცხოვრება...

ცხოვრება...

ჭკვიანი ბალღი ჩანდა ის გოგო, ამ ხუთი - ექვსი წლის წინ რო მომიყვანეს გაზეთიდან: გინდა თუ არა, შენი ცხოვრება უნდა დავწეროო. რო ვკითხე: რაში გჭირდებათ ჩემისთანა გადაღრძუებელი ბერიკაცი-მეთქი, თქო: „ახალგაზრდობას მაგალითად უნდა ჰქონდესო... არ დამიჯერა, რო ჩემი ცხოვრება დღევანდელ ახალგაზრდობას არ გამოადგებოდა... მარტო ის კმარა ჩემს მოსათხრელ-საგინებლად, ყვავის ცოდო რო მადევს-მეთქი. როცა ვუამბე, სიცილით მოკვდა. გადმოიხარა და ყურში მითხრა: „ხალხს ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანების ცოდო ადევთ და ხელი-ხელ საგოგმანებლად ტაშის გრიალით დაჰყავთ, თქვენ ერთი ყვავისცოდომ რა უნდა გიყოთ? მოდი, ასე დავიწყოთ: მე კითხვებს დაგისვამთ და თქვენ მიპასუხებთ“. ძაან ეშმაკი ჩანდა ის მამაძაღლი! - დავიწყეთ... ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველასთან ნაცნობობამ დააინტერესა. მერე ავაწყეთ და - წავიდა და წავიდა!

*გოგო*: დიდხანს მეგობრობდით?

*ლევანა*: ოთხი წელი მაინც.

*გოგო*: ძალიან გიყვარდათ?

*ლევანა*: მთელ ჩემ ცხოვრებაში მაგაზე დიდი მაგალითი და მასწავლებელი არა მყოლია.

*გოგო*: დასაფლავებას დაესწარით?

*ლევანა*: დასაფლავება კი არა, იმისი ავადმყოფობაც არ გამიგია. მაშინ შორს ვიყავი, სარაყამიშში ვმუშაობდი. მერე ომიც დაიწყო და ახლა იმ ომმა ჩამითრია. როცა ქალაქში დავბრუნდი, მარტო წავედი იმის საფლავზე, მარტო დავჯექი იქა და მარტომ გამოვიტირე ეგრე უპატრონოდ, ეგრე უწამლოდ, ეგრე დაუფასებლად წასული იმ ქვეყნად.

*გოგო*: რატომ დაუფასებლად? ვაჟას ყოველთვის აფასებდა ქართველი ხალხი.

*ლევანა*: ეე, შვილო, თქვენ, ეხლანდელმა ბალღებმა, განა იცით, რამდენად გვიანია სიცივით მომკვდარ კაცის საფლავზე თბილი საბნის გადაფარება?.. იმ დიდი სამებიდან, ეხლა ქართველებს რო ჰყავთ საფიცრად, ვაჟა-ფშაველა ბერი ქედანივით იყო ბოლოში მოგდებული და მიტოვებული. იმიტომ კი არა, რო იმათზე ბევრად უმცროსი იყო, არამედ ბევრმა დიდი ვერაფერი გაუგო მაშინ იმის პოეტობას. ერთადერთი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც იცოდა ნამდვილი ფასი ფშაველი ბრძენ-კაცისა... მაგრამ, როცა ვაჟას ნამდვილი პატრონი და პატრონობა სჭირდებოდა, ილია აღარ იყო ცოცხლებში... ჩვენ სუფრაზე ვართ მაგრები და ერთი პირისანი. სუფრის გარეთ კი... იმ სამიდან ორი ჩვენი ხელით გამოვასალმეთ სიცოცხლეს, - ერთი ტყვიით, მეორე გულგრილობით! საწყალმა ვაჟამ, იმ სამებიდან, ყველაზე ნაკლები სხოვა თავისი წილი ბალახი. ერთს ხუთმეტი წლით ჩამორჩა, მეორეს ოცით... შენ განათლებული გოგო სჩანხარ, და ჩაჰხვდები, რა მწარე და გულდასაწყვეტია ვაჟასნაირი მწერლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგვა ერისათვის. ოცი. მთელი ოცი წელიწადი! - სიბრძნითა და ოსტატობით დაუნჯებული წელიწადი! - გაქრა... დაიკარგა... ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს დასწერდა და გააკეთებდა, თანაც როგორი ფასეულისას... ჰოი, როგორ მენანება, ის ღმერთისა და კაცისაგან მიტოვებული მარტოსული, კაცის სახედ მოვლენილი მშვენება ამ წარმავალი წუთისოფლისა. როგორცკი გავიხსენებ, პირდაპირ ძვლები მეხრუკება ხოლმე. - ვინ იცის, რა მარგალიტებს უპირებდა ქაღალდზე გადმობღერტვას. რამდენი რამ ჩაიტანა უთქმელი საფლავში! მაშ, ღმერთი რო იყოს, ის მიწაში უნდა იწვეს და მე მიწაზე?

*გოგო*: რატომ, ბაბუა, რატომ ამბობთ ასე?

*ლევანა*: თუ ღმერთი გწამთ, ბაბუა აღარ დამიძახო! - ბაბა და ბაბუ თათრებმა იციან, მე ქართულად, პაპა დამიძახე.

*გოგო*: რატომ, ბაბუა ქართული არ არის?

*ლევანა*: არ არი. მე თათრული კარგად ვიცი. - ათა-ბაბა თათრებისაა. ჩვენი კი - ქართველებისა, - მამა-პაპა. ჩემ დროს, არც ქალაქში და არც სხვაგან, ბაბუის ხსენება არ იყო. არც წიგნებში და არც ხალხში. ეს ბაბუა ეხლა შემოიღეს და ლამის ქართული პაპა სულ დაივიწყონ. იქამდის მივიდნენ, რო დასაბამიდან დაკანონებულ „თოვლის პაპას“ აძევებენ და „თოვლის ბაბუას“ ასწავლიან ბალღებს. ვინ უშლით, იმ კუთხეებში, სადაც უკვე მიეჩვივნენ „ბაბუას“, რამდენიც უნდათ, იმდენი ეძახონ, მაგრამ ეს წიგნებში, რადიოსა და ტელევიზიაში რაღააო? მაშ მე, რაკი თათრულად რაღაც-რაღაცეები ვიცი, მოვდგე და ძმას და ამხანაგს სულ „ყარდაშ“-„იოლდაში“ ვეძახო? ეგ კი არა, მე თავათ ილიასთვის ვერ მიპატიებია, „კაკო ყაჩაღში“ კაკო გაქროს რო ეუბნება: „ხოშ გელდიო“. ეს რა, ქართული დაელია ილიას? - არა! თათარს, როცა მჭირდება, თათრულად მაშინ ველაპარაკები ხოლმე...

*გოგო:* კაგი, კარგი, ბატონო ლევან, ყველაფერი გასაგებია, არ შეგეღავებით, ამის შემდეგ სულ ლევანა პაპას დაგიძახებთ.

*ლევანა*: და ძალიანაც გამახარებთ.

*გოგო*: იცით რა, ლევანა პაპავ, აი, წეღან თქვენ ღმერთის არსებობაში ეჭვი შეიტანეთ. თქვენ, ძველ ადამიანს, ამდენი რამის მომსწრეს, ამდენი რამის მნახავს, მცოდნეს და წამკითხველს ღმერთი არასოდეს გწამებიათ?

ლევანა გაჰყუჩდა. დიდხანს იყო ჩაფიქრებული, მერე ნიკაპი მიისრის-მოისრისა და გოგოს ასევე ჩაფიქრებული მიაჩერდა: ერთი საჭოჭმანო ამბავი მახსენდება. ძალიან საჭოჭმანო...

*გოგო*: ბრძანეთ, ბატონო ლევან, ბრძანეთ.

*ლევანა*: თელავის ბოლოზე, კურდღელაურის გვერდზე, ეხლა მატარებლის სადგური როა, მაშინ იქ ერთი მიკიტნის დუქნის მეტი არა იდგა-რა. ეზოში დიდი ცაცხვი აწოწილიყო, გარშემო კი ტრიამელი მინდორი ერტყა. შუაღამისას, როცა კოწია ბოქაულმა მესამედ გამიყვანა დასახვრეტად, - გავექეცი! კარგი ცხენები მება ფაიტონში და გავასწარი. ბაკში ავარდნილმა პირდაპირ ფაიტვნიდან ვისკუპე, ვეცი თავლებს! თავლებში თორმეტი კუპე იყო და თითოში ორი ცხენი იდგა. ყველა ცხენი მიცნობდა. თავიდან დავყე და ყოველ კუპეს ერთიმეორის გვერდით მიკრული ორი-ორი ფიცარი ავაგლიჯე ქვედა ლურსმნებზე, ფეხის დარტყმით. რომელ კუპეშიაც გავდიოდი, ცხენები ერთი ჩუმათ წაიფრუტუნებდნენ და, როგორც კი ჩემს სუნს იკრავდნენ, ყუჩდებოდნენ. ის იყო, ბოლო ფიცარი ავსხლიტე, რო ჩაფრებიც მოცვივდნენ.

- სად არის ამისი პატრონი? - გავიგონე ბოქაულის ხმა.

- ქალაქში გახლავთ წასული. - ჩემი ძმაკაცი, - მეეტლე წაპწია იყო.

- ბრიყვო, ამ ფაიტონის ქუჩერზე გეკითხები!

- ჰოოო, აბა, როგორ გითხრათ, მეც ამ წუთს გამოველი თავლიდან. ჩემი ცხენები დავაბი, ქერი და შვრია დავუყარე. ეხლა ბეითალთან მივდივარ. მარჯვენა, შავრა ცხენი, რაღაც ხაშმუშიანად არი. არ ვიცი, რა ჭირი დაემართა, რა მიწის მგელი გამოუვარდა. აგრე იცის ხოლმე, როცა ძალიანა გჭირდება, მაშინ უნდა აიტეხოს რაღაცა. არ ვიცი, რა უყო, რა უსაშველო. მაგის წამალი კი მეგულება, მაგრამ აბა, ამ შუაღამით პატიოსანი კაცი გარეთ როგორ გავა. მოგეხსენებათ იმ კლდე-ღრეში სიარული და იმისი ძებნა. ან სადმე გადავარდე, ან ნადირმა გაგაფუჭოს, ან სადმე ალქაჯს გადაეყარო. არადა, იგეთი კარგი ცხენია, თუ ერთი გუნება გამოუკეთდა, თუ ერთი

გაფოფინდა, თუ ერთი შაიკუნტრუშა, თუ ერთი შაყარა ტლინკები, თუ ერთი...

ბოქაულს მოთმინებამ უღალატა.

– ბრიყვო! შე ოტროველა ბრიყვო! მათრახით ამოგაძრობ სულს! ახლავე მითხარი, სად არის ლევან ჯანაშვილი!

– ჯანაშვილი? ჰოოო, ჯანაშვილი... აბა, მე რა ვიცი ჯანაშვილისა. წეღანაც მოგახსენეთ, რო მეც ეხლა გეახელით თავლი-დანაშეთქი. დიახ, თქვენ რო მობრძანდით, კაკრაზ მეც მაშინ გეახელით. იმ საწყალ ცხენთან გახლდით სწორეთ, წეღან რო მოგახსენებდით. მემრე, იგეთი კარგი ცხენი მაინც არ იყოს, ჯერ ისევ კვიცი იყო...

– მოვკლავ! მომაშორეთ ეს გიჟი აქედან! მოვკლავ! ახლავე გადაანგრიეთ აქოურობა! არაფელი დატოვოთ უნახავი! ვერსად გაიქცეოდა ასე უმალ! საცაღა არის აქანე! ასე უცებ ვერსად გაქრებოდა კაციშვილი! იპოვნეთ სასწრაფოთ და მომგვარეთ აქანა!

ეცნენ ჩაფრები მაშინვე, ალბათ, სულ არივდარიეს ყველგან ყველაფერი, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ?

– არსად არაა წასული, აქაა საცხა ჯერე! შედი, ბართლომე, და თლა გადაფოფლე თავლა-კუპეები!

ისინი რო ერთ კუპეში შედიოდნენ, მე აგლეჯილი ფიცრებით მეორე კუპეში გავდიოდი. თითქმის გათენებამდის მეძებეს! დაპყვებოდნენ თავიდან, გაეიდოდნენ ბოლოში, მემრე ბოლოდან თავში და მეც თითქმის მათთან ერთად ვმოგზაურობდი კუპედან კუპეში.

ბოლოს, ჩემმაგიერ, ერთი ცხვარი იპოვნეს და თავლიდან გარეთ გამოიყვანეს.

– ვისია ეს ცხვარი, ბიჭო?!

– ეგ იმისია, ვისაც ეძებთ. – უთხრა წაპწიამ, – მაგრამ ეგ იგეთი ცხვარია, აბა, როგორ გითხრათ, ბატონო, სალვთოთ არი შათქმული. მოგეხსენებათ, ჩვენცა გვაქ ჩვენი ჰამქარი. როგორც კი თეთრი-გიორგობა ან ალავერდობა დადგება, მაშინვე შავიყრებით, ჰამქრის უსტაბაში...

– ეს ისევ აქ არის! მოაშორეთ აქედან! – დუუუ-რაკ, ნესჩასტნიი!..

ერთი სამი წლის ყოჩი მყავდა. ცხენებთან ერთად იზრდებოდა. იმათთან ერთად სჭამდა ქერსა. იგეთი დუმა შაიდგა, უკან ჩობნის გუდასავით ეკიდა. აი, ზემოთ, აწყურის თავში რო თეთრი-გიორგია, იმისთვის მყავდა შეთქმული, – იქ უნდა დამეკლა მარიამობას.

– მაშ ლევანასია?

– დიახ, იმისი გახლავთ, მაგრამა შათქმუ...

– ლევანასია და გეიყვათ ახლავ და დაკალით მაგ წუნკალი!

გარეთ ესა თქო და, შიგნით მე პირი თეთრი-გიორგისკენ ვიბრუნე: „თეთრო-გიორგი, შენ თუ მაგ ყოჩს დააკვლევინებ, მე ხვალვე წერაქვით მოვდივარ და საძირკვლიანად განგრევ!“ ესა ვთქვი და, – ატრიალეს, ატრიალეს ის ყოჩი და ისევ შიგ შემოიყვანეს.

კიდევ გადააქოთეს იქაურობა. კიდევ ვერ მიპოვნეს.

– გამეიყვათ და დაკალით მაგ ცხვარი, მისი დედაც! – ისევ მომესმა კოწია ბოქაულის ხმა.

ეს თქო და პირი ისევ თეთრი-გიორგისკენ ვქენი: „თეთრო-გიორგი, შენ თუ მართლა რამე ძალა გაქვს, არ დააკვლევინო ეგ ყოჩი, თორემ ლევანა ყოველთვის ასრულებს თავის სიტყვას“.

გავიხედოთ და, ატრიალეს, ატრიალეს ეს ყოჩი და ისევ უკან შემოაგდეს.

ისევ დამიწყეს ძებნა. – არსად არა ვარ! მიწამ მიყო პირი თუ ცამ ჩამყლაპა, კაცმა არ იცის.

– გამეიყვათ ის მგლის შესაჭმელი და აქვე, ჩემს წინ გამოსჭერით კისერი, იმ ლევანიის კვტარი და ცოცხალი!

ისევ გამოიყვანეს ყოჩი.

გამოიყვანეს და მეც ისევ თეთრი-გიორგისკენ ვიქციე პირი. მარჯვენა მუშტი მაღლა ავწიე და შევაჯანჯღარე: „თეთრო-გიორგი, გეყურება, თეთრო-გიორგი?! ხვალ მოვდივარ წერაქვით, ხვალვე!“

გავიხედოთ და, ისევ ატრიალეს, ატრიალეს და ბოლოს ისევ სალ-სალამათი შემოაგდეს უკან. იბორგეს, ილანძღეს, იგინეს, ერთხანს კიდევ იბორიალეს და მემრე წავიდნენ ბაკიდან... ერთი საათის შემდეგ მომაკითხა წაპწიამ: „ფაიტონში დასვენებული ცხენები შავაბი. მეორე კარით გადი, დაბახნებისკენ. არც დაისვენო, არც დაიძინო, არცა ჰჭამო და არცა ჰსო. ყოველ სადგურზე ჰცვალე ცხენები და ქალაქში გადაიკარგე. აქაურ საქმეებს მე მოუვლი. ემ წუთშივე გადი, ჭიშკარი უნდა ჩავკეტო. დახოცე ცხენები და მდევარს გაექეცი!..“

– აი, სულ ეს მახსოვს ღმერთისა... ეხლაც არ ვიცი, რა მოხდა, როგორ გადარჩა ის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოჩი.

*გოგო*: შეგიშინებიათ ღმერთი, ლევანა პაპავ (გაიცინა), თუ არა გწამდათ, რატომ შეუთქვით თეთრი-გიორგს ის ცხვარი?

– ყოველ ჩვენგანს, მარიამობას, რიგრიგობით მიგვყავდა საკლავი და იქა ვკლავდით. იმიტომ კი არა, რო ღმერთი გვწამდა, – აარა, ეს იგრე, ჩვევადა გვქონდა: ვქეიფობდით, ვმხიარულობდით, დროს ვატარებდით და ხალხში ვერეოდით.

*გოგო*: უღმერთო ყოფილხართ.

*ლევანა*: არა, ღმერთი ყველასა ჰყავს, ოღონდ თავისი, – საკუთარი.

*გოგო*: თქვენი ღმერთი რომელია?

*ლევანა*: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა..."

*გოგო*: მაინც, მაინც?

*ლევანა*: ჩემი კაცობა, სიტყვა, რომელიც არასოდეს გამიტეხნია.

*გოგო*: ეს ხომ ძველისძველი სიმღერაა?

*ლევანა*: დიახ, ძველია, მაგრამ პატიოსანი კაცისათვის მარად ახალი.

*გოგო*: კარგი. ერთი ეს მითხარით: მართლა ფილიპე მახარაძესთან მეგობრობდით?

*ლევანა*: ღმერთს დაეფარა! ფილიპე მახარაძესთან რა დამამეგობრებდა!

*გოგო*: რატომ? არ ღირდა სამეგობროდ?

*ლევანა*: ბევრი ინატრებდა იმასთან მეგობრობას.

*გოგო*: თქვენ რა, – გძულდათ?

*ლევანა*: მე ეხლაცა მძულს.

*გოგო*: რატომ? ხომ მან მიგიღოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში?

*ლევანა*: დიახ, იმისი მიღებული ვარ.

*გოგო*: ხომ მანვე აგაცდინათ დაპატიმრებას ჩოლოყაშვილთან ყოფნის გამო.

*ლევანა*: დიახ, ჩემს შეწყნარებაში იმისი ხელიც ერია.

*გოგო*: მანვე გაპატიათ პარტიიდან გასვლა.

*ლევანა*: ეგეც მართალია. ეგ რო არა, შეიძლება დიდ უსიამოვნებას გადავყროდი.

*გოგო*: ოცდაჩვიდმეტშიც მაგან დაგიფარათ. რატომ?

*ლევანა*: ალბათ, ძველი დამსახურებისთვის.

*გოგო*: მე მითხრეს, სიკვდილამდე მეგობრობდა ფილიპესო.

*ლევანა*: ეგ სხვა ლევანა იყო, – გოგოჭური. მე ჯანაშვილი ვარ.

*გოგო*: ვიცი. ხომ ვერ მეტყოდით, როგორ გაიცანით?

*ლევანა*: იმ მეორე ლევანამ გამაცნო... ერთხელ ვიღაც ხევსური ჩამიჯდა ფაიტონში. ღამეა, მაგრამ, მე კი არა, ჩვეულებრივი ქალაქელიც ერთი შეხედვით იცნობდა ნაღდ ხევსურს: ქუდი და პერანგი მოქარგული, წვივებზე შიბდარტყმული პაჭიჭები, ფეხზე ქალმები, წელზე ქამარ-ხანჯალი და ზურგზე გატენილი გუდა. ერთ ადგილას გამაჩერა. ჩამოხტა, სადღაც მიეფარა და ისევ მალე გამოჩნდა. ლამის მთელი ღამე ეგრე მატარა და ვხედავ, სავსე გუდა თანდათან როგორ ეხუტება. ვფიქრობ: ამ გუდაში ყველ-ერბო აქვს, დადის და ნაცნობებს ურიგებს... მეორე, მესამე დღესაც ეგრე „შემთხვევით" გადამეყარა... მემრე, რო შამაბეზრა თავი, ვუთხარი: გავიგე, რა ხელობის კაციცა ჰყოფილხარ და ამის მეტად აღარ დაგინახო ფაიტონშიმეთქი. ეს ვუთხარი და ჩამაიღრუბლა მთელი სახე, ქარქაშიდან ნახევრად გააძრო ხანჯალი. სისხლმა ამასხა თავში: ახლა ეს გამომივიდა მეორე კინტო-მეთქი. იქვე ფეხთან დიდი ქლიბი მედო, მაგრამ უცებ გავიფიქრე: მოკლედ ლევანა, თუ შენზე ნაკლებ იხმაროს იარაღი-მეთქი. კოფოს ქვეშ უზარმაზარი ხანჯალი მედო. ხევსურს ხევსურული დახვედრა უნდა-მეთქი და ის ამოვიღე. ამოვიღე და ვხედავ: ეს ჩემი მგზავრი გადავარდნილა გულაღმა ფაიტონში და ხარხარებს. გადავირიე. სული მოითქვა და მითხრა: რად ვერ მიცანი, სეხნაო? გაველ სინათლეზე და, კარგა რო დავაკვირდი სეროდნელი ლევანა გოგოჭური შემრჩა ხელში! თურმე მახარაძე და მიხა ცხაკაია დიდი ხნის ძმაკაცები არიან იმისი. გოროდოვოებს, ჟანდარმებსა და პოლიციას მთებიდან ჩამოსული, ოტროველა ხევსური ჰგონიათ, ამას კი გუდა ყველ-ერბოს ნაცვლად პროკლამაციებითა აქვს გატენილი!.. მემრე მეც გამიცნეს და თავიანთი პროგრამაც გამაცნეს. იმათი აზრები ჭკვაში დამიჯდა და მეც მივეკედლე.

*გოგო*: თუ ასე ახლო ურთიერთობა გქონდათ, რატომ გინდოდათ ალაზანში მისი დახრჩობა?

*ლევანა*: იცი რა, შვილო, მე არც იგეთი კარგი ადამიანი ვარ, როგორც ამბობენ და სწერენ გაზეთებში. მე შურისმაძიებელი კაცი ვარ, სამაგიეროს მიმზღეველი. ვერ მოვისვენებ, სანამ კაცს კარგზე კარგით არ გადავუ-

ხდი და ავზე ავით.

*გოგო*: მაინც რა გაგიკეთათ ავი ფილიპემ?

*ლევანა*: პირადად მე - კარგის მეტი არაფერი. მაგრამ საქართველოს გაუკეთა ავი და მე საქართველოს ვეკუთვნი, საქართველო - მე!

*გოგო*: აჰა, გასაგებია. მაგრამ თავად ფილიპე თუ მიჰხვდა, რატომ მოექეცით ისე?

*ლევანა*: როგორც კი წყალში ამოყო თავი, იგეთი სიტყვა ვუთხარი, უნდა სულ სხვა მხრივ ეჩხრიკნა საჩხრეკი.

*გოგო*: შეიძლება მომიყვეთ, როგორ იყო სინამდვილეში?

*ლევანა*: რატომაც არა, რა მაქვს დასამალი?.. ეგ რო თელავის მაზრაში ჩამოვიდა, თუშთა სოფლების - ზემო და ქვემო ალვნის დათვალიერება მოინდომა. მაშინვე მე მკითხა და ჩემი ეტლით წავედით. მაშინ ალაზანზე ხიდი არ იყო და კაცი თუ ტრანსპორტი წყალგაღმა ფონით გადიოდა. ნაწვიმარი იყო, ალაზანი დიდი მოდიოდა და იმ ფონში მანქანა ვერ გაატანდა. მშვიდობით გავედი ფონში და, რაც მოისურვა, ყველაფერი კარგათ დავათვალიერებინე. მემრე ვიღაც სულხანაიძის სახლში გაუშალეს სუფრა. დიდხანს გაგრძელდა სმეულ-ჭმეულობა. ყველა შიგნით არი, მარტო მე ვარ გარეთ, ცხენებთან. კარგი, - თუშებს არ გავხსენებივარ, მაგრამ როგორ დამივიწყა ფილიპემ? ჩემამდე მოდის მწვადის, ხაშლამისა და თუშური ხინკლის სუნი. - გადასარევი ხინკალი იციან თუშებმა: მთაში მთის ქონდარს ჰკრეჟენ, ახმობენ, მერე ფშენიან და ხინკლის გულს იმითი აზავებენ. სანელად ხმარობენ. - რაღაც ძალიან გემრიელი ხინკალი გამოდის. ჰოდა, ამ სუნზე ამიყურყურდა მუცელი. მომშივდა, მომშივდა, იგრე მომშივდა, თავად ფილიპე რო გამოეტანათ შემწვარ-მოხარშული, იგრე გავათავებდი, შეიძლება არავინ ჩამეზიარებინა ჭამაში. შიგნით კი გადადის სადღეგრძელო-სადღეგრძელოზე! - დასცლიან ეს თუშები და ფილიპეს მხლებლები ჭიქებს, ამოაბრუნებენ და ლიქნიან ფილიპეს ურცხვად: „ეგრე მტერი დაგეცალოს, ფილიპე!" დასცლიან და ისევ მიაძახებენ: „ეგრე მტერი დაგეცალოს, ფილიპე!" მეჭუჭქება, მეჭუჭქება მუცელი შიმშილით, ლამის გავგიჟდე!.. ბოლოს, როგორც იყო, გამოვიდნენ გარეთ ნაქეიფარნი და ჩასხდნენ ეტლში. ფილიპემ გადამხვია ხელი და მეუბნება: „აბა, ეხლა კი ძველებურად გავრეკოთ, მე ძველო!" მეც ავდექი და „გავრეკე". როგორც კი წყალს მივუახლოვდი, ფონში დილანდელივით ზემოდან კი არა, - ეხლა ქვემოდან გავატარე ეტლი და მარჯვენა თვლებით ერთ დიდ ქვაზე შევაყენე. გადავაბრუნე ეტლი და ფილიპეცა და იმის ამალაც შიგ ალაზანში ჩავცალე! ჩავცალე და ზედაც მივაყოლე: „ეგრე მტერი დაგეცალოს, ფილიპე-მეთქი". შეცვივდნენ წყალში ცხენებით დაფეთებული გამცილებელი თუშები და ყველანი მშრალზე გამოიყვანეს.

*გოგო*: (როცა სიცილს მორჩა) მერე, თქვენ როგორღა გადარჩით?

*ლევანა*: მიყვანისთანავე გამთოკეს. - მილიცია, შინსახკომი, რაიკომი, - სულ იქ იყო. მიმიყვანეს ფილიპესთან. უკვე მოესწროთ გაშრობა და ტანსაცმლის გამოცვლა. მითხრა: რათ გააკეთეო? მე ვუთხარი: ბინდი იყო, კარგათ არა ჩანდა-რა, იმ მღვრიე წყალში ის ოხერი ქვა ვერ შევამჩნიე-მეთქი. თქვენც, თქვე დალოცვილებო, ცოტა ადრე აიწევდით სუფრიდან და, თვალნათლივ, იგრევე ადვილად გამოვიდოდი, როგორც აქედან გავედი-მეთქი. ფილიპემ გაიცინა და მითხრა: „ეშმაკი ხარ, შე მამაძაღლო, შენა, ო რა ეშმაკი ხარ! ესენი შეგიძლიან გააბრიყვო, მაგრამ მე რას გამომაპარებ? ჩემი ბრალია, გარეთ მშიერი მოგკალით. არც თუშებს გახსენებიხარ. მე ხო კარგად ვიცი, რა მგლის ჯიშისაც ხარ, - ასდექი და სამაგიერო გადაგვიხადე! თანაც ზედ რო მომაძახე: „ეგრე მტერი დაგეცალოს, ფილიპეო!" მემრე მოვიდა, მხარზე ხელი ღიმილით დამკრა და მითხრა: „რო არ გიცნობდე, ჩვენი მოსისხლე მტერი მეგონებოდი. ეხლა წადი და მეორედ ფონი და ლოდი ერთმანეთში აღარ აგერიოს..." ფილიპეს სასიამოდ ყველამ გაიღიმა, მადლობა გადამიხადა და ხელი ჩამომართვა. ცუდი აღარაფერი უკადრებიათ, შინ გამომიშვეს.

*გოგო*: თავად ფილიპესვე გადაურჩენიხართ, ბატონო ლევან.

*ლევანა*: ქვეყნის მმართველნი ერთი რამით ძალიან ჰგვანან გველსა: ისინი ერთდროულად წამალსაც ფლობენ და საწამლავსაც.

*გოგო*: მაინც იმას გადაურჩენიხართ. თქვენ კი მისი დახრჩობა გინდოდათ.

*ლევანა*: ილიას მკვლელი საქართველოს მტერია. - საქართველოს მტრობას კი მამაჩემსაც ვერ ვაპატიებდი.

*გოგო*: გიყვარდათ მამათქვენი?

*ლევანა*: რა თქმა უნდა. მიყვარდა და ძალიანაც.

*გოგო*: ცოტა საჩოთირო კითხვა კი იყო. მამა, რასაკვირველია, ყველასათვის საყვარელია.

*ლევანა*: მე ვიცნობდი კაცს, რომელსაც მამა სძულდა.

*გოგო*: რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც. მაგრამ მამათქვენმა ხომ მოჯამაგირედ გაგგზავნათ ჯერაც ბავშვი?

*ლევანა*: როცა მოჯამაგირედ წავედი, მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო. ეს დედაჩემის ნებართვით გახლდათ. დედაჩემი კი ჭკვიანი ქალი იყო და კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. მე რომ მაშინ იქ არ წავსულიყავი, ეხლა მე თქვენთან არ ვიჯდებოდი და თქვენ ჩემთან. მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი. თურქეთშიც ვყოფილვარ, რუსეთშიც, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც და ცოტა ხანს ირანშიც. ბევრი რამ გადამხდენია, ბევრნაირ კაცს გადავყრივარ, ბევრი რამ მინახავს და ბევრიც გამიგია. კაცი, რაც ბევრად გარეთ გავა, იმდენ მეტს ისწავლის ცხოვრებისაგან, ხალხისაგან. მაგრამ, რაც მამაჩემმა მასწავლა, იმას, იგრე რიგათ, სხვა ვერ მასწავლიდა.

*გოგო*: მაინც რა გასწავლათ მამამ?

*ლევანა*: შენ თუ, შვილო, რამის ჩაწერას აპირებ, რატო არ იწერ? ეს ყველაფერი შეიძლება სხვა დროს ეგრე დაწერილებით აღარც კი გამახსენდეს.

*გოგო*: აი, ჩართული მაქვს, აქ ყველაფერი იწერება.

*ლევანა*: მაგისთვის ყურადღება კი არ მიმიქცევნია... იგრე, რო, რაც მე დღემდე კარგი რამ მჭირს, მამაჩემმა მისაძირკვლა. განსაკუთრებით: მიწის სიყვარული, ვენახის მოფერება, იმისი ერთგულება, ჩემწილად ვაზის ახალი ჯიშის შექმნა-წარმოშობა, მასწავლა ავ-კარგის გარჩევა, სხვათა სიკეთის დაფასება და, ყველაფერი ის, რაც კაი კაცს უნდა ედოს კისრად სიცოცხლეში. იმისგან ვიცი, რო ეს სოფელი ჯანაშვილებმა დაასახლეს და ამიტომაც ჰქვია ჯანაანი. ისიც ვიცი, „ჯანაანურა," - ხიხვს რო ეძახიან, ჩვენი, ჯანაშვილების შექმნილ-გამოყვანილია და იმიტომაც დაურქმევნიათ „ჯანაანურა". მე თავადაც მთელი ჩემი დღე და მოსწრება მაწვალებდა და მაწვალებს საკუთარი ახალი ჯიშის „გამოდარჯაკება"... როცა ღმერთი ქვეყნიერებას ქმნიდა, როცა ადამიანი გამოაკოპიტა და ღვთაებრივი სული ჩაჰბერა, მაშინ იმან ადამიანში თავისი ღმერთული სულის რაღაც იგეთი ნაწილი ჩადო, რომელიც, ჩემი აზრით, ყოველთვის ცდილობს, ქმნადობაში მიჰბაძოს ღმერთს და ზოგჯერ, - ზოგჯერ კი არა, მუდამ ქიშპშია ღმერთთან. იმას ეჯიბრება შექმნა-წარმოშობაში. ავად თუ კარგად, ხანდახან ახერხებს კიდეც რაღაცას და ამიტომ ეგეთ კაცს ხევსურები „ნაწილიან კაცს" ეძახიან. ესე იგი, რაღაც წილი უდევს ღმერთთან. მაგრამ ღმერთი მაინც ღმერთია და იმას როგორ შეეჯავახები? თუ ღმერთმა ექვს დღეში მოასწრო მთელი სამყაროს შექმნა, კაცს ათეული წლები სჭირდება, რო ღმერთის რაღაც შემილიარდედი რამე ღმერთული გამოიტანოს ამ წუთისოფლის ბაზარზე. ზოგჯერ ასეული წელიც არ ჰყოფნის და, იგრე მიდის ამ ქვეყნიდან, თავისგან შექმნილ ნაყოფს ვერც კი მოისთვლის...

*გოგო*: ყველა კაცი ასეა?

*ლევანა*: არა, მე „ნაწილიან" ხალხზე მოგახსენებთ. ყოველ მათგანს ბაღლობიდანვე აეკვიატება რაღაცა, აი, თქვენ რო იდეას თუ იდეალს ეძახით. და მერე, მთელ თავის სიცოცხლეში, ეს რაღაცა აწვალებს, არ ასვენებს, მის ძებნა-პოვნაში ათენადამებს. უფრო ხშირად ვერ აღწევს მიზანს, რადგან თავიდანვე იცოდა ღმერთმა, კაცის სახით რა მოუსვენარი არსებაც მოუვლინა ქვეყნიერებას, ამიტომაც არ აძლევს იმდენი ხნის სიცოცხლეს, რამდენიც საჭიროა იმ იდეალის, იმ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. როგორც კი შეამჩნევს, რო საწადელს უნდა ეწიოს, მაშინვე თითს უქნევს: „ციც! - ეგენი არ იყოს!" და თავისთან მიჰყავს... ღმერთი, მიუხედავად თავისი ღმერთობისა, მაინც დიდი კომუნისტია, - არ უყვარს მეტოქეები...

*გოგო* (იცინის): საინტერესო აზრია... აკი წეღან ბრძანეთ, ღმერთი არა მწამსო?

*ლევანა*: წამებით - არა მწამს, მაგრამ, მგონია, მაინც რაღაცაა იგეთი, რომელიც ბუნებისა და კაცის კანონებს აწესრიგებს, აწონასწორებს... ეხლა უკვე ოთხმოცდახუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტ წელს ვითვლი... ამ ხნის განმავლობაში ჩემგან შესაქმნელი თუ შექმნილი ვაჟისთვის სავენახე მიწას დავეძებ. მოჯამაგირედაც იმისთვის მიველი ოსკანოვთან, რო საკუთარი მიწისთვის ფული იყო საჭირო. მაგრამ, კაცის მოჯიბრე ღმერთმა იმედი გამიცრუა: ხან ვის გადამყარა, ხან რას და ხან რას: სიკვდილიანობა, ავადმყოფობა, ხელმოკლეობა, ომი, რევოლუციები, მენშევიკები, ბოლშევიკები, ხან კერძოობა, ხან კოლექტიობა და... წავიდა სიცოცხლე!..

*გოგო*: მთავრობამ ხომ დაგიტოვათ საკარმიდამოები. ახლა ხომ გაქვთ საკუთარი მიწა?

*ლევანა*: კი მაქვს ოცდაჩვიდმეტი მეასედი ჰექტრისა, მაგრამ ზოგი ხეხილიანია, ზოგი ვაზიანი და ვერ გავიმეტე გასაკაფად. ცარიელი რაც არი, იმაზე ბოსტანია, – მწვანილიც ხო ბაზარში არ უნდა იყიდოს კაცმა. ახალი მიწა არავინ მომცა, – რაცა გაქვს მაგაზე მეტი არ გეკუთვნისო.

*გოგო*: მაშ, რა უნდა ჰქნათ, მაშ, რას აპირებთ?

*ლევანა*: რაც მიწები მქონდა ნაყიდი, სულ კოლმეურნეობაში შევიტანე. ეხლა კი ერთ მტკაველ მიწასაც არ მაძლევენ, რო ჩემი ნაჯახირალი ისევ იმათვე შევწირო. ჰოდა, რაკი კაცმა ვერ გამიგო, ისევ ღმერთს მივმართე: შარშან ჩვენი ხევხევა დავწყვიტე, წყალი ძველ კალაპოტში გადავუგდე, ჯაგრცხილითა და ქვების გროვით ჯებირი გადავწანი, იმით გავამაგრე და ათიოდე მეასედი რიყე დავშრიტე. ეხლა ამ დაშრეტილ რიყეზე მიწას ვეზიდები ორ-ორი ვედროთი და მაღლიდან ვაყრი.

*გოგო*: მიწას საიდან ეზიდებით?

*ლევანა*: იქვე, რიყეში მთელი ზვინებია. შარშანწინ ჩვენი ღვინის ქარხანა გააფართოვეს, მაღლობი გაასწორეს, ნათხარი მიწა კი რიყეში გაზიდეს. იმ მიწას ვეზიდები ყოველდღე.

*გოგო*: ასე ვედროებით როდის მიზიდავათ?

*ლევანა*: თუ ყოველდღე ვივლი, ზამთრის პირამდის მოვათავებ.

*გოგო*: რატომ მანქანით არ მიგაქვთ?

*ლევანა*: მანქანისათვის ჩემი მხრიდან მიუდგომელია. ამას გარდა, არ მინდა ვინმე ჩავრიო, მარტომ, ჩემი გუნებისად მინდა გავაკეთო.

*გოგო*: ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მაგრამ საცდელი ნაკვეთი ხომ უნდა გქონდეთ?

*ლევანა*: მაქვს კიდეც.

*გოგო*: სად არის, შეიძლება ვნახო?

*ლევანა*: (ეღიმება) საიდუმლოს შენახვა კარგად ვიცი.

*გოგო*: რომ მიაგნონ და მოგპარონ?

*ლევანა*: გინდ მიაგნონ, ვერ მომპარავენ, დარაჯად გველეშაპი მყავს დაბმული.

ორივემ გაიცინა.

*გოგო*: ბატონო ლევან, ცოლი რა ხნისამ შეირთეთ?

*ლევანა*: არც იგრე პატარა ბიჭი ვიყავი, რო ყველა თეთრი ცხვარი მსუქანი მგონებოდა; არც იგრე გულმოსუყებული, რო კვერცხზე ბალნის მებნა დამეწყო, – ოცს კარგა გადაცილებული გახლდით.

*გოგო*: ლამაზი იყო?

*ლევანა*: მშვენიერებას ეხლაც თაყვანსა ვცემ.

*გოგო*: როგორ იპოვეთ?

*ლევანა*: როგორ ვიპოვნე?.. შემთხვევით... სრულიად შემთხვევით... მოგიყვებით...

* * *

*გოგო*: მაშასადამე, ეგ შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, ასცდებოდით ერთმანეთს?

*ლევანა*: ვინ იცის, შემთხვევებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საკმარისია, ნიუტონის თავზე ვაშლის დაცემა გავიხსენოთ.

*გოგო*: ლევანა პაპავ, თქვენ მხოლოდ ერთხელ ნახეთ ჯერაც მთლად ბავშვი. თქვენ მაშინ, ალბათ, უკვე კაცი იყავით...

*ლევანა*: კაცი? მე ახლაც ვფიქრობ, რო ბალღობაშიაც კაცი ვიყავი.

*გოგო*: არა, მე ჩვეულებრივი გაგებით ვამბობ. თქვენ ბევრად უფროსი იქნებოდით მასზე. ამ თითისტოლა ბავშვმა როგორ ანდა როდის მოასწრო თქვენი შეყვარება?

*ლევანა*: როგორ გითხრა, მოგეხსენებათ, რო ქალი კაცზე ადრე მწიფდება საქმარშვილოდ. მაშინ კი ცამეტ-თოთხმეტი წლისებიც თხოვდებოდნენ უკვე. როცა თინა პირველად შემხვდა, თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა. მემრე, რაც კოწია ბოქაულს ქალაქში გავექეცი, ორნახევარი წელი იგრე გავიდა, ჯანაანში არ გამოვჩენილვარ. დედაჩემის ნახვა მომენატრა. ღამით მიველი თეთრ-წყლებში, ფაიტონი ჩვენ სადგურში დავაყენე, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი გამოვხსენი, შეუკაზმავს მოვახტი, ტყე-ტყე ვიარე და ღამითვე მივედი შინ. მაშინ ნაყიდი მქონდა ჩემ ბიძაშვილ გიორგისაგან მარანი. იმ მარანს ერთი ოთახი მივადგი, სადაც დედაჩემი ცხოვრობდა. მემრე, გათენებისას, როცა უკან, ქალაქში ვბრუნდებოდი, იმ დროს შევხვდი მეორედ თინას.

*გოგო*: როგორ მიჰხვდით, რომ თინას უყვარდით?

*ლევანა*: (იღიმება, რადგან ქალის კითხვა ძლიერ გულუბრყვილოდ მოეჩვენა.) გუმანით მივხვდი. მემრე ვკითხე კიდეც და თითონაც დამიდასტურა: ორწელიწადნახევარი, ჩემთან მეორე შეხვედრამდის, დილით, შუადღისას და საღამოთი, სულ იმ წყაროზე დადიოდა, რათა როგორმე კიდევ ერთხელ შეევლო ჩემთვის თვალი. და თუ ველარ მნახავდა, უნდა ხევხევაში დაეხრჩო თავი. მე კი მხოლოდ ერთხელ მომიხდა იმ წყაროზე ცხენების დარწყულება.

*გოგო*: მეორედ რომ არ შეგხვედროდა?

*ლევანა*: ღმერთს დაეფარნა, ის იგეთი გოგო იყო, უეჭველად ჩაიდენდა იმ სისულელეს... ეე, დედაკაცი დიდი გამოცანაა, მაგრამ ზოგჯერ ადვილად ამოსახსნელიც.

*გოგო*: მაშინ უკვე მოხვედრილი იყავით ფილიპე მახარაძის ბაღეში?

*ლევანა*: ფილიპეს ჩემთვის ბაღე არ დაუგია. მაშინ, ეხლანდელივით, ფულზე კი არ იყიდებოდა პარტიის მანდატები, – საგულდაგულოდ არჩევდნენ და ამოწმებდნენ თავიანთ რიგებში მისაღებ ხალხს.

*გოგო*: თქვენ მაშინ უკვე ფულიანი კაცი იყავით, კარგად ჩაცმულ-დახურული, რანაირად გენდნენ?

*ლევანა*: ფილიპე, ჩემო კაი გოგო, ჩემზე უფრო დიდი მამაძაღლი იყო. მე იმათთვის საჭირო კაცი ვიყავი, თანაც კარგი რეკომენდაცია მქონდა ჩემ სეხნა ლევანასაგან: იცოდნენ „გასულ ბიჭებთან" ჩემი კავშირი; იცოდნენ ჩემი და ჟორჟიკას დიდი სიყვარული და მეგობრობა; იცოდნენ, რო იმათ გულისთვის მღვედა კოწია ბოქაული; იმათ გულისთვის ვიყავი ქალაქში გადმოხვეწილი და ისიც, რო უმიწაწყლო ვიყავი. გარდა ამისა, ძაან ბევრი რამე მამწონდა მამინდელი კომუნისტების ნააზრევიდან.

*გოგო*: მაშ, რატომღა გამოხვედით მაგ პარტიიდან და ჩოლოყაშვილს მიეკედლეთ?

*ლევანა*: (დიდხანს დუმს), მიზეზი ათასნაირია. და, საერთოდ, როცა ძაღლის მოკვლა უნდათ, იტყვიან ხოლმე, – ცოფიანიაო!

*გოგო*: მაინც, ყველაზე მეტად რამ გაიძულათ?

*ლევანა*: რაც თავადების სახლ-კარი და ოჯახები დაარბია ხალხმა, მას მემრე ამეყარა გული.

*გოგო*: მაშინ ხალხი ბრბოდ იყო ნაქცევი, რა გასაკვირია?

*ლევანა*: ხალხი ბრბოდ მაშინ იქცევა, როცა საბრბოოდ შეამზადებენ. წაქეზების გარეშე ბრბო არ მოქმედებს. აღარ მინდოდა ბრბოს წამქეზებელთა გვერდში ყოფნა.

*გოგო*: მაინც რა ნახეთ ისეთი?

*ლევანა*: ვერ ვიტყვი. გახსენებაც კი მზარავს.

*გოგო*: კარგად დაფიქრდით, ლევანა პაპავ, ეგ ისეთი პერიოდია, მისი გაუხსენებლობა ბევრ რამეს დააკლებს თქვენს მონათხრობს.

* * *

ლევანა და ადამა ეზოში გამართულ სახერხ ხარაჩოსთან წიფლის მორს ლარავდნენ. ეზოს ბოლოს გამავალ ორღობეში ნამილოკიას ბიჭმა ნიკამ გაიარა. ზურგზე ტომარასავით მოეგდო მოკეცილი ფარდაგი. ფარდაგში რაღაცები გამოეკრა. სიმძიმისაგან წელში მოკაკულს ეს ფარდაგი ისე მოჰქონდა, როგორც დავლაზე წასულ ასკერს ნაალაფარი. ეზოსკენ არც გამოუხედავს, ჩუმად, ფეხაკრეფით გასცილდა ლევანას სახლს.

მოფრატუნდა სიდონაანთ ბერიკაცი, მიესალმა მხერხავებს და იქვე კუნძზე კრუსუნით ჩამოჯდა.

– ე რამოდენა მორი გაგითლიათ, რას აკეთებთ?

– პოლის ფიცარი უნდა ამოვიგოთ. – უთხრა ადამამ.

– ეე, ჩემ ბაღლობაში ვინა ჰნახამდა ამითანა ხერხსა, სახლი მასალას ცულებითა ვთლიდით.

– საით გივლია, ქრისტო, საით იყავი?

– ეე, ლევან, აბა ეხლა საითღა წავალ, – ეგრე გადმოვიარე მუხლი გასაშლელათა.

შინიდან მოვდივარ. მამბეზრდა, კაცოო, მარტო ყოფნა, – გამოველ გარეთა.

– ნამილოკიას ბიჭი არ შეგხვედრია გზაში?

- როგორ არა, შამამხვდა, მაშა.

- რაო, არც შენ გაღირსა გამარჯობა?

- თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი, - მე რა, შაუჭამდი, რაც მოჰქონდა?

- მაინც რა მოჰქონდა იმ ფარდაგში გახვეული?

- ღმერთმა რო არ იცის იმისი თავ-ტანი. რა ვიცი, რა მოჰქონდა, მაგრამა, კაი გზაზე რო არ იყო შამდგარი, მაგას გამამაპარებს მენა?

- რა გზაზე იყო შამდგარი?

ბერიკაცმა გაკვირვებით აჰხედა.

- როგო, კაცო, მაშ არ იცი, მთელი ჯანაანი დილიდანვე თავადების გასარეკათ რო წავიდა?

- ეხლა მოვედით მე და ამადა თელავიდან. რა უნდათ, რათ უნდა გარეკონ?

- თქვენა, გეტყობათ, რომა კამეჩი რქაში ჰსხედხართ. იქ კი მთელი ხალხი ჩუმათხეველებ დეეცა და მთელი იმათი ქონება დაიტაცა. ჩემ შვილიშვილ, ეტყობა, შააგვიანდა და, სხვა რო ვეღარაფერი იგდო ხელთა, ერთი გოდორი მკვახე მსხალი გეეკრიფუნა და ის მაახირა შინა. ნეტა რა ჭირათ უნდოდა, იმაი ხო ღორიც არ შაჰჭამს, კაცო.

მაგრამ ლევანა ბერიკაცს აღარ უსმენდა. ნახშირში ამოთართლული ბაწარი მორზე მიაგდო და ქუდი დაიხურა.

- შენ ადამას დაუჭირე ლარი, ქრისტო, მე მალე მოვალ.

- წაიღე რამე, ლევან, ეგრე ცარიელ-ტარიელმა რა უნდა წამაიღო.

მაგრამ ლევანა უკვე იმდენად შორს იყო, ქრისტოს საქმიან, კეთილ რჩევას იქამდე აღარ მიუღწევია...

ეზოში ფეხის შედგმისთანავე მიმოიხედა: ზომაზე შეკრეჭილი მარად მწვანე გაზონები პირქვე ეყარა; მშვენიერ ვარდთა ულევთოდ გადაჯეგილი მწკრივები და ყვავილნარი ისე იყო მიფურტკნილ-მოფურტკნილი, გეგონებოდათ, შიგ ღორების კოლტს უგორავნიაო. მთელი ეზოს მშვენება, ორი მუხა ძირში მოეჭრათ. ვერც მსხვილი, ბალური ზღმარტლი, ოქრო-შვინდა, წითელი მურაბის-თუთა და უნაბები გადარჩენოდა ურდოს მსახვრალ ხელს. მხოლოდ ერთადერთი, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად მამამისისაგან ტყიდან ჩამოტანილი და სათონესთან დარგული ცაცხვიღა ღიმღამობდა ამღილანდელ ბრძოლის ველზე. საბატე, საქათმე, საინდაური, საჯინიბო, თავლა-გომური, სასიმინდე, ბეღელი, საფუტკრე და ფარდული დაცარიელებული და კარდალეწილი ჩანდა... სახაბაზოში შევიდა. აქაც სიჩუმე და სიცარიელე შემოეგება... აი, სად ედგა ვარცლი დედამისს; აი, სად ედო ხოლმე ორომი. ღონიერი მკლავები თითქმის იდაყვებს ზემოთამდე ჰქონდა აკაპიწებული და მუშტებშეკრული ზელდა მწებარე ცომს, რომელიც თონეში ჩაკრული სურნელოვან შოთად და ლავაშად იქცეოდა... ესეც თონე! კიდევ კარგი, არ დაუნგრევიათ. მაგრამ ეს რა სუნია? საიდან მოდის? - მივიდა ახლოს და შიგ ჩაიხედა. უმალვე შემობრუნდა და იქაურობას გაეცალა: ვიღაც შეშლილს წაებილწა წმინდათაწმინდა ადგილი, სადაც მარადის ცხვებოდა პური ჩვენი არსობისა... მარანი? - მარნის დანახვამ არამცირედ აღელვა და ჩქარი ნაბიჯით გასწია მისკენ. აგურით ლამაზად გადაყვანილი თაღოვანი კარის კლიტე ძალაყინით დაემსხვრიათ. კარზე აგლეჯილი რაზები აქეთ-იქით ეყარა. განივ გაფრიალებულ წინა და უკანა კარში გამჭოლი ჰაერი გადი-გამოდიოდა. პირწმინდად დაეცარიელებინათ საფერავით, კახური მწვანეთი, რქაწითელით თუ ჯანაანურათი სავსე ქვევრები; აღარსად ჩანდა თახჩებსა და კედლებზე დაწყობილ-დაკიდებული ქვევრ მარნის იარაღები. სადღა იყო აღმოსავლეთის კარს ზემოთ მიჭედებული, მტკავლიან-ეშვებიანი გარეული ღორის უზარმაზარი თავი, თავისი წვრილი, ამაზრზენად ღორული თვალებით ცოცხალივით რომ მუქარით გამოიყურებოდა. აღარც დასავლეთის კარის თავზე შემოეგება ქორბუდა ხარირმის გაკვირვებული მზერა; სულ დაეგლიჯნათ კედლებზე გამოჩრილ წყრთიან ჯოხებზე ჩამომსხდარი ხოხბების, კაკბების, გნოლ-დურაჯებისა და უცხო და უცხო ფრინველთა ფიტულები... არ დაუტოვებია უნახავი: საქალებო, საფარეშო, სამზარეულო... ყველგან აოხრება, იავარქმნა და ქაოსი სუფევდა: კომოდები, შიფონერები, კარადები, ავეჯი - ყველაფერი, ყველაფერი დამტვრეული, დამსხვრეული, დალეწილი, დაჩეხილი, დაცარიელებული. აღარც სკამები, აღარც სავარძლები, აღარც სუფრები, აღარც ფარდები და... აღარც ლოგინი! სამზარეულო მოფენილი იყო ფაიფურის თეფშების, ლანგრების, ლამბაქებისა და ფინჯნების ნამტვრევებით. რის წაღებაც ვერ მოესწროთ, ვერ

მოეხერხებინათ, ყველაფერი გაენადგურებინათ!.. დარბაზს სრული სიშიშვლე და სიცარიელე დაჰპატრონებოდა. მხოლოდ ვიღაც მოიერიშეს დარჩენოდა ბუხართან მიგდებული ადლნახევრიანი ჯოხი. ლევანამ ჯოხი აიღო და შუშებჩამსხვრეულ წიგნების კარადასთან მივიდა. მის თავზე მუდამ ეკიდა დიდი ბატონის, – გენერალ-მაიორ ჯუანშერ ჩუმათხეველის მიერ ართვინიდან ჩამოტანილი თურქული იატაგანი. ლევანა ვერ იტანდა წიგნების უდიერად მოპყრობას. – წამოკრიფა იატაკზე მიმობნეული და კვლავ კარადის თაროებზე დააწყო. მერე ჯოხი კარადის ქვეშ შეაცურა და მოუცაცუნა. ჯოხი რაღაცას წამოედო. ლევანა ჯოხს დააწვა და თავისკენ მოსწია. შემთხვევით კარადის უკან ჩავარდნილი იატაგანი აღმოჩნდა. „ამას მაინც გადავუნახავ პატრონებს, თუკი ოდესმე დაბრუნდებიან“. გაიფიქრა ლევანამ და ეზოში გავიდა.

იასამნის მწკრივებს იქით თხილისა და ლეღვის ერთმანეთში არეული ბუდობები იდგა, თხილების გვერდზე დიდი ნუშის ხე, რომელიც, ალბათ, ასწლეულს ითვლიდა. ამ ნუშზე უბამდნენ ხოლმე საქანელას სოფიკოსა და მის უმცროს დას ეკას. ორივე და ხშირად ჩაისვამდა კალათაში პატარა ლევანას და მასთან ერთად დაღლამდის ქანაობდნენ. საშუალოზე ოდნავ დაბალი ეკა, – ეკატერინე, მთელ მაზრაში მოკლე-კატოდ იყო ცნობილი. მშვენიერი, ნაკვთად თვალწარმტაცი გოგო ცეკვის ქარბორბალა იყო. ამ გოგოს გულისთვის ბევრი თავადიშვილი ექიშპებოდა ერთმანეთს და ზოგმა მათგანმა კინაღამ დუელში შეაკლა თავი მეტოქეს. ამიტომ იყო, რომ ხალხმა არ დაახანა და, როგორც კი წამოიჩიტა, მაშინვე ლექსი დაანათლა:

*არა ხეს არ გამოუვა*
*ვერხვითანა შრიალიო*
*მოკლე-კატოს რო უხდება*
*თეთრი კაბის ფრიალიო.*

ლევანამ ნაღვლიანი თვალით ახედა ნუშს და ის ტოტი შეათვალიერა, რომელზედაც აბამდნენ საქანელას...

უეცრად კვნესა შემოესმა. დააყურა და, როცა კვნესა განმეორდა, იასამნებს შემოუარა. იასამნებს იქით კაცი იწვა. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. გაჩეხილ შუბლზეც სისხლი შესდედებოდა, სისხლი მიჰხმობოდა ცხვირ-პირზე, მარცხენა ყურზე და ყელზე...

ლევანა კარგად დააკვირდა და ძლივს იცნო ჩუმათხეველთა სიძე – გიორგი ჯანდიერი, მოკლე კატოს თანამეცხედრე. მშვენიერი მსახიობი იყო გიორგი. ის რომ „ღალატში“ იტყოდა: „ვეინააბ, ღალატის სუნი მომდის, ვეინააბ!..“ – ტაშის გრიალით ინგრეოდა თელავის თეატრი... „თამამად, ფრანც, თამამად!...“ – მაგრამ ვერაფერი უშველა ამ სითამამემ, ორივე თვალით დაბრმავდა და მას შემდეგ აღარც თეატრი, აღარც აღტაცებული მაყურებელი... და, მაშასადამე, აღარც ცხოვრება... ახლა კი... ახლა თავგაჩეხილი წევს იმის საფასურად, რაც მან გაიღო ხალხისთვის... აი, ეს არი „ბერო მადლიო...“ წინსაფარს ცალი მხარე შეახია და შუბლი ფრთხილად შეუკრა. მერე ასწია, ხელში აიყვანა და ეზოში გამოვიდა. დაჭრილმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა გაიმეორე რამდენჯერმე: „იქ... იქ... იქ...“ და გაჩუმდა.

ლევანა ქვეშეცნეულად მიხვდა რასაც ანიშნებდნენ. დაჭრილი შიშველ ტახტზე დააწვინა და ისევ ბაღში გავარდა. იასამნებს იქით სიჩუმე იყო. უეცრად ლეღვებს აქეთ გულაღმა მწოლი ქალი შენიშნა. ქალი' ადგომას ცდილობდა, მაგრამ ვერა დგებოდა. ქალის თეთრი, ლამაზმაქმანებიანი საცვალი იქვე ეგდო, ზემოთ აჩაჩული პერანგი, ალბათ, წვალებ-წვალებით თავადვე ჩამოეწივნა წვივებამდის.

ლევანამ დაჰხედა თუ არა სახეზე, – ვაი, შენ ჩემო თავოო! – დაიძახა და მუხლებზე დაეცა. ეს მისი საყვარელი მასწავლებელი, მისი ბავშვობის მეგობარი, მისი მფარველი და მეოხი – მოკლე-კატო იყო!!! „გაუუპატიურებიათ“, მწუხარებით გაიფიქრა და თავი ჩაჰკიდა... უეცრად ცოფმა დაჰრია ხელი! – ფეხზე წამოვარდა, ნადირივით მიმოიხედა, რაღაცნაირად შერჩენილი იატაგანი ამოგლიჯა ქარქაშიდან და მგელივით კბილებდაღრჭენილმა იჭაურობა მთელ ტანში გამჯდარგაჯერებული რისხვით მოათვალიერა. ახლა რომ ვინმე საეჭვო დაელანდა, არც ღმერთსა და არც ეშმაკს დაეთათბირებოდა რამეს, – ერთი დაკვრით გასჩეხდა თავით ფეხამდის!.. რაღაცამ დააეჭვა და თხილს იქით გავიდა. გავიდა და უხილავ კედელს შემსკდარივით შედგა! – ბალახებში მოკლე-კატოს შეილიშვილი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ცისთვალა იწვა! იწვა და სააქაოს აღარ ეკუთვნოდა. იწვა და ჭიპამდე აჩაჩული ფუშფუშებიანი

კაბა ნორჩი სხეულის სილამაზის სიშიშვლეს სააშკარაოზე აფენდა. ჯერეთ დაუსრულებელ თეძოებსა და ბარკლებზე ჩალურჯებული ადგილები და სისხლშემხმარი ყავისფერი ლაქები მოუჩანდა...

ლევანამ ზურგი შეაქცია შემზარავ სანახავს და ბალახებში მოწყვეტით ჩაჯდა. მკლავები შუბლზე შემოიწყო და თავი ლამის მიწამდე ჩაჰკიდა. ვერაფრით შედიოდა მის ქვაძქვეულ ტვინში, რომ ასეთი რამის ჩადენა ღვთის სულჩანაბერს შეეძლო. ეს ადამიანურ ზღვარს სცილდებოდა და პირუტყვის, მოუთოკავი მხეცის საქციელში გადადიოდა. ერთხანს იჯდა ასე გაქვავებული. მერე თითქოს მოეყურა, რომ ზურგს უკან რაღაცამ გაიჩუჩუნა. შებრუნდა და სირცხვილმა დასწვა. უმალ წამოხტა, გოგოს კაბა კოჭებამდის ჩამოუწია და თვალი აარიდა. უეცრად გულზე სიხარულის ტალღამ გადაუარა: აშკარად დაინახა, გოგონას სხეული როგორ შეინძრა და თავი გვერდზე გადაუვარდა. „ცოცხალია!“ – ერთბაშად შეიჭრა მის გამლღვალ გონებაში და ფეხზე წამოაგდო. სიფრთხილით აიყვანა, მკერდზე ნაზად მიიკრა და გამოზომილი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა. იქვე, იმავ ტახტზე დააწვინა, რომელზეც მსახიობი პაპის სხეული ესვენა. უეცრად მიჰხვდა, რომ მის შველას სხვაც, მასზე არანაკლებ ძვირფასი ვინმე ელოდებოდა. ისევ გავიდა იასამნებს იქით და მოკლე-კატოც მათ შეუერთა...

*გოგო*: ლევანა პაპავ, რა საჭიროა ამდენი ყოყმანი?

ლევანა: ისევ იქ იყო, იმ გაუერანებულ კარ-მიდამოში, ისევ ის უდანაშაულო დამნაშავენი ესვენა ტახტზე ერთადერთ ჭირისუფალს და ერთბაშად ვერ გაისაზრისა, ეს გოგო ვინდა იყო, აქ რატომ იყო ან რა უნდოდა.

*გოგო*: აბა, მიდი, ლევანა პაპავ, რა ხანია, გელოდები.

ლევანამ გოგოს თვალი ერთიც შეავლო და გამოფხიზლდა.

*ლევანა*: არა მაგაზე ხელი აიღე! მაგის გახსენება ეხლაც ბალღამად მენთხევა გულზე.

*გოგო*: კარგი, დავისვენოთ. – მთლად არ გადაუწურავს იმედი გოგოს.

დაისვენეს.

*გოგო*: აბა, ესეც დავისვენეთ. ახლა რას გვიბრძანებთ, ბატონო ლევან? თავადები დაგენანებ და ხალხი იმიტომ მოიძულეთ? მაგრამ თავადების დარბევა უფრო გვიან მოხდა. ამიტომ, უეჭველად რაღაც დიდი მიზეზი უძლოდა წინ მაგ ამბავს.

*ლევანა*: დიახ, უძლოდა, მაგრამ ქართველი ხალხი ჩემს თავსა და გულში არასოდეს არ გათიშულა. არ გაყოფილა. თავადი, აზნაური, მუშა, გლეხი, მორწმუნე და ურწმუნო, – ეს ყველა ერთად ქართველი ხალხია. მე კლასებისა არც რამე მწამს და არც გამეგება. მით უმეტეს, თუ ეს ჩვენსავით პატარა ერს ეხება. ჩემთვის არსებობს, მხოლოდ ადამიანი, რომელიც კეთილიც არი და ბოროტიც. ვიცი, რო კეთილმა უნდა იმრავლოს, აღორძინდეს, – ბოროტი დაითრგუნოს, განადგურდეს. არ მინდოდა, ბოროტთან რამე საზიარო მქონოდა და ამიტომ დავაგდე ის მანდატი, რომელიც ილიას მკვლელებმა გასცეს და ბოროტებას ემსახურებოდა.

*გოგო*: მერე ხომ გაეთიშნენ ერთმანეთს მენშევიკებად და ბოლშევიკებად?

*ლევანა*: ეს მაინც ერთი ვირის ორი ყური გამოდგა. ბევრი რამ ჰქონდათ საზიარო ერთმანეთში. მათი ბრძოლა უფრო ძალაუფლებისთვის ბრძოლა იყო, ვიდრე ერისა და ქვეყნისათვის. ისიც ტყუილია, თითქოს კომუნისტებს დაეყოთ კლასებად მთელი ქვეყანა, – მხოლოდ ორ კლასად, სადაც მესამე, კაპიტალისტური, – გამორიცხულია. არა! სინამდვილეში ორად კი გაიყო მთელი ხალხი, მაგრამ არა კლასებად, – არამედ პარტიულებად და უპარტიოებად, სადაც აღზევებით მხოლოდ პარტიულები აღზევდებიან, ხოლო უპარტიოები, სინამდვილეში, კვლავ დაბალი ფენაა და დათრგუნულია. ერთადერთი მებრძოლი, – ერისა და საქართველოსთვის, მხოლოდ ჩოლოყაშვილი იყო და მე, როგორც კი ეს დავინამდვილე, მაშინვე მის მხარეზე დავდექი.

*გოგო*: მე მესმის თქვენი, ბატონო ლევან, მაგრამ მაშინ ხომ ბოლშევიკებისთვის გაუტეხელი არანაირი კაკალი არ დარჩენილა მთელს რუსეთის იმპერიაში. არ დავიჩემებ, ვიცი, რომ ლეგენდები დადის თქვენს სიმამაცეზე, მაგრამ მაშინ თავისით გასვლა პარტიიდან სიკვდილს უდრიდა. ნუთუ სულ არ შეგშინებიათ?

*ლევანა*: ვინც გაქცევა გადასწყვიტა, იმას წაქცევისა აღარ ეშინიან. გულმხდალი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კი ვერასდროს მიაღწევს საწადელს. ვისაც მაშინ მოსვენებით ცხოვრება სურდა, ბრმა, ყრუ და მუნჯი უნდა ყოფილიყო. მე ამ სამიდან არც ერთი არ შემეძლო და რისკზე წავედი. როგორც ატყობთ, ურისკოდ თავისუფლებას ვერავინ ჰპოვებს.

*გოგო*: და ახლა თქვენ სრული თავისუფალი ბრძანდებით?

*ლევანა*: არავინ არი ამქვეყნად სრული თავისუფალი. ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი სინდისის ყმაა. სინდისი კი ერთსა და იმავე დროს მუხრუჭიც არი და მათრახიც...

ამის შემდეგ კარგა ხანს ჩამოვარდა სიჩუმე.

*გოგო*: ეს ყველაფერი ჩოლოყაშვილთან ურთიერთობისას ხომ არ ჩამოგიყალიბდათ?

*ლევანა*: არა, ეს ქვეყნიერების ნახვამ, ათასჯურა ხალხის გაცნობამ და ვაჟა-ფშაველასთან ძმობა-მეგობრობამ მისაძირკვლა, ხოლო ქაქუცასთან ყოფნამა და შემდეგ კომუნისტებთან ცხოვრება-ურთიერთობამ შემაცნობინა.

*გოგო*: თუ შეიძლება, რომ ერთი დელიკატური კითხვა გაგიბედოთ.

*ლევანა*: თქვით, შვილო, და, თუ თქვენ თავად არ შეგეშინდებათ მაგ კითხვისა, მე მეყოფა გამბედაობა, ყოველგვარ კითხვაზე პასუხი გაგცეთ.

*გოგო*: ოხ, ლევანა პაპავ, როგორ მიხარია, რომ თქვენთან საუბარი შევძელი. ვიცი, არ დამიმალავთ და მეტყვით: ჩოლოყაშვილმა მართლა ტყვედ გიგდოთ თუ თქვენ თვითონ ჩაბარდით?

*ლევანა*: მაგაზე თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გახლდათ. იგრე, მართალი რო გითხრათ, ერთიც იყო და მეორეც. მე ბუნებით მაძიებელი კაცი ვარ და მაინტერესებდა, ვის ვებრძოდი და რათ ვებრძოდი. იქნებ პირიქით უნდა ყოფილიყო? მაგრამ მთავარი ის არი, რო ბოლომდის დავრჩი ქაქუცასთან და მხოლოდ სამღვრიდან გამოვბრუნდი უკან.

*გოგო*: რატომ გამობრუნდით, თან არ წაგიყვანათ?

*ლევანა*: ბევრი არ გაჰყვა თან. არც თავად მიხა ხელაშვილი, რომელსაც სხვა „დანაშაულთან" ერთად ავლაბრის კომისრის ცოდოც ედო კისრად და საქართველოში არ დაედგომებოდა.

*გოგო*: მიხა ხელაშვილი ვინღა იყო?

*ლევანა*: იქ, ქაქუცასთან ბევრი იყო, ვისი სახელიც არ უნდა დაეკარგოს ერის მომავალ ისტორიას. მიხა ხელაშვილი რო ცოცხალი დარჩენილიყო, (თუმცა კომუნისტებს ვინ გადაურჩებოდა, როცა ვაჟა-ფშაველას ღვიძლი შვილი არ დაინდეს), საქართველოს უეჭველად კიდევ ერთი კარგი პოეტი შეემატებოდა.

*გოგო*: გახსოვთ რამე მისი ლექსებიდან?

*ლევანა*: ბევრი მახსოვს. მაგისივეა „ლექსო ამოგთქომ ოხერო".

*გოგო*: ეგ ლექსი ხომ ხალხურია.

*ლევანა*: ხალხურია, რადგან თავად მიხაც ხალხის ნაწილია. ვაჟკაცობით, პატიოსნებით, ნიჭით, ჭკვით, ამტანობით, გამტანობით, ზრდილობა-თავაზიანობით, ჭირთა თმენით, მიმტევებლობით, მოყვასისა და თავისი ქვეყნის სიყვარულით ნიმუში იყო ქართველი კაცისა.

*გოგო*: აი, თქვენ ახსენეთ მიმტევებლობა. ქაქუცას რაზმელი რა მიმტევებელი უნდა ყოფილიყო?

*ლევანა*: ქაქუცა... თქვენ მართლა ყაჩაღი და კაცისმკვლელი ხო არა გგონიათ, როგორც კომუნისტები აცხადებენ? არა, კაი გოგო, ქაქუცა საქართველოს ერთი უპირველეს მამულიშვილთაგანი გახლდათ! თავგადადებული მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სულ ტყუილია, თითქოს თავადების უფლებების აღდგენა უნდოდაო. არა, ბალღო, ეგ ყველაფერი ცილისწამებაა, კომუნისტური აგიტაცია ხალხის თვალის ასახვევად მოგონილი. იმის რაზმში თავადი, აზნაური, გლეხი, მუშა, ვაჭარი, ღვდელი თუ დიაკვანი, ერთ ბერაში გადიოდა. თანაბარი პატივით იბრძოდნენ გვერდიგვერდ საქართველოს თავისუფლებისთვის. ვაჟა რო ცოცხალი ყოფილიყო, ქაქუცას ერთი იგეთი პოემა ექნებოდა განაღდებული, „ივანე კოტორაშვილს" რო გაახუნებდა.

*გოგო*: კარგი, მღვდელი, ვთქვათ, გასაგებია, მაგრამ დიაკვანს იქ რაღა უნდოდა? მღვდელს თან ახლდა?

*ლევანა*: ქაქუცას რაზმში ხელობა და თანამდებობა არ არსებობდა. იქ ყველა მეომარი გახლდათ. მხოლოდ უფროს-უმცროსობა და სამხედრო დისციპლინა სუფევდა. ადამიანისთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა რწმენის შელახვაა. მიხა ხელაშვილს იმ დროს მოუხდა ხევსურეთს, - ბარისახოში დიაკვნობა და საყდრების მცველობა, როცა ხევისბერებს თავზე ქუდს ჰხდიდნენ და პირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერს აგლეჯდნენ; ლეწავდნენ ხატებსა და საყდრებს; ხელით თუ ვერ მისწვდებოდნენ, ტყვიით ატეხდნენ ეკლესიის გუმბათებზე ჯვრებს; ბილწავდნენ წმინდა წიგნებსა და საკურთხევლებს და დიაკვან მიხა ხელაშვილსაც წაართვეს ხატიც, ღმერთიც, საყდარიც და ნადირის მოსაგერიებელი თოფიც. შეუგინეს კაცობა, რწმენა, განაძევეს ღვთის სახლიდანაც. ყოველმხრით შეავიწროვეს კომკავშირელმა აქტივისტებმა. და მიხაც იძულებული გახდა, ტყისთვის შეეფარებინა თავი. არ ინდომა ქვეყნისა და სარწმუნოების მბილწველთა გვერდში ყოფნა და გაერიდა. დადიოდა მარტო, არავის ძარცვავდა, არავის არბევდა, არავის კლავდა, არავის ავნებდა და... წერდა ლექსებს. იყო მარტოხელა მგელივით და ქაქუცას რაზმში მხოლოდ ოცდაოთხში მოვიდა. ბევრი წიფელი მინახავს მიხას ხანჯლით ჩამოთლილი, ამ ნათალზე მისგან მიწერილი ლექსი. ეს ტყეები იყო მისგან გამოგონილი განსაკუთრებული წიგნი, რომლის არც ადგილიდან დაძვრა შეიძლებოდა, არც თხოვება, არც დახევა და არც დაცვა-შენახვა. მხოლოდ გადამწერი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ გადამწერიც არ ჩანდა ვინმე, რადგან ცოცხალი იყო თავად მიხა და მისივე პირით ისმენდნენ მისსავე ნათქვამს...

*გოგო*: ქაქუცასთან მისვლამდე როგორ ცხოვრობდა ეგ კაცი?

*ლევანა*: ხალხს უყვარდა და ეს სიყვარული ინახავდა.

*გოგო*: რატომ უყვარდა ხალხს ყაჩაღი?

*ლევანა*: წეღანაცა ვთქვი, რო ეგ ყაჩაღი არ იყო. ტყე-ტყე მხოლოდ იმიტომ დადიოდა, რო ახალი დროის დამცველებს გაურიდებოდა. ოღონდ, რომელ ტყეშიაც მოჰხვდებოდა, იმ ტყეში ყაჩაღი, კაცისმკვლელი, ქურდი და მამაძაღლი ვეღარ ბოგინობდა. სადაც კი მისწვდა, ტყეს შეფარებულ ყველა უწმინდურს აუკრა გუდა-ნაბადი და მათ მაგივრად ჩამოთლილ წიფლის ზროებზე დატოვა თავის ლექსები... ეე, რამდენი ლექსი დარჩება იგრე, ხალხი რო ვერ წაიკითხავს და ვერ გაიგებს, რა პოეტი დაკარგა მიხა ხელაშვილის სახით. ბევრი იგეთი ლექსიცა ჰქონდა, რომელიც მეტი თუ არა, არც ნაკლები იქნებოდა „ლექსო ამოგთქომ ოხეროზე..."

*გოგო*: ნამდვილი ყაჩაღები რატომ უჯერებდნენ, რატომ არ მოკლეს ერთი კაცი?

*ლევანა*: ტყესა და მთაში ყველა კარგად იცნობდა. მიხა იყო ტოლდაუდები მოჭიდავე, პირდაპირი, უშიშარი, გაუტეხელი. იმისი ღონე, სისწრაფე და მოხერხება კაცს აოცებდა. სროლით კი იმისთანა მსროლელი ქორჯიკა თუ მახსოვს. აი, რატო ეშინოდა იმისი ძაღლსა და მამაძაღლს; ამისთვის იყო ყოველი ფშავლისთვის ოჯახში სასურველი სტუმარი:

*„მიხას მოსვლაზე მზე მოვა,*
*რო წავა - შავი ღრუბელი..."*

აი, ამ ლექსის ნაწყვეტიდანაც კარგათა ჩანს, როგორ უნდა ჰყვარებოდა ხალხს.

*გოგო*: ლევანა პაპავ, თქვენ პირდაპირი კაცი ბრძანდებით და გატეხილად ვთქვათ: თვითონვე ხომ კარგად ატყობთ, როგორ ცდილობთ, ყველაფერზე ილაპარაკოთ, გარდა იმისა, თუ რატომ დააგდეთ პარტბილეთი.

*ლევანა*: (დაფიქრების შემდეგ) კარგი, ვხედავ, ეგრე ადვილად არ მომეშვები და ბევრ მიზეზთაგან ერთს, ბევრად უფრო რბილს შეგირჩევ: მიხა ხელაშვილს მშობლებიდან დედა ჰყავდა შემორჩენილი. მაშინდელმა პარტიულებმა იგრე დაგეშეს მაშინდელი კომკავშირელები, რო მთისა და ვაჟკაცობის ყველა წესი, და არამარტო მთისა, ადამიანურობის ყველა ქცევა-რჯული დაავიწყეს, ღვთისგან ბოძებული ტვინი ამოჰფხიკეს და იმის ნაცვლად თავიანთი უზნეო ზნეობის წესდება ჩაუდეს. აი, ამ ტვინგამოფხეკილ კომკავშირელთა ერთი ჯგუფი დაჰხვდა წყალზე მიმავალ მიხას დედას. სამოცდაათ წელს გადაბიჯებული დედაბერი ჯერ ხანჯლის წვერებით ჩხვლიტეს კარგა ხანს, მერე ეგრე ნაწამებ, ჭრილობებისაგან სისხლ დაწრეტილ დედაკაცს ჰკრეს შუბლში ტყვია და იქვე გააგორეს... ერთი ლეკი ძმობილი მყავდა. ლაკების აულ აკუშაში იპარავდა ცხენებს და თბილისში ჰყიდდა ჩემგან შერჩეულ ხალხზე. ამ ლეკისგან ვიცი: ჩვენ ერთი ანდაზა გვაქვსო: „გველსაც ნუ ერჩი, როცა წყლით იკლავს წყურვილს". და დავიჯერე, რო მართლაც ექნებოდათ ეგეთი ანდაზა... ჰოდა, აი, იმ პარტიულთა დაგეშილმა ახალგაზრდებმა კი ადამიანს, - სამოცდაათ-ოთხმოცი წლის დედაბერს, წყლამდე მისვლაც არ აცალეს, იგრე გამოასალმეს ნაწამები სიცოცხლეს...

*გოგო*: ეგ ნამდვილად დიდი ცოდვაა, ლევანა პაპავ, ნუთუ მართლა ასეთ მხეცებად ზრდიდნენ მაშინდელ კომკავშირელებს?

*ლევანა*: მარტო კომკავშირელებს? რათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიწყდება მამის დამბეზღებელი პიონერი, რომელსაც ძეგლიც კი დაუდგეს?

*გოგო*: ვიცი, ვისზეცა ბრძანებთ, მაგრამ ნუთუ ასე ერთობლივი ჰიპნოზი იყო მაშინდელ კომკავშირში?

*ლევანა*: ერთი შემთხვევა მახსოვს მაშინდელი კომკავშირელისა, – ნამდვილი ვაჟკაცობა, რომელიც ღირსია მართლაც ძეგლის დადგმისა!

*გოგო*: ეგ რომელ ვაჟკაცობაზე ბრძანებთ, ბატონო ლევან?

*ლევანა*: საშა ჯორჯაძე თელავის ტექნიკუმის ბოლო კლასის მოწაფე იყო, როცა თბილისიდან გამოგზავნილმა ვიღაც თოდრიამ „ჩონში“ შეიყვანა. (მაშინ ღოსააფს „ჩონი“ ერქვა). საშას მამა – ლადო ჯორჯაძე, ძალიან ფრთხილი კაცი იყო, მაგრამ დაავიწყდა ერთი ჭკვიანი კაცის ნათქომი: „რასაც გულში ჰფიქრობ, თუ საფრთხილოა, შენი შვიდი ვაჟის დედასაც ნუ ეტყვი“. ლადო კი იმ თოდრიას, რომელიც ოჯახში შვილივით ჰყავდა მიღებული, გულახდილად, მოურიდებლად ელაპარაკებოდა ხოლმე „ჩეკასა“, „ჩონსა“ და ზოგიერთი პარტიული მუშაკის უღირს საქციელზე... ოცდაოთხი წლის აგვისტოს რეპრესიების დროს თოდრიამ დააბეზღა თავისი მამობილი – ლადო ჯორჯაძე და ისიც იმ ღამესვე დააპატიმრეს. და იმ წუთიდანვე დასახვრეტთა სიაში შეიყვანეს. მაშინ თელავის საზოგადოების დერიტას ქალაქის აღმოსავლეთ განაპირას, – „გიგოს გორაზე“ ხვრეტდნენ. იმ ღამეს, როცა ლადო ჯორჯაძე უნდა დაეხვრიტნათ, მისი შვილი, – საშა ჯორჯაძე იმ დამბეზღებელ თოდრიასთან ერთად მორიგეობდა მაზრის პოლიტბიუროში. ამ დროს პოლიტბიუროს სარდაფში, ციხიდან, ოთხმოც კაცამდის იყო გადაყვანილი დასახვრეტად. საშა ჯორჯაძე პოლიტბიუროს უფროს ჯაფარიძესთან, იმის მოადგილე ტოლსტოისთან და იმ ბილწ თორდიასთან ერთად აივანზე იდგა, სიით დასახვრეტი ხალხის გამოძახება რო დაიწყეს. როცა ლადო ჯორჯაძე ახსენეს, ჯაფარიძის წინ, საშა მუხლებზე დაეცა და შეჰღაღადა: ოღონდ მამაჩემის სიცოცხლე მაჩუქე და, რასაც დამავალებ, უსიტყვოდ შევასრულებო! ჯაფარიძემ მის წინ მუხლებზე დაცემულს დაჰხედა და ერთ წუთს ტკბებოდა კაცის ასეთი დამცირებით. მერე სიჩუმე დაარღვია და უთხრა: „კარგი. ეგრე იყოს. ჩემი პირველი დავალება იქნება: შენი ხელით დაჰხვრიტო... მამაშენი!“ გველნაკბენივით წამოვარდა ფეხზე ჯორჯაძე! – პირველი ტყვიით ჯაფარიძე გაგორა, მეორეთი დამბეზღებელი თორდია! მესამე კი აღარ დასცალდა. – იქვე აკუწეს გონს მოსულმა მილიციელებმა... ამ ამბავმა კარგი საბაბი მისცა „ჩეკას“ და მილიციას. – გიგოს გორაზე არც ერთი დასახვრეტი აღარ გაუყვანიათ: ეცნენ მგლებივით სიით გამოყვანილთაც და წინა ღღით დაჭერილ პატიმრებსაც, რომელნიც საშა გამყრელიძის ნადიმზე მოინადირეს. ამ ნადიმზე კი მთელი კახეთის რჩეული თავადაზნაურობა და ინტელიგენცია იყო დაპატიჟებული... გათენებამდის გრძელდებოდა უიარაღო, უდანაშაულო ხალხის საზარელი ჟლეტა... მილიციის ეზო და ახლო მდებარე ქუჩები სისხლით მოირწყო. სისხლმა გაჟონა ეზოს შესასვლელში და ქუჩის პირას გამავალ რუს შეუერთდა... აი, ვინ იყო ვაჟკაცად აღზრდილი შვილი! აი, ვინ არი ძეგლის დადგმის ღირსი! თქვენ კი მეკითხებით, რატომ მიუგდე ბოლშევიკებს მანდატიო?..

*გოგო*: პირველად თქვენგან მესმის ასეთი საზარელი რამ, ლევანა პაპავ, კი ვიცოდი, რომ თავად-აზნაურები სძულდათ, მაგრამ ასეთი ბოროტება?.. ვწუხვარ, რომ თქვენს მოურჩენელ ჭრილობას შევეხე... მაგრამ მე ჟურნალისტი ვარ და ძალიან ცონბისმოყვარე. უნდა მაპატიოთ როგორმე... აი, თქვენ წეღან თქვენი მეგობარი ლეკის ანდაზა ახსენეთ, თან დაამატეთ: „დავიჯერე, რომ მართლაც ექნებოდათ ასეთი ანდაზა“. რატომ დაამატეთ ან რამ დაგაჯერათ?

*ლევანა*: ეს ანდაზა, „გველსაც ნუ მოჰკლავ, როცა ის წყურვილს იკლავს“, უეჭველად ლეკებში უნდა იყოს წარმოშობილი და რჯულადაც ექცათ. მე მაშინვე დავით გურამიშვილი გამახსენდა, რომელსაც მოთარეშე ლეკებმა აცალეს და, სანამ წყლით გული არ იჯერა, ხელი არ უხლიათ. კინოშიაც ეგრეა. ეს ნამდვილად იმის გადამღებთა ნიჭისა და ცოდნის შედეგია.

*გოგო*: მეც მინახავს. ნამდვილად ასეა. მაგრამ, თქვენ რომ არ გეთქვათ, მე მაგას ჩემს სიცოცხლეში ვერ მივხვდებოდი.

*ლევანა*: არც იგრე საჭიროა, ამას ვინმე მიჰხვდება თუ არა, მე ამით იმის თქმა მინდოდა, რო საუკუნეების მანძილზე საქართველოს მოსისხლე მტრები, რომელნიც სისხლითა და ხორცით ჩვენთვის უცხონი არიან, ბევრად უფრო ადამიანურნი ჩანან იმ ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავე სისხლსა და ხორცზე, რომელთაც ჯერ ქრისტესავით აწამეს ხანჯლის წვერებით, მემრე ამ ნაწამებ ქართველ დედას შუბლში ტყვია ახალეს! ტყვია ახალეს საწყალ დედაბერს, რომელსაც, ვინ იცის, როგორ სწყუროდა წყალი! ქართველ დედას - ქართველი დედის ნაშობებმავე!.. და ეგეთ უწმინდურ ხალხთან განა შეეძლო ლევანას ყოფნა, იმათი აზრებისა და საქმიანობის გაზიარება?

*გოგი*: მაშ, თქვენი ინიციატივით კოლმეურნეობის ჩამოყალიბება როგორ გავიგოთ?

*ლევანა*: გაიგეთ იგრე, როგორც მე მესმის.

*გოგი*: მერე, თქვენ როგორ გესმით?

*ლევანა*: კაცთათვის სასარგებლოდ მთელი სოფლის გაერთიანება იმ საჯილდაო ქვის ასაწევად, რომელსაც ორი-სამი კაცი და ათეულიც კი ვერ ასწევდა.

*გოგი*: მაინც რამ ჩაგაგონათ ეს?

*ლევანა*: ერთხელ მეწისქვილეობისას, უსაფქვლოდ ვიყავ. წყლის პირას ვიწექ და ალაზანს ჩავყურებდი. ფსკერზე, ქვიშაში, სალამურა თევზები, არ ვიცი, რისთვის, ორმოსა სთხრიდნენ. კენჭებზე თავიანთ პატარა პირებს მიაწებებდნენ და გვერდზე გაჰქონდათ. მოზრდილი კენჭი შემოჰხვდათ. ერთმა ვერ ასწია. მაშინ მივიდა მეორე, შემდეგ მესამე, შემდეგ მეოთხე... ერთად ასწიეს და გვერდზე გადაიტანეს!.. ამან ჩამაგონა ის, რომელიც შეიძლება მეთერთმეტედ დავუმატოთ იმ საქვეყნოდ ცნობილ „ათ მცნებას“. ეს იყო კობა ჩოხელის „კომუნისაგან“ განსხვავებული რამ.

*გოგი*: დიახ, დიახ, სრულიად ნათელია.

*ლევანა*: კიდევ უფრო ნათელი რო ყოფილიყო, ჩემს უანგარობაში რო დარწმუნებულიყვნენ, რო ეგრძნოთ, - ჩემი ძალაუფლებისთვის არ ვიბრძოდი, თავმჯდომარედ სხვა ავარჩეინე ხალხს და ჩემთვის მხოლოდ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა დავიტოვე. ყოველგვარ შავ სამუშაოს კი მე ვასრულებდი, რადგან პირველად მე ერთი ვიყავი, ვისაც ზოგი ისეთი ხელობა ეხერხებოდა, მიწის მუშამ რო არ იცოდა: ვხნავდი, ვთესავდი, ვმკიდი, ვლეწავდი, ვთიბავდი, ვთოხნიდი, ვჭრიდი აგურს, სავენახე ორბარისპირს ვაბრუნებდი, ვაშენებდი ვენახებს, ვწამლავდი, ვსარავდი, ვაშენებდი „ზაოდს“, ჭაჭას ვხდიდი, ტყიდან ვათრევდი მორებს, ვხერხავდი ფიცრებად, ვარემონტებდი ძველ ურმებს, ვაკეთებდი ახალს, მომქონდა შეშა, ვთხრიდი სანახშირე ორმოებსა და ვწვავდი ნახშირს სამჭედლოსთვის, ვაშენებდი სიმინდ-ხორბლის საშრობ-საწყობს, თავლა-გომურს, საბძელ-სათივეს, ზოგჯერ ვმეეტლეობდი, ვმეწისქვილეობდი... აბა, ყველაფერი როგორ ჩამოგითვალოთ...

*გოგი*: ნუთუ ასე ყველა ხელობა იცოდით?

*ლევანა*: ეგრეა, ვინც ბევრი იცხოვრა და ბევრი ნახა, იმან ბევრვი ისწავლა კიდეც.

*გოგი*: ვერ წარმოიდგენთ, როგორი მადლობელი ვარ იმ კაცისა, რომელმაც თქვენზე წიგნის დაწერა მირჩია. ერთი ეს მიბრძანეთ, პირველი ცოლიდან რამდენი შვილი დაგრჩათ?

*ლევანა*: (დიდი ხნით ფიქრის შემდეგ) არც ერთი...

*გოგი*: რატომ, ადრევე გარდაიცვალა?

(გაგრძელება იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგა მახვილაძე

## სიკვდილს

წონასწორობას, გსურს, რომ იცავდე,
სიკვდილო, რატომ გთვლიან უძლებად?
შენ რომ არ იყო, დედამიწაზე
ამდენ მომაკვდავს რა გაუძლებდა.
თუმცა არსებას გვამად გარდაქმნი,
ვარდს გადააქცევ გამხმარ ბალახად,
უკვდავებაც ხარ ზოგჯერ მკვდართათვის
და ამ სიკეთეს უნდა დანახვა.

## სასაფლაოზე

მენანავება ნიავი გრილი,
სასაფლაოზე ღამჩემდა ასვლა,
აქ მარმარილოს სიჩუმე ტირის, –
სევდა ჰქონია მტანჯველი მასაც.
მაგრამ ვერ ვუძლებ დიდი ხნით დუმილს
და ვერც ხეების იდუმალ შრიალს,
მალე მბეზრდება გარემო ჩუმი
და ქალაქური ხმაური მშია.

## მინაწერი სახარების წიგნზე

ძმობაც რომ ჩაგვაგონონ
ბიბლიურმა წიგნებმა,
უბედური ამქვეყნად
მაინც ბევრი იქნება.
საწუთროში კვლავ ვნახავ
მარტოხელა სევდიანს,
ნეტარება ცოტაა,
ბედშავობა მეტია.
ხელს არავინ გიმართავს,
ძმა ძმას აღარ უცინის,
ქველმოქმედი ცოტაა,
ბევრი არის გულცივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გადაკარგული აპრილი

მოახლოება შორი ნაპირის
სევდით ალავსებს ადამიანებს,
სად დაიკარგა ჩემი აპრილი,
ხელახლა მოსვლას რად იგვიანებს?
მალე შეხვედრის რწმენით გამშორდა,
მეც რას ვიზამდი? – ვეღარ ვეომე,
ისე წაიღო ჩემი ბავშვობა,
თითქოს მარაგში მქონდა მეორე.

* * *

სუყველაფერი გახდა ამაო,
ინგრევა ჩემი სვეტიცხოველი,
უკვე ორ კოცონს შუა ვქანაობ
და ჯერ არ ვიცი, დამწვავს რომელი.
აღსასრულის დღე დუმილს მავალებს
და ჩემს სურვილებს ქვიშას აყრიან,
გათხრილი არის უკვე სამარე
და ეშმას ხელის კვრაღა მაკლია.
გაყვითლდა ჩემი იმედის მდელო,
სამყარო ლაღად სუნთქვას არ მაცლის,
ოპტიმისტებო, ნეტავი თქვენ, რომ
თავგამოდებით გჯერათ რაღაცის.
გამინაცრისფრდა უკვე დილის მზეც,
დღე მოკლეა და ღამე გრძელია,
სევდა მატარებს ისეთ ბილიკზე,
გზად გახდომა რომ არ უწერია.
ცაში ისვრიან ისევ რაკეტებს,
მე კი სიმშვიდე აღარ მეღირსა,
საით მივდივარ ან რას ვაკეთებ,
საიდუმლოა უკვე ჩემთვისაც.

## მსაჯული ბედი

ჩვენი მსაჯული
ხშირად ბედია,
მასთან ბრძოლაში
სუსტი ვართ მუდამ,
მდინარეები
ზღვებს რომ ერთვიან,
ხომ არ ფიქრობთ,
რომ ძალიან უნდათ?!
თავს ზემოთ ხშირად
არ არის ღონე,
სითბოს ვითხოვთ და
გვიმზერენ ცივად,
ტყეში თარეში
სწყურიათ ლომებს,
მაგრამ გალია
არგუნეს წილად...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იური კახნიაშვილი



* * *

ჯერ ისევ დგას, არ გასულა
ჩემი მატარებელი,
ჩემს მაგივრად ვიღაც გალობს
ჩემი სადარდებელით.

მენატრება სევდიანი
ვარაიდა, რაიდა,
ყველანი ვერ ვიბადებით
ვაჟკაცად და რაინდად.

არ გეგონოთ მოფენილი
ეს გზა იით,ვარდებით,
ეს ბილიკი სავსე არის
ეკალით და ბარდებით.

ჯერ ისევ დგას, არ გასულა
ჩემი მატარებელი,
ჩემს მაგივრად ვიღაც გალობს
ჩემი სადარდებელით.

## ყვირილა

კალაპოტში ვერ ეტევა,
                    არ ნებდება დინებას,
ხმაურობს და მორევებს ქმნის
                    ამაყი და თავნება,
ერწოს ტბიდან იბადება
                    და რიონთან თავდება
ვერ უსხლტება ბედისწერას –
                    გარდაუვალ დილემას.

* * *

წუთიც საუკუნეა შთაგონების გარეშე,
სევდით გული დამძიმდა და გულშიც ავდარია,
მუზა მომთაბარეა და ლაღი მოთარეშე
განკურნებას შენა გთხოვ, ღვთისმშობელო მარიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის მონა ვარ უკანასკნელ წამამდე
და არა ვარ ის კაცი, ფარხმალი რო დავყარო,
კიდევ უფრო ვმდაბლდები, ვცდილობ, არ გავთამამდე...
პოეზიით სულდგმულობს ჩემი თბილი სამყარო.

* * *

ეს ლექსი, ძმაო, ჩვენ შორის დარჩეს.
ქალაქი დარჩათ კახპებს და ჩარჩებს
და როცა ვხედავ შენობის ნარჩენს
თითქოს თბილისი შიგ გულში დაჭრეს.

მაშ, რისთვის ვუნთებთ ღვთისმშობელს სანთელს,
რისთვის აღვუვლენთ მოდრეკით ლოცვას,
თუ ვერ ვიხილავთ სულით და ხორცით
განსპეტაკებულ ჩვენ ჯიშს და მოდგმას.

* * *

როცა მზე ძალას დაკარგავს და ჩამოწვება ნისლი,
ნისლში რომ ბუტავს ჯარგვალი გადახურული ისლით,
როცა მეგრელი თევზაობს და ბადეს ტბაში ისვრის,
გაიწკრიალებს ჩონგური და მწველი ჰანგი ისმის,
გაიტრუნება ბუნება და სიოც აღარ იძვრის,
დაგუგუნდება გალობა მარტვილს, მცხეთას და ყინწვისს,
მთლად ჟრუანტელი დამივლის და აღარც დროა ფიქრის
რადგან მკვიდრი ვარ, ვიცი, ამ მადლიანი მიწის.

* * *

გავცქერი ხედებს სტამბულისას თვითმფრინავიდან,
არ ჩანს აიასოფია და პორტი სტამბულის,
თითქოს სალონში ისმის მსუბუქ ტალღის დგაფუნი
და ვხედავ, ვიღაც ბადეს სტყორცნის ზღვაში ნავიდან.

მივემგზავრები ელადაში თურქეთის გავლით,
ვხედავ აკროპოლს, პართენონს და ქათქათა ათენს,
ახალგაზრდობა თბილ ღამეებს ქუჩაში ათევს,
რადგან ძველ ათენს არ გასვლია ხიბლი და ყავლი.

მოვიხიბლები ულამაზეს ქალაქის ხილვით,
კაფე-შანგანით, ტრაქტირებით, თუთის ხეებით,
აკროპოლის და პართენონის სიმაღლეებით,
მცხუნვარე მზით და ულურჯესი აპრილის დილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შოთა ასანიშვილი



## სიმღერა ცრემლით

ქეიფს ქართველებს ვერავინ გვასწავლის, ვერც მოლხენას! უსიმღეროდ ალაგებულ სუფრას ძნელად თუ შევეგუებით...

სუფრას არაფერი აკლდა. თავს მაინც კახური ღვინით იწონებდნენ, შინ დაწურული რქაწითლით: ფერად - ბაჯაღლო ოქროსფერი, სურნელი - გაჭყლეტილი ყურძნის, გემო? რა გითხრათ. როგორ გითხრათ, ბატონო ჩემო, უკეთესს ვერაფერს ინატრებდით!

თამადად დაბალი, მკვრივად ნაგები, შუქიანი პირისახის, მწიფე ქლიავისფერთვალება დააყენეს. რამდენიმე ტრადიციული სადღეგრძელო თქვა. „წინწყარო" წამოიწყო. პირველი ხო უთხრეს, ბანის მთქმელი უამრავი იყო. თამადას ტკბილი ხმა ჰქონდა, სითბო ამოსდევდა კენესასავით გამთანგველი, ჟრუანტელმომგვრელი. გატაცებით მღეროდა, თან თვალთაგან ღვიარება მოსდიოდა. ცრემლს დიდი თეთრი მიტკლის ცხვირსახოცით იწმენდდა. თამადის ცრემლი არავის გაჰკვირვებია. სტუმრად მოსულ ჭაღარაწვერიანს ეუცნაურა მხოლოდ. იფიქრა - სურდო ან სულაც, სურავანდი ექნება შეყრილი, სიმღერისას სნეულება უფრო მაგრად წამოჩინდებაო. თურმე ნუ იტყვით, რა სურავანდი, რის სურდო, სულ ასე ცრემლად იღვრება კაცი, როდესაც მღერის.

თამადამ უცნაური სადღეგრძელო თქვა:

- ვინც ჩვენგან, ამ სუფრასთან მსხდომთაგან პირველი აღესრულება, მიწისქვეშა საქართველოში პირველი წავა, იმას გაუმარჯოს, მისი დღეგრძელობა ყველაზე მადლია!

სუფრასთან გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოწვა... ზოგმა რო მარჯვენივ მჯდომს გადახედა, ზოგმაც მარცხნივ მიღრიცა კისერი, ზოგიცა წინმჯდომს მიაცქერდა დაჟინებით, თამადას ღიმილი მოერია:

- თქვე კაი დედმამიშვილებო, იქნება სულაც ჩემი სადღეგრძელო ვთქვი...'

ერთბაშად გამოერკვნენ. რატომღაც ყველამ უკლებლივ სამადლობელი შესვა.

თამადამ სიმღერა წამოიწყო: „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, იაო..." აჰყვნენ და რა აჰყვნენ. დარბაზი გუგუნებდა, თამადას ღვიარება ჩამოსდიოდა.

ჭაღარაწვერიანმა მოსვენება დაკარგა:

- ბოლომდე ასე იტირებს? - გვერდით მჯდომ ბურძგლაქოჩრიანსა ჰკითხა.

- მაშ, ყველა ქართულ, გულში რაღაცნაირად ჩამწვდომ სიმღერაზე მასე იმდუღრება.

- გასაგიჟებელია! - ჭაღარაწვერიანი გაოცებას ვერ ფარავდა: „ქალებს ვიცნობ. იმათ თვალზე ცრემლი არ მახსენდება", - გაიფიქრა და სიგარეტს მოუკიდა.

თამადამ მორიგ სადღეგრძელოში ღვინოს უკმია გუნდრუკი, ზუსტად დაასურათხატა მისი ჩამოუთვლელი სიკეთე და მადლი.

მიწის, ცის და ვაზის გამიგიაო. - უკვირდა ჭაღარაწვერიანს, - ღვინისა რაღაა, არადა, რა ზუსტადა თქვაო.

ერთმა დაბალ ხმაზე წამოიწყო: „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი..." თამადა ერთხანს დაჟინებით დააცქერდა დამწყებს, მერე აჰყვა და მთლად ღვიარებად დაიცალა. ტირილით მღეროდა თუ სიმღერით ტიროდა, სულიერი ვერ გაარკვევდა. ითმინა ჭაღარაწვერიანმა და ბოლოს მეზობელს ქიმუნჯი წაჰკრა:

- გვარში ეგ ერთი ჰყავთ გამორჩეული თუ სხვებიც ურევიან?

ჯაგარაქოჩრიანი უშნოდ გაიღრიჭა:

- ჯიში აქვთ ასეთი.

- რა ჯიში?!
- ჯიში, ჯილაგი. მაგისი პაპა მღვდელი ყოფილა, სასწაულ საგალობლებს ამბობდა, თან ცრემლი ჩამოსდიოდა, მნახველს ატირებდა.
- რას ამბობ, მაშაყირებ?
- როგორ გეკადრებათ...
- ეს რა ღვთის რისხვაა, მამაზეციერმა მარტო მაგათი გვარისთვის გაიმეტა ცრემლი?
- აბა, რა მოგახსენო, იქნებ სხვებიც არიან.
- ყველა სიმღერაზე ტირის?
- ვერ გავიგე?
- რუსულზე, თათრულზე, ბოშურზე...
- არა, არა, რას ბრძანებთ, მხოლოდ ჩვენებურზე - ქართულზე.

ჭაღარაწვერიანმა ყუაზე დაყვანილ სიგარეტს ახალი წაუკიდა. გამოხედვა ჩაეჯანდა. თამადას დაეთხოვა - თქვენის ნებართვით პარკში გავისეირნებო. თამადამ ღიმილით მისცა დასტური. ჯაგარაქოჩრიანი სტუმარს თან გაჰყვა.

სტუმარი მოხრეშილ ბილიკს შეუყვა, ფიჭვების ხეივანს გასცდა. ბებერ მაგნოლიასთან შეჩერდა. მოშორებით მიდგა, კენწეროსკენ გაექცა მზერა, ერთადერთ, ლამაზად გაშლილ ყვავილს მოჰკრა თვალი, ძალზე ეამა. ბუნების მშვენიერებით მოხიბლულს ცრემლი მოადგა თვალზე. ერთბაშად გამოერკვა: თამადის ცრემლი სარაოდ გამიკვირდაო!

ჯაგარაქოჩრიანი მოშორებით დაყუდებულიყო, ნაღვლიანი ღიმილი დაეყენებინა მზისგან გარუჯულ სახეზე. ხან სტუმარს შეხედავდა გაოცებული, ხან მაგნოლიაზე ლამაზად გაშლილ ერთადერთ ყვავილს.

პირუჩუმრა დაუბრუნდნენ დარბაზს. მოქეიფენი ხმადაბლა ბაასობდნენ. სტუმარმა სიმღერა წამოიწყო: „ოჩი ჩორნიე, ოჩი სტრასტნიე..." თამადამ პირველი უთხრა. თბილი პირველი. უთხრა და სახე ღიმილით გაებადრა. მწიფე ქლიავისფერ თვალებში უცრემლო შუქი ჩასდგომოდა.

მას სხვებიც აჰყვნენ. მაშ, არ აჰყვებოდნენ! ბოშური სიმღერის ეშხი ყველას წაჰკიდებოდა. ჭაღარაწვერიანიც მღეროდა. თამადის ცრემლგამშრალ თვალებს მისჩერებოდა. „დავიჯერო, ჩემზე უფრო უყვარს საქართველო, დავიჯერო, ჩემზე უფრო?!"

ბოშური სიმღერა ჩამოთავდა. ტაშმა იგრიალა.

თამადა მორიგ სადღეგრძელოს ამბობდა.

მთის ფერდაზე შეფენილ სარაჯიშვილებისეულ მამულიდან შაშვის გალობა ისმოდა. უმშვენიერესი, შეუდარებელი გალობა. ჭაღარაწვერიანი სმენად იქცა. საოცრებათა დღე დამდგარიყო. გაძლება ჭირდა. მერე ხელის მტევნები შუბლთან შეყარა, თვალები დახუჭა. ნაღდად იგრძნო ყვრიმალზე ჩამოგორებული ცრემლის სისველე.

- ეს რა ქართული სნეულება სჭირს თამადას? - მეზობელს გადაულაპარაკა სტუმარმა.
- სნეულება კი არა, ჯიში და მოდგმაა! თქვენ მაგისი ძმა უნდა განახათ.

ძმაა?!

ჰო, უმცროსი, ეს იმასთან მოგონებაა.
- ისიცა ტირის?
- მაშ, ამაზე უფრო ლამაზად, რაღაცნაირად უფრო უხდება.
- ხმა, ხმა როგორი აქვს?
- უკეთესს ვერ ინატრებ; ხავერდოვანი, თბილი, უფრო დამატყვევებელი.

„სასწაულების ქვეყანა აკი ვართ, მაგრამ ასეთი სასწაული!" - საგონებელში ჩავარდნილიყო ჭაღარაწვერიანი.

პარკში შაშვი გატაცებით უგალობდა თავის გულისსწორს.

# ბიზნესმენები

მეზობლის გასუქებული, ქუჩიდან მოთრეული უჯიშო ძაღლის შიშით ქალაქური ეზოს ჭიშკრიდან მეძახდნენ. გავიხედე. ლურჯად შეღებილ კარის ზღურბლზე ორნი იდგნენ: მაღალი, გამხდარი ძმისშვილის ყვრიმალებჩაცვივნილ სახეზე კეხიან ცხვირს მიჰყავდა პარადი. დაბალს, შავგვრემანს, პირველად ვხედავდი. ჩემს, ტრამვაის ვაგონივით წაგრძელებულ ოთახში შევუძღვი, სავარძლები შევთავაზე, მოწყვეტით ჩასხდნენ. ძმისშვილმა მეგობარი გამაცნო.

- ვაჩე ალავიძე, - სავარძლიდან წამოდგა. თავდახრილმა გამომიწოდა ხელი.

ჩვენები მოვიკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ვართ, რა.

- რა ქარმა გადმოგაგდო? - ძმისშვილსა ვკითხე.

- დილაზე აგარაში მოვდივართ, დიდ ბიზნესზეა საუბარი, შემოგიარეთ.

- აგარის ბიზნესი არ გამიგია, თანაც დიდი, - ეჭვი გამოვთქვი.

- იქაური გუბერნატორი ვაჩეს ალალი დეიდაშვილია, შაქრის ბიზნესზეა ლაპარაკი.

- რა ხნის კაცია თქვენი დეიდაშვილი? - ვაჩეს მივუბრუნდი.

- ჩვენზე ორი წლით უფროსია.

- ორ წელიწადში, იმედია, ერთ-ერთ თქვენგანს მაინც გიხილავთ მაგ თანამდებობაზე. ერთიმეორეს გაოცებით გადახედეს.

- ჩვენ ბიზნესი უფრო გვიტაცებს. ქალბატონო, - დაბალი, შავგვრემანი მიხსნის.

- დიდ ბიზნესში ჩართულებს, საქვეყნო საქმეებისთვის არ გცალიათ, არა?

- რა შუაშია საქვეყნო საქმე. ყველას თავისი მისწრაფება აქვს, - ეს ძმისშვილი გახლავთ, ცოლშვილიანი. მეორედ მოიტაცა გოგო. პირველთან დიდხანს არ ყოფილა, სიდედრის ხასიათს ვერ შეეწყო. მეორესთან ვაჟი შეეძინა - პატარა გიორგი.

- მძიმე ხვედრი გარგუნათ ღმერთმა; ტელევიზორით ვუსმინე ერთი კვირის წინ ამერიკელ ბიზნესმენს. დაიწუწუნა ოცდაოთხ საათში ოც საათს ვმუშაობთო. ფხიზლად თუ არ ვიქნებით მილიონებმა მოგვჭამა ჭირიო!

- რასაკვირველია, მილიონერთა ხვედრი მძიმეა, - დამეთანხმა შავგვრემანი.

- რამე გეშოვება? - უადგილოდ მკითხა ძმისშვილმა.

- გშიათ, ბიზნესმენებო? - კითხვა დავუბრუნე.

თანხმობის ნიშნად ორივემ გამოქანცული თვალები დახუჭა.

„მოგიკვდეს მამიდა“, გავიფიქრე და სამზარეულო შუშაბანდს მივაშურე. მაცივრიდან ლორის ნაჭერი გამოვიღე, თხლად დავჭერი; დიდ, საოჯახო ტაფაზე დავყარე, ნავთქურაზე შემოვდგი.

- სხვა, როგორ მოიარეთ ბათუმი, როგორ გაათხოვეთ დეიდაშვილი?

- ერთ დღეს ორი ქორწილი იყო, ორივეს დავესწარით, ორივემ მაგრად გაქაჩა.

- რა გაქაჩა?

- დიდებული ქორწილები იყო.

- სიძე რა კაცია?

ჩემი ძველი ძმაკაცია. გიგას კბილაა, „მერსედესით“ დაგრიალებს.

შენმა ძმამ „მერსედესის“ ყიდვა ვერ მოახერხა, იმედია, შენ უეჭველად შეძლებ განსაკუთრებით დიდი ბიზნესის მერე.

ძმისშვილს ისევ გაეღიმა.

- ეტყობა, არც „ინამარკებია“ თქვენი მისწრაფება.

ხმა არ ამოუღიათ.

ჯამში ექვსი კვერცხი მაგრად ავთქვიფე, ლორის ნაჭრებს დავასხი. ძმა გამახსენდა, ერთ კვერცხზე მეტს არ გეახლებათ. ძმისშვილს მივუბრუნდი:

- პურს შემოვიტან, ერბო-კვერცხი არ დაიწვას.

- დარდი ნუ გაქვს. - უყვარს სამზარეულოში ფუსფუსი.

თბილი პური მოვიტანე.

- რას მორბოდით ბათუმიდან, ორიოდე დღე დარჩენილიყავით. დაისვენებდით, იმხიარულებდით, ზღვა, მზე...

- რა ვიცი, გიორგი ცოდო იყო უდედოდ. ბებიასთან დედაჩემი დარჩა ერთი კვირით.

- რა ეშველება, უსკოლოდ ერთ კვირას როგორ გაძლებს.

- რავი, აბა. ერბო-კვერცხი მზადაა!

ბიზნესმენები მაგიდასთან მივიპატიჟე. სუფრას კომბოსტოს და წიწაკის მწნილი მივამატე. ჰო, რაც მთავარია „კოკა-კოლას“ ბოთლით, ძმის ჩამოტანილი კახური ღვინო ჩამოვდგი.

იქვე, სავარძელში მოვკალათდი, ქსოვა დავიწყე. ხუთ წუთს თავწახრილები უხმოდ გეახლებოდნენ ჩემი მშიერი ბიზნესმენები. იმათ შემყურეს. ცრემლი მომერია. შიმშილის ჭია რომ ჩააყუჩეს, სასმელი გაახსენდათ. ძმისშვილმა ჭიქები შეავსო და:

- ჩვენ მიზნებს გაუმარჯოს, რა, საერთოდ, ყველანაირ პატიოსან ბიზნესს, რაღა.

- ჩვენი წამოწყებული ბიზნესის წარმატებისა იყოს!

ვიჯექი და ვფიქრობდი: ამათ ხნისანი რომ ვიყავით, ჩემი ძმა, მე, ჩვენი მეგობრები რას ვსაქმიანობდით, ანუ რას „ვბიზნესმენობდით“? მე პირადად ამათი ხნისას სამუსიკო სკოლაში ბავშვების განათლებას ვაკლავდი თავს. ლუკმაპურს დაუყვედრებლად ვშოულობდი. ჩემი ძმაც, ამათი ხნისამ გამოამთავრა თუ არა სახუროთმოძღვრო დარგი, ჩვენს ახლოს მოედანზე რომ საპროექტო ინსტიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტია, იქ დაიწყო მუშაობა. პირველი ჯამაგირი რომ აიღო, ღიმილით გვითხრა: - ფრიადოსნების სტიპენდიაზე ას ორმოცდაათი მანეთით მეტი მივიღეო. მაშინ სიმდიდრე სირცხვილად ითვლებოდა. ვცხოვრობდით ყველანი უპრეტენზიოდ. ხვალინდელი დღის იმედით. ღმერთო, მარტო ის გამაგებინე - ის ცხოვრება იყო სიგიჟე, თუ ჩვენი დღევანდელი ყოფაა სიგიჟე და ჯოჯოხეთი?!

- მამიდ, შენ გაგიმარჯოს, ჯიგარი ხარ. შენ გაგებას გაუმარჯოს, მაგრა იყავი!

- მადლობა მომიხსენებია.

ვაჩე ფეხზე წამოდგა. „ჩვენზე გაცილებით ლამაზები, უდარდელები", - გავიფიქრე.

- ქალბატონო, გაღღეგრძელებთ, როგორც გაგეხარდებათ, ისე იყავით, რა. მადლობა თანადგომისათვის.

- დაჯექი, შვილო.

- როგორ გეკადრებათ, ვიდგები. და, საერთოდ, თქვენნაირი გულისხმიერ მამიდებს რა. მაგარი გაგების მამიდებს გაგიმარჯოთ.

ღიმილვარაყიანი სახით ვუქნევდი თავს.

- მამიდ, ისა რაღა, შენი მიხვედრილობა მაგიჟებდა მუდამ.

- შვილო, თუ რამე მებადა, უკლებლივ მოგართვით.

- არა, მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სასმელზედა კაცები რას დააყოლებენ ხოლმე? - მკითხა ძმისშვილმა.

- სასმელს საჭმელს მიაყოლებენ ხოლმე.

- ეხ, დღეს მთლად რიგიანად ვერ აზროვნებ, აი.

თქვი, რას მაგულებ და, მოგიკვდეს მამიდა!

- სიგარეტი, როგორც ასეთი...

- ჰოო, რამდენიმე ღერი თქვენთვის მუდამ გადანახული მაქვს.

- აგაშენა ღმერთმა!

გააბოლეს კიდეც:

„კოკა-კოლას" პლასტმასის ბოთლი გამოცალეს და აჩქარდნენ.

ნასუფრალს გადავხედე, ნამცეცი არაფერი დარჩენოდათ. ცრემლი მომაწვა და გავიფიქრე: „ნეტავი, თუ გეყოთ ჩემო მშიერო ბიზნესმენებო?"

- რას წამოხტით, თითო ფინჯან ყავას დაგალევინებდით.

- არა, ყავის დრო აღარა გვაქვს. ხვალ ადრიანად უნდა მივხედოთ საქმეს.

- მერე, ადრიანად გადიან ავტობუსები აგარისკენ? - დავინტერესდი.

რა ავტობუსები, ავტობუსით მოსიარულე ბიზნესმენი სად გინახავს?

- რა ვიცი, შვილო, თქვენი შემყურე...

- ძმაკაცი დილაზე „ბეემვეთი დაიხატება და დავგაზავთ.

- ფრთხილად იარეთ.

- კაროჩე, წავედით. დიდი ბიზნესი რო გამოგვივა, არა, უეჭველად გინახულებ, ისე არ დაგტოვებ, - ისეთი სითბო ვიგრძენი მკერდში, ისეთი სიხარულის ჟრჟოლვა, თავს ძლივს მოვერიე ხმამაღლა არ ავტირებულიყავი .

- ქალბატონო, ჩვენ სამადლობელს თუ ვერ დავაყენეთ საშველი, ღმერთი დიდი და მოწყალეა, თანაც მაღლიდან იყურება.

მერე ქურთუკები ჩაიცვეს. გამომემშვიდობნენ. ეზოში გავიდნენ.

ნასუფრალს მივუბრუნდი, ჭურჭლის წამოკრება დავიწყე და...

- მამიდ! - შემომესმა.

მაშინვე შუშაბანდს მივაშურე. „ძაღლმა ხომ არ შეაშინათ" - გამიელვა.

დგანან მობუზულები, სევდაჩაწოლილი თვალებით შემომცქერიან...

- რა მოხდა? ძაღლმა ხომ არ შეგაშინათ?

- ძაღლი კი არა, ჩვენი ცარიელი ჯიბეები იყეფებიან! - ჯავრიანად ამოსცდა ძმისშვილს. მეგობარი მიწას ჩასჩერებია, თვალს ვერ მისწორებს.

- მოგიკვდეს მამიდა! - ოთახში შევბრუნდი, საფულეს ვეცი, გარეთ გავვარდი. ხელის გულზე წამოვყარე თეთრები. ძმისშვილი მომიახლოვდა. ვითვლი, ლარი არ გამოდის.

- „მარშუტკის" თანხას ვერ ქაჩავს!

- სულ არაფერი გაქვთ? - მიკვირს.

- არა, რას იზამ, - ორმოცი თეთრი აიღო. - მეტროში ჩავეშვებით. პურის ფული აღარ დაგიტოვო?

წავიდნენ სევდიანები, ლამაზები. ძველ, თბილისური ქვით მოკირწყლულ ეზოს ფრთხილად მიუყვებოდნენ.

„ჩემო საყვარელო ბიზნესმენებო"! - პირჯვარი გადავწერე და ხვალინდელი დღე დავულოცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხათუნა მუზაშვილი



* * *

ისევ მარტოდმარტო მივყვები
თბილის ქუჩებს და ცხოვრებას.
ალბათ, ხვალაც მარტო ვიქნები,
ეული დამათოვს ფიქრები.
გადაღლილს ობლობით სულისა
ცრუ მელამუნება სუდარა.
უთანასწოროთა გულისა
ქლერს ფარისევლური მუდარა.
ავ ჯოჯოხეთისა მნათენი
მოდიან „წმინდანის“ თვალებით.
სავსეა ზეცა და სამყარო
მარტო დარჩენილი ქალებით,
წუხელ იმ „წმინდანის“ თვალების
მახსოვს „სათნოება“ ვერთქმული.
გათენდნენ ვნებისა ალები
და ცოდვის გაჩაღდა ფერხული.

* * *

...და მე არ ვიცი, ქვეყანაზე
რაა სიმართლე,
აღარც კი მახსოვს გამომწვევი
სითბოს სურნელი.
ცხოვრებას მკრთალად მინათებდა
თვალთა სინათლე,
ახლა უკუნი ჩამომდგარა
განუკურნელი
და მარტოობას შევჩვევივარ
მიტოვებული,
ნოემბრის ღამე ბოღმასავით
დამადგა ყელზე.
დგას სიყვარული, როგორც
ფიქრი შეჩერებული,
ტრფობის სურვილი ჭრელ გველივით
მეხვევა წელზე.

* * *

ტკივილით დაღლილს,
შენი ტრფობით დაღლილი მქვია,
ოცნების კოშკზე
ავსულვარ და მტკივა სიმართლე.
ცხოვრებას განვლილს
მივადევნო, მინდა, მე ტყვია:
ჩემო იმედო –
ამჯერადაც არ გამიმართლე.
შენთან ყოფნისთვის,
მე ცხოვრების მწვერვალებს დავთმობ,
და, ალბათ, მერე
ოდესმე ხომ გაგაგებინებ.
შენს შეცოდებას
მიტევების უნარით ვათბობ...
– „ჩემო ძვირფასო მეგობარო,
ნუ მაწყენინებ!“

* * *

სულში იები და ენძელები,
უბედნიერეს ქალის თვალები.
ვერდაპყრობილი ვნების ველები,
მერე დარდები და ვალალები,
მერე ძალიან ბევრი ქალები –
უცნობი ქმრების ვითომ ცოლები,
ქინით და ღვინით მთვრალი თვალები,
თამბაქოს კვამლის რუხი რგოლები.
მერე ლოდინი კართან მომდგარი,
იანვრის ღამე გაჩრილი ყელში,
ნაოცნებარი ერთგული ქმარი –
– ქალიშვილობა ჩამდნარი ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსე შიმშილაშვილი

* * *

*სიონის ზარი მოუძახის ქაშუეთისას*
*და წმინდა მამა ცად აღავლენს შორს გაწვდილ ხელებს*

*ჰა, თამარისა და დავითის ჯიშმაც კვლავ განახვნა ორი საუკუნით აჭედილი თავისუფლების მძიმე კარი და მარიამის წილხვედრი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის მაღალი თაღის ზღურბლზე აღმოჩნდა. დე, გაუმარჯოს სიყვარულისთვის მებრძოლ უდიადეს ხალხს გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე და, საბოლოოდ, მის ჭირნახულ ათასწლოვან მატიანეს ოქროს გვირგვინი დაადგმოდეს თავზე!*

## რეკენ ზარები

სვეტიცხოველი – დარაჯი მცხეთის –
ჯვარს უჩურჩულებს – თავისუფლება!
და ალავერდი ალავერდულად
კახელებს ამცნობს თავისუფლებას.

რეკენ ზარები, უკრავენ ზურნას, –
აჭყვიტინებენ, დოლს სცემენ გუნდად
და ქინმორეულ ყმაწვილებს უნდათ,
ცეკვა-თამაში მოჰფინონ ქუჩას.

რეკენ ზარები – თავისუფლება!
რეკენ ზარები – თავისუფლება!
რეკენ ზარები – თავისუფლება!

ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება –
ღმერთმა მოგვენიჭა თავის უფლება.
მიერითგან ვართ თავის უფლებად –
უფალმა ბრძანა თავის უფლება.

ლომისის მადლი მოეცხო ყაზბეგს,
ცას იალბუზი იფერთხავს კალთებს
და ლელთ ღუნიას გულის ღრმა ბზარებს
თავისუფლება მალამოს აცხებს.

იქ ნიკორწმინდა აღელვებს შაორს,
ხვანჭკარის სუნი რაჭველებს ათრობს
და სიხარულის ცრემლები ათბობს
ვაზის დაღაღულ-დაკოდილ ნაფოტს.

შეხედეთ ბულბულს; ნახეთ, ვით გალობს;
დრო – ულმობელი – რა ძლიერ ჩქარობს;
ყველას ეტყობა, არავინ ლამობს,
რომ ეს ზეიმი ასე მსწრაფლ დათმოს.

რეკენ ზარები – თავისუფლება!
თავისუფლება!
თავისუფლება!

ხერთვისი აწყურს უდგას მხარდამხარ,
თამარი ქართველთ უხმობს ხმამაღლა:
„აქა ვარ, ძია“ – თავისუფლება! –
ბნელი საკნები კვლავ ახმაღლდა.

თავისუფლება! თავისუფლება
„შოთას გორაზე“ ამაღლებულა,
ხოლო მარტვილი, ნათლით მოსილი,
ფრესკად კედელზე გამოსახულა.

ატენის სიონს, ბოლნისის ტაძარს
და უფლისციხეს – ძველ დედაქალაქს,
კლდეკარს, უბისას, არტანუჯს, ზარზმას,
ოშკსა და შავშეთს, გელათის საფლავს,

თბილისში – სიონს, მეჩეთს და ქაშვეთს,
სინაგოგაში დანთებულ სანთლებს –
მდუმარედ უხმობს მთაწმინდის მთვარე
და მტკვრის ტალღებით წერს მატიანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


- ყველას ახარებს თავისუფლება;
- ყველა ზეიმობს თავისუფლებას;
- ყველა ლოცულობს თავის უფლებას;
- ზარებიც რეკენ თავისუფლებას.

* * *

შენი ტრფობისკენ მიკვლევს ბედი გზას,
მე ჭეშმარიტად მწამს;
ტალღებს მივარღვევ, როგორც მტრედი ცას-
არ დავიზოგავ თავს.

შარავანდედი გმოსავს ღმერთის ხატს -
მე შენ მიყვარხარ კვლავ -
და გზას მინათებ როგორც მზე ცისკარს -
მარტოს უკუნი მკლავს.

ქარი შეჰხარის ლამაზ გაშლილ თმას -
მე ვერ ვაშორებ თვალს
და ინსტრუმენტის ნებით აშლილ ჰანგს
უწყობ შენს წარმტაც ხმას.

მე ვერ ვპატიობ მზეს ერთადერთ ხალს,
შენ რომ გიმშვენებს ღაწვს;
მასთან ალერსი ისე დაგაჩნდა,
ეჭვებს ვერ ვართმევ თავს.

თბილი წვეთები ნისლმა გაწვიმა,
გადმოგაფინა ცა
იასამანი მკერდში ჩაგიკრავს,
ვხედავ, რა განცდაც გაქვს.

სანამ ვნებები ნაბიჯს აიდგამს,
ოცნებით გიცქერ ტბას
და მისაჩუქრებ იმ სანატრელ წამს,
როცა ამბორი გვნთქავს.

თბილი წვეთები ნისლმა გაწვიმა,
გადმოგაფინა ცა
და ვერცხლისფერი ზღვის მწირი ტალღა
გაგითამამდა ჩანს.

შენ და თეთრი ზღვა, როგორც გედის ტბას,
ვნებას ჩუქნიდით თავს
და ცისარტყელას ცხრაფეროვან თალს
გრძნობით უწვდიდი მკლავს.

თავდავიწყებით დაეეწაფები
ალვა-ატყორცნილ ტანს
და ევკალიპტებს, სოჭის ხეივნებს,
ბროლით მოქარგულ თასს.

დაველოდები და გავუგონებ
მე შენს შინაგან ხმას
და მას წავყვები სუყველგან, სადაც
ის მიმითითებს გზას.

ვხედავ, ოცნებით როგორ შეჰყურებ
იასამნისფერ ცას;
ჩრდილოეთიდან გამომზირალე
მნათობს ყველაზე სწრაფს.

რადგან ვნებისგან ძლიერ დამთვრალი
სწრაფად ვაქროლებ ნავს,
ზღვაც ნაიარევს სწრაფად იშუშებს -
ტალღებით კერავს მას.

ქარი შეჰხარის ლამაზ გაშლილ თმას -
ნაზად გილულავს თვალს;
მე ვერ ვპატიობ მზეს ერთადერთ ხალს,
შენ რომ გიმშვენებს ღაწვს.

შენი ტრფობისკენ მიკვლევს ბედი გზას,
მე ჭეშმარიტად მწამს.
და მაინც ვერ ვთმობ მზესთან შენს ამბორს-
ხალად რომ აჩნევს ღაწვს.

* * *

იცოდი, მიყვარდი. - მატყუებდი.
- ჩემს წმინდას სიბილწისთვის ნატრულობდი.
სცადე - ნდობისათვის მაცდუნებდი,
ვითომ მოგივიდა ბავშვურობით.

ირგვლივ ყველაფერი განაცრისფრდა, -
ოცნებამ სიმარტოვე დამანება;
შენმა მზაკვრულმა ჩანაფიქრმა
ცოცხალი მკვდართა სიას გამამწესა.

მოკვდა და დავმარხე იდეალი,
ბნელეთი გამიხდა მეგობარი,
ტრფობის საქმეში დილეტანტი
მე ვერ გამიგებს ჩემს გრძნობაში.

ახლაც მიყვარხარ და მეზიზღები, -
ქრუანტელს ტანში ვგრძნობ ორივესთვის;
სახელის ხსენებასაც ვერიდები,
ბედს ვერ ვურიგდები მორჩილებით.

იცოდი, მიყვარდი და მატყუებდი.
გრძნობდი ნდობას და მაცდუნებდი,
მაგრამ წარსულში დაბრუნებით
კვლავ ისე ვიცხოვრებდი, დარწმუნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რაულ ჩილაჩავა

*სულ ახლახან კიევში ქართულ ენაზე გამოიცა უკრაინაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, რაულ ჩილაჩავას ახალი წიგნი „პესიმისტის ჩანაწერები“. „ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მონაკვეთს პოეტის ამ წიგნიდან.*

## საკუთარი ბედის მჭედელი

„საკუთარი ბედის მჭედელი თვითონ ჩვენა ვართ!“ - ამ ხალხური სიბრძნის უცილობლობა მე გავიგე დიდი ხნის წინათ, როცა მშობლებს მოულოდნელად განვუცხადე: კიევის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე მივემგზავრები-მეთქი. თითქოს ახლაც ვხედავ სევდიან მამაჩემს, თბილისის აეროპორტის კიბეზე რომ დამდგარა და თვალებით ეძებს ჩემს ილუმინატორს. მე ცხრამეტი წლისა ვარ, მივფრინავ უცნობ სამყაროში, მაგრამ მჯერა, რომ იგი მშვენიერია. ორწლიანმა სტუდენტურმა მივლინებამ, რომელიც სამი ათეული წელი გაგრძელდა, ბევრი საინტერესო და განუმეორებელი რამ მაჩუქა. მართალია, გული მწყდება, რომ ჩემმა სიჭაბუკემ (და უკვე ახალგაზრდობამაც!) რაღაცნაირად ჩუმად, იმ განსაკუთრებული ვნებათაღელვისა და ბრძოლების გარეშე ჩაიარა, რასაც სხვები სიამაყით იხსენებენ. მე ყოველდღიური შემოქმედებითი შრომის გულისთვის საკუთარი ნებით ვარჩიე ჩრდილში დგომა. ხშირად კეთილი შურით ვუყურებ იმ ქართველ თანატოლებს, რომლებიც ახლოს იყვნენ ბევრ ჩემს საყვარელ მწერალთან, მე რომ მხოლოდ წიგნებით ვიცნობდი. ეს დანაკარგი ნაწილობრივ ავინაზღაურე უკრაინელ მწერლებთან ურთიერთობით, რომელთა გულთბილ დამოკიდებულებასაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები და სიცოცხლის ბოლომდე სათუთად შევინახავ.

## მიკოლა ბაჟანის ნაამბობი

თბილისში ვცხოვრობდი, სიმონ ჩიქოვანთან. „ვეფხისტყაოსანს“ ვთარგმნიდი. გადავწყვიტეთ, კონსტანტინე გამსახურდიას ვწვეოდით. თან წამოგვყვნენ პაოლო და ტიციანი. კარი მასპინძელმა გაგვიღო. დიდ, ფარდებით ჩაბნელებულ ოთახში მუხის ძველებური, უშველებელი მაგიდა იდგა. კონსტანტინემ წითელი კახური ღვინო გამოგვიტანა. ჩემი ყურადღება იატაკზე დაგებულმა დათვის ტყავმა მიიპყრო. მასპინძელმა ეს შენიშნა და მითხრა: ეს დათვი შარშან სვანეთში ნადირობისას მოვკალი.

პაოლო დაიხარა და ტყავი გადმოაბრუნა:

- თუკი ასეა, მაშინ აქ საკომისიო მაღაზიის შტამპს რა უნდა?

დავხედეთ. შტამპი მართლაც აჩნდა, ყველას ერთხმად გაგვეცინა. კონსტანტინე არ დაიბნა: შტამპი არაფერსაც არ ნიშნავს. როცა ფული შემომაკლდა, ტყავი საკომისიო მაღაზიაში ჩავაბარე, მაგრამ რომ წარმოვიდგინე, ჩემს მიერ მოკლული დათვის ტყავზე სხვები იტკეპნებიან, ვალი დავიდე და იგი მეორე დღესვე გამოვისყიდეო.

* * *

ერთხელ ლევ ტოლსტოის ნაცნობი მწერალი ეწვია და მისი კარ-მიდამოს დათვალიერების შემდეგ წამოიძახა:

- რა ბედნიერი ბრძანდებით. თქვენ გაქვთ ყველაფერი, რაც გიყვართ!

- მე, სამწუხაროდ, არა მაქვს ყველაფერი, რაც მიყვარს, მაგრამ, სამაგიეროდ, მიყვარს ყველაფერი, რაც მაქვს, - მიუგო ტოლსტოიმ.

ბედნიერება, ეტყობა, მართლაც ეს არის, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას ეს დღემდე ვერ გაუთავისებია.

## ცოლი

თუ კარგი ცოლი შეგხვდა, ბედნიერი გახდები, თუკი ცუდი - ფილოსოფოსი, ამტკიცებდა სოკრატეს კვალდაკვალ ბარონი ფონ მიუნჰაუზენი. თანამედროვე ფილოსოფოსთა სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ირგვლივ ყველას ცუდი ცოლი შეხვედრია.

## ბუდე

ჩიტები საკუთარ ბუდეში არასოდეს იძინებენ. იქ ისინი მხოლოდ ბარტყებს აპურებენ. ჩემი პირადი უბედურება ისაა, რომ არც საკუთარ ბუდეში მძინავს და ბარტყების დაპურებაც სხვაგან მიწევს.

## შანსი

ერთმა მდიდარმა სიკვდილის წინ თავისი ვაჟი მოიხმო და უთხრა: გიტოვებ მთელ ჩემს ურიცხვ საგანძურს, მოიხმარე როგორც გინდა.

ვაჟმა მიუგო: მამაჩემო, შენ მე არ მიტოვებ უმთავრესს - ამ საგანძურის საკუთარი ძალისხმევით მოპოვების შანსს.

მადლობა ღმერთს, რომ ჩემი ვაჟები ასეთ საყვედურს მე ვერასოდეს მეტყვიან. საამისო საბაბი მათ არასოდეს ექნებათ.

## ნაფეხურები

ერთი ინგლისური სიმღერა მოვისმინე, რომლის შინაარსი დაახლოებით ასეთია: „ო, ღმერთო, ღმერთო, ჩვენ ერთად მივაბიჯებდით ცხოვრების ოკეანის სანაპიროზე. მე ვგრძნობდი შენს სიახლოვეს, ვხედავდი შენს ნაფეხურებს. დღეს კი დამწუხრებული ვარ, რადგან მარტო დამტოვე, ქვიშაზე მხოლოდ საკუთარ ნაფეხურებს ვხედავ".

ღმერთი პასუხობს: „მე შენ არ მიმიტოვებიხარ, უბრალოდ, ვნახე, რომ ცხოვრება გაგიჭირდა, ამიტომ ხელში აგიყვანე და მიმყავხარ. ნაფეხურები, შენ რომ ხედავ, შენი კი არა, ჩემი ნაფეხურებია".

ზოგჯერ მართლა ხომ არ გვეშლება-მეთქი უფლის ნაფეხურები ჩვენს ნაფეხურებში!

## ობიექტური ანარეკლი

რამდენადაც ვიცი, რუსულ ეკლესიას თითქმის არა ჰყავს წმინდანი ქალები. მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ადრე რუსეთის სულიერ ცხოვრებაში ქალს მეტად მოკრძალებული ადგილი ეჭირა.

ქართველ მოწამეთა პანთეონში სრულიად კარდინალურ სურათს ვხედავთ (ნინო, შუშანიკი, თამარი, ქეთევანი...), რაც ჩვენი საზოგადოებრივი და რელიგიური ყოფის ობიექტური ანარეკლია.

## მშობლიური ენა

ბორხესი, რომელიც ინგლისურს მშობლიური ესპანურივით ფლობდა, წერს: ხშირად მიფიქრია, რომელ ენაზე მოვკვდები-თქო. და იქვე პასუხობს, ალბათ, ესპანურზე! მე ბორხესი არა ვარ, მაგრამ ასევე შემიძლია ვამტკიცო: მოვკვდები ქართულ ენაზე!

## სამომავლო საქმე

მათ, ვისაც თავი ხვალის პოეტებად მოაქვთ, ვუპასუხებდი სტანისლავ ეჟი ლეცის სიტყვებით: „ამაზე ზეგ ვილაპარაკოთ!"

## ერთადერთი ფრაზა

ალექსეი ტოლსტოი შეახსენებდა ახალგაზრდებს: ფრანგი სიმბოლისტები ამბობენ, აზრის გამოხატვა ერთადერთი ფრაზით შეიძლება და იმ ფრაზას უნდა მიაგნოო. ღმერთო შეგცოდე და, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა შემოქმედი ამ უცენზურობის (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც) ეპოქაში საერთოდ არ ესწრაფვის რაიმე აზრის გამოხატვას, ამიტომ მათთან ისეთ დელიკატურ თემაზე საუბარი, როგორიცაა ტევადი და ერთადერთი ფრაზის ძიება, ზედმეტი ჩანს.

## ტირაჟი და მკითხველი

ომის წლებში კონსტანტინე სიმონოვმა ასიათასიანი ტირაჟით გამოსცა ლირიკული ლექსების კრებული „შენთან და უშენოდ". როცა იგი სტალინს წაუკითხავს, ტირაჟისთვის დაუხედავს და ჩაულაპარაკია: რა საჭირო იყო ამდენი, გამოეცა ორი ცალი და დაერქმია „ჩემთვის" და „შენთვის". ეყოფოდათო.

ორ ცალად გამოსაცემ კრებულებს დღესაც არაიშვიათად სცემენ დიდი ტირაჟებით, მაგრამ ვინაა გამკითხავი. მკითხველზე ხომ არას ვამბობ.

## რეკლამა

კოლეგებს, რომლებიც იძულებულნი არიან თვითონ გაყიდონ საკუთარი წიგნები, ვურჩევ გამოაკრან ასეთი რეკლამა: „ჩემი კრებულის ფასზე დაბალი შეიძლება მხოლოდ მისი ღირსება იყოს“.

## საოცარი დამთხვევები

ფრანგი ორიენტალისტის ჯეიმს დარმსტეტერის ესეში „სპარსული პოეზიის სათავეებთან“ (თარგმანი ბ. ბრეგვაძისა) ციტირებულია ალი ბუხარელის ლექსის სტრიქონი:

*„...თოვს თუ მიმინომ დააფეთა თეთრი მტრედები“.*

არ ვიცი, გიორგი ლეონიძე იცნობდა თუ არა ამ პოეტის შემოქმედებას, მაგრამ მისი, *„ეს თოვლია თუ მიმინომ დააფეთა მტრედები“* ზემოთ მოტანილ ციტატასთან საოცარი დამთხვევით ჩიხში მამწყვდევს (ცოდვას ვერ დავიდებ, იქნებ სწორედ ლეონიძის გავლენითაა ეს პწკარედი ასე გადმოქართულებული!)

გალაკტიონის ძნელად ასახსნელ სტრიქონთა შორის ხშირად ასახელებენ ამ სტრიქონებსაც: *„საღამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველის ძველი...“*

ისინი საოცრად ეხმიანებადასაწყისს რილკეს ლექსისა „ეს საღამო წიგნია“:

*„ეს საღამო წიგნია. კარგი და მდიდრული ძოწის ყდა აკრავს მას“.*

განსაცვიფრებლად ემთხვევა ო. ჭილაძის ერთ-ერთი ლექსის ფინალი:

*„ჩაკვდება ერთი სურვილი ჩუმად -*
*ერთი სიმღერით მეტი იქნება“, -*

ა. ახმატოვას ცნობილ სტრიქონებს:

***„Одной надеждой меньше стало,***
***Одною песней больше будет! “***

მე მიჭირს აქ რაიმე კანონზომიერების დადგენა.

## დაუმსახურებელი წყენა

სულხან-საბას ცნობილ ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა „კირიე ელეისონ“ - „უფალო, შეგვიწყალე!“ (ბერძნ.). ეს ხომ „კირია ლესაა“, ახალწლის ღამეს რომ მღერიან სამეგრელოში!

ჯერ კიდევ როდის მე ყურადღება მივაქციე საბას კიდევ ერთ განმარტებას, ამჯერად სახამუშოს, მაგრამ ავტორის შეუვალი ავტორიტეტი ხმის ამოღების ნებას არ მაძლევდა. საუბარია სიტყვაზე „ღლურტული“, რომელიც ლექსიკოგრაფის აზრით არის „მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი“.

ამ დაუმსახურებელ წყენას, ალბათ, კვლავაც გულში ჩავიკლავდი, იგივე განმარტება ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაშიც“ რომ არ შემხვედროდა. ავტორს იგი მოტანილი აქვს მეგრული ენისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების ნიმუშად, იქვე დამოწმებულია ვახუშტიც, რომელიც მეგრელებზე ამბობს: „აქუსთ თავისიცა ენა, განა წამხდარი ქართულივე“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავად ი. ყიფშიძე ამ გამოჩენილ მოღვაწეთა აზრებს მეგრულის ჩიქორთულობაზე არ იზიარებს, რადგან იმავე გრამატიკაში შენიშნავს, მეგრული ლინგვისტურად ქართულის ტოლფარდიაო. მიუხედავად სულხან-საბასა და ვახუშტისადმი უდიდესი პატივისცემისა, ვფიქრობ, ი. ყიფშიძეს, როგორც მეგრულის უდავო სპეციალისტს, აქ უფრო დაეჯერება.

არანაკლებ დაეჯერება გამოჩენილ ისტორიკოსს დ. ბაქრაძესაც, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორია საქართველოსი“ (უძველესი დროიდან მე-10-ე ს. დასასრულამდე) წერს: „დიდი ყურადღების ღირსია ისტორიული სვე მეგრულ-ჭანური ენისა. ძველის-ძველად ამ ენის კვალს უჩვენებენ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარეობს ჰალისის მდინარის მიყოლებით მცირე აზიაში ვიდრე კავკაზიის ქედამდე. ამ საზღვრებში იმას ეპყრა შეუწყვეტლად მთელი შავიზღვის პირი, მაგრამ იქ, სადაც კი მისი ახლო მონათესავე ქართული ენა მეგრული ენის მოსაზღვრედ ხდება, პირველი სრულად იერთებს უკანასკნელს“.

თუ მეგრული მართლა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ენა იყო, მისი მიერთება ქართულს რაში დასჭირდებოდა, ან მიერთების შემდეგ რა წაახდენდა?

პროვინციულ პატრიოტიზმში ნურავინ ჩამომართმევს და საბასა და ვახუშტის გამონათქვამთა ფონზე მე მსიამოვნებს გალაკტიონის ეს ჩანაწერი: „დიდებულია მეგრელების ზრდილობა, როცა ისინი ერთმანეთში საუბრობენ, მუდამ ისმის ხალისიანი სიტყვები. როცა ერთმანეთს ესაუბრებიან კიდევ უფრო საინტერესოა. მახსენდება მამია გურიელის სიტყვები: „და ტკბილის ენით - მეგრულით უყვარს ჩემი გაჯავრება.

## ჭეშმარიტების დადასტურება

საგადასახადო ინსპექტორს, რომელიც შემოსავლის დეკლარირებას მოითხოვდა, ოსკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


არ უაილდმა მიუგო: მე აღარაფრის დეკლარირება შემიძლია, გარდა ჩემი გენიალობისა.

ნეტავი მას (თუნდაც ჯიბეგახვრეტილს!), ვისთვისაც ამგვარი განცხადება ლიტერატურული ყოყოჩობა კი არა, ჭეშმარიტების დადასტურებაა.

## მთხზველი

ნ. ბერდიაევი: შეიძლება იყო მართლმადიდებელი, მაგრამ არ იყო ქრისტიანი.
მიბაძვა: შეიძლება იყო ლექსების მთხზველი, მაგრამ არ იყო პოეტი.

## ასოციაციები

არიან დიდი ვნებათაღელვის პოეტები, რომლებსაც არ ჰყოფნით პროფესიული კულტურა და ამიტომ მათი ლექსები ძვირფასი ქვებით ნაგებ დაბრეცილ შენობას მოგაგონებთ. არიან ისეთებიც, რომლებსაც სწორედ ვნებათაღელვა, ღვთით მომადლებული ნიჭი აკლიათ, მაგრამ ვერსიფიკატორულ ტექნიკას უზადოდ ფლობენ. აქ უკვე ყინულით ნაგები ბრჭყვიალა სასახლის ასოციაცია იბადება. პირველი შეიძლება ქარიშხლებს ვერ გაუმკლავდეს და დაინგრეს, თუმცა მისი ნამსხვრევები დროს მაინც გაუძლებს, მეორე კი პირველი გამოდარებისთანავე გადნება.

## ნამდვილი ვარდის კავალერი

ესპანეთის ერთ-ერთ პოეტურ კონკურსში გამარჯვებულთ ასე აჯილდოებდნენ: მესამე პრემია - ვერცხლის ვარდი, მეორე პრემია - ოქროს ვარდი, პირველი პრემია - ნამდვილი ვარდი.

საინტერესოა, „საბჭოურ-ეროვნული“ ოფიციალური ჯართით მკერდდამშვენებულ პოეტთა შორის რამდენია ნამდვილი ვარდის ჭეშმარიტი კავალერი?

## იშვიათი შემთხვევა

პირველად სარგის ცაიშვილმა მიაქცია ყურადღება ერთ ფრიად პარადოქსულ ვითარებას: „ვეფხისტყაოსანი“ საერთოდ არ იცნობს სიტყვებს „მეგობარი“, „მეგობრობა“. ისინი რუსთაველს ერთხელაც არა აქვს ნახმარი. და მაინც მისმა პოეტურმა გენიამ საკვანძო სიტყვების გარეშეც შესძლო მეგობრობისთვის უკვდავი ხოტბის შესხმა. ეს, ალბათ, იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

## მითის შექმნა

თუ მათემატიკოსისთვის უმთავრესია ფორმულის ჩამოყალიბება, ფიზიკოსისთვის კი კანონის აღმოჩენა, მწერლისთვის უმთავრესი მითის შექმნა გახლავთ. მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში ეს მისია ერგო „დათა თუთაშხიას“ ავტორს, რომელმაც მოგვცა სიკეთისთვის მებრძოლი უშიშარი რაინდის მითოლოგიზებული სახე საქართველოს ერთ-ერთი (მხატვრულ ლიტერატურაში ნაკლებექსპოლატირებული და ამ თვალსაზრისით მომგებიანი) კუთხის შვილი ერის ეთნიკური და ეთიკური ნიშანთვისებების უნივერსალური მატარებელია, მათი განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში წარმომჩენია. დათა თუთაშხია თითქოს ამოიზარდა პრეისტორიული კოლხეთის ნისლმოგარსული ყოფიდან, რათა უკლებლივ შეესისხლხორცებინა იმერ-ამერის, სრულიად საქართველოს ცხოვრებისეული სიბრძნე, სიქველე, სიდარბაისლე, მისი უმთავრესი ზნეობრივი ფასეულობანი და საბოლოოდ გამხდარიყო „სული კრებითი“, არსი მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“.

## იერუსალიმში ცხოვრობს დიდი ქართველი პოეტი

ისრაელში ყოფნისას ჩვენი დელეგაცია მიიღო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა. როცა ჩემზე უთხრეს, ქართველი პოეტიაო, მან თქვა:

- ო, ჩვენთან, იერუსალიმში, ცხოვრობს დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

თანაშემწემ მობოდიშებით შეუსწორა: კი არ ცხოვრობს, მარხია.

- არა, მე არ შემშლია, - შეეპასუხა მინისტრი, - რუსთაველი ჩვენთან ცხოვრობს, რაკი ივრითზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“ ვბეჭდავთ და ვკითხულობთ.

## კულტურის მედროშე

ემიგრაციაში ყოფნისას თომას მანს უთქვამს, სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო.

ჩვენი სავალალო ყოფის გამო მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველ ხელოვანთაგან ვისა აქვს დღეს ამგვარი განცხადების უფლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოულოდნელობის ეფექტის დიდოსტატი

ვიქტორ შკლოვსკის შემოქმედებით მანერაზე საუბრისას ირაკლი ანდრონიკოვმა შენიშნა: შკლოვსკი სტანისლავსკის მაგონებს. იგი მოითხოვდა მსახიობები სცენაზე იქიდან შემოსულიყვნენ, საიდანაც მათ არავინ ელოდა. შკლოვსკიც იმ კუთხით დაგანახებს მოვლენებს, საიდანაც არ ელით.

ქართულ პოეზიაში მოულოდნელობის ეფექტის დიდი ოსტატია ტარიელ ჭანტურია. როცა იგი „ნოსტელ გიორგის" ურითმავს „ნოსტალგიას", ისტორიული რემინისცენციების მთელი გამა მსჭვალავს ჩვენს ეროვნულ ხსოვნას.

*როცა იგი წერს:*
*კუმირები მამის -*
*ლენინი და სტალინი -*
*კუმირები შვილის -*
*ლენონი და სტალონე, -*

ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რა ამოუვსებელი უფსკრული გაწვა ჯერ კიდევ გუშინ უკიდურესად პოლიტიზირებულ „მამებსა" და დღეს უკვე აპოლიტიკურ „შვილებს" შორის. თანაც რა ბრწყინვალე უშუალობითაა შერჩეული ეს თითქმის ერთნაირი ჟღერადობის, მაგრამ სრულიად საპირისპირო ბანაკის ადამიანთა გვარები.

როცა იგი ირონიულად გვიყვება:
*თითქოს ფარული კამერისთვის*
*მიღებულ პოზით -*
*მიირწეოდა რუსთაველზე ლურჯთვალა*
*ქალი, -*

ჩვენს ბაგეებს უნებურად დასცდება „პოზის" ნამდვილი, ამ შემთხვევაში სრულიად ლოგიკური ბგერითი და აზრობრივი შესატყვისი, ავტორმა შეგნებულად რომ შეცვალა ცრურითმა „ქალით".

ტარიელ ჭანტურიას წიგნები სავსეა ასეთი ექსტრავაგანტური და ინტელექტუალურ-„ხულიგნური" მაგალითებით, რაც ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად ყოველთვის საინტერესოს ხდის მის ორიგინალურ პოეზიასთან შეხვედრას.

## უაზრობის უნივერსალური თვისება

აბსურდის ლიტერატურა, ანდეგრაუნდი, უკიდურესი ავანგარდიზმი შეგნებულად ელტვის აზრის ბუნდოვანებას ან სულაც უაზრობას, რადგან მასში ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია სასურველი აზრი ამოიკითხოს. უაზრობის ეს უნივერსალური თვისება შენიშნული აქვს ჯერ კიდევ პისარევს.

## უკუღმა წასაკითხი გამოთქმა

დადგა დრო დოსტოევსკის ცნობილი გამოთქმის უკუღმა წაკითხვისა: „სამყარომ უნდა იხსნას მშვენიერება".

## „სუნთქვაშეკრულობის" მიზეზი

როგორ გინდა გააგებინო უცხოენოვან მკითხველს თუ რატომაა ჩვენთვის ჟრუანტელის მომგვრელი ოთარ ჭილაძის ეს სტრიქონები:
*ცას და ქვეყანას, როგორც ხიდზე*
*მიმავალ გოგოს,*
*სუნთქვაშეკრული ამოვყურებ, მთელი*
*წელია!*

ყველაფერში დამნაშავეა, რა თქმა უნდა, ზმნა „ამოვყურებ", რომლის პრეფიქსი „ამო" პრაქტიკულად არ ითარგმნება. თუ ეს ნიუანსი დაიკარგა, მაშინ დაკარგულია თვით ლექსის ხიბლიც. ზმნა „შევყურებ", „გავყურებ" თუ სხვა ვარიანტი, რაც მთარგმნელმა შეიძლება გამოიყენოს, ვერ აუხსნის თარგმანის მკითხველს ამ „სუნთქვაშეკრულობის" მიზეზს.

## რანაირია ის სიმართლე?

1948 წელს გალაკტიონს დაუწერია ლექსი „დანგრეული სახლი სოხუმში" (საუბარია ფაშისტების მიერ დაბომბილ სახლზე), რომელიც ასე მთავრდება:
*სოხუმში სახლი, ნგრეული მაშინ,*
*მზად არის თავი მაღლა აიღოს:*
*სიმართლეს სწორედ შეხედოს თვალში,*
*რანაირიც ის არ უნდა იყოს.*

დიდი პოეტის ეს სტრიქონები სულ სხვანაირად ჟღერს დღეს, დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა ერთ დანგრეულ სახლზე კი არა, გაცამტვერებულ სოხუმზე გვიწევს საუბარი. რანაირია ის სიმართლე, რომელმაც ამ საშინელ ყოფას მოგვასწრო და როგორ შევხედოთ მას თვალებში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა შენგელია



## მზე მაინც ამოვიდა
### (საბავშვო მოთხრობა)

ეს საკვირველი ამბავი ცხრა მთისა და ცხრა ბარის იქით, ერთ სოფელში მოხდა. რა ამბავიო, იკითხავთ... რა და, იმ სოფელში ერთ მშვენიერ დღეს რომ დაღამდა, მერე საკმაოდ დიდხანს არ გათენებულა. როგორც ყველაფერს, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა; საქმე ის გახლდათ, რომ იქ ისე არ ამოდიოდა მზე, თუ ძაღლი არ დაიყეფებდა და მამალი არ დაიყივლებდა. თანაც, აუცილებელი იყო, ორივეს - ძაღლსაც და მამალსაც ერთად, შეხმატკბილებულად გაეკეთებინათ ეს. თავიდანვე უნდა გითხრათ: მოხუცი ძაღლი საველე თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. აი, ქაქუზა მამალი კი... მაგისა რა მოგახსენოთ; სწორედ მისი გამოისობით არ შორდებოდა სოფლის ცას დიდი, ყვითელი მთვარე: არადა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მამალი იყო: წითელბიბილოვანი, ოქროს დეზებიანი, ოღონდ უსაშველოდ მკვეხარა და ამაყი... იმდენს ტრაბახობდა თავის ღონეზე, საგმირო საქმეებსა და ვაჟკაცობაზე, რომ ბევრმა ირწმუნა მისი ძლიერება და ამიტომ ბატონად აღიარეს. მერე იყო და, ერთ მშვენიერ დღეს, ქვეშევრდომებმა სოფელს თავიანთი ბატონის სადიდებლად და საამებლად მამლის სახელი - ქაქუზეთი უწოდეს. იმ დღიდან მამლაყინწა კიდევ უფრო გაამაყდა და გაყოყოჩდა. გაყოყოჩებას კი, ხომ იცით, სიკეთე არავისთვის მოუტანია. ჰოდა, ერთხელაც... მაგრამ, ალბათ აჯობებს, აქ შევწყვიტოთ თხრობა და წინ არ გავუსწროთ ქაქუზეთში მომხდარ ერთობ საინტერესო და მართალზე მართალ ამბებს.

**ამბავი პირველი**
**სასახლის სეფექალისა და ბატონის ასულის წაკინკლავება. ქაქუზა მამლის ქორწილიდან დაბრუნება**

ქაქუზეთის ცაზე დიდი, ოქროსფერი მთვარე ეკიდა. სასახლის ვრცელი დარბაზი უამრავ სანთელს გაეჩირაღდნებინა. ბატონის ასული ცია, სარკმლიდან ვიღაცას მისჩერებოდა, ხოლო სეფექალი, დარბაისლური გარეგნობის იხვი აგრაფინა ბოლთას სცემდა. შორს ჩაბნელებულ კუთხეში, ქანდარებზე სასახლის მუსიკოსები ჩამომსხდარიყვნენ და თავიანთ საკრავებს ჩახუტებულნი თვლემდნენ. თვით ქაქუზა ბატონი ქორწილში გახლდათ წასული. დარბაზში დუმილი გამეფებულიყო.

სეფექალი აგრაფინა კარგა ხანს დაქუსქუსებდა აქეთ-იქით. ბოლოს დაღლილი სკივრზე ჩამოჯდა. ხანგრძლივი სიჩუმე არ უყვარდა და ამიტომაც ციას გასაგონად ჩაილაპარაკა:

- რაცხა ნამეტანი აცივდა. რას იტყვით, ცეცხლი ხომ არ დაგვენთო ბუხარში, ბატონის ასულო?

ციას არაფერი გაუგია, რადგან გულისყური სხვაგან ჰქონდა, სარკმლიდან თავის გულისსწორს, მოჯამაგირე ბიწკინას მისჩერებოდა.

აგრაფინას გულმა უგრძნო, რაღაც ფარსაგი რომ სჭირდა ქაქუზას ასულს და წარბშეკრული წამოდგა, - ვინ ოხერს უყურებ?! - წამოიძახა და სარკმლიდან თავადაც გადაიხედა. ქვემოთ, ეზოში ბიწკინა რომ დაინახა, გაკაპასებულმა განაგრძო:

- ვაი ჩემს თავს!.. ასეც ვიცოდი!.. წარმოგიდგენიათ? მე ჩემსას ვეკითხები, ეს კი თვალს ვერ წყვეტს იმ უქნარა მოჯამაგირეს!

- ვინ მოჯამაგირეს, რა მოგივიდა, აგრაფინა? - ვითომ გაოცდა ცია, თუმცა იცოდა, ადვილად ვერაფერს გამოაპარებდა ჭორიკანა სეფექალს.

- ჭკუით იყავი, კარგად იცი, ვისზეც მოგახსენებ! - გამკაცრდა აგრაფინა და თავის საყვარელ სკივრზე ჩამოჯდა. მერე განაგრძო, - მალე სახლიდან გავაგდებინებ მაგ ბიწკინას, მაგისთანა მუქთამჭამელი მოჯამაგირე ჩვენ არ გვჭირდება!

- ოჰ, რა შეუბრალებელი ხარ, აგრაფინა! - ამოიკვნესა ციამ და თვალებში ცრემლი ჩაუდგა. იცოდა ბატონის ასულმა, აგრაფინას საკმაო გავლენა რომ ჰქონდა ქაქუზა-მამალზე და ხშირად, რასაც დაუჟინებდა, აკეთებინებდა კიდეც. აგრაფინამ რომ შეამჩნია, ციას ატირებას არაფერი უკლდა, თითქოს გული მოულბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში ასე დაუყვავა:

- ბატონის ასულო, ხომ იცი, შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა... ცხონებული დედაშენის გარდაცვალების მერე მამაშენმა ქაქუზამ შენი თავი მე ჩამაბარა. მე ვაგებ პასუხს შენს მომავალზე... - აგრაფინას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ციამ შეაწყვეტინა:

- რას ვაშავებ, ქალბატონო აგრაფინა, რას!

სეფექალს ნამდვილად არ ესიამოვნა ციას ასეთი გაცხარება. გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ ამ დროს გარედან ხმაური მოისმა და გაჩუმება არჩია. ციას კი თვალებზე შეამრა ცრემლი. ორივენი მიხვდნენ - ქაქუზა-მამალი შინ დაბრუნებულიყო.

ნაქორწილევმა ქაქუზამ გაოფლილი ცხენი სასახლის ჭიშკართან მიაგდო. კარი ღია რომ არ დახვდა, აყვირდა, ლანძღვა-გინებას მოჰყვა. ამ ხმაურზე თვალები მოიფშვნიტეს სასახლის მოსამსახურეებმა, მზარეულებმა, მეჯინიბეებმა, მოჯამაგირეებმა და გარეთ გამოცვივდნენ. ჭიშკარი ფართოდ გაუღეს ბატონს, მერე ეზოში შემოსულ ქაქუზას ცხენიდან ჩამოსვლაში უშველეს. მეჯინიბემ ბატონის ლურჯას სადავეში ჩაავლო ხელი, ის იყო, თავლაში უნდა წაეყვანა, რომ ქაქუზამ შეუძახა: ცხენი წესიერად წაიყვანე, ბიჭო! ქერი ბლომად დაუყარე, ბოლოს შაქარიც აჭამე, თორემ დაბადებას გაწყევლინებ! - კარგი ბატონოო, - მეჯინიბემ ჩაიბურტყუნა და თვალს მიეფარა. ამ დროს ქაქუზამ უცებ შეამჩნია როგორ დაამთქნარა ერთმა საკმაოდ უზრდელმა მოსამსახურემ, პიდა, მამლაყინწაც ისევ აყვირდა:

- როგორ ბედავ მთქნარებას ბატონის სიახლოვეს?! ჩემი მათრახი ხომ არ მოგენატრა?!

იმ საცოდავმა, ზრდილობასთან მწყრალად მყოფმა მოსამსახურემ, თავის მართლება სცადა:

- რა ვქნა, ბატონო, რამდენი ხანია, ბნელა, ვერა ვხვდები, როდის დავიძინო და როდის გავიღვიძო.

ქაქუზამ კოპი შეიკრა, გონებაში მაგარ-მაგარ სიტყვებს ეძებდა... ამასობაში ერთმა ჩამრგვალებულმა მზარეულმა ბატონის დუმილით ისარგებლა და, რადგან სიბნელით ისიც უზომოდ შეწუხებული იყო, ქაქუზას მორიდებით სთხოვა:

- დიდო ბატონო, იქნებ ერთხელ მაინც დაიყივლოთ და გაათენოთ!.. დარწმუნებული იყო, თუ მამალი დაიყივლებდა, უმალ გათენდებოდა.

დუმილი ჩამოვარდა. ცოტაც და სხვა მოსამსახურეებიც აყაყანდებოდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს ქაქუზას მოთმინების ძაფი გაუწყდა და იღრიალა:

- პაიტ, თქვე ლაფეხვილებო! მე რომ არ გყავდეთ, სული გაგძვრებოდათ, ძილისგუდებო, უქნარებო, ოხერ-ტიალებო!.. კაცო, როგორ ვერ გაიგეთ, მე რომ თქვენი ხელმწიფე ვარ და არა ვიღაცა შარახვეტია მამლაყინწა, წივილ-კივილით რომ ათენ-აღამებს, როგორ არ უნდა გესმოდეთ ამდენი? რას გავს ეს?! ფუი, ვერ შევაგნებინე თქვენს სატურე თავებს ვერაფერი!

- მართალს ბრძანებთ, მართალს! - აქოთქოთდნენ აქეთ-იქით და თავი მოუქონეს ზოგიერთებმა, ქაქუზა ყასიდად ბობოქრობდა:

- ერთი ამათ დამიხედეთ?!.. ბიჭოს?!.. თქვენ რა, ძალიან გინდათ, გავბრაზდე და თვალები დავაბრიალო? - მამლაყინწამ მრისხანედ გადახედა ქვეშევრდომებს და პერანგის ღილის ტოლა თვალები რისხვით გადაატრიალა.

ქვეშევრდომებმა კარგად იცოდნენ, ბატონის გაბრაზება და თვალების დაბრიალება, ქვეყნიერების დაქცევას თუ არა, გაჯოხვას მაინც მოასწავებდა და ენა მუცელში ჩაიგდეს.

ქაქუზამ გამარჯვებული მთავარსარდლის სიამაყით გადახედა მოსამსახურეებს და სასახლის ოკრო-ბოკრო კიბეს აუყვა.

ქაქუზას მიზნად ჰქონდა, ახლო-მახლო მინდორ-ველებზე განევრცო თავისი ხელისუფლება. სამფლობელოს გაფართოების შემდეგ ფიქრობდა, თავი მეფედ გამოეცხადებინა. ყოველივე ამის მისაღწევად, მამლაყინწას აზრით, საჭირო იყო მისი შიში ჰქონოდათ და ამიტომაც ხშირად უმიზეზოდ უყვიროდა და აწიოკებდა ქვეშევრდომებს.

## ამბავი მეორე
## ქაქუზასაგან მოჯამაგირე ბიწკინას მერისხვა

ქაქუზამ სასახლის დარბაზის კარი შეაღო და ხმამაღლა, საზეიმოდ გამოაცხადა: - აი, მეც მოვედი!

აგრაფინა ქაქუზას დანახვაზე მრისხანე სეფექალიდან მყისვე ალერსიან, თავმდაბალ მოსამსახურედ გადაიქცა; ბატონის საამებლად ძილ-ღვიძილში მყოფ მუსიკოსებს მივარდა და დაუტატანა:

- დაუკარით, დაუკარით, თქვე გასაწყვეტლებო! ეტყობა, გადაგავიწყდათ, როგორ უნდა შევეგებოთ ბატონს.

გამოფხიზლებულმა მუსიკოსებმა თვალები მოიფშვნიტეს, საკრავები მოიმარჯვეს და საზეიმო მუსიკა ააჟღერეს. ქაქუზას სახე გაებადრა, ფრთები (ხელები გაშალა და კარის ზღურბლიდანვე უხეირო ცეკვით დაიძრა სამეფო ტახტისაკენ, ზედ დაეშვა და მუსიკაც შეწყდა.

- მოისვენეთ ახლა, ქაქუზა-ბატონო, დაღლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იქნებით! თვალებში შესციცინებდა სახეზე ბლომად ფერუმარილწასმული სეფექალი. ქაქუზა ტახტზე წამოწვა, აგრაფინამ ჰკითხა:

– ერთი მიბრძანე, ბატონო, კარგი ქორწილი ჰქონდათ?

– დიდებული, უჰ, მშვენიერი, უხვი... – წამოჯდა ქაქუზა. – მართალი გითხრა, არ ველოდი ასეთ ქორწილს ინდოურებისგან, მაგრამ არაფერია; მალე ჩვენ ათასჯერ მდიდრულ ქორწილს გადავიხდით. ჰოდა, შენ იცი, აგრაფინა, როგორ დაუვლი შენებურად; ერთხელაც უნდა გაიხსენო ახალგაზრდობა და მერე, რაც იქნება, იქნეს!

ქაქუზა ციას გათხოვებას აპირებდა. მან ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მეგობარ მეფეს, ფიმფამფო მამალს პირობა მისცა თავისი ასული ცია, ფიმფამლოს შვილზე, უფლისწულ ყვინჩოზე დაექორწინებინა. ცია გუმანით ხვდებოდა მამის განზრახვას. ახლა, როცა ქაქუზამ ქორწილი გადახდა ახსენა, მანაც ფრთხილად და ყასიდად ჰკითხა:

– მამი, ვის ქორწილზე საუბრობ?

მამლაყინწას მაგივრად აგრაფინამ უპასუხა:

– უნდა გაგათხოვოთ, შე ეშმაკო, შენა მაამ!

– როგორ თუ უნდა გამათხოვოთ, აწიკვინდა ლამაზნისკარტიანი აწითლებული ცია და კარისკენ გაიქცა. აქ აგრაფინამ იყოჩაღა, წინ გადაუდგა ბატონის ასულს და არ გაუშვა. მერე ღიმილით ქაქუზას მიუბრუნდა:

– ვახ! ვახ! ბატონო ქაქუზა, სულ ჩემი ქალიშვილობა მახსენდება.

– არა-მეთქი, არა! ხელი გამიშვი, შე ბატო, ბატო! – წამოიძახა გაწიწმატებულმა ციამ, მაგრამ იმწამსვე მიხვდა რომ დიდი შეცდომა დაუშვა და ენაზე იკბინა. თუ ვინმეს სურდა, იხვს აგრაფინასთვის გული მოეკლა, ბატი უნდა ეწოდებინა. უფრო დიდი შეურაცხყოფა მას ვერც წარმოედგინა და ამას ადვილად არავის პატიობდა.

– ვააბ! ეს როგორ! მე, დიდებული ქაქუზას სასახლის სეფექალს, ბატს მიწოდებენ?.. ახლა კი ამევსო მოთმინების ფიალა! დიახ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ყველაფერს ეტყვი, ბატონის ასულო, რადგან თავს გაგივიდ...

– მაინც რა უნდა თქვა, შე... შე იხვო, შენა?! – თვალები დაუმრგვალდა ქაქუზას. გაოცებული ხან ციას გადახედავდა, ხან აგრაფინას. სეფექალმა გაიფიქრა, ეს რა წამოვროშეო, მაგრამ ახლა უკან დახევა აღარ შეეძლო, ქაქუზა მისგან პასუხს ელოდა. ჰოდა, თქვა კიდეც:

– რა და... ჩემო ბატონო, ამას, შენს ასულს, ის ჭირიანი ნახევარწიწილა, შეუხუმბულავ-შეუხედავი, გაპუტული ბიწკინა მოსწონს.

ამის გაგონებისთანავე ქაქუზა-მამალი ზე წამოიჭრა, თავში ხელები წაიშინა და დაჭრილი მხეცივით აღრიალდა:

– ვაი, ყიჰ! დაქცეულო სასახლევ! ვაიი! ეს რა ესმის ჩემს ყურებს. ყიჰ! ყიჰ!.. მამლაყინწა მეტისმეტი მღელვარებისაგან დაბარბაცდა და კვლავ ტახტზე წამოჯდა – როდის, როდის? – ამოიხრიალა გონს მოსულმა: – აქამდე რატომ მიმალავდი, აგრაფინა, რატომ?!

– ადრეც გეუბნებოდი, ბატონო, ბიწკინა და საველე-ძაღლი სამეფოდან გავაძევოთ-მეთქი! საველეს, რამდენი ხანია, ღამე არ გაუთენებია, ეს ბიწკინა კიდევ საშინელი უქნარაა; არშიყობის მეტი არაფერი ეხერხება, – თავი იმართლა აგრაფინამ.

მამლაყინწა ღრმად ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და განაცხადა:

– საველესთვის მერე მოვიცლი. ახლა ის თხიპიანი გლეხუჭა მომგვარე! ოჰ, მე მაგას... ყიჰ! – ქაქუზამ მუშტები ერთმანეთს მიარტყა და აგრაფინას უყვირა, – რას მომჩერებიხარ, ბიწკინა მომგვარე-მეთქი!

– ახლავე, ბატონო, ამ წუთში! – სეფექალი სარკმლისკენ წაბაჯბაჯდა. აგრაფინა სხვა დროს ასე არ მოიქცეოდა, უეჭველად მოსამსახურეს უბრძანებდა, მოჯამაგირე მომგვარეო. ახლა სეფექალმა თვითონ დაუძახა ეზოში მყოფ ბიწკინას:

– შვილო, ბიწკინ, ამოდი ჩვენთან! ქაქუზბატონმა უნდა დაგასაჩუქროს... კარგი მუშაობისათვის, ბიწკინ!

მოჯამაგირე გამოიქცა. აგრაფინამ კი ბატონს მოახსენა – სუ სირბილით მოდის ის ნახევარქათამაო. ამის თქმა იყო და ციამ დარბაზიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ქაქუზამ უბრძანა, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა. ისიც დამორჩილდა მამის ნებას.

მალე დარბაზში გამხდარი, კისერზე ბუმბულგაცვენილი მოჯამაგირე ბიწკინა შემოვიდა და ციას თვალი შეავლო.

– აქ მოდი, ბიჭო! – დაიროხროხა ქაქუზამ. ბიწკინა ბატონისკენ გაემართა, უცებ ციამ წამოიძახა:

– არ მიხვიდე, ბიწკინ, გაიქეცი, გაიქეცი!

გაოცებულმა მოჯამაგირემ სატრფოს მოხედა, მაგრამ კითხვით ვერაფერი ჰკითხა, შერცხვა. ქაქუზამ შვილს თვალები დაუბრიალა, ბიწკინას კი დაუყვავა:

– მოდი, ბიძია, აქ!

ბიწკინა მიხვდა, რაღაც უბედურებას უმზადებდა ბედი, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და მაინც გაემართა ბატონისკენ. ჰოდა, ძალიან ახლოს რომ მივიდა ბატონთან, ქაქუზამ, მუშტრის თვალით ახედ-დახედა და თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა: – რამ შააყვარა, კაცო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ეს ბიწკინაა თუ პიწკინა და სად რომელიმე უფლისწული. თუნდაც ის ყვინჩო?! თუმცაღა, არც ვიცნობ, მაგრამ... მამამისი კი ნამდვილად ფერხორციანი მამალია. ეს კიდევ დაგვალულია, თანაც მოჯამაგირეა, ყიჰ!

ეს ბოლო სიტყვები ოდნავ გასაგონად წარმოთქვა ბატონმა. ბიწკინამ იფიქრა - ალბათ, მე მომმართავენო და ჰკითხა:

- რაო, რა მიბრძანე, ბატონო?!

- რა და... - გამოერკვა ქაქუზა, - რა და... შაქარყინული თუ გიყვარს შენა? - და...

- როგორ არ გეყვარება, ბიჭო!.. - თვითონვე უპასუხა ქაქუზამ.

ბიწკინა თავდახრილი იდგა.

- ჰოდა, აი, შენ შაქარი! - წამოიძახა და მოულოდნელად სილა სტკიცა მოჯამაგირეს.

- გეტკინა? ხომ გეტკინაა?.. ახლა მაგ ნატკენზე ყინულს დაგადებ და დაგიამებს. - ამ სიტყვებზე კვლავ სილა უთავაზა მოჯამაგირეს, ოღონდ ამჯერად მეორე ლოყაზე.

ბიწკინა გაოგნებული იდგა. ცია ტიროდა. ქაქუზა კი თვალებს აბრიალებდა და დამცინავად ეკითხებოდა:

- რაო, ბიწკინა ხარ თუ პიწკინა, ხომ გეამა შაქარყინული? პაა მიპასუხე, შე ჭირიანო!

ბიწკინა უშიშრად, თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა. ამ ამბავმა მამლაყინწა შეაფიქრიანა. გულში თქვა: „ნამდვილად მამაცი ბიჭია, თვალსაც კი მისწორებს.“ ბოლოს მაინც რიხით მიმართა:

- წადი-მეთქი, ბიჭო, მოშორდი აქაურობას, თორემ ფრთებს დაგაგლეჯ, ბიბილოებსაც მაგაჭრი და იარე მერე ასე შერცხვენილმა. დაიკარგე ახლა აქედან, ბიჭოს!

მოჯამაგირე დინჯად გაემართა კარისაკენ, კარებთან მისული უცებ შედგა და აქვითინებული სატრფო დაამშვიდა:

- ნუ ტირი, ცია, მე მალე დავბრუნდები.

აგრაფინამ გარეთ გამოსასვლელი კარი გამოაღო და ბიწკინას ალერსიანად უთხრა:

- კარგი ახლა, ღედა, წადი, შენი ჭირიმე, ზრდილობაც კარგი საქონელია...

ბიწკინამ პირში მიახალა: - შენ არავინ გკითხავს, შე ბატო!

მერე ბატონს შესძახა:

- ქაქუზავ, რადგან გამილაწუნე, ხმალში გიწვევ. დაე, იარაღმა გაგვასწოროს. ამ სიტყვებზე მოჯამაგირემ კარი გაიჯახუნა. მამლაყინწა სახტად დარჩა. ეს ბიწკინა დიდი ოხერი ვინმე ჩანს, ეგ უკან არაფერზე დაიხევს, შეიძლება, სულაც ასული მომტაცოს. აჰ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა; ყველაფერს ჯობია, ცია საჩქაროდ დავაქორწინო უფლისწულ ყვინჩოზე, - გადაწყვიტა გონებაში ქაქუზამ და აგრაფინას მჭექარე ხმით უბრძანა:

- ახლავე გასწი ცხრა მთისა და ცხრა ბარის იქით, მეათე მთა-ბარში. იქ ჩემი ძმობილის, ფიფქამფო ხელმწიფის სამფლობელოა; მოახსენე მეფეს, რო მე, სახელოვანი ქაქუზა, მზად ვარ, ჩემი ასული, ფრიად პაეროვანი არსება ცია ცოლად მივცე მის მემკვიდრეს, უფლისწულ ყვინჩოს, ოდესღაც ჩემსა და მეფეს შორის დადებული პირობის თანახმად, გასწი!

- ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემო ხელმწიფე, - მოკრძალებით მოახსენა სეფექალმა, - გთხოვ, ახლავე დაიყივლო და გაათენო, ბატონო, თორემ ასეთ სიბნელეში როგორ წავიდე იმ სიშორეს? სხვა თუ არაფერი, ან ტურა შემჭამს, ან მგელი...

- არა, არ დავიყივლებ, ერთხელ მითქვამს და გაიგონეთ! კლდესავით ურყევი იყო ქაქუზა.

იხვმა იხტიბარი არ გაიტეხა:

- ვიცი, რომ წივილ-ყივილი თქვენისთანა დიდებულს არ ეკადრება, მაგრამ, აკი მოგეხსენებათ, ის ოხერი სავლე ძაღლი ვერ ათენებს ღამეს და...

- ოჰ, კარგი გამახსენე. - შეაწყვეტინა ქაქუზამ, - ის ტუტუცი სავლე იახლე, იმასთან არ შაგეშინდება, რაც უნდა იყოს, ძაღლია.

- რო არ წამომყვეს? - დაეჭვდა სეფექალი.

- როგორ გაბედავს!.. არ წამოგყვება და გადაეცი, რომ დაუყოვნებლივ გავაგდებ ჩემი სამფლობელოდან! თუმცა მაინც გავაგდებ, როგორც კი ახალ ძაღლს შევიძენ, წადი ახლა!

აგრაფინა დარბაზიდან გავიდა. თავის ოთახში შევიდა და მორთვა-მოკაზმვას შეუდგა. ამასობაში ქაქუზამ ციას გასძახა:

- შედი შენს ოთახში და იქიდან გამოსული არ გნახო!

ცია მამის ნება დაჰყვა.

მარტო დარჩენილი ქაქუზა ბოლთის ცემას მოჰყვა.

## ამბავი მესამე
## სავლე ძაღლთან პაწკუმელას სტუმრობა

ქაქუზას მიერ შეურაცხყოფილმა, ნაცემმა ბიწკინამ სასახლე მიატოვა და ტყეში გაიჭრა. თვალებზე ცრემლმომდგარი იქ დაეხეტებოდა და ფიქრობდა, როგორ გადაეხადა სამაგიერო საძულველი მამლაყინწასათვის. მართალია, ბიწკინა ქაქუზას დაემუქრა, დაე, ხმალმა გაგვასწოროსო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ხმალი არ ჰქონდა. ახლა გულხავრიანი იმაზე ფიქრობდა, რა გზას დასდგომოდა, სად ეშოვა იარაღი. ბოლოს ნაცნობი მოხუცი ძაღლი სავლე გაახსენდა. იმ ძაღლს თავისი ბუდრუგანის

კედელზე ძველთაძველი, მაგრამ ჯერაც ფხიანი ხმალი ეკიდა. სავლე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა იარაღს, რადგან ახალგაზრდობაში იმით არაერთი საგმირო საქმე ჩაედინა. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ბიჭკინამ; მაინც ჰქონდა იმედი, სავლე ხმალს ათხოვებდა. ამგვარად, გახალისებულმა მოჯამაგირემ ღიღინღიღინით გასწია სავლეს სანახავად. წინ კაიძალი გზა ედო.

სავლე პატიოსანი და შრომისმოყვარე ძაღლი გახლდათ, იგი ტყის პირას, მარტოდმარტო ცხოვრობდა. რომ იტყვიან, ბედნიერი სიბერე ჰქონდა. ოღონდ ეგ იყო, ბოლო დროს დიდად შეაწუხა ქაქუზა მამლის უნიათობამ. მოგეხსენებათ, მამლაყინწა ჯიუტად რომ არ ჰყიოდა, მარტო სავლეს ყეფა კი ღამეს ვერა და ვერ ათენებდა. ეს ამბავი ჯავრად ჰქონდა მოხუცს.

სწორედ მაშინ, როდესაც ბიჭკინა ხმლის სათხოვნელად სავლესთან მიდიოდა, ძაღლი ხის ძირას თავის თავს ნარდს ეთამაშებოდა... ჰა და ჰა, წუთი-წუთზე მოუგებდა საკუთარ თავს, რომ ამ დროს ვიღაცამ ჩუმად დაუძახა:

- სავლე, ჰაი, სავლეე!..

ძაღლმა კამათლები ძირს დადო და წელათრევით სარებამოცლილ ღობისაკენ გაემართა. ღობესთან მისულმა ბუჩქებში გადაიხედა და ხმამაღლა გასძახა:

- რომელი ხარ მანდ? პასუხად ჯაგნარებში რაღაცამ გაიფაჩუნა, მერე კი წითური თავი გამოყო... იცით, ვინა? არა, ბიჭკინა ნამდვილად არ იყო, ვერც კი წარმოიდგენთ, ვინ ესტუმრა სავლეს. ვინა და მელაკუდა, სახელად პაწკუმელა.

მართალია, სავლეს პაწკუმელასთან დიდი ხნის მეგობრობა არ აკავშირებდა, მაგრამ როგორღაც კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. ასე რომ, სავლე მელაკუდას გახსენებისას სინანულით გაიქნევდა თავს და იტყოდა: „ნამეტანი წესიერი ზნის აღმოჩნდა პაწკუმელა, პირდაპირ მრცხვენია, აქამდე ცუდი აზრის რომ ვიყავი მასზე“.

მარტოობისგან თავგაბეზრებული სავლე ხალისით მიესალმა სტუმარს:

- ოჰ, პაწკუს გაუმარჯოს, პაწკუს! რავა შორიდან იძახი, გადმოხტი ღობეზე - ვითომდა გამოსაძვრომი ადგილი არ ყოფილიყო.

პაწკუმელამ ჩუმად ჰკითხა, - უცხო ხომ არავინაა შენთან?

- მარტო ვარ, ნუ გეშინია! - დაამშვიდა სავლემ.

მეგობრები ნარდის თამაშს შეუდგნენ, თან მუსაიფობდნენ.

პაწკუმელამ ისე, სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

- კიდევ კარგი, ბრდღვიალა მთვარეა, მშვენივრად ვხედავ ყველაფერს.

- კარგი კი არა, მაგან დამაბერა უდროოდ, - ჩაიბურტყუნა სავლემ და ქვები გადაითამაშა.

- სავლე-ჩემო, სწორედ მაგ საქმეზე მოვედი, რო იცოდე... - ანაზდად პაწკუმელას სიტყვა გაუწყდა, რადგან შორიახლო ბუჩქებიდან ვიღაცის წამოყვირება მოესმა. ძაღლი და მელია ერთმანეთს მიაჩერდნენ. მერე სავლემ შეუტია, - რა ყველაფრის გეშინია, განაგრძე თამაში. პაწკუმელა ირწმუნებოდა, ნამდვილად ვიღაცამ წამოიყვირაო. სავლე არ ეთანხმებოდა, - მოგეჩვენებოდაო. ბოლოს თამაში განაგრძეს.

სინამდვილეში, მელიას არაფერი მოსჩვენებია; საქმე ასე გახლდათ: ბიჭკინამ, რომელიც სავლესთან მიდიოდა, შორიდანვე ჰკიდა თვალი ძაღლთან თამაშით გართულ მელიას... ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო მოჯამაგირისათვის, რომ გაოგნებისაგან ერთი შეჰყვირა და იქაურობას თოფნაკრავივით გაეცალა.

პაწკუმელა და სავლე თამაშის ეშხში შევიდნენ. ანაზდად სავლეს მელაკუდას გამწყდარი სათქმელი გაახსენდა და ჰკითხა:

რაღაცას მეუბნებოდი, პაწკუ, რა საქმეზე მოვედიო?

პაწკუმელამ წამით თამაში შეწყვიტა და უპასუხა:

- ჰო, რას ვამბობდი?.. აჰა, გამახსენდა! რაღა დაგიმალო და, მთელი ჩვენი ტყის ნადირ-ფრინველი შეწუხებულია.

- რაო, რა გვინდაო? - იკითხა სავლემ.

პაწკუმელამ საყვედურნარევი კილოთი უთხრა:

- ბიჭო, რა დაგემართათ! გაათენეთ ეს ოხერი ღამე! რავა გეზარებათ დაყეფება და ყივილი? სირცხვილია ბოლოს და ბოლოს!

ძაღლმა წარბები შეყარა, თამაში შეწყვიტა და სტუმარს ჩააცქერდა:

- მე მონდომებას არ ვაკლებ, კი იცი შენ, მარა ქაქუზა-მამალი ჯიუტობს, ყავარზე აქვს გადებული თავისი ჭრელი კუდი... რაღას მალაპარაკებ? ვითომ არ იცოდე!

- შენ კი გსაყვედურობენ და... - მოჭუტული თვალებით ამოხედა პაწკუმელამ.

სავლეს კიდევ უფრო მოეღრუბლა სახე; ერთხანს უყურა სტუმარს, და მერე აღშფოთებით წამოიძახა:

- კაცო, პაწკუ, რით ვერ გაიგე, მამალმა უნდა იყივლოს და ძაღლმა ანუ მე, უნდა ვიყეფო, რომ გადაგორდეს ეს უსინდისო მთვარე და გათენდეს, მზე ამოვიდეს. ასე დაუწესებია მაღალ ღმერთს. ახლა, მარტო ჩემი მეცადინეობით რომ არ გამოდის ეს საქმე, არ იცი შენ, ეტყობა! ა, მიყურე აგერ და დარწმუნდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სავლემ მთვარეს ახედა და შეჰყეფა, მაგრამ გაბრდღვიალებული მნათობი არც კი შეტოკებულა.

შეწუხებული ძაღლი პაწკუმელას მიუბრუნდა:

– ხომ ხედავ, ადგილიდან არ იძვრის; გინდა, მთვარისთვის შემიყეფია, გინდა, კედლისთვის ცერცვი შემიყრია, არ ეშინია ჩემი და რა გინდა ახლა, რომ ქნა!

– კი ვხედავ, სავლე, კი, – ჩაილაპარაკა პაწკუმელამ და კამათელი გააგორა, – კი ვხედავ, მარა... კაცო, ვითომ რა მიზეზია, ქაქუზა რომ არ ყივის? იქნება ყელი სტკივა, ჩვენ კი სიჯიუტეს ვაბრალებთ.

ძაღლმა გულისტკივილით დაარწმუნა პაწკუმელა, რომ მიზეზი ქაქუზას ყელის ტკივილი კი არა, სიჯიუტე იყო. არც ის დაუმალა, ქაქუზეთიდან გაძევებით რომ ემუქრებოდა, თუკი საჩქაროდ ღამეს არ გაათენებდა:

– არა, თუ ყელი სტკივა... აგერ გვერდით მთა-ბარში კარგ ყელ-ყურის ექიმ ინდოურს ვიცნობ, – არ იშლიდა თავისას პაწკუ, კამათელი გააგორა და საუბარი განაგრძო: – თან გაძევებითაც გემუქრებაა? უყურე შენ მაგ უზნეოს და თავხედს, მაგას! – ყასიდად აღშფოთდა მელია. მერე ქვები გადაათამაშა და განაგრძო, – გითხრა სიმართლე, კაი მაგარი გასაროზგია!..

– ვინაა, პაწკუ, გასაროზგი? – გაუკვირდა სავლეს.

– ქაქუზა, სხვა ვინ!.. ისე, შენ რომ დამეხმარებოდე, მოვიტაცებდი და იმდენს ვურტყამდი!.. ჰა, სავლე რას იტყვი?... აი, ყველას რომ ეძინება, მაშინ უნდა შევიპარო სასახლეში და... მხოლოდ შენ უნდა დამეხმარო, გაფიცებ ძმობას.

გაგულისებულმა სავლემ კამათლები ხელუკულმა გაყარა დაფაზე და წამოიძახა:

– აი, თურმე რისთვის მოსულხარ; შევიპაროთო, მოვიტაცოთო!.. როდის იყო ბოროტებით კეთილი საქმე კეთდებოდა. შევარცხვინე შენი კაცობა! წამოდგა სავლე.

პაწკუმელა შეშფოთდა, თვითონაც ადგა, მხარზე ხელი გადახვია სავლეს და მობოდიშებით უთხრა:

– მე საერთო საქმე მალაპარაკებს, თორემ ვინა მკითავს, მზე იქნება ცაზე თუ მთვარე?.. არა, ძმაო, საერთო საქმეზე შემტკივა გული! ... აბა, შეხედე, ამ ჩვენს ტყეში რამსისქე ხავსი მოედო ყველაფერს. ლამის ვიწრო ბილიკებიც კი დაფაროს ხავსმა, ყვავილებზე და პატარპატარა ბუჩქებზე აღარაფერს ვამბობ, – ერთიანად ჩამუქდნენ და ჩაიშრიტნენ. ისიც სათქმელია, ჩემო სავლე, ტყეში ათასი ეშმაკი და ავი სული რომ მომრავლდა; კაი ხანია, ვერც ერთ პატიოსან სულიერს სოროდან ცხვირი ვერ გამოუყვია!

კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა პაწკუმელას, მაგრამ სავლემ ველარ მოითმინა, შეაწყვეტინა:

– ჰო, კარგი ახლა, კარგი, პაწკუ, რა ქადაგად დავარდი!.. მთლად გამიფუჭე ხასიათი, ბიჭო! დავსხდეთ ახლა, დავსხდეთ!

მეგობრებმა ნარდის თამაში განაგრძეს. პაწკუმელამ კუდი შეატოკა:

– კარგი, აბა, ჩემო სავლე, მოვეთათბირები ჩვენი ტყის ნადირ-ფრინველებს და რამეს ვიღონებთ.

– ჰოო... – ქვები გადაალაგა ძაღლმა და მელიას მიუბრუნდა:

– სცადეთ, ჩემო ბატონო, იმსჯელეთ, ითათბირეთ.

– კაი, ჩემო ბატონო, კაი – რაღაც სხვანაირად ჩაილაპარაკა პაწკუმელამ, – ეგრე ვიზამთ, აბა, როდემდე ვიყოთ ბნელში ერთი ქეციანი მამლის გულისთვის... ახლა ერთი დუშაში რომ გავაგორო თამაშსაც დავამთავრებ.

მელაკუდამ მუჭში მოქცეული კამათლები აურია და წამოიძახა, – „დუშაში, ძაღლის ძვალოო!..“ მართლაც დუშაში დასვა. ხოლო სავლემ ხუმრობით და თვალების ქაჩვით გადაუკრა:

– შენ ძაღლს თავი დაანებე!

პაწკუმელამ ჩაიცინა, – ესეც ასე. ამჯერადაც მოვიგე, სავლე ჩემო... ღმერთმანი, საწყენად არ მითქვამს ძაღლის ძვალი, სიტყვის მასალად გამოვიყენე.

სავლესაც გაეღიმა. რას იზამ, მელია მაინც მელიააო, ჩაილაპარაკა. მერე ორივენი ქვების დალაგებას შეუდგნენ, მეორე ხელი უნდა ეთამაშათ, ის-ის იყო თამაშს უნდა შესდგომოდნენ, რომ ამ დროს საკმაოდ ახლოდან მოისმა აგრაფინას ყვიტყვიტა ხმა:

– სავლე, ბიჭოო, სავლეე!.. – განწირულივით იძახდა სეფექალი.

„რა დროს მაგის მოსვლაა!“ – გაიფიქრა შეცბუნებულმა ძაღლმა და წამოდგა, ჩაბნელებულ ბუჩქებს გახედა...

## ამბავი მეოთხე

## სავლე ძაღლთან აგრაფინას სტუმრობა

დიახ, სავლემ ჩაბნელებულ ბუჩქებს გახედა, წამით გაიფიქრა, პაწკუმელასავით მეც ხომ არ მომესმაო. მაგრამ აგრაფინამ ისევ დაიყვიტყვიტა: სავლე, გამომხედე! ანაზდად ძაღლი მიხვდა, აგრაფინას არაფრით არ უნდა დაენახა მასთან პაწკუმელა და სტუმარს უჩურჩულა. არიქა, პაწკუ არ დაგინახოს ენაჭარტალამ, თორემ მთელ ქაქუზეთს აქ მოყრისო. თავად ღობისკენ გაემართა, და თან იძახდა: რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ მანდა, რომელი მესტუმრეო. დაფაცურებულმა მელაკუდამ დასამალი რომ ვერ იპოვა, იქვე აყირავებულ ურემთან მდგარ კასრში ჩახტა. საველე ღობესთან მივიდა, ერთი მოიხედა და მელია რომ ველარ დაინახა და უფრო გაბედულად დაიძახა: - რომელი ხარ? აქეთ მობრძანდი.

– მე ვარ, აგრაფინა ვარ, საველე. ძლივს მოვიკვლევ ამ ვიწროებში. მკაფიოდ მოისმა სეფექალის ხმა. ცოტაც და ღობესთან მორთულ-მოკაზმული აგრაფინა გამოჩნდა. თავზე მშვენიერი მანდილი წაეკრა, სახეზე ისე ბარაქიანად წაეთხიპნა ფერუმარილი, რომ მთვარის შუქზეც კი შეამჩნევდით. ჰო, მართლა, ერთ ხელში პატარა, კოხტა ჩანდა ეკავა, მეორეში გაშლილი ქოლგა, თუმცაღა ღამე იყო, მაშასადამე არც მზე აცხუნებდა. უბრალოდ, ქალბატონ აგრაფინას სურდა, ყველგან და ყველაფერში სხვებისგან გამორჩეული ყოფილიყო.

საველემ ღობეში დატანებული, თოკებით შეკრული კარი გამოაღო და სეფექალს მიეგება, - მობრძანდით, პატივცემულო აგრაფინა, როგორ გიკითხოთ!

იხვმა თავი დაუქნია და ყელმოღერებული კურტუმის ქნევით შევიდა ეზოში. ეზოში შესული საველეს მიუბრუნდა:

– ბნელა, საველე, ბნელა, კინაღამ წავიქეცი! – ამით მიანიშნა, ცაზე აქამდე მთვარე რომ ჰკიდია, შენი ბრალიაო. საველე ყველაფერს მიხვდა, მაგრამ... ვითომ ვერ მიხვდა. კვლავაც ზრდილობიანად შეიპატიჟა:

– ოჯახში შემობრძანდით, სტუმრისათვის საგანგებოდ გამზადებული სავარძელი მაქვს, იქ მოისვენეთ.

– სავარძელი კი არა!.. – წამოიძახა იხვმა. – მე და შენ ახლავე ცხრა მთისა და ცხრა ბარს იქით, მეათე მთა-ბარში, ფიმფამფო მეფის სასახლეში უნდა წავსწიოთ. – ოჰ, რა გვინდა იმ სიშორეს! ხო მშვიდობაა, ქალბატონო აგრაფინა? - გაოცდა ძაღლი.

სეფექალმა მოკლედ აუხსნა, რომ ქაქუზა ბატონმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, თავისა ასული ცია ფიმფამფოს შვილზე, უფლისწულ ყვინჩოზე დაექორწინებინა ოდესღაც ქაქუზასა და უცხოელ მეფეს შორის დადებული პირობის თანახმად.

საველეს გულში ეწყინა ეს ამბავი, რადგან, იცოდა ციას და ბიწკინას სიყვარულის ამბავი, ამიტომ ფრთხილად შეაპარა აგრაფინას:

– იქნებ სხვა მოსწონს ციას, იმის ცოდვაში ფეხი არ ჩავდგათ.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, დროზე გამოეწყვე! – მოუთმენლად წამოიძახა აგრაფინამ.

საველემ თავისი ქოხისაკენ გასწია. იცოდა, მაინც ვერაფერს შეასმენდა სეფექალს.

ბუდრუგანას მიახლოებულ ძაღლს იხვის ხმა მოესმა:

– საველეე!

– ბატონო? – მოიხედა საველემ.

– ბატონმა ქაქუზამ ბრძანა: საველე ძაღლი თუ არ წამოგყვება, ტყავს გავაძრობო, კუდსაც მოვჭრიო... და თვალებსაც დავუბრიალებო, დიახ, ჩაარაკრაკა აგრაფინამ.

მაგ ქაქუზამ გამიმწარა სიბერეო, - გაიფიქრა ძაღლმა და ბუდრუგანაში შევიდა.

მარტო დარჩენილმა აგრაფინამ სახე გვერდზე მიაქცია და ცხვირი მრავალმნიშვნელოვნად აიბზიკა. ამ პატარა მოძრაობაშიც ჩანდა, რომ თავისი თავი დიდ ვინმედ მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს გულში, აი, რას ამბობდა: „დედაა, რამდენი მალაქლაქა ამ უზრდელმა? თანაც, როგორ მელაპარაკა, რა ხეპრულად. არა, არა, ჩემი ბრალია, თავს რომ ვუყადრებ, იმიტომ... მაგრამ არაფერია, ცოტა ხანს კიდევ ავიტან მაგის ძაღლურ საქციელს. მერე ახალ ოთხფეხს ვაყიდინებ ქაქუზას. ის კი, ჩემი წარმოდგენით, წესიერი, ზრდილი, ლამაზი და ტანადი უნდა იყოს. ხმაც ისეთი უნდა ჰქონდეს, რომ დაყეფებაზე მთვარეს შეეშინდეს, გვერდზე გადაგორდეს და ღამე გათენდეს..."

ალბათ, კიდევ დიდხანს იოცნებებდა აგრაფინა, მაგრამ ამ დროს ბუდრუგანიდან საველე გამოვიდა. ერთი შეხედვით ვერც კი იცნობდით, ისე იყო გამოწკეპილი აბა, წარმოიდგინეთ: ჭაღარა ქოჩორი საგულდაგულოდ დაევარცხნა, მშვენიერი, წითელკოპლებიანი შარვალ-ხალათი ჩაეცვა, კისერზე შავი პეპელა-ყელსახვევი გაეკეთებინა. მის დანახვაზე აგრაფინამ წამოიძახა: - დედა, რავა გამოპრანჭულაო. ძაღლის ყურს ეს სიტყვები მისწვდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, საქმიანი იერით თქვა, - წავიდეთ, არა, ქალბატონო აგრაფინა? - საველემ კარში, წინ სეფექალი გაატარა. მერე გაიხედ-გამოიხედა, ცხადია, პაწკუმელას ეძებდა, მაგრამ რას ნახავდა. ბოლოს, ერთი ბებრულად ამოიხვნეშა და სეფექალთან ერთად გზას დაადგა.

## ამბავი მეხუთე
## პაწკუმელას უკადრისი მიზნები

ასე და ამრიგად, საველე და აგრაფინა ფიმფამფო მეფის სასახლისაკენ გაუდგნენ გზას.

ქაქუზას წარგზავნილები სანამ სასიძოს სასახლეს მიაღწევენ, შეგვიძლია იმ თავლია კასრში ჩავიჭვრიტოთ, სადაც აგრაფინას სტუმრობით დაფეთებული მელა ჩახტა, თუმცა იქნებ სჯობს, არც ჩავიხედოთ, დარწმუნებული ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელობისაგან გული შეგიქანდებათ.

კასრში, როგორც გახსოვთ, მოწითალო- ჩალისფერი მელაკუდა ჩახტა. ახლა იქ შავი, ერთიანად შავი, შიშისმომგვრელი არსება იჯდა. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს პაწკუმელა გახლდათ. თურმე, სავლე ძაღლს იმ კასრში საოჯახო საჭიროებისათვის საღებავი დაეყენებინა, ჰოდა, შიგ ჩამხტარი მელაც შავად შეიღება.

პაწკუმელა ჯერჯერობით ბაიბურში არ იყო; მას ისე მოსტაცა ყური აგრაფინას და სავლეს საუბარმა, რომ მთელი გულისყური იქით ჰქონდა. ამდენად არც შეუნიშნავს თავს დამტყდარი უბედურება. ახლა, როცა იხვი და ძაღლი ეზოდან გავიდნენ , პაწკუმელამ კასრიდან თავი ამოჰყო და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა: ეს რაები გავიგე, ძმებო... თურმე ვიღაც უფლისწულ ყვინჩოს ცოლად აძლევენ ქაქუზას ასულს და საერთოდაც, ნამდვილად უცნაური ამბები ხდება მამლაყინწას სასახლეში. ახლა ჩემს ადგილზე რომელიმე ჭკვიანი მელაკუდა რამე ეშმაკობას მოიფიქრებდა, - მელია მოუსვენრად შექანდა და თავს შეუძახა; - „გაინძერი, გოგრავ, რამე მოიფიქრე, შე თივით გატენილო შენაო!“ მერე სინანულით გაიფიქრა: „აბა, ეს საქმეა? რამდენი ხანია, ქაქუზა მამლის დედლებს ვუტრიალებ... რო ვერაფერი გავაწყვე, სავლეს დავმეგობრდი, ვიფიქრე, ჩემი მიზნის მისაღწევად გამომადგება-მეთქი, მაგრამ დღემდე ქაქუზას სასახლეში შეღწევა ვერა და ვერ მოვახერხე. პირდაპირ, ყაჩაღურად თავდასხმა კი ნამდვილად სახიფათოა, იმდენი ქვეშევრდომი ჰყავს, რომ დამიჭირონ, ცოცხლად ტყავს გამაძრობენ, ასე რომ ამდენმა გარჯამ ფუჭად ჩამიარა!.. რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, ამ ჩემს სატიალე გოგრას რომ არაფერი აფიქრდება? უჰ, შე ოხერ-მუდრეგო, რატომ არ მოიფიქრებ რამეს, რატომ, რატომ!“ - ამ სიტყვებზე პაწკუმელამ თავში მუშტი წაიშინა და სწორედ მაშინ შეამჩნია, ერთიანად შავად რომ იყო შეღებილი. გაოგნებულმა მელამ უმწეოდ ჩაიჩურჩულა: ეს რა შავი ვარ, ძმებო!.. მაშ, საღებავი სხმია კასრში? შენი ჯიში გადაშენდა, სავლე! რა ვქნა ახლა მე! ვინა ხართ ახლომახლო, მირჩიეთ რამე! ვის დავენახვო ასეთი გამურული?

მელია კასრიდან ამოხტა, ბეწვი შეიბერტყა და მწარედ ჩაფიქრებული იქვე დაყუნცდა. როდის-როდის მის თავში ეშმაკური აზრი გაფაჩუნდა და მოუსვენრად აწრიალდა. „ახლავე ტყეში უნდა გავიქცე, - მოისაზრა მელაკუდამ, - იქ სავლეს და აგრაფინას შევხვდები. იმ ჩერჩეტებს ვეტყვი, რომ მე ფიმფამფო მეფის შვილი, უფლისწული ყვინჩო ვარ. ისინი, ალბათ, არ დამიჯერებენ... ასეთ შავს, გრძელკუდას ყვინჩოდ ვინ მიმიღებს, მაგრამ ორივეს დავარწმუნებ, რომ ქურქი მაცვია, რომ მამაჩემი ფიმფამფო მტრებმა ღალატით მოკლეს. სიკვდილის წინ ეს შავი ქურქი გადამაცვა და მტრით ალყაშემორტყმული სასახლიდან აქით გამომაპარა მერე სასხვათაშორისოდ ჩავურთავ, რომ ახლა მამლაყინწას სასახლეში მივდივარ, რათა, ქაქუზასა და ფიმფამფოს ოდესღაც ერთმანეთისთვის მიცემული პირობა აღვასრულო, რომლის თანახმად ვალდებული ვარ, ცოლად შევირთო ქაქუზას ასული ცია. ამ ხერხით იოლად შევაღწევ სასახლეში და ნელ-ნელა მუსრს გავავლებ ქაქუზას სამბრძანებლოს“.

ბოროტი გადაწყვეტით კმაყოფილმა პაწკუმელამ ხელი ულვაშებზე გადაისვა და მეტისმეტი სიამოვნებისაგან ადგილზე შეხტა. აღტაცებულმა საკუთარი თავი შეაქო: „უჰ, შენი ჭირიმე, შენი, გოგრა კი არა, სიბრძნით სავსე კიდობანი ხარ. სულ ტყუილად გლანძღე შენ, სკივრო სიბრძნისაო... ასეთი ეშმაკობა ხომ არც ერთ მელას არ მოუფიქრებია და არც დასიზმრებია. უჰ, შენი ჭირიმე, თავო!“ დალოცა საკუთარი ჭკუა-გონება პაწკუმელამ და წაიღიღინა: ჰარი, ჰარი, ჰარალეე, ვენაცვალე ჩემ თავსაო, ჩემს ჭკუა-გონებასაო... მელია რამდენიმე ნახტომით ღობესთან გაჩნდა, ზედ გადაევლო და ტყეს მისცა თავი.

## ამბავი მეექვსე
## იმის შესახებ თუ როგორ შეხვდა პაწკუმელა ტყეში მოხეტიალე მოჯამაგირე ბიწკინას და რა ფათერაკში გაეხვია.

პაწკუმელამ ტყეს მისცა თავი. ირბინა ირბინა და ბოლოს ბილიკების გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. აქ ცოტა სული მოითქვა, გონებაში აწონ-დაწონა რომელ ბილიკს დადგომოდა. ბოლოს ქაჩალგორაზე ასვლა გადაწყვიტა; იქიდან გზას მოკლეზე ჩაჭრიდა, გაივაკებდა. იმედი ჰქონდა, მანდ, ხევის პირას სავლეს და აგრაფინას შეხვდებოდა.

პაწკუმელა ქასქასით გაუყვა ბილიკს.

სანამ მელაკუდა ქაჩალ-გორას გადაივლის, ჩვენი იმ საბრალო, ტყეში გავარდნილი მოჯამაგირე ბიწკინას ჩავუდგეთ კვალში. ალბათ, გახსოვთ, ბიწკინამ სავლესთან მელია ნახა, ერთობ დაფეთებულმა შეჰყვირა, და ელდანაკრავივით გაეცალა იქაურობას. გულჯავრიან, ბიწკინას ახალი საფიქრალ-სადარდებელი გაუჩინა ამ ამბავმა - ვერაფრით აეხსნა, რას ნიშნავდა მელიას და ძაღლის ერთად ყოფნა. ბოლოს გადაწყვიტა, როცა, მენარდენი თამაშს მორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებოდნენ და ალბათ, მელიაც თავისი გზით წავიდოდა, საველესთან მისულიყო და გაერკვია, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. მითუმეტეს, რომ ხმლის სათხოვნელად მაინც მისასვლელი იყო. ასე ფიქრობდა მოჯამაგირე და მთვარის შუქით მკრთალად განათებულ ტყეში დაეხეტებოდა. მისი აზრით, ჯერ კიდევ ადრე იყო საველესთან მისვლა.

ამ ხეტიალში ბიწკინამ უცებ თვალი ჰკიდა მისკენ მოქასქასე ერთიანად შავ, გრძელკუდა არსებას. ცხადია, ეს სხვა არავინ იყო, თუ არა პაწკუმელა. მოჯამაგირე ადგილს მიელურსმა. მელაკუდამ ტუჩები გაილოკა, ბიწკინასკენ ნაბიჯი გადადგა. გონს მოსულმა ბიწკინამ უკან დაიხია. მაშინ პაწკუმელამ თავის ნაცად ხერხს - ეშმაკობას მოუხმო; ენა დაითაფლა და ბიწკინას მიმართა:

- წიპა, წიპა, მოდი ჩემთან... მე შენ ზღაპარს მოგიყვები! მოდი ჩემთან...

პაწკუმელა ბიწკინასაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, ის კი უკან-უკან იხევდა. მელაკუდა მიხვდა, ეშმაკობით საწადელს ვერ მიაღწევდა და ბიწკინას დაჭერა სცადა? - რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მისკენ გაქანდა, მაგრამ მოჯამაგირემ ქარი ჩაიყენა მუხლებში, გამწარებული გაიქცა.

მირბოდნენ და მირბოდნენ. უცებ იმ სიბნელეში მელიამ მონადირის მიერ ამოთხრილი ორმო ვერ შენიშნა და შიგ ჩავარდა. მაშინვე გაიბრძოლა, ამოსვლა სცადა, მაგრამ ამაოდ. ჰოდა, გაცოფებული, გულში ლანძღავდა და თათხავდა სწორედ იმ თავის გოგრას, ცოტა ხნის წინ სიბრძნის კიდობანს რომ უწოდებდა.

ბიწკინა შეჩერდა, უკან გამობრუნდა, ორმოში ჩავარდილ პაწკუმელას თავზე წაადგა და დასცინა:

- წიპა, წიპა, მე შენ ზღაპარს მოგიყვებიი! - მერე მკაცრად შეუძახა; - მაინც რა სულიერი ხარ ასეთი შავი, შე ოხერო, შენა!

- პაწკუმელამ თავი ჩაქინდრა, ხმას არ იღებდა.

- ვინა ხარ, არ იტყვი? - ეკითხებოდა ბიწკინა, - არა, კეთილი სულის რომ არა ბრძანდები და რაცხა უბედურება ხარ, ზედვე გეტყობა. ამიტომაც, ჩემო ცუგრუმელავ, ცოტა ხანში ხმალს მოვიტან და გამღერებ წიპა-წიპას. ბიწკინამ წასვლა რომ დააპირა, მელიამ საწყალობლად ამოსძახა:

- არ შეცდე, ბიჭო, არ მომკლა და სული არ წაიწყმიდო. მერწმუნე, ყველაფერს სჯობია შევრიგდეთ და ამოსვლაში მიშველო!

- ეგ საკენკი შენს წილებს დაუყარე! - ნიშანი მოუგო ბიწკინამ და ზურგი შეაქცია. ამ დროს ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა.

### ამბავი მეშვიდე
### საველეს და აგრაფინას მგზავრობა. პაწკუმელას ორმოდან ამოსვლა

ის იყო, ბიწკინამ ზურგი შეაქცია ორმოში ჩავარდნილ პაწკუმელას, რომ უეცრად სიმღერა გაისმა. ეს ფიმფამფოს სასახლისკენ აგრაფინასთან ერთად მიმავალი საველე მღეროდა.

„სამნი ძმანი გურულები მუშაობდნენ ყანასაო და..." მშვენიერი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა მოხუცს. ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა, თუმცა სიმღერის გაგონებისთანავე პაწკუმელა ორმოს ფსკერზე გაწვა და გაილურსა. ბიწკინაც საშინლად დაფეთდა, რადგან შორიდანვე თვალი ჰკიდა, საველე ძაღლი აგრაფინასთან ერთად რომ მოსეირნობდა. ჰოდა, მოჯამაგირე მაშინვე ბუჩქს უკან დაიმალა. მაშ, სეფექალს ხომ არ დაენახებოდა?

მალე მთვარით განათებულ ბილიკზე მკაფიოდ გამოჩნდნენ მგზავრები. ამასობაში საველემ სიმღერა დაასრულა და აგრაფინამაც შეაქო:

- კარგი ხმა გაქვს, საველე, კარგი!

- ახალგაზრდობაში პირველი ბანი ვიყავი, ქალბატონო აგრაფინა. - თავი მოიწონა ძაღლმა.

- პირველიო, ამბობ... არც კი რცხვენია. - ჩაილაპარაკა სეფექალმა.

- რას ვამბობ სამარცხვინოს, ქალბატონო აგრაფინა? - ეწყინა საველეს და შედგა. აგრაფინაც გაჩერდა. ღოინჯი შემოიყარა და თანამგზავრს ახედა:

- ასეთი კარგი ხმა თუ გაქვს, რატომ არ ათენებ ღამეს, გეკითხები მე შენ!

საველეს მეტისმეტი წყენისაგან წარბები აუთამაშდა. მერე ჩაიბუზღუნა:

- ჩემი ბრალია? რამდენჯერ უნდა აგიხსნათ, ქალბატონო აგრაფინა, ჩემთან ერთად ქაქუზა მამალმაც უნდა იყივლოს, რომ მთვარეს შეეშინდეს და...

- გაგიხმეს ეგ ბომბორა თავი! - ფიცხლად შეაწყვეტინა აგრაფინამ. - გაიგე, ბიჭო, ქაქუცა მამალი ვილაც შარახვეტია ყიყო კი არა, თითქმის მეფეა, ბოლოსდაბოლოს ჩვენი ბატონპატრონია! ბატონს კიდე ისლა აკლია ღამე ყიყვილით კისრის ძარღვები დაიწყვიტოს.

- უნდა დაიყივლოს, არადა, არ გათენდება. - მტკიცედ განაცხადა საველემ.

აგრაფინას მღელვარებისაგან ენა დაება, მერე წამოიძახა:

- ვაახ, ვაახ, შე ცუდო და შეუგნებელო ძაღლო!.. ვაახ, როგორ გამანერვიულა?.. ვაი, გული! - აგრაფინამ მკერდზე ხელი მიიდო. ცოტა ხნის მერე მიკნავლებული ხმით განაგრძო: - დავბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდებით სასახლეში და გასწავლიან ჭკუას. ვაი, გული!.. ახლა მივხვდი, რა საცოდავი ყოფილა ჩვენი ქაქუზა ბატონი... ამდენი... უჰ... ამდენი რეგვენი ქვემევრდომის ხელში.

– მლანძღავთ კიდეც? – ძლიერ გაბრაზდა სავლე.

– გაჩუმდი შე... ძაღლო, ძაღლო!

– აი, შენ კი ბატი ხარ, დიახ, ბატი! – ფიცხლად შეამკო სავლემ.

აგრაფინა მღელვარებისაგან ერთიანად გაწითლდა. ძლივს სუნთქავდა, გულზე ხელს იჭერდა, ბოლოს თქვა:

– დედაა!.. რამხელა შეურაცხყოფა მომაყენა ამ მესოფლიამ მე, პატიოსან იხვს, სასახლის სეფექალს... ვაი, გულიი!.. – იხვს გული შეუღონდა და ძირს დაეცა. სავლე გაფაციცდა, შიშმა ხელი დარია. მართლაცდა, ხუმრობა ხომ არ იყო, სასახლის სეფექალი მისი გამოისობით სიკვდილს რომ აპირებდა. მოულოდნელად აგრაფინამ ამოიკვნესა: – გული... ჩემს ხელჩანთაში გულის წამალია.

სავლე აღელდა, კიდევ უფრო დაიბნა. მერე კი, როცა ოდნავ დამშვიდდა, მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან; ხელჩანთიდან წამლის აბები ამოიღო და აღფრთოვანებულმა წამოიძახა:

– აი, ვიპოვე! ყოჩაღ, აგრაფინა... გული შეუღონდა, რა მოხდა მერე... ჭკვიანი, დარბაისელი ქალია სეფექალი; იცოდა, გული რომ შეუღონდებოდა და თადარიგიც დაუჭერია, ყოჩაღ!.. ყოჩაღ!.. ჩემო აგრაფინა!.. ახლა პირი გააღე და თქვი აა! ეს აბი გადაყლაპე, სიტყვას გაძლევ ბატი კი არა, მაშინვე ნამდვილ ვეფხვად ან ლომად იქცევი.

მოულოდნელად სეფექალმა თვალები გაახილა, წამალი დინჯად გამოართვა სავლეს, გადაყლაპა და უცებ... ტკაც! სილა უთავაზა, თანაც ისე მაგრად! რომ საბრალო ძაღლმა ზლართანი მოადინა. იმავე წამს აგრაფინამ თვალი ჰკიდა შორიახლო ორმოდან წუთით თავამოყოფილ შავ პაწკუმელას და შეშინებულმა სავლეს ხმადაბლა მოთქმით აუწყა:

– ვაი, ჩემს დღესა და მოსწრებას, ამას რას ვხედავ, სავლეე?!. – სეფექალი კვლავ გულშეღონებული დავარდა. ამის დანახვაზე ძაღლი წამოხტა და ლამის ტირილით მიმართა იხვს:

– არ გინდა რა, არ გინდა! კიდევ მცემე, აგრაფინა, ოღონდ გული არ შეგიღონდეს, აგრო!.. ჩემო აგრო!..

იხვმა თავი წამოსწია და დაიჩურჩულა:

-- იქით, ორმოში საშინელი ურჩხულია, სავლეე... – კვლავ ძირს დადო თავი სეფექალმა.

მართალია სავლე ასაკოვანი, გამოცდილი ძაღლი გახლდათ, მაგრამ მაინც შეეშინდა. არადა, სხვა რა გზა ჰქონდა? მითითებული ადგილისაკენ გასწია, თან გასამხნევებლად იძახდა:

– ცოცხალი ვერ გადამირჩება, ვინც უნდა იყოს!.. დავიჭერ, მოვკლავ, ტყავს გავაძრობ! მერე იმ ტყავით ქალამნებს შევიკერავ!..

ამ დროს პაწკუმელამ ორმოდან თავი ამოყო. სავლემ, რა თქმა უნდა, ვერ იცნო მეგობარი, გაოცებულმა უკან დაიხია და წამოიძახა:

– ვაიმე, მოდი, აგრაფინა!.. ნუ გეშინია, ვილაც შავია, მგონი აფრიკიდან უნდა იყოს ჩამოსული, რა მოხდა მერე...

პაწკუმელამ მაშინვე აუღო ალღო შექმნილ ვითარებას; თავი მოიკატუნა, ვითომც ეს წუთია გაიღვიძა და ზრდილობიან მთქნარებას ამოაყოლა:

– უჰ, ბოდიში, რამდენი მძინებია, კაცო... კაი გამარჯობა თქვენი!.. რა მოგივიდათ, რა ალიაქოთი შექმენით, წყნარად ვერ გაიელით თქვენს გზაზე?

– რაიო? – ფრიად გაოცდა აგრაფინა. სავლემ კი, პირი რომ დააღო, ეგრევე დარჩა. პაწკუმელამ ძაღლს შეუძახა:

– რას დაგიჭყეტია, ბიჭო, თვალები, მამლაყინწა-მამალს პირველად ხედავ თუ? რამ გამოგაშტერა?!

დიდად გაოცებული სავლე ზეზე წამომდგარ აგრაფინას მიუბრუნდა:

– მამლაყინწა ვარო.

– შავი როა? – დაეჭვდა იხვი.

– ბევრს ნუ ლაპარაკობთ მანდ! – გამკაცრდა პაწკუმელა, – შენ კი, ბიჭო, ცოტა ზრდილობა რომ გქონდეს, ამოსვლაში მიშველიდი.

ძაღლი დაფაცურდა. პაწკუმელა დიდი გაჭირვებით ამოიყვანა ორმოდან.

მერე მელამ ტანი შეიბერტყა და დაიჩივლა:

– ეს რამხელა ორმო ამოუთხრია ვიღაც უნამუსოს? მე ჩემთვის მივდიოდი, ჩემო იმანო...

– სავლე მქვია, ბოდიში. – შეეშველა ძაღლი.

– ჰოდა, მოვდივარ ჩემთვის პატიოსნად, – განაგრძო მელიამ, – ცხრა მთისა და ცხრა ბარის იქიდან, სავლეს ვენაცვალე და ისე ძალიან დავიღალე, თვალებს ვერ ვახელდი. დაქანცულობისაგან ზეზეულად მეძინებოდა. აგერ, ახლახან გავიღვიძე, და რას ვხედავ! თურმე მძინარე ორმოში ჩავვარდნილვარ. არაქათგამოცლილს არაფერი მიგრძვნია, მააშ!

– დედა, დედა, რას გადარჩენილხართ? – შეწუხდა იხვი.

– ნამდვილად კი! – დაეთანხმა მელია. ვითარების სრულ ბატონ-პატრონად იგრძნო თავი და ხმაში რიხიც გაურია:

– ჩამოჯექით ახლა აგერ, მუხლებიდან ქარი ამოიღეთ, დავილაპარაკოთ ორი სიტყვა და გავუდგეთ მერე ჩვენ-ჩვენ გზას... სახეზე გეტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობათ, კაი წესიერი ხალხი უნდა იყვეთ თქვენე...

აგრაფინას თავი ველარ შეიკავა და უანგარიშოდ წამოაყრანტალა:

- ჩვენ რა გვიჭირს, მარა თქვენ ასეთი შავი რო ხართ... პაწკუმელამ უტიფრად შეაწყვეტინა:

- ეს იმიტომ, რომ... დაბრძანდით აგერ და ყველაფერს აგიხსნით!

- სამივენი ხის ძირას დასხდნენ. მელია აგრაფინას მიუბრუნდა:

- ჯერ თუ შეიძლება თქვენი სახელი მაჩუქეთ, პატივცემულო?

აგრაფინამ თავი დაუკრა და მოახსენა:

აგრაფინა მქვია, ჩემო ბატონო, იხვი გახლავართ!

- მე კი ყიყლიყო ვარ! - თქვა პაწკუმელამ, - დიახ, მე გახლავართ ბიბილოვან-დეზებიანი მამალი... - აქ ხველება აიტეხა მელიამ, რათა დრო მოეგო, და სათქმელიც კარგად მოეფიქრებინა. ხველება რომ დაიცხრო, განაგრძო, - ყელი გამიცივდა ამ მგზავრობაში... ეგ რომ არა, ერთს ისეთს დავიყივლებდი, ამ მთვარეს შიშით გული გაუსკდებოდა... მოკლედ რომ მოვჭრათ, ბატონებო, მე გახლავართ საქვეყნოდ ცნობილი ხელმწიფის, ფიმფამფოს მემკვიდრე ყვინჩო. უცხოელი ვარ, აქაური არ გეგონოთ.

დარბაისელი აგრაფინა გაოცებისაგან შეხტა, სავლემ მისებურად პირი დააღო, ბუჩქთან დამალულმა ბიწკინამ კი ფრთა-ფრთას შემოჰკრა.

ბოლოს აგრაფინას აღმოხდა:

- დიდება შენდა!.. ჩვენ ახლა სწორედ ფიმფამფო მეფის სასახლეში მივდიოდით...

- მართლა? - გაიკვირვა პაწკუმელამ. სავლემ კი - პირდაპირ საგონებელში ვარო, - ჩაილაპარაკა.

- რატომ, შე კაცო! - თვალები მოჭუტა პაწკუმელამ, - ტყვილა გაბია ე გოდორივით თავი? გაანძრიე ცოტა!..

ამ დროს, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი აღმოაჩინაო, აგრაფინამ წამოიძახა:

- სავლე, ეგ პატივცემული, ალბათ, სხვა ფიმფამფოს სხვა ყვინჩოა... - იხვს ცოტა არ იყოს უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი შავი, გრძელკუდა არსება უფლისწული ყვინჩო ყოფილიყო, მაგრამ ვინ აცალა საფუძვლიანად დაეჭვება? პაწკუმელამ ფიცხლად შეაწყვეტინა:

- აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! მე ნამდვილად ფიმფამფო ხელმწიფის შვილი ვარ; გარდაიცვალა უბედური მამა... უჰ, უცრემლოდ ვერ მომიგონებია... - თავი გვერდზე მიაბრუნა მელიამ.

- იმ სახელმწიფოში რანაირი მამლები ყოფილან, ქალბატონო აგრაფინა, არა? - გადაულაპარაკა სავლემ სეფექალს. პაწკუმელამ ყური მოჰკრა ნათქვამს და წამოიძახა:

- აა, ახლა მივხვდი, რამაც დაგაბნიათ... ჩემი ბრალია, აქამდე რომ არ აგიხსენით... ვაღიარებ საკუთარ შეცდომას, მაგრამ ეს ცრემლი მიშლის ხელს, უჰ... - პაწკუმელამ ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე. აგრაფინამ გულის წამალი შესთავაზა, მაგრამ მელამ თავი გააქნია, ვაჟკაცმა ყოველგვარ დარდსა და მწუხარებას წამლის გარეშე უნდა გაუძლოსო. მერე ერთი ჩაახველა და განაგრძო:

- მაშ ასე, რადგან გაინტერესებთ ჩემი ამბავი, გეტყვით: მამაჩემი, მეფე ფიმფამფო მტრებმა ღალატით მოკლეს. სიკვდილის წინ დამიძახა: შვილო, შენ აქ გაგიჭირდება, ჩემი მტრები დევნას დაგიწყებენო. მერე ეს შავი ქურქი გადმოიღო და დამარიგა: გადაიცვი, საყვარელო შვილო, ამაში ვერ გიცნობენ. ატარე მანამ, სანამ დიდ ჯარს თავს არ მოუყრი და მტრის ჯავრსაც არ ამოიყრი, ამ საქმეში ჩემი ძმობილი ქაქუზა დაგეხმარება. ბოლოს ბრძანა: ოდესღაც მე და ქაქუზამ პირობა დავდეთ, რომ შენ ქაქუზას ასულ ციაზე დამექორწინებინე. ჰოდა, გასწიე ქაქუზას სასახლეში. ის თავის ასულზე ჯვარს დაგწერს, მხარში ამოგიდგებაო... ახლა დადგა ჟამი, როცა მეფეებს შორის დადებული პირობა უნდა აღვასრულო. მაშ, მიბრძანეთ, მგზავრებო, რომელ მხარეს მდებარეობს ქაქუზეთი? - იკითხა პაწკუმელამ.

აღფრთოვანებულმა აგრაფინამ წამოიძახა,

- ვახ, ღმერთს ყვარებიხარ, დიდო ბატონო, ჩვენ სწორედ რომ თქვენთან მოვდიოდით, რათა შეგვეტყობინებინა ქაქუზა მეფის მძაღყოფნა ჯვრისწერის თაობაზე. მაშ, ნუღარ ვაყოვნებთ, წამობრძანდით სასახლეში.

- წავიდეთ! - დაეთანხმა პაწკუმელა. ცოტა რომ გაიარეს, სეფექალს გადაუჩურჩულა, - მკლავი მიბოძეთო. აგრაფინა სიამოვნებით დათანხმდა.

გზას დაადგნენ, თან დარბაისლურად მიბაასობდნენ. უკან თავჩაქინდრული სავლე მიჰყვებოდა.

როცა სამივე თვალს მიეფარა, ბუჩქიდან ბიწკინა გამოვიდა და შეწუხებულმა ჩაილაპარაკა: - ეს კიდევ რაღაც ახალი უბედურებაა ჩემს თავსო. დიდხანს ფიქრობდა, მდგომარეობაში როგორ გარკვეულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს გადაწყვიტა, სავლესაგან გაეგო ყოველივე.

„თუკი სავლეს ღალატში დავრწმუნდი, მისივე ხმლით ავკუწავ. მერე სასახლეს დავეცემი და იმ შავ სასიძოს სიცოცხლეს გამოვასალმებ. არადა, თავი ცოცხალი არ მინდა“, - გაიფიქრა დანაღვლიანებულმა მოჯამაგირემ და ძაღლის სანახავად გასწია.

## ამბავი მერვე
## ქაქუზა მამლის საუბარი საკუთარ თავთან

ალბათ გახსოვთ, ჩვენ მაშინ დავტოვეთ ქაქუზა მამალი, როდესაც სეფექალი აგრაფინა ფიმფამფო მეფის სასახლეში გაგზავნა.

მარტო დარჩენილ მამლაყინწას ნაღველი შემოაწვა გულზე. შვილის საქციელმა ერთიანად ააფორიაქა: მერე იყო და, მოჯამაგირე ბიწკინა ისე ელაპარაკა, როგორც ტოლს, არაფრად ჩააგდო ქაქუზას სახელ-დიდება და პირში მიახალა, ხმალში გიწვევო... ამ თავხედობამ მთლად მოუთავა ხელი.

მაშასადამე, ზოგიერთ ქვეშევრდომს ჩემი არ შინებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შეთქმულებაც კი მომიწყონო. - ასკვნიდა ქაქუზა და დარბაზში უაზრო ბოლთას სცემდა. მერე, უსიამოვნო ფიქრებისათვის თავი რომ დაეღწია, მძინარე მუსიკოსები წამოყარა და აიძულა ემღერათ და ეცეკვათ. ბოლოს ესეც მობეზრდა და მუსიკოსებს დასვენების ნება დართო.

ახლა ქაქუზამ ცია გამოიხმო თავისი ოთახიდან. არა, სასასაუბრო არაფერი ჰქონდა. უბრალოდ, მარტო დარჩენა არ სურდა. ჰოდა, ციაც ჩუმად იჯდა კუთხეში. მამლაყინწა კვლავ განაგრძობდა სიარულს. „იქნებ ჯობია, დავიყივლო? გავათენებ და ქვეშევრდომებიც კმაყოფილი მეყოლება, მაგრამ ვაი, დაყივლება რომ არ მეკადრება?.. მოიცა, მოიცა, ერთი კარგად მოვიფიქრო...“ მერე, უნებლიედ, ხმამაღლა გაიფიქრა - არ დავიყივლებ და არ გათენდება, დავიყივლებ და... - აქ ფიქრის ძაფი ფრიად უსიამოვნო მხარეს მიემართებოდა, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად ციამ წამოიძახა:

- დაიყივლე რა, მამი!

ქაქუზამ თვალების წკურვით გადახედა შვილს. ახლაღა გაახსენდა, რომ მის ხმამაღალ ფიქრს ყურს უგდებდნენ და წარბშეკრულმა ასული დატუქსა:

- მაშ, შენ ამბობ, რომ ლობეზე შემოვჯდე, ფრთა-ფრთას შემოვკრა და დავიყივლო. მერედა, მეკადრება? მოიცა, კიდევ ერთხელ მოვიფიქრო... მეკადრება თუ არ მეკადრება? მაშასადამე, მე, ქაქუზა მეფეს... თითქმის მეფეს, მეკადრება თუ არ მეკადრება... ლობეზე შემოვჯდე და...

- რა მოხდება, ერთხელ მაინც დაიყივლო? - არ ეშვებოდა, ცია.

- არა! არა და არა! - გადაწყვიტა ქაქუზამ და და თავი მკვეთრად გააქნია ისე, რომ ბიბილოები აუთამაშდა. - არა, ნამდვილად არ მეკადრება! - დაასკვნა ბოლოს. ამის თქმა იყო და, დარბაზში აგრაფინა შემოვიდა, უკან თავჩაქინდრული სავლე მოჰყვებოდა. სახეგაცისკროვნებულმა სეფექალმა წამოიძახა:

- ჩვენ მოვედით. ყველაფერი რიგზეა, ხელმწიფეო!

## ამბავი მეცხრე
## პაწკუმელას სტუმრობა ქაქუზა მამალთან

დარბაზში შესულმა აგრაფინამ წამოიძახა: - ჩემო ხელმწიფევ, ყველაფერი რიგზეაო.

ქაქუზას გაოცებისაგან თვალები გაფართოვდა. ესღა ჰკითხა: - ასე მალე როგორ მოახერხე წასვლა-წამოსვლო?

- გზაშივე გაირკვა ყველაფერი, - უპასუხა სეფექალმა, ოდნავ შეყოვნდა და მერე განაგრძო, - ამ სავლემ კიდე რა დღეში ჩამაგდო, რო იცოდე, ამიტომაც მოვიყვანე აქ, პასუხი რომ ვაგებინო. მაგრამ ამაზე შემდგომ ვისაუბროთ.

- მოიცა, მოიცა! - ჩაილაპარაკა, ქაქუზამ, მოწყენილ სავლეს რომ შეხედა. - აგრაფინას თვალები უბრწყინავს, შენ კი ზეთი ჩამოგდის სახიდან! რატომ, სავლე ძაღლო, რატომ?!

ძაღლმა კიდევ უფრო ჩაქინდრა თავი. აგრაფინა აყაყანდა.

- ქაქუზა ბატონო, ახლა ამის დრო არ არის, მერწმუნე, უხერხულია დიდხანს ვალოდინოთ უფლისწული, გარეთ იცდის, შენს წყალობას ელოდება.

- რას ამბობ? - გაუხარდა მამალს, - ახლავე მივიღებ. შენ კი სავლე, კუთხეში მიდექ, შენს საქმეს მოგვიანებით განვიხილავ.

აგრაფინამ საჭიროდ ჩათვალა, აქედანვე გაეფრთხილებინა ქაქუზა, რომ უფლისწულ ყვინჩოს შავი ქურქი ეცვა და იმ ქურქში უცხო რამ სულიერს ჰგავდა. მამლაყინწამ გაიკვირვა, - ამ სიცხეში რა დროს ქურქის ჩაცმაო. სეფექალმა მოკლედ მოახსენა ფიმფამფოს სასახლეში დატრიალებული ამბები: შეთქმულთა ხელით და ღალატით მეფის მოკვლა, ყვინჩოს მიერ ქურქის ჩაცმა და სასახლიდან გამოქცევა.

- რა მოხდა მერე, გაიხდის იმ ქურქს და ჩემსავით ჭრელი და წარმოსადეგი იქნება! - დარბაისლურად განაცხადა ქაქუზამ.

- მერედა, რა მხარბეჭი... რა სიტყვა-პასუხის პატრონი... - ამ სიტყვებზე აგრაფინამ ციას გადახედა. - ისე დაამშვენებდნენ ერთმანეთს...

- არა, არ მინდა! - წამოიძახა ბატონის ასულმა.

- არ გინდა კი არა!.. - ბოღმითა და მუქარით ჩაილაპარაკა ქაქუზამ. მერე სეფექალს მიუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა.

- აბა, შემოიყვანე ღირსეული სასიძო.

აგრაფინა დარბაზიდან გავიდა. მოულოდნელად ქაქუზამ აცრემლებულ ციას უყვირა:

- ხმა, კრინტი!... კიდევ კარგი, დედაშენი ტოფანა რომ ვერ მოესწრო შენს უხიაკობას, ჩუმად-მეთქი!

ციამ სლუკუნი შეწყვიტა. ქაქუზამ ახლა მუსიკოსებს შეუძახა, - ეი, ყრუანჩებო, როგორც კი შემოვა სასიძო, სამეფო ტუში დასცხეთ!

მუსიკოსებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრეს. მერე ქაქუზამ ციას უბრძანა, თავის ოთახში გასულიყო, რადგან ნამტირალევი თვალები ჰქონდა, ეს კი უფლისწულს არ ესიამოვნებოდა.

ცია დარბაზიდან გავიდა. მალე პაწკუმელაც გამოჩნდა. უკან აგრაფინა მოჰყვებოდა.

მუსიკოსებმა ტუში დასცხეს. მელია ქაქუზას მიუახლოვდა და მუსიკაც შეწყდა. მამლაყინწამ საზეიმოდ განაცხადა:

- ოო, მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს სასახლეში. გახარებულია ჩემი გული და ჩემი ოჯახი თქვენის ხილვითა.

პაწკუმელამ თავი დახარა. მერე წელში გასწორდა და საპასუხოდ წარმოსთქვა:

- მადლი მომიხსენებია, ოქროს ბიბილოვან-დეზებიანო, სახელოვანო მეფე ქაქუზავ!

„მაინც სად იშოვა ამხელა ქურქი იმ ოხერმა ფიმფამფომ, მუდამ დიდი გაქექილი ვინმე ბრძანდებოდა“, - გაიფიქრა მამლაყინწამ. ხმამაღლა კი სულ სხვა რამ თქვა: - მობრძანდით სუფრასთან, უფლისწულო ყვინჩო! - მუსიკოსებს კი გასძახა: - ეი, ქეიფი მიბრძანებია!

დარბაზი მუსიკის ჰანგებით აივსო. ქაქუზამ სუფრიდან ყანწი აიღო, ღვინით აავსო და უფლისწულს მიუბრუნდა, - თქვენი მობრძანებისა იყოსო. ბოლომდე დალია. მერე სტუმარს შეუვსო ყანწი.

- დღეგრძელი იყავ, მეფევ! - რიხით წარმოსთქვა პაწკუმელამ და სასმისი ბოლომდე დაცალა. მერე ქაქუზას მიუბრუნდა: - ხელმწიფეო, მამაჩემმა, მეფე ფიმფამფომ სიკვდილის წინ მოკითხვა დამაბარა თქვენთან.

- ოჰ, უბედურო ფიმფამფო!.. ვიცი, ღალატით მოკლეს. მაშ, სხვანაირად ხომ ვერაფერს დააკლებდნენ?.. რას იზამ, უფლისწულო, გულს ნუ გაიტეხ! მალე დადგება დრო, როცა ჩვენ შეერთებული ძალებით მუსრს გავავლებთ მტრებს. მაშ, ჩვენი მომავალი გამარჯვებისა იყოს! - თქვა ქაქუზამ და ყანწი მიიყუდა.

„ეს მამლაყინწა მაგარი მსმელი ჩანს,“ - გაიფიქრა მელიამ და გადაწყვიტა თვითონ სასმელს მორიდებოდა, რადგან მთვრალს შესაძლებელი იყო, რამე ისეთი წამოსცდენოდა, თავი ხიფათში ჩაეგდო. ცოტა კიდევ დალიეს, აქეთურ-იქითური ილაპარაკეს. ბოლოს პაწკუმელამ სავლეს მოშორება გადაწყვიტა და თქვა:

- რაღაც მინდოდა მეკითხა, ქაქუზ ბატონო...

- ბრძანე, ჩემო ბატონო! - სმენად იქცა მამლაყინწა.

- თქვენს სამეფოში გათენება-დაღამების საქმე რაფრაა, დროზე თუ თენდება ხოლმე? - იკითხა მელამ და კუთხეში მდგარ სავლეს თვალი შეავლო. ამ სიტყვებმა სავლე ფრიად აალელვა და რამდენჯერმე შეჰყეფა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ უხერხულად გამოუვიდა და გაწითლდა. აგრაფინამ კიდევ უფრო შეარცხვინა, რადგან ყველას გასაგონად გადაულაპარაკა, - უზრდელი ნუ ხარ, სავლე ძაღლოო. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს, ქაქუზამ ჩაახველა და თვალების ქაჩვით ბრძანა:

- აი, ეს ძაღლი, სახელად სავლე, დროულად ვერ ათენებს. ის კი არა, საერთოდ ვერ აბამს თავს მოვალეობას, მაგრამ, ვფიქრობ, მალე გამოვცვლი.

აგრაფინა თავის ქნევით დაეთანხმა ქაქუზას. ძაღლი კი თავჩაქინდრული იდგა კუთხეში. პაწკუმელამ სავლეს დამცინავი მზერა შეავლო და ღრმააზროვნად განაცხადა:

- ოო, ეს ცუდია. ძაღლი, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს, დაუყოვნებლივ გასაგდებია არამცთუ სასახლიდან, არამედ... ხომ ხვდებით, საიდანაც უნდა იქნეს გაძევებული ასეთი ძაღლი?.. დიახ, მე ამას ჩემი სასახლის გამოცდილებით ვლაპარაკობ; მამაჩემმა ფიმფამფომ არამცთუ გააძევა, საკუთარი ხელით დაახრჩო კიდეც ორი ძაღლი. სამაგიეროდ მესამემ მშვენივრად გაართვა თავი საქმეს.

- აი, ხომ გესმის, ძაღლო, რას ამბობს დიდებული უფლისწული! - დაიქუხა მამლაყინწამ, - წადი ახლა, სანამ თვალებს დავაბრიალებ და სისხლს დავღვრი! მოშორდი ჩემს სამეფოს, თორემ ჩემი ნისკარტით და ბრჭყალებით დაგგლეჯ! - ამ სიტყვებზე ქაქუზა სავლესკენ გაექანა. საცოდავმა ძაღლმა კარებში ძლივს გაასწრო.

აგრაფინა კმაყოფილი ჩანდა:

- ასე მოუხდება მაგ თავგასიებულს, მაგას!

- ასე ვიცი მე! - წამოიძახა თავმომწონედ მამლაყინწამ. მერე მაგიდიდან ღვინით სავსე აზარფეშა აიღო:

- ამ აზარფეშით მზის სადღეგრძელოს გთავაზობ უფლისწულო... - აქ ქაქუზა სიმთვრალისაგან დაბარბაცდა. აგრაფინამ უჩურჩულა, მეტს ნუღარ დალევო, მაგრამ მამლაყინწამ ბოლომდე გამოცალა აზარფეშა და იქვე ტახტზე გადაგორდა კიდეც. იმავე წამს ხვრინვაც ამოუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, რადგან ქაქუზა მამალს ეძინა, პაწკუმელამ უფრო თავისუფლად იგრძნო თავი; სეფექალს შინაურულად ჩაეკითხა:

– ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, ჩემო აგრაფინა, მაგრამ... იქნებ მითხრა, სად ბრძანდება ისა... ჩემი საცოლე?

– განა გენატრება? – ღიმილად გადაიქცა სეფექალი, მერე ჩუმად უთხრა: იქით, თავის ოთახში დნება შენი სიყვარულითა! – კარზე მიუთითა მელიას.

– მსუქანია? – საიდუმლო ხმით ჩაეკითხა პაწკუმელა.

– არა, რას ამბობ, მთლად ნორჩია და კენარი.

„მაშ, ჯერ იყოს, გასუქდეს, დამრგვალდეს..." გაიფიქრა მელამ, მერე მუსიკოსებს ქაქუზას ყაიდაზე გასძახა, – ეი, ყრუებო! თქვენ გეუბნებით, მუსიკოს-მომღერლებო, ქეიფი მორჩა! წადით ახლა თქვენ-თქვენს საქათმეებში. მერე იქაც გესტუმრებით! – პაწკუმელამ აგრაფინას ჩაულაპარაკა, – ხომ უნდა ვიცოდე, როგორ ცხოვრობენ ჩემი მომავალი ქვეშევრდომებიო.

– რასაკვირველია, ბატონო, რასაკვირველია! – კვერი დაუკრა სეფექალმა.

როცა მუსიკოსებმა დარბაზი დატოვეს, აგრაფინამ მელიას ჰკითხა, მოსვენებას ხომ არ ინებებთო.

– მოსვენება მერე, ახლა კი ჩიჩია მინდა! – განაცხადა სასიძომ.

– რას ამბობთ, განა ხორცით იკვებებით?.. რასაკვირველია ხუმრობით, ბატონო ყვინჩო... რა ენამოსწრებული ბრძანდებით; იუმორის გრძნობა, რამე... ზედვე გეტყობათ, რომ ბრწყინვალე სასახლეში ხართ აღზრდილი. – თავი მოუქონა იხვმა პაწკუმელას, თავად ფრიად საპატივცემულო სასიძო კი მუშტრის თვალით ათვალიერებდა მას. მელიამ პირდაპირ მიახალა:

– გეყოფა ახლა ლაქლაქი, მოდი ჩემთან, რაცხა უნდა გითხრა გულის გასახარებელი.

გაოგნებული აგრაფინა ადგილიდან არ იძროდა. უცებ პაწკუმელამ კბილები დააკრაჭუნა და იხვისაკენ გაემართა. იმან ერთი შეჰკივლა და ბაჯბაჯით გაიქცა.

იხვი და მელა მაგიდის გარშემო დარბოდნენ, უცებ პაწკუმელა შედგა და ღიმილით მიმართა სეფექალს:

– ნუ გეშინია, აგრაფინა, უცებ ჩაგყლაპავ, სულ არ გეტკინება.

აგრაფინას გაეცინა, იფიქრა, მეხუმრებიანო, მაგრამ მოულოდნელად პაწკუმელა ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა. პირი დაღო „ყლაპ". და ჯერ კიდევ გონმოუსვლელი იხვი გაუმაძღარ მუცელში ჩააბრძანა. მერე სავსებით კმაყოფილმა პაწკუმელამ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ჩაილაპარაკა:

– რა გემრიელი ყოფილხარ, ქალბატონო აგრაფინა, მსუქანი ვარო, შენ უნდა გეთქვა. ახლა ჩემს საცოლეს თვალს შევავლებ და მერე დავისვენებ.

პაწკუმელამ ქაქუზას ასულის ოთახში შეიხედა; თვალი მოწყენილ ციას რომ ჰკიდა და კარი ცივად მიხურა. გაიფიქრა: „რა აქვს ამას მოსაწონი? მთლად გაჩხინკული წიწილა ყოფილა, მაგრამ, არა უშავს, გაჭირვებისას გამომადგება. ჯერჯერობით მსუქანი დედლები ბლომადაა: აი თუნდაც ის, ნაცრისფერი მუსიკოსი, ფლეიტაზე დამკვრელი, კაი ზორბა დედალია, თანაც ოსტატურად უკრავს. ხვალ ის მეყოფა სადილად... ჰოდა, ასე, ნელ-ნელა მივყვები საქმეს. შენ კი, ქაქუზა მამალო, – მძინარე ქაქუზას დააცქერდა პაწკუმელა და ფიქრში განაგრძო. – შენ, ჩემო კარგო, სულ ბოლოსთვის მოგიტოვებ; ხვალვე რომ ჩაგყლაპო, სასახლე აირ-დაირევა. ახლა კი დროა, დავიძინო. კარგად დანაყრებულზე მოსვენება მიყვარს, მეგობრებო".

პაწკუმელა ქაქუზას შორიახლო ფარდაგგადაფარებულ ტახტზე წამოწვა და ქაქუზას ხვრინვას მალე თავისიც შეუერთა.

## ამბავი მეათე

### როგორ გაარკვია ბიწკინამ ცრუ უფლისწულის ვინაობა

იმ დროს, როდესაც სასახლის ვრცელ დარბაზში პაწკუმელა და ქაქუზა ერთმანეთის გვერდიგვერდ ხვრინავდნენ, ტყეში ხის ძირას ბიწკინა იღვიძებდა. ის კარგა ხანს ელოდა საველეს დაბრუნებას ბუდრუგანაში, მაგრამ მის მოსვლას საშველი რომ არ დაადგა, დაღლილ-დაქანცული ხის ძირას დაჯდა და ჩაეძინა კიდეც.

ახლა, თვალები მოიფშვნიტა თუ არა, უმალ წამოდგა და საველეს სანახავად გასწია.

ბიწკინამ შორიდანვე შეამჩნია – ძაღლი საველე ურემზე თავის ბარგი-ბარხანას ალაგებდა მიირბინა და ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა ყველაფერი ეს – ქაქუზეთიდან მივდივარ, იმ სულთამხუთავმა გამაგდოო, – უპასუხა საველემ. ბიწკინა განგებ არ ჩაეძია. სურდა ჯერ ხმალი სჭეროდა ხელში, მერე კი უფრო გულდასმით გამორკვეია ყოველივე. ამიტომაც თქვა: – საველე, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან...

– რა სათხოვარი? – თავი ასწია საველემ.

– იქნებ ხმალი მათხოვო ცოტა ხნით, მალე დაგიბრუნებ.

ძაღლი ბუდრუგანაში შევიდა. კედლიდან ხმალი ჩამოხსნა და ბიწკინას გაუწოდა. მოჯამაგირემ მახვილი წელზე შემოირტყა. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ჰკითხა, – როგორ მოხდა, ჩვენს საერთო მტერს, მელიას ნარდს რომ ეთამაშებოდიო.

სავლემ უპასუხა:

– ის მელია, სახელად პაწკუმელა, ჩემი ნაცნობ-მეგობარია, ბიჭო: მზრდილია და პატიოსანი, სხვებს კი არა ჰგავს... შენ რაღაც უცნაურად მიყურებ, ბიწკინ! რა ვუყოთ, რომ მელაა, ღვთის გაჩენილია ისიც.

ამაზე ბიწკინამ ვერაფერი უპასუხა. ის კი გაიფიქრა, რომ სავლეს არ შეეძლო, რამე უკეთურება ჩაედინა. ძაღლმა თავისი საქმიანობა განაგრძო. ამასობაში ბიწკინამ თვალი ურემზე დახვავებულ ბარგი-ბარხანას შეავლო. მერე შემთხვევით იქვე მდგარ კასრში ჩაიხედა და წამოიძახა:

– ამ კასრში საღებავი ხომ არ გისხია, საველე?

– მერე რა, რომ მისხია?.. რას დაგიჭყეტია თვალები, ბიწკინ!.. – ეეჰ! – ამოიხვნეშა სავლემ და გაიფიქრა: – ალბათ, ციის, სატრფოს სხვაზე გათხოვებას რომ უპირებენ, ამიტომაც თავის ჭკუაზე აღარ არისო. შეეცოდა მოჯამაგირე და მისი დამშვიდება სცადა, – ყველაფერი მესმის ჩემო მეგობარო, მაგრამ ვაჟკაცობა ისაა, ჭირს გაუმაგრდეო.

ბიწკინა ისევ საღებავიან კასრს უტრიალებდა. სავლე გულით თანაუგრძნობდა, – აგრაფინამ რომ მითხრა, ციას სხვაზე გათხოვებას უპირებენო, ერთი სიკვდილი გავათავე, მაგრამ რა მექნა?.. თანაც მცველადაც გამიყოლა!...

– მოიცა, ყური მიგდე, სავლე! – შეაწყვეტინა მოჯამაგირემ. – ეს შენი საღებავი, ეტყობა, ბეწვსაც ღებავს! ჰაა რას იტყვი?

სავლემ დანანებით გააქნია თავი და უპასუხა:

– მე იმას ვიტყვი, რომ უნდა გამაგრდე, მწუხარებამ არ გატეხოს, ბიჭო!

– რა მწუხარება?.. ყური მიგდე თუ კაცი ხარ, ძალიან გთხოვ! – წამოიძახა მოჯამაგირემ და განაგრძო, – ცოტა ხნის უკან ტყეში დაგინახეთ შენ და აგრაფინა, ვილაც შავტუხას ესაუბრებოდით...

– გამაგრდი, ბიჭო,! – შეაწყვეტინა ძაღლმა, – სწორედ ისაა სასიძო, ყვინჩო ჰქვია, უცხოელია.

– დამშვიდდი, სავლე, და მომისმინე!.. თქვენამდე ის სასიძო მე შემხვდა და შეჭმა დამიპირა. როგორ მოგწონს ეს ამბავი?

– არა, ნამდვილად, არ მომწონს! - საგონებელში ჩავარდა ძაღლი.

– როდის იყო, სავლე ქათმის ჯიშისა ეგრე იქცეოდა?.. აბა, კარგად გაიხსენე, ის შენი ძმაკაცი მელა ამ კასრში ხომ არ იყო ჩავარდნილი?

– კასრში რა უნდოდა?... სავლემ თავისი საქმე განაგრძო. დარწმუნდა, რომ ბიწკინა თავის ჭკუაზე არ იყო. მოჯამაგირე მაინც არ ეშვებოდა და თავისას არ იშლიდა:

– სავლე, იქნებ ის შავი სასიძო ეს შენი წითური მელიაა?

– ბიწკინ, ბიჭო, შავი წითური როგორ იქნება? აბა, დაფიქრდი რაებს ამბობ, სჯობია მომეხმარო, გულს გადააყოლებ! – ძაღლმა საქმიანობა განაგრძო, მაგრამ ანაზდად თავი აიღო და სადღაც შორს გაიხედა.

– მე რატომღაც მგონია, რომ აქ ჩავარდა, – თავისას მიერეკებოდა ბიწკინა.

– ვინა? – ცქაფად იკითხა სავლემ.

– მენარდე. – უპასუხა ბიწკინამ.

– დუშაში! – ჩაილაპარაკა სავლემ.

– დუშაში რა შუაშია? – ახლა მოჯამაგირე გაოცდა.

სავლე დაძაბული ფიქრობდა. მერე უცებ იყვირა:

– ვაიი!.. ვაიი!.. არადა, როგორ დავიჯერო პაწკუმელას ღალატი!.. არა, როგორ დავიჯერო პაწუკუს ღალატი!.. მიწაზეც რომ დაღვრილა საღებავი?

ნამდვილად ისაა, ის!

– ჩქარა, სასახლეში ჩქარა! – წამოიძახა ბიწკინამ და ხმლის ქნევით გაიქცა.

– რა გვინდა სასახლეში, რა! – დაედევნა ძაღლი.

– იქ რამეს მოვიფიქრებთ, ვიჩქაროთ, სავლე, თორემ მთელს ქაქუზეთს მუსრს გაავლებს ეგ წუწკი და მოღალატე პაწკუმელა.

## ამბავი მეთერთმეტე
### ბიწკინას და ციას საიდუმლო თათბირი

ბიწკინა ქარივით მიქროდა სასახლისკენ. გზაშივე მოიფიქრა, როგორ ეჯობნა ეშმაკობით პაწკუმელასთვის.

აი, მოჯამაგირემ სასახლის ეზოში შეუმჩნევლად შეაღწია და ციას სარკმელს კენჭი ესროლა. ცოტა ხანში ცია გამოჩნდა. ბიწკინა რომ დაინახა, თვალებს არ დაუჯერა, გაიხედ-გამოიხედა, ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო და სარკმელი ფრთხილად გამოაღო. აღელვებულმა ასულმა ხმის კანკალით დაიჩურჩულა:

– ბიწკინ, შენა?

– მე ვარ, ცია, მე!.. ყური მიგდე!..

– ხმადაბლა ილაპარაკე, არ გაიგონონ... გათხოვებას მიპირებენ, ბიწკო, გათხოვებას! ამოიკვნესა ბატონის ასულმა.

– ამიტომაც მოვედი... ახლა მითხარი, სასახლეში ხომ მშვიდობაა, ვინმე ხომ არ დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულა?

– მე მგონი არავინ. რა მოხდა?

– ყური მიგდე...

– შენ ახლა წადი, – სულსწრაფად შეაწყვეტინა ციამ და განაგრძო, – ჰო, წადი, ჩვენი ციხე-კოშკის ნანგრევებთან დამელოდე მეც მალე მოვალ და ერთად გავიქცეთ ქაქუზეთიდან.

– არა, აქედან გაქცევა ჩვენ არ გვარგებს...

ცია გაოცდა, ეწყინა კიდეც. ბიწკინამ აუხსნა, რომ სასიძო ყვინჩო იგივე შავად შეღებილი მელიაა, იმ ეშმაკის ფეხმა მელური ოინებით შეაღწია სასახლეში და ამდენად, ახლა საჭირო იყო მისი მხილება. ბიწკომ ბოლოს ასე დაარიგა ქალიშვილი:

– ახლა კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი! ქაქუზას უნდა უთხრა, რომ თანახმა ხარ იმ შავ უფლისწულს ცოლად გაჰყვე. მხოლოდ ქურქი გაიხადოს, ეკლესიაში ქურქიანს ჯვრის დასაწერად ვერ გავყვები, ტოლ-ამხანაგები დამცინებენ-თქო... ჰო, არ დაგავიწყდეს, ქაქუზას უთხრა, ჯვარი დაუყოვნებლივ დაგვწერე, თორემ ბიწკინას ჩემი მოტაცება აქვს განზრახული-თქო. ხომ გესმის!..

– მერე?! მერე როგორ მოვიქცე?!

– ქურქი თუ არ გაიხადა იმ ეშმაკის კერძმა, – განაგრძო მოჯამაგირეყოფილმა, მაშინ ძალით გახადონ, ძალით! მე და სავლე აქვე დავიმალებით, ქურქის გახდას რომ დაუწყებენ, მაშინ გამოვჩნდებით, ქაქუზას მივეშველებით.

შეფიქრიანებულმა ციამ გადმოსძახა:

– იქნებ ახლავე ვუთხრათ ქაქუზას, რომ ყვინჩო მელაკუდაა?

– არა, არაფრით არ დაიჯერებს; სჯობს თავადვე დარწმუნდეს. აბა, შენ იცი, როგორ შეასრულებ დავალებას.

– ნუ გეშინია, მოვახერხებ. ყველაფერი კარგად იქნება! – დააიმედა და სარკმელი მიხურა.

ბიწკინა იქვე, ბუჩქებში მიიმალა. სავლეც მასთან მილასლასდა.

### ამბავი მეთორმეტე
### პაწკუმელას ვერაგობის გამოაშკარავება, გათენება

სასახლეში კარგა დიდხანს ხერინავდა მამალი და პაწკუმელა. ბოლოს ქაქუზამ გამოიღვიძა და დაიძახა:

– აგრაფინაა!.. ვაი, როგორ მტკივა თავი... აგრაფინა-მეთქი!.. რომ არავინ შეეხმიანა, გაბრაზებულმა დაიროხროხა, – სად წავიდა ეს ბატი, ესაო. უცებ დაფეთებული პაწკუმელა ზეზე წამოიჭრა, მაგრამ ქაქუზას რომ შეხედა. მიხვდა, საშიში არაფერი იყო და დამშვიდდა.

ერთმანეთს მიესალმნენ, მერე მამლაყინწამ მოუბოდიშა: – მაპატიე უფლისწულო ყვინჩო, მგონი გაგაღვიძე, აგრაფინას ვუხმობდი... ახლა, სანამ ცხელ საუზმეს მოგვართმევდნენ, თითო არაყი გადავკრათ, თორემ გასკდა თავი.

ორივენი მაგიდას შემოუსხდნენ. ქაქუზამ პატარა ჭიქით არაყი გადაჰკრა და კვლავ ღრიალით უხმო აგრაფინას.

მელიამაც დალია არაყი და სასტიკად დაიღრიჯა, თან ქაქუზას უთხრა, მაგას... აგრაფინას, ის სულელი ძაღლი შეჭამდაო.

– იმე! – აღმოხდა გაოცებისგან ქაქუზას, – რას ამბობ, ყვინჩო ბატონო, რა საკადრისია, როგორ გაბედავდა!

– რა იცი, ძაღლი მაინც ძაღლია...

ამ დროს დარბაზში ცია შევიდა და ქაქუზას აგრაფინა გადაავიწყდა, ყვინჩოს მიუბრუნდა:

– აი, ჩემი საყვარელი ასული; ჭკვიანი, ლამაზი, განათლებული...

– კარგი რა, მამი? – დაიმორცხვა ციამ, მერე ქაქუზას ყურში უჩურჩულა, – რაღაც უნდა გითხრაო. მამლაყინწა მოსასმენად მოემზადა, მაგრამ ციამ, – სტუმართან მრცხვენიაო, – ჩაილაპარაკა. მაშინ ქაქუზამ ბოდიში მოუხადა პაწკუმელას და მამა-შვილი გვერდზე მიდგა.

ცია უთხრა: – საყვარელო მამი, დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ცოლად გავყვე უფლისწულს. ამის გაგონებაზე მამლაყინწამ დიდად გაიხარა; ასული შეაქო.

ციამ განაგრძო: საჩქაროდ უნდა დავიწეროთ ჯვარი, რადგან ბიწკინა ჩემს მოტაცებას აპირებს; ოღონდ ეკლესიაში წასვლამდე ყვინჩომ ქურქი აუცილებლად უნდა გაიხადოს, არადა, უარს ვამბობ მის ცოლობაზეო. ქაქუზამ, – რასაკვირველაი, გაიხდისო. მერე ციას, აგრაფინას ასავალ-დასავალი ჰკითხა; მაგრამ მანაც არაფერი არ იცოდა ჭკუათხელი იხვის შესახებ. ბოლოს ქაქუზას ასული თავის ოთახში გავიდა და მამის თხოვნით მორთვა-მოკაზმვას შეუდგა.

ქაქუზამ ბოდიში მოუხადა სტუმარს: მერე თქვა – მოხარული ვარ, უფლისწულო, რომ ჩემი და განსვენებული ფიმფამფო მეფის სურვილი მალე აღსრულდება.

პაწკუმელამ პასუხი არ დაუგვიანა:

– სამწუხაროა, რომ ამ ძვირფას სიტყვებს ვერ ისმენს უბედური მამაჩემი, მაგრამ არაფერია, იქ მიუვა ჩვენი ამბავი, იქ!

– ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სიძევ ბატონო, ჭეშმარიტებას! – მასპინძელმა ჭიქები არყით შეავსო, მეორე სახარება შეგვეწიოსო. მამლაყინწა კმაყოფილი ჩანდა:

– კარგია, აგრაფინა რომ არ გვესწრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახურ საქმეზე მინდა მოვითათბიროთ!..

პაწკუმელამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ქაქუზამ განაგრძო, - შვილო ჩემო, ყვინჩო, ქაქუზეთის სამეფო ინტერესები მოითხოვს, დაუყოვნებლივ დაიწერო ჯვარი.

- მე სიხარულით ვისმენ ამ სიტყვებს. - უპასუხა მელიამ.

- მაშ, გამოეწყვეთ და ეკლესიისაკენ გავსწიოთ!.. აქ ქაქუზა შეყოვნდა. მერე შემპარავად განაგრძო - ცხადია, ამ სახით, ესე იგი, ქურქით, უხერხულია ერისა და ბერის წინაშე წარსდგომა, ჩემს სამფლობელოში ასე არაა მიღებული.

პაწკუმელამ ქურქის გახდაზე უარი განაცხადა. მოიმიზეზა, მამაჩემის მტრები აქაც იქნებიან შემოპარულნი და, როგორც კი ქურქს გავიხდი, მაშინვე მიცნობენ და მომკლავენო. ქაქუზამ უფლისწულს თავისი შეიარაღებული ჯარისკაცებით დაცვა აღუთქვა, გაიძვერა მელაკუდა მაინც უარზე იდგა. დიდხანს იჯანჯლეს, მაგრამ მაინც ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს ქაქუზამ კაი მოზრდილი ჭიქით არაყი დალია, ამღვრეული თვალებით სასიძოს შეხედა და უთხრა:

- ყვინჩო, ქურქი უნდა გაიხადო!

- არა, არა, მერწმუნე, ბატონო, ნამდვილად არაა საჭირო.

- მე კი ვამბობ, რომ საჭიროა! - ხმას აუწია ქაქუზამ, - რახან ასეა, გიბრძანებ, გაიხადო!

- არა, ბატონო! - თვალები გააცეცა მელამ.

უცებ ქაქუზა სტუმარს ებრდღვნა. პაწკუმელა ამას ნამდვილად არ მოელოდა და ძირს დაეცა. ქაქუზას შემოტევა იმდენად მოულოდნელიიყო, მელუკამ თავი ვეღარ შეიკავა და გვერდზე გადავარდა, დავარდნილს ქაქუზა წამოაჯდა და ცდილობდა მისთვის შავი ქურქი გაეხადა. სასოწარკვეთილი პაწკუმელა აყვირდა:

- მთვრალი ხარ, ქაქუზ! არ გაბედო, ქაქუზ!

- შენთვის სჯობია, ყვინჩო, შენი ბედნიერებისათვის ვაკეთებ! - ამას უყვიროდა მამლაყინწა და ბეწვს აგლეჯდა გამწარებულ მელაკუდას. მოულოდნელად, სხვა გზა რომ არ ჰქონდა პაწკუმელას, მამალს უკბინა და იმანაც სასოწარკვეთილმა იყვირა, - არიქა, მიშველეთ, სასიძომ მიკბინა, სასიძომ მიკბინაო.

ამ დროს დარბაზში ხმალამოწვდილი ბიწკინა და სავლე ძაღლი შემოიჭრა. უმალ ციაც გაჩნდა. ბიწკინას და სავლეს დანახვაზე ქაქუზა შეკრთა, მაგრამ პაწკუმელასგან ერთიანად დაკბენილ-დასისხლიანებული მაინც მათ სთხოვდა შველას. სავლეს და ბიწკინას რაღა თხოვნა უნდოდათ? ვაჟკაცურად ეკვეთნენ პაწკუმელას. მელამ რაკი დაინახა, ცუდად მისდიოდა საქმე, ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა, თავი დამანებეთ, ქურქს ნუ გამხდით, მამისთვის აღთქმა მაქვს მიცემულიო, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა. ჰოდა, დიდი წვალებით დაუწყეს ქურქის გახდა... ანუ ტყავის გაძრობა. ამ ჯაჯგურში, ყველასაგან მოულოდნელად, მელიას დაჭინთულმა სხეულმა მუცლიდან ბურთივით ამოისროლა სეფექალი აგრაფინა. ჰაერში ჯამბაზივით ამოატრიალა და ძირს ფეხებით დასცა, ოღონდ ძალზე გაოგნებული, თავს აქეთ-იქით უაზროდ ატრიალებდა. იმავე წამს პაწკუმელამ ერთი საწყალობლად დაიწკმუტუნა, თავისი შავად შეღებილი ფაფუკბეწვიანი ტყავი მოძალადეებს ხელში შეატოვა და ასე გატყავებული დარბაზიდან გაიქცა. ამის დანახვაზე ყველა გაოგნდა. მხოლოდ აგრაფინა ვიშვიშებდა - ვახ, ვაახ, ეს რა ვნახე, ამას რას მოვესწარიო. ბოლოს ქაქუზამ დაიჩურჩულა, - რა ხდება, გამაგებინეთ სიზმარში ვარ თუ ცხადშიო. ბიწკინა მიუბრუნდა, - ქაქუზ ბატონო, თუ მიბრძანებ, შენს სასიძო მელიას ახლავე მოვაბრუნებ. ქაქუზა გაწითლდა - სირცხვილისაგან, რა თქმა უნდა.

ამასობაში აგრაფინა კვლავ ვიშვიშებდა:

- ვაახ, ვაახ, ვერ წარმოიდგენთ იმის მუცელში რა სიბნელე და სიმყრალე იყო, კაცებოო.

სავლე კი თავს აკანტურებდა და იმეორებდა - როგორ მომატყუა, როგორ შემაცდინა იმაგ არამზადამ.

ცია და ბიწკინა ერთმანეთს თვალებში შესციცინებდნენ. ქაქუზა მამალმა მშვენიერ წყვილს თვალი შეავლო და ცრემლები მოეძალა. ღელავდა. წუთიც და ეს ამაყი მამლაყინწა ატირდებოდა, როგორღაც თავს მოერია, უცებ მაგიდაზე ახტა, ფრთა-ფრთას შემოჰკრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყივლა. სავლემ მაშინვე აუბა მხარი... და ქაქუზეთში როგორც იქნა ერთად გაისმა ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი...

სავსე მთვარე ანაღდეულად შეკრთა და ღრუბლის მოზრდილ ნაფლეთს ამოეფარა. მერე სულ გაქრა და სწორედ ამ დროს ყველამ დაინახა შორეულ მთებზე ჩამოწოლილ ბინდს როგორ შეერია ნათელი. მერე ცისკიდურში ვარდისფერმა იძალა... ბოლოს ამდენი ხნის ნანატრი მზეც ამოიწვერა. სიბნელისგან დამუნჯებულ ფრინველთა საამო გალობაც გაისმა. ცეცხლისფერი მნათობი ჯერ საკმაო სითბოს და სინათლეს ვერ აგზავნიდა ქაქუზეთში, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მზე ამოდიოდა. ყველანი გრძნობდნენ, ხავსმოკიდებული ტყისპირები და დანოტიოვებული მინდვრები მალე ნაირფერი ყვავილებით დაიფარებოდა, ყველაფერს გემო და ფერი დაუბრუნდებოდა.

ქაქუზეთი ხარობდა. სოფელი სოფელს დაემგვანა. ამაზე უკეთესს რა გაიგონებდა ყური - ძაღლი ყეფდა, მამალი ყიოდა... გათენებას ხომ მეტიც არაფერი უნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხო მოსულიშვილი

## რას ჩურჩულებენ თითბრის ფირფიტები

„- რა უნდა იცოდეს ამის ხელოსანმან?
- მხატვრობა, და აქაქობაც, რომ მოსჭრას, ამასთან ზარაფობაც, რომ ყალბი გაარჩიოს, თერზაფზობაც, რომ ვერცხლიდან ოქრო გამოიღოს და ტყვიიდამ ვერცხლი გამოიღოს. აგრეთვე იცოდეს შეზავება სპილენძისა და თუთიისა, რომ კარგი თითბერი გააკეთოს. ესრეთვე იცოდეს ჩოქურომა, ჩამოსხმა, მოჭრა სახეებისა, სევადა და ფერვა, დროზედ გახურვება ვერცხლისა თუ სხვათა და ცეცხლიდამ დროთ გამოღება, და კვერის ხმარება რიგიან, დაფერვა, და სხვა კარგად დანაკვეთება ნივთისა, რასაც აკეთებს, და ამასთან მინანქრის გაკეთებაც შეეძლოს“.

*იოანე ბატონიშვილი „ხუმარსწავლა“.*

„- მაინც რა არის ჭედურობაში უმთავრესი?
- ... განაწილების პრინციპი - ლითონს სად და როგორ გადაჭრი, ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა“.

*გივი სადაღაშვილის ინტერვიუდან.*

როგორც ამ წერილის ეპიგრაფიდან ჩანს, ძველად საქართველოში აქაქობა ოქრომჭედლის ხელობის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც დღევანდელ ლითონქანდაკებაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და, თუ კარგად დავუკვირდებით, ეს ეგებ გრავირებაც იყოს ამ სიტყვის ზოგადი აზრით.

გივი სადაღაშვილის, როგორც ლითონმქანდაკებლის გზის დასაწყისში ბეშქენ და ბექა ოპიზარები მოჩანან. ამასთან, იგრძნობა იმ დროს გაბატონებული დეკორატიულ-გამომსახველობითი ატმოსფეროს გავლენაც, რაც შაბლონის საშიშროებას მალავდა თავის თავში.

სწორედ ამ დროიდან იწყებს გივი სადაღაშვილი საკუთარი გზის ძიებას და დღეისათვის მას რომ ეკუთვნის მწვანე ჟანგვის პრიორიტეტი, არავისთვის უცხო და მიუღებელი არ უნდა იყოს, რადგან ოცდათხუთმეტწლიანი შრომისა და ძიების შედეგია. თითბერი, სპილენძისა და თუთიის ნაერთი, ისედაც იჟანგება ჟამთა მსვლელობაში, მაგრამ ოსტატი ამ პროცესს ცეცხლზე გახურებითა და სხვადასხვა ქიმიური მასალის გამოყენებით აჩქარებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ეს დაჟანგვა თვითმიზნური როდია, ზემოაღნიშნული დეკორატიულობის წინააღმდეგ არის მიმართული. გარდა ამისა, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ იქამდე მიიყვანა, დაჟანგვისას სასურველი ფერების მიღებაც კი დაიწყო, რაც სრულიად საპირისპირო პროცესია ლითონის ბარელიეფების თუ ფიგურების საღებავებით შეფერვისა - ჯერ ერთი, ლითონი საღებავს არ მიიღებს და, მეორე, ვერც მოიხდენს, ხოლო ჟანგვისას მიღებული ფერები „ბუნებრივად“ ჯდება ლითონის ფაქტურაში, ვინაიდან ასეთი ფერები თავისთავად გაუჩნდება ნამუშევარს დროის განმავლობაში - თვითმყოფადი, არამყვირალა და მშვიდი ფერები, რომელთაც დაემატება თითბრის ყვითელი ფაქტურის ოსტატური გათამაშება და შედეგად მიიღება ფიგურათა მოცულობა, ნახატის სიღრმე და პლასტიკური მოქნილობა.

თუკი გივი სადაღაშვილის შემოქმედების ადრეულ პერიოდში შექმნილი პეტრე იბერიელის პორტრეტში დეკორატიული მოტივი გამოდის წინა პლანზე, უფრო გვიანდელ უფლისციხის სერიის ნამუშევრებში, რომლებიც ასახავს ამ შესანიშნავი ძეგლის ისტორიას ანტიკური ხანიდან („ასკლეპი-



ოსი", „ბახუსი") ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნემდე („შთამომავლობა", „გამარჯვება", „ბერიკაობა"), დეკორატიული აქცენტი ქრება და წინა პლანზე გამოდის თითბრის ჟანგვით მიღებული სწორედ ისეთი ფერი, უფლისციხის ქვაბულებში რომ გვინახავს და დაგვიმახსორებია. ამ ფერის ეფექტს თავის თავზე ვერანაირად აიღებს ზეთის საღებავი, იმდენად ბუნებრივი და შესისხლხორცებულია თითოეულ კომპოზიციასთან. ამ სერიის ნამუშევრებში მხატვარი წარმოგვიდგენს იმ უსახელო უფლისციხელ მემატიანეთა თუ დიდოსტატთა, მონადირეთა თუ მეომართა, აქიმთა თუ მოძღვართა, მოხუცთა, ქალთა თუ ყრმათა ცხოვრების ჟანრულ სცენებს, უფლისციხე რომ უშენებიათ, შიგ უცხოვრიათ, უომნიათ, ულოციათ, უმკურნალიათ, დაბადებულან, გარდაცვლილან და თავადვე ქცეულან უფლისციხედ, რადგან ეს ძეგლი მარტოოდენ ქვიშაქვაში გამოჭრილი დარბაზები და სამლოცველოები კი არა, ეს უსახელო უფლისციხელებიც არის.

გივი სადალაშვილმა ბიბლიურ თემატიკაზე ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო მუშაობა, როცა აუგად მოიხსენიებდნენ და ყოველმხრივ ჩქმალავდნენ ამგვარ ნამუშევრებს. არადა, სააუგო რა უნდა ჰქონოდა, ძველ ოსტატთა ტრადიციებს რომ თავი დავანებოთ, პირველი ხატმწერი წმინდა მახარებელი ლუკა ყოფილა, რომელსაც ღვთისმშობელი გამოუსახავს.

ამგვარ ნამუშევართა ერთ მწკრივს ქმნის თავისთავადი ქართული ქრისტიანობის თემა - „წმინდა ნინო", „პეტრე იბერიელი", „ყინწვისის ანგელოზი". ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მშვენიერად ნაქანდაკარ-ნაჭედი ტრიპტიქი - „ნათლისღება მცხეთაში", სადაც თითბრის სითბოს ზეციურ სიმშვიდეში გაახვევს მომწვანო-მოყვითალო ფერები. იგივე და უფრო მეტი გამომსახველობითი სიზუსტე იგრძნობა ძველი აღთქმის ორ სურათში - „მსხვერპლშეწირვასა" და, განსაკუთრებით, „ნოეს კიდობანში", რომლის ოვალური ფორმა ბექა ოპიზარის ნამუშაკარ ანჩისხატის სამკარედის შუა ნაწილის ზემოდან გადმოაქვს.

ოსტატი არ უშინდება ბეშქენ და ბექა ოპიზარების მიერ სახარებებისთვის შექმნილ და განმეორებულ კომპოზიციას ასომთავრული წარწერებით, ფიგურათა განლაგება ზუსტად გადმოაქვს თავის „ჯვარცმაში", მაგრამ წარმატებით გაურბის მოძრაობათა განმეორებას და პერსონაჟებს თავისებური სტილიზაციითა და მეტი კონკრეტულობით წარმოგვიდგენს.

თუმცა ხელეწიფება, შექმნას საკუთარი, მხოლოდ მისეული კომპოზიციები „მწყემსთა თაყვანისცემაში", „დატირებაში" და „ამაღლებაში".

ახალი აღთქმის ისეთი შესანიშნავი პორტრეტების სერიიდან, როგორიც არის „მარიამ ღვთისმშობელი", „იოანე ნათლისმცემელი", „წმინდა პეტრე", „იესო", განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია თავზე მზისშარავანდიანი მ.ონანიე „მარიამ მაგდალინელი", ნათლის სიწმინდით რომ ევსება თვალები, და ღამის სილურჯეში გამოკვეთილი, თავისი უფლის მამლის მესამე ყივილზე უარმყოფელი და ატირებული წმინდა პეტრეს უზუსტესი პლასტიკით შესრულებული ფიგურა („წმინდა პეტრე. სამჯერ უარყოფა").

ამ ტრიპტიქს, რომელსაც „მარადიული ღღესასწაული" ჰქვია, იერუსალიმში დიდებით მიმავალი, თვალებამეტყველებულ სახედარზე მჯდარი უფალი ჩვენი იესო ქრისტე გაანათებს, ხეებიდან ბზის ტოტებს რომ აყრიან ყრმანი (კარედის ცენტრალური ნაწილი); ეს განწყობა გადადის მარცხნივ



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოსახულ მოციქულებმე და მარჯვენა მხარეს გამოყვანილი იერუსალიმელებიც ამ სინათლითა და სასოებით ივსებიან. მთელი სამკარედი ისეთ ღვთიურ სიმშვიდეს მოუცავს, თითქოს ამის მერმე მოსალოდნელი აღარც კი არის ჯვარზე გაკვრა.

გივი სადაღაშვილის ბოლოდროინდელ ნამუშევრებში მთლიანად ქრება დეკორატიულობა და მისი ნახატები თავისი ფერწერულ-სკულპტურული გამომსახველობით ვირტუოზულ სიმაღლეს აღწევენ. ეს არის „წმინდა სამების" ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ტრიადა; ასეთივე, ოღონდ უკვე მიწიერ ფერებში განზავებული შუქით დაფარული ღვთისმშობლის, ყრმის, ანგელოზის, ძროხისა და სახედრის ესკიზებამდე დასული ფიგურები, ერთიან რიტმ-



ულ პროსონანსს რომ ქმნიან („შობა"); იგივე მიწიერი ნათლით იმოსება გენიალური შოთა რუსთაველის სახე („შოთა რუსთაველი") და ასეთივე ღვთიურ შუქში ეხვევა ანჩისხატის სამკარედისა თუ წყაროსთავის სახარების ღიდებული ოსტატი („ღმერთო, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაი").

სამი წლის წინ ეროვნულ გალერეაში მოწყობილ გამოფენაზე უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სწვევია ჩვენს მხატვარს, დაუთვალიერებია გამოფენა, განსაკუთრებით მოსწონებია ნამუშევარი „ბექანას ცხენები" და უთქვამს: – თქვენ ოქროში უნდა მუშაობდეთო.

ეჰ, აბა სად არის იმდენი ოქრო, გივი სადაღაშვილს თავისი მონუმენტური ნახატებისთვის რომ ეყოს, ამიტომ კვლავაც სპილენძი და თუთია უნდა განაზავოს ერთმანეთთან; იქიდან, ძველ აქაქთა მსგავსად, თითბრის ფირფიტები ამოიღოს, მერე მოუმინოს, კარგად დააყურადოს და გაიგოს თუ რას ეჩურჩულებიან ისინი და შემდეგ ახალი ტრიპტიქების შექმნა დაიწყოს, რომელთაგან ერთის მონახაზები მეც მაჩვენა – ეს იქნება სამკარედი „თამარის დროშა გაშალეს" და კიდევ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", დავით აღმაშენებლისა გამო.

როგორც ხედავთ, კვლავაც ოპიზართა ეპოქას დასტრიალებს მხატვარი და, კიდევ კარგი, სხვა დროა და ასეთი მინაწერის გაკეთება არ მოუწევს რომელიმე ნამუშევარზე: „... ვინცა ცუარი ანუ ღილოკილო დააკლოს და შეუცვალოს რაი ამას ნაჭედსა, კრულიმცა არს მკვდარი და ცოცხალი ერთად. ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაი ოპიზარი".

დასასრულს ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი გივი დარბაისლური ქართლური იუმორით დაჯილდოებული, ალალ-მართალი და მომლხენი ადამიანია, დიდი და ღირსეული ოჯახის თავკაცი; ჩემები რომ არა, ამდენს ვერ შევძლებდიო, – გამოგიტყდებით ნამუშევრების დათვალიერებისას და აღარც იმას დაგიმალავთ, ჩინეთში რომ აპირებს პერსონალური გამოფენის მოწყობას საქართველოში ჩინეთის საელჩოს მეოხებით.

ჰოდა, გამარჯვება ვუსურვოთ შემოქმედს.

მხატვრის სახელოსნოდან გამოსულს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ზოგიერთ ნახატს მაინც მიაწერდა: „ქრისტე, შეიწყალე ლითონმქანდაკებელი გივი სადაღაშვილი".

2000 წლის აღდგომა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინესა მერაბიშვილი



## „ვეფხვი მზე... წითელი ენით“

თანამედროვე ლინგვისტიკაში შესიტყვებათა ორ ძირითად ტიპს განვასხვავებთ: უზუალურს (ინგლ. - usual ჩვეულებრივი) და ოკაზიურს (ინგლ. occasional - უჩვეულო). პირველ შემთხვევაში შესიტყვების კომპონენტები, ე. ი. სიტყვები, მეტყველებაში მონაწილეობენ თავისი პირდაპირი ან გადატანითი, მაგრამ ენის ნორმებით უკვე დაფიქსირებული მნიშვნელობებით. ორივე მათგანს, ე. ი. პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს *უზუალური*, ანუ ჩვეულებრივი მნიშვნელობა ეწოდება. სიტყვის უზუალურ მნიშვნელობას უპირისპირდება სიტყვის უჩვეულო, ანუ ოკაზიური მნიშვნელობა, რომელიც არაა დაფიქსირებული კონკრეტული ენის ლექსიკონში, აღემატება მის უახლოეს ნორმებს და უვითარდება ოკაზიური შესიტყვების ერთს ან მეტ წევრს.

ტერმინი *„ოკაზიური მნიშვნელობა“* ენათმეცნიერებაში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შემოვიდა და ის გულისხმობდა იმ წარმოდგენებს, რომლებსაც მოლაპარაკე უკავშირებს სიტყვას მისი წარმოთქმის პროცესში. შემდგომ, განვითარდა რა თვითონ მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობაზე, პარალელურად განვითარდა და დავიწროვდა ამ ტერმინის გაგებაც და ახლა ლინგვისტიკაში ეს ცნება ზემოთ წარმოდგენილი შინაარსით იხმარება.

ოკაზიური შესიტყვება, როგორც მოვლენა, ახასიათებს სასაუბრო ენას, სამეცნიერო ენას, ასევე მხატვრულ ტექსტს, ხოლო მათი დიდი უმრავლესობა პოეტურ ტექსტზე მოდის, განსაკუთრებით კი მეოცე საუკუნის პოეზიაზე.

აი, რას წერდა შარლ ბალი, როდესაც ცდილობდა ერთიმეორისაგან გაემიჯნა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ენები: „მწერალი გარდაქმნის მას (ენას - ი. მ.), რათა ის გამოსადეგი გახადოს ზედმიწევნით ინდივიდუალური აზრის, ე. ი. ეფექტური და ესთეტური შინაარსის გამოსახატავად“.

1969 წელს შვეციის აკადემიის მიერ სემუელ ბეკეტისადმი ნობელის პრემიის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „პრემია ენიჭება შემოქმედებისათვის, რომელშიც მწვერვალებს აღწევს თანამედროვე ადამიანის უბედურებათა უკეთ გამოსახვის მხრივ“. კინორეჟისორმა ინგმარ ბერგმანმა კი განაცხადა: „ჩემი აზრით, ჩვენს კულტურულ სამყაროში ყოველივე უკუღმართად წარიმართა სწორედ ტექნოლოგიის გამო“.

სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანთ ნაწყვეტს ზურაბ კაკაბაძის წერილიდან: „დავუშვათ, ჩვენს წინაშე დგას კაცი, რომელიც იმას ხედავს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ვთქვათ, ეს კაცი ხედავს, რომ ვიღაცამ ვიღაცას თავში უზარმაზარი ლოდი ჩასცხო და იქვე სული გააფრთხობინა. იმის მიხედვით, როგორ რეაგირებას მოახდენს ჩვენს წინაშე მდგომი კაცი, ჩვენ მივხვდებით, რა ხდება. დავუშვათ მან კლასიკური სიდინჯითა და სიდარბაისლით, ზრდილობისა და გრამატიკის ნორმების სანიმუშო დაცვით თქვა: „როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო!“ ჩვენ, რა თქმა უნდა, შევცდებით და ვიფიქრებთ, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რადგან მისი კონკრეტული მიმართვა არარეალისტურია და არ შეეფერება იმას, რაც ხდება. ხოლო კაცის რეაქცია სწორად გაგვაგებინებს საქმის ნამდვილ ვითარებას და რეალისტური იქნება, თუკი ხსენებული მხეცური აქტის მემხედვარე წონასწორობას დაკარგავს და ისე იყვირებს, რომ ზრდილობის ნორმებსაც დაარღვევს და გრამატიკისასაც.

სწორედ ასე „უზრდელად“ და „უწესოდ“, და მაშასადამე რეალისტურად „ყვირის“ გადაგვარებისა და კატასტროფისაკენ მიმავალი ცხოვრების შემხედვარე ხელოვნება, - დასძენს ავტორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის სიმბოლურ გამოხატულებად შეიძლება გამოვიყენოთ ის დამთხვევაც, რომ თომას პინჩონის გახმაურებული რომანი Gravity's Rainbow" („მიზიდულობის ცისარტყელა“) სწორედ რომ განმგმირავი წივილით იწყება:

„A screaming comes across the sky“ - „ცაზე წივილი გაისმის-ო“ - ასეთია რომანის პირველი წინადადება.

ის დისონანსი, რომელიც მხატვრულ ტექსტში სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების ხმარებას შემოაქვს, გარკვეულწილად, ცაზე გაგონილ წივილსა და სამყაროს აღქმით დაფეთებული კაცის კივილს ჩამოჰგავს და მისი მოსვლა და დამკვიდრება ლიტერატურაში არა მარტო ახლებურ შესწავლას მოითხოვს, არამედ იგი თავისთავად ახალ გამოკვლევათა მთელ ნაკადს მოასწავებს.

ახლა გალაკტიონს მოვუსმინოთ:

„შეხედეთ თანამედროვე ადამიანს, მისმა *უკანასკნელთა საზღვართა ძებნამ* გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას. მისმა სურვილებმა, რომ *გამომდინარე იქნას* სივრცეთა უფსკრულებში, *უშორეს მზეების და ცისარტყელების სპექტრის საფუძველზე*, მიიყვანა იგი *გამოგონებათა უგონო ორგიამდე*. თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა?... უდიდებულეს რითმებში უნდა ისმოდეს *პლანეტათა შეჯახება*, ომები ვარსკვლავთა რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი... საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად იპოვით! აირჩიეთ ორში ერთი:

განახლება ან სიკვდილი!..“

სიტყვის მნიშვნელობის საკითხთან კავშირში შეუძლებელია გვერდი ავუარო იმ საკმაოდ გავრცელებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ულ შეხედულებას, რომლის თანახმად სიტყვის მნიშვნელობა არის სიტყვის გარეგანი ფორმის, მასში ასახული ცნებისა და რეალური სამყაროს ელემენტის, როგორც ასასახი, საგნის ერთობა. აღნიშნულ შეხედულებას, ცნობილია, საფუძვლად დაედო მეოცე საუკუნის ოციან წლებში ოგდენისა და რიჩარდსის მიერ წამოყენებული ნიშნის, აზრისა და რეფერენტის სამკუთხედი. იქიდან მოყოლებული დღემდე აღნიშნულმა სემანტიკურმა სამკუთხედმა მრავალი ახალი ინტერპრეტაცია და ვარიაცია განიცადა დაწყებული მისი სამი კომპონენტის სხვადასხვა სახელწოდებიდან (სიტყვა, სიმბოლო, ნიშანი; ნომინაცია, აზრი, ცნება; მნიშვნელობა, რეაქცია, საგანი; რეფერენტი, დენოტატი, დესიგნატი და ა. შ.), დამთავრებული მისი სამი წვეროს ურთიერთობათა დაყვანით ხან ერთსა და ხან მეორე კომპონენტამდე. ეს უკანასკნელი გულისხმობს, ერთი მხრივ, აზროვნების ლოგიკური აპარატის უგულებელყოფას მნიშვნელობის ფორმირების პროცესში და სიტყვის მიერ მნიშვნელობის გაიგივებას აღნიშნულ საგანთან (გ. ფრეგე, ჩ. მორისი, ა. ჩერჩი, დ. გორსკი), მეორე მხრივ, - სიტყვაში ასახულ ცნებასთან. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, ის გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც სიტყვის მნიშვნელობა არის ცნებისა და სიტყვის გარეგანი ფორმის ურთიერთობის შედეგი (ფ. დე სოსიური, ა. ი. სმირნიცკი).

ჩვენი მიზანია, აღვწეროთ და შევისწავლოთ აღნიშნული სემანტიკური სამკუთხედის ყოველი ცალკეული კომპონენტი, რათა შევძლოთ და გავხსნათ სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთობის ძირითადი მექანიზმი.

*სემანტიკური სამკუთხედის საინტერესო ინტერპრეტაცია* შემოგვთავაზა ცნობილმა მეცნიერმა ვ. გ. გაკმა. გამოაცხადა რა ენისა და მეტყველების დონეთა გამიჯვნა მნიშვნელობის აღწერისა და ანალიზის აუცილებელ პირობად, ვ. გ. გაკმა მნიშვნელობა წარმოგვიდგინა ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის ერთობად. ენისა და მეტყველების დიქოტომიის შესაბამისად, სემანტიკური სამკუთხედის მხარეები ავტორმა აღმნიშვნელ-აღსანიშნის ბინარულ ოპოზიციასთან მიმართებაში განიხილა. აღმოჩნდა, რომ ენისა და მეტყველების დონეებზე აღმნიშვნელ-აღსანიშნი სემანტიკური სამკუთხედის სხვადასხვა კომპონენტებით არიან წარმოდგენილნი: ენის, როგორც სისტემის, დონეზე აღმნიშვნელად გვევლინება სიტყვის გარეგანი ფორმა, ანუ ნომინაცია, აღსანიშნში კი იგულისხმება საგანთა კლასის გამომხატველი ცნება ამ საგანთა კლასთან ერთობაში N<-->S/D (აქ და შემდეგ N ნიშნით აღინიშნება ნომინაცია, S ნიშნით - სიგნიფიკატი, ანუ ცნება, D ნიშნით - დენოტატი).

მეტყველების დონეზე აღმნიშვნელია ცნების გამომხატველი სახელი, ხოლო აღსანიშნავად გვევლინება დენოტატი, როგორც სინამდვილის კონკრეტული ელემენტი NS<->D.

ვ. გ. გაკის კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არსებითად გამოავლენს დენოტატის შინაარსის ცვალებადობას ენისა და მეტყველების დონეებზე. ენის, როგორც სისტემის, დონეზე დენოტატს წარმოადგენს სინამდვილის საგანთა ან მოვლენათა მთლიანი კლასი, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ცნების ჩამოყალიბებას. მეტყველების დონეზე დენოტატად გვევლინება სინამდვილის კონკრეტული ელემენტი, რომლის აღსანიშნავადაცაა მიმართული გარკვეული სახელის მიღმა მდგომი ცნება.

დენოტატის შინაარსის ცვალებადობის გამოვლენამ ენისა და მეტყველების დონეებზე უფლება მოგვცა, მოგვეხდინა დენოტატთა შესაბამისი დიფერენციაცია და გამოგვეყო ორი სახის დენოტატი: ენობრივი დენოტატი, როგორც საგანთა კლასი, და სამეტყველო დენოტატი, როგორც სიტყვით აღსანიშნი სინამდვილის საგანი მეტყველების კონკრეტულ აქტში. ენობრივი და სამეტყველო დენოტატები, შესაბამისად, აღნიშნულია D და $D_1$ პირობითი ნიშნებით.

ენობრივი და სამეტყველო დენოტატების დამოკიდებულებათა შესწავლამ სიტყვის შიგნით მოთავსებულ სიგნიფიკატთან მიმართებაში გამოავლინა საინტერესო სურათი: ერთსა და იმავე სიტყვაში ენობრივი და სამეტყველო დენოტატები შესაძლებელია თვისებრივად განსხვავებულ ოდენობებს წარმოადგენდნენ იმისდა მიხედვით, ნახმარია სიტყვა უზუალური თუ გადატანითი ოკაზიური მნიშვნელობით. უზუალური მნიშვნელობით ნახმარ სიტყვაში სამეტყველო დენოტატი არის ენობრივი დენოტატის, როგორც კლასის ერთ-ერთი ელემენტი, რასაც, პირობითად, ტოლობის ნიშნით აღვნიშნავთ ($D=D_1$), რაც იწვევს კიდეც შესაბამის ცვლილებებს სიტყვის სიგნიფიკატში.

ი. ლევინის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობა შედგება სემებისაგან და ყოველ მათგანს აქვს თავისი განსაზღვრული წონა შინაარსის შექმნისას. მაქსიმალური წონის მქონე სემები ქმნიან ***სიტყვის მნიშვნელობის ბირთვს***, იმ დროს, როდესაც ნაკლები წონის მქონე სემები მეორეხარისხოვანი ნიშანთვისებების სახით გარს ერტყმიან ბირთვს.

როგორც ავტორი აღნიშნავს, პოეტურ ტექსტში მნიშვნელობა იშლება სემებად და კონტექსტის გავლენით ისინი ახლებურად განლაგდებიან. ამგვარად, იქმნება ***ახალი ბირთვი და ახალი მეორეხარისხოვანი სემები***, რომლებიც, შესაბამისად, ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას.

ახალი ბირთვი შედგება შემდეგი სემებისაგან: 1) სემები, რომლებიც ადრეც შედიოდნენ ბირთვში, (2) ყოფილი მეორეხარისხოვანი სემები. ი. ლევინი გვთავაზობს ამ უკანასკნელთ ვუწოდოთ *აქტუალიზებული სემები*. ახალი ბირთვის ირგვლივ, ი. ლევინის თანახმად, განლაგდებიან 1) ყოფილი ბირთვული სემები; 2) გარემოს ყოფილი სემები; 3) ახალი სემები, რომელთაც ავტორი კონტექსტით *ინდუცირებულთ* უწოდებს.

ი. ლევინის კონცეფცია ჩვენთვის საბაზისოა, მიუხედავად იმისა, ჩვენ არ ვეთანხმებით ავტორს იმ საკითხში, როდესაც ის მნიშვნელობის გაპობას სემებად მხოლოდ პოეტური ტექსტის თვისებად მიიჩნევს. სემებად ბირთვის დაშლა დიდი სიხშირით, მართალია, პოეტური ტექსტის ლექსიკაში შეინიშნება, მაგრამ იგი თვისებაა ნებისმიერი სამეტყველო სიახლისა, თუ ეს სიახლე მოულოდნელი ცნებების დაკავშირებაში გამოიხატება. ამ აზრის ერთგვარ მტკიცებად მიგვაჩნია მ. იანქოშვილის შრომა „სიტყვის მნიშვნელობის ბირთვული სტრუქტურა".

მ. იანქოშვილმა მიზნად დაისახა ი. ლევინის კონცეფციის შემდგომი განვითარება ბირთვის აღნაგობის თვალსაზრისით. მ. იანქოშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სიტყვის მნიშვნელობის ბირთვი შედგება, ერთი მხრივ, იმ სემებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვის კატეგორიალურ სტატუსს, საკუთრივ ***ლექსიკურს*** ან ***გრამატიკულს***, ხოლო, მეორე მხრივ, - ძირითადი მადიფერენცირებელი სემისაგან, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაპირობებს სიტყვის, როგორც შინაარსობრივი კომპლექსის განუმეორებელ ინდივიდუალურ სახეს. ყველა დანარჩენი სემი ბირთვის ირგვლივ განლაგდება და მათ გარემოს სემები ეწოდებათ.

გრამატიკულ კატეგორიალურ სემაში იგულისხმება ის თუ მეტყველების რომელ ნაწილს წარმოადგენს სიტყვა: არსებით სახელს, ზედსართავს, ზმნას თუ სხვა; *ლექსიკურ კატეგორიაში* კი იგულისხმება ის, რომ ეს არის „საგანი“, „მოვლენა“, „მოქმედება“ და ა. შ.

ბირთვის ამგვარი დიფერენციაცია ხელს უწყობს კომპონენტური ანალიზის წარმატებით ჩატარებას.

იმის მიუხედავად, თუ რა წარმოადგენს საკვლევი შესიტყვებების წევრების სემანტიკური შეკავშირების პირველად საფუძველს, ოკაზიური შესიტყვებები სამ კლასად დაიყო:

1. ოკაზიურ შესიტყვებათა პირველ კლასს მიეკუთვნება ის შესიტყვებები, რომლის წევრებსაც ენის, როგორც სისტემის, თვალსაზრისით საერთო სემა ან სემები გააჩნიათ, რის საფუძველზეც წარმოებს ამ წევრების შეკავშირება მეტყველებაში. მაგ. „the tiger sun“, „cement skies“, „moon eyes“, „the hyena despair“, „ცეცხლის მზე“, „лимонная усменка“, „солнечный смех“.

2. ოკაზიურ შესიტყვებათა მეორე კლასს მიეკუთვნება ის შესიტყვებები, რომლის წევრებსაც ენის, როგორც სისტემის თვალსაზრისით, საერთო სემა არ გააჩნიათ, მაგრამ შესიტყვების ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობის გარემო პოტენციურად შეიცავს ისეთ სემას, რომელიც მაკოორდინირებელი აღმოჩნდება მეორე წევრის გლობალური მნიშვნელობის და არეგულირებს ურთიერთობას ამ ორი სიტყვის მნიშვნელობებს შორის, მაგ. „Stripes the night“, „to break the sun“, „გახაზა ღამე“, „месяца осколок“, „გადაუკლონიავს ყელი“, „ნელი სურნელი“.

3. ოკაზიურ შესიტყვებათა მესამე კლასს მიეკუთვნება ის შესიტყვებები, რომლის წევრებსაც ენის, როგორც სისტემის, თვალსაზრისით არ გააჩნიათ არც საერთო და არც მაკოორდინირებელი სემები. ასეთ შემთხვევაში შესიტყვების წევრების მნიშვნელობა გაიხსნება მხოლოდ კონტექსტის დახმარებით, რაც გამოავლენს იმ ფაქტს, რომ სამეტყველო დენოტატები არიან შეთავსებადნი და ამავე დროს ამ დენოტატებს და მათთან შეფარდებულ სიგნიფიკატებს აქვთ საერთო ნიშნები. მაგ: „begging bonels“, „white malice“, „გამხდარი რეტი“, „შური ბინდისა.

განვიხილოთ *პირველ კლასში* შემავალი ერთ-ერთი შესიტყვება, მაგალითად „the tiger sun“, რომელიც აღებულია ამერიკელი პოეტი ქალის ემი ლოუელის (Amy Lowell) ლექსიდან „Night clouds“ (ღამის ღრუბლები). ლექსში პოეტურადაა აღწერილი დღისა და ღამის ჭიდილი. მთვარე მიაქანებს თავის თეთრ რაშებს (ღამის ღრუბლებს) ცის უკიდეგანო სივრცეში, მაგრამ ახლოვდება დღე და პოეტი ამბობს: „გასწით, რაშებო, თორემ სადაცაა ამოვა ვეფხვი მზე (the tiger sun) და გაგანადგურებთ თქვენ თავისი წითელი ენის ერთი მოსმით“. (Amy Lowell)

ენის, როგორც სისტემის, თვალსაზრისით, სიტყვა „sun“-ის მნიშვნელობის ბირთვი შედგება შემდეგი სემებისაგან: გრამატიკული კატეგორიალური სემისაგან „noun“ (არსებითი სახელი), ლექსიკური კატეგორიალური სემისაგან „a luminous celestial body“ (მანათობელი ციური სხეული) და ძირითადი მადიფერენცირებელი სემისაგან „the luminous celestial body, around which the earth and other planets revolve, from which they receive heat and light“ (მანათობელი ციური სხეული, რომლის გარშემო ბრუნავენ დედამიწა და სხვა პლანეტები და რომლისგანაც ისინი იღებენ სითბოსა და სინათლეს). ეს მადიფერენცირებელი სემა განსაზღვრავს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ინდივიდუალურ სტატუსს.

სიტყვის მნიშვნელობის ბირთვის გარემოცვა კი შეიცავს მრავალ განსხვავებულ სემას, როგორც მნიშვნელობის დამახასიათებელ ნიშნებს. აქედან შეიძლება დავასახელოთ ფერის გვაროვნული სემა შესაბამისი სახეობრივი (ВИДОВОЙ) სემებით, ოქროსფერი, ყვითელი, წითელი და ა. შ. აგრეთვე ტემპერატურის გვაროვნული სემა მისი შესატყვისი სემებით: „ცხელი“, „თბილი“, „ცივი“, და სხვ; ტემპორალური სემა, ერთი მხრივ წელიწადის დროთა (ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის და ა.შ.), მეორე მხრივ დღის ნაწილის (დილის, შუადღის და ა. შ.). მის გვერდით განლაგდებიან აგრეთვე სემები „კაშკაშა“, „ძლიერი“, „მცხუნვარე“, „აქტიური“, „გამანადგურებელი“ და ა. შ.

აღნიშნულ მეორეხარისხოვან სემათა არსებობა, უდავოდ, გულისხმობს მათი აქცენტირების შესაძლებლობას, ე. ი. მათ გადანაცვლებას გარემოცვიდან ბირთვში. ამდენად, სიტყვა „sun" შეიძლება განისაზღვროს მთელი რიგით ზედსართავი სახელებისა, რომელთა გლობალური მნიშვნელობები მიესადაგება ცალკეულ მეორეხარისხოვან ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად "golden" (ოქროსფერი), „hot" (ცხელი), „warm" (თბილი), „morning" (დილის). „strong" (ძლიერი), „active" (აქტიური) და ა. შ. სიტყვა "sun"-ის განსაზღვრისას ერთ-ერთი ზემოთ წარმოდგენილი ზედსართავით მნიშვნელობის შესაბამისი სემა გარემოცვიდან ბირთვში გადაინაცვლებს და გაამდიდრებს სიტყვა „sun“-ის სიგნიფიკატს. მაგ hot summer sun, cold winter sun, ან, უბრალოდ, cold sun, winter sun თუ active sun და ა. შ.

ასეთია შეთავსებად სიტყვათა გლობალური მნიშვნელობების სემანტიკური აქტუალიზაციის პრინციპი.

როგორც ფართო კონტექსტი მოწმობს, სიტყვათა გლობალური მნიშვნელობების სემანტიკური აქტუალიზაციის პრინციპი.

როგორც ფართო კონტექსტი მოწმობს, სიტყვა „sun“ იხმარება მზის, როგორც მანათობელი ციური სხეულის, აღნიშვნის მიზნით, იმ ციური სხეულისა, რომელსაც თავის მხრივ აქვს შესაბამისი სიგნიფიკატი და, ამდენად, იგი ტექსტში აქტუალიზებულია *უზუალური მნიშვნელობით*. მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა „sun“ არ არის განსაზღვრული ერთ-ერთი იმ ზედსართავით, რომელთან შეთავსების შესაძლებლობა წინდაწინ განპირობებულია თვით სიტყვა „sun“-ის ვირტუალური მნიშვნელობით. აქ ცნება „sun“ განსაზღვრულია მისთვის უჩვეულო ატრიბუტით - არსებითი სახელით - „tiger“.

ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ სიტყვის გამოყენება სიტყვა „მზის“ ატრიბუტად და როგორია მათი საერთო სემანტიკური „მნიშვნელი“, ანუ ის, რაც იძლევა მათი შეთანხმების საშუალებას?

ცნობილია, რომ ობიექტური რეალობის ამა თუ იმ საგნის აღქმის შემთხვევაში დამკვირვებელი გამოჰყოფს საგნის ერთ ან რამდენიმე ნიშან-თვისებას, როგორც ყველაზე ინფორმატულს, რათა გამოხატოს ამ საგნისადმი საკუთარი დამოკიდებულება და მისი გააზრება.

ტექსტთან გაცნობა გვარწმუნებს, რომ მზის მრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალ ნიშან-თვისებათაგან ავტორი, პირველ ყოვლისა, გამოყოფს მის თვისებას, იყოს გამანადგურებელი ღამის წყვდიადისა. მხატვრული გამომხატველობის უნარი პოეტს საშუალებას აძლევს, მზის ასეთი დახასიათება განახორციელოს ახალი პოეტური ხერხით და, ამდენად, ეძებს სიგნიფიკატს, რომელიც ამ თვისებებს ხატოვანი ფორმით გააცოცხლებდა. პოეტი არჩევანს სიტყვა „tiger"-ზე აჩერებს, იმ სიტყვაზე, რომელშიც მზის ეს ნიშან-თვისება გარკვეულ გამომსახველობით არის გამოხატული. ის მოულოდნელი კონტრასტი, რომელიც ამ ორი ცნების დაკავშირებით არის გამოწვეული, კიდევ უფრო ამძაფრებს და ააქტიურებს მათ საერთო მნიშვნელს.

ენის, როგორც სისტემის, თვალსაზრისით, სიტყვა „tiger"-ის მნიშვნელობა შედ; შემდეგი ძირითადი მადიფერენცირებელი ბირთვ. სემისაგან: „A large Asiates carnivorous mammal of the cat family having a tawny coat transversely striped with black" (დიდი აზიური ხორცისმჭამელი ძუძუმწოვარი კატის ოჯახის წარმომადგენელი ცხოველი, რომელსაც აქვს შავზოლებიანი მოწითალო-მოოქროსფერო ტყავის საფარი). ბირთვის გარშემო განლაგდებიან მეორეხარისხოვანი სემები, მაგ. „wild" (გარეული), „fierce" (გარეული) „active" (აქტიური), „destructive" (გამანადგურებელი), „strong" (ძლიერი) და ა. შ.

აქ ხდება უკვე მნიშვნელოვანი და შემოქმედებითი აქტი. როდესაც პოეტი სიტყვა-ცნებას „sun" განსაზღვრავს სიტყვა-ცნებით „tiger", იგი ამით „tiger"-ს სიგნიფიკატს არ ხმარობს „ვეფხვის", როგორც მისი ჩვეული სამეტყველო დენოტატის აღსანიშნავად. ამ შემთხვევაში ის შეეფარდება მზეს, როგორც ექსტრალინგვისტური სინამდვილის საგანს, საკუთრივ მის ცალკეულ თვისებებს: „strong" (ძლიერი), „active" (ძლიერი), „destructive" (გამანადგურებელი). ამდენად „strong", „active" და „destructive", როგორც საერთო სემები, აღმოჩნდებიან შეთ ბაღნი კონტექსტის თანახმად, რის შედეგადაც ხ მათი აქცენტირება სიტყვათა მნიშვნელობების ბირთვებში. ასეთ შემთხვევაში კავშირი სიგნიფიკატსა და სამეტყველო დენოტატს შორის ირღვევა სიტყვა „tiger"-ში, ($S \neq D_1$) იმ დროს, როდესაც სიტყვა „sun"-ში ეს კავშირი შენარჩუნებულია ($S=D_1$), ე. ი. „tiger" არ ასახავს ვეფხვს, როგორც ცხოველს, ხოლო „sun" ასახავს მზეს. მეტყველების კონკრეტულ აქტში „tiger"-ი წარმოსდგება არა როგორც ცხოველი, არამედ როგორც ამ ცხოველის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა კომპლექსი. ამდენად, სიტყვა „tiger" მაიდენტიფიცირებელი სიტყვიდან დამახასიათებელ სიტყვაში გადადის. სიტყვა „sun"-ის მნიშვნელობაში სემები "strong", "active", "destructive" გადადიან გარემოდან ბირთვში, მაგრამ ამით როდი ცვლიან თვისებრივად მადიფერენცირებელ ბირთვულ სემას. პირიქით, აზუსტებენ და აღრმავებენ მის შინაარსს, რადგან „sun" აქტუალიზებულია თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. შეუთავსებადი ცნებების ნებისმიერი შეერთების შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მნიშვნელობის ბირთვის დაშლას, სემათა გადანაცვლების გზებს განსაზღვრავს შესიტყვების სემანტიკური სტრუქტურა.

რაც შეეხება მეორე კომპონენტს ე. ი. ატრიბუტს „tiger", აქ აქტუალიზაციის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: „tiger"-ში ლექსიკური კატეგორიული სემა „animal" (ცხოველი) მისი შესაბამისი მადიფერენცირებელი სემითა და გრამატიკული კატეგორიალური სემით (არსებითი სახელი ნეიტრალდება ბირთვში და ადგილს უთმობს გარემოცვიდან გადმოსულ სემებს, კონკრეტულად იმ სემებს, რომლებიც რელევანტურნი არიან კონტექსტით.

ძირითადი მადიფერენცირებელი სემის შეცვლას მოჰყვა სიტყვის ოკაზიური მნიშვნელობის რეალიზაცია, და ამ მნიშვნელობით აქტუალიზებული სიტყვა „tiger" უკვე სავსებით შეესატყვისება „sun"-ის უზუალურ მნიშვნელობას.

ამრიგად სემანტიკურად შეუთავსებადი ცნებები „sun" და „tiger" პოეტური მეტყველების კონკრეტულ აქტში შესაბამის ცნებებად გარდაიქმნებიან. უფრო მეტიც, შემოქმედებითი შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით, ისინი აღმოჩნდებიან არა მარტო შეთავსებადნი, არამედ შეუცვლელად აუცილებელნიც სრულიად უნიკალური და მრავლისმეტყველი შინაარსის გამოხატვის თვალსაზრისით. ეს შინაარსი კი, პირველ ყოვლისა, ზემოაღნიშნულ სიგნიფიკატურ მნიშვნელობასთან ერთად, გულისხმობს ვეფხვის, როგორც მხატვრული ხატის რეალიზაციას, რაზეც ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ ერთს, რომ ის ხატოვანი მეტაფორა, რომელიც რეალიზდება შესიტყვებით „the tiger sun" შემდგომ განვითარებას პოულობს ტექსტში - „....the tiger sun sill leap upon you and destroy you with one lick of his vermilion tongue" (მოვა ვეფხვი მზე და გაგანადგურებთ თქვენ თავისი წითელი ენის ერთი მოსმით.)

„ვეფხვი მზე... წითელი ენით", როგორც მეტაფორის შემდგომი განვითარება, აუცილებლად უწყობს ხელს მზის სიგნიფიკატში წითელი ფერის აქცენტირებას, როგორც ამომავალი მზისას. ის მისტიკური ძალა, რომელიც მოასახულია „ვეფხვი მზის" ხატში, რომელიც თავისი გარდაუვალი სიძლიერით ანადგურებს აისის ცაზე მთვარის თეთრ რაშებს და ვარსკვლავთა მტვერს, ასოციაციური გზით შეიძლება დავუკავშიროთ უილიამ ბლეიკის ცეცხლოვან ვეფხვს, რომელიც ასევე მიუწვდომელი იდუმალებით აღსავსეა მის ლექსში „tyger" (ვეფხვი).

„სტიროდა სული ცისფერ ლვინოებს" - გალაკტიონ ტაბიძის ლექსის პირველი სტრიქონი გახლავთ. როგორია „ლვინოების" სემური სტრუქტურა? რა მეორეხარისხოვანი სემები განლაგდებიან მისი ძირითადი ბირთვული სემის ირგვლივ. პირველ რიგში „თრობა", „ზეაწეული განწყობილება" „გაოიშულობა", „გულახდილობა", „პირდაპირობა" „გამბედაობა", „სიფხიზლის დაკარგვა", „ალოგიზმი" და ა. შ.

როგორია ცისფერის სემური გარემოცვა? „ამაღლებული", „ციური", „არამიწიური", „არაამქვეყნიური", „ზებუნებრივი", „სუფთა", „სპეტაკი", „ნათელი" და ა. შ.

როგორც ვხედავთ, შესიტყვების ამ ორი წევრის დაკავშირება საკმაოდ ნაყოფიერი და შემოქმედებითია.

თუ „ლვინოებში" ჩვენ ვიგულისხმებთ (და ჩვენ ამას თავისთავად ვაკეთებთ ავტორისაგან მომართული *მოცემულობით*, რომელიც, თავის მხრივ, ენისაგან ბოძებული *მოცემულობაზეა აგებული*) თრობას", „ზეაწეულ განწყობილებას", „გათიშულობას", „ალოგიზმს", „პირდაპირობას", გულახდილობას", „სიფხიზლის დაკარგვას", „გამბედაობას", მაშინ ეს მდგომარეობა სავსებით თავისუფლად შეიძლება განისაზღვროს ისეთი ეპითეტებით, როგორიც არის „ამაღლებული", „ციური", „არაამქვეყნიური", „არამიწიერი", „ზებუნებრივი", „სუფთა", „სპეტაკი", „ნათელი" და ა. შ. ორივე სიტყვის შემთხვევაში ეს სემები ბირთვში აქცენტირდებიან და წამყვან სემებად იქცევიან. ამდენად, ერთი სიტყვა მეორესთან შეერთებულია

პოეტური მოულოდნელობის პრინციპით, რაც, მეორე მხრივ, ინდივიდუალურ შემოქმედებით ხედვაზეა დამყარებული და ქმნის იმ შინაარსს, რომლის გადმოცემასაც, მთლი პროზაული პასაჟი არ ეყოფოდა და ისიც, გამოხატვის ამგვარ სისხარტეს მოკლებული, უდავოდ, მოკლებული იქნებოდა პოეტურ მხატვრულობასა და ესთეტიზმს.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ის სიგნიფიკატური შინაარსი, რომელიც შესიტყვების ორ წევრს უყალიბდება მეორეხარისხოვანი სემების აქცენტირებით ბირთვში. როგორია ამ სიტყვების ბირთვთა შემადგენლობა, ანუ როგორია მათი პირდაპირი მნიშვნელობები:

„ღვინის“ ბირთვული სემა გახლავთ „ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი“. „ცისფერი“ კი ასე განისაზღვრება ლექსიკონში: „რაც ფერით ცას მოგვაგონებს, ღია ლურჯი“.

ლექსის პირველ სტრიქონში და შემდეგ ლექსის მთელ ტექსტში განხილული აღნიშნული შესიტყვება იძლევა შესაძლებლობას მასში ორი ძირითადი შინაარსობრივი პლანის ამოკითხვისა, რომელიც ერთდროულად არის რეალიზებული ლექსში:

ერთი მხრივ, ესაა სულის ტირილი, სულის გოდება, ზეაწეულ და სუფთა განდგომაზე მიწიერებიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ ცალკეულ სემათა რიგით განვსაზღვრეთ, ხოლო, მეორე მხრივ, ეს, ამავე დროს არის ტირილი გამჭვირვალე ცისფერი კურცხალით, რომელიც პოეტს ღვინის წვეთებთან შეუდარებია - „ცრემლებით თვალი უბრწყინავს სველი“, როგორც ეს ბოლო სტრიქონშია აღბეჭდილი.

საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს მაკოორდინირებელი სემის გამოყოფა შეუთავსებადი შესიტყვების ერთ-ერთი წევრის სიგნიფიკატში. ასეთი შესიტყვებები ჩვენ ოკაზიურ შესიტყვებათა *მეორე კლასს* მივაკუთვნეთ.

*მაკოორდინირებელ სემას* ვუწოდებთ მნიშვნელობის იმ მეორეხარისხოვან ნიშანს, რომელიც გამოიყოფა ერთ-ერთ სიგნიფიკატში და არეგულირებს ურთიერთობას შეუთავსებად წევრებს შორის, ერთი სიტყვით, მართავს ამ ცნებათა სინთეზის პროცესს. ასეთი სემა აქცენტირდება გარემოდან ბირთვში და განაპირობებს სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. რაც შეეხება ამ სიტყვის ძირითად მადიფერენცირებელ სემას, ის ნეიტრალდება და იხშობა. („затушевывается“). ამგვარად ყალიბდება მაკოორდინირებელი სემის შემცველი კომპონენტის ოკაზიონალური მნიშვნელობა, რომელიც აღმოჩნდება შეთავსებადი მეორე წევრის კონტექსტუალურ მნიშვნელობასთან.

ამერიკელი პოეტის ჯ. ეშბერის ერთ-ერთ ლექსში აღწერილია ღამის სურათი, როდესაც მათხოვარი თავისი უცნაური სიმღერით დაარღვევს სიჩუმეს.

ამ შინაარსის აღსაწერად პოეტი უჩვეულო შესიტყვებას მიმართავს და ღამის სიმყუდროვის დარღვევის გამოხატავს შესიტყვებით "Striped the night" (გახაზა ღამე):

That beggar to whom you gave no cent zstriped the night with his strange descant

J. Ashbeppy).

(იმ მათხოვარმა, რომელსაც შენ არც ერთი ცენტი არ მიეცი, გახაზა ღამე თავისი უცნაური სიმღერით).

მიკროკონტექსტი უკვე მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ „night" (ღამე) ლექსში იხმარება ღამის სიჩუმის მნიშვნელობით, ხოლო "stripe" (გახაზვა) ამ სიჩუმის „დარღვევის“ მნიშვნელობის მატარებელია.

როგორ ხდება ეს?

ზმნას „to stripe“ ინგლისურ ენაში გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა: "to mark with a stripe or stripes" (испещрять полосами - Барс), რომელიც ამავე დროს მის ძირითად მადიფერენცირებელ სემას წარმოადგენს. მის ირგვლივ განლაგებულ თუ არსებულ სემათა შორის არის „კვალის დამჩნევა“ (to leave a trace), to change the form (ფორმის შეცვლა) და ა. შ., რომლებიც ამ შემთხვევაში აქცენტირდებიან და განავითარებენ „დარღვევის“ მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ აკორდინირებს ურთიერთობას მეორე წევრთან და საერთოდ მთელ კონტექსტთან.

თარგმანის შემთხვევაში უდავოდ, სასურველია ამ ხატოვანი შესიტყვების სათანადო შენარჩუნება. აღნიშნული ლექსის თარგმანი ქართულ ან რუსულ ენებზე ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ქართულ პოეტურ ხედვაში მსგავსი მოვლენები საკმაო რაოდენობით მოიძებნება, რომ აღარაფერი ვთქვათ ზუსტ პარალელზე მურმან ლებანიძესთან: „შენ საქართველოს ღამე გახაზე“.

ლექსი მიძღვნილია გურამ თიკანაძისადმი და აღწერს ქართველი სპორტსმენის დაღუპვის თავზარდამცემ ამბავს, რომელიც ღამით დაატყდა თავს საქართველოს, რის გადმოსაცემადაც პოეტი მიმართავს უჩვეულო შესიტყვებას - „შენ საქართველოს ღამე გახაზე“.

ოკაზიურ შესიტყვებათა მესამე კლასს განეკუთვნება ისეთი შესიტყვებები, რომელთაც ენის სისტემაში არ გააჩნიათ არც საერთო და არც მაკოორდინებელი სემები. ასეთ შემთხვევაში უჩვეულო მნიშვნელობით იხმარება ერთი წევრი, ე. ი. როდესაც მისი სიგნიფიკატი არ ემთხვევა სამეტყველო დენოტატს ($S \neq D_1$) ან ორივე წევრი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს უზუალური მნიშვნელობით, ე. ი. როდესაც სიგნიფიკატი შეესაბამება სამეტყველო დენოტატს ($S = D_1$).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, სხვა შემთხვევა გულისხმობს სიტყვათა ისეთ შეერთებას, როდესაც წევრების სიგნიფიკატებს, მართალია, ენის სისტემაში საერთო არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ტექსტში უზუალური მნიშვნელობით იხმარებიან. მაგალითად დავასახელებთ გალაკტიონის „გამხდარ რეტს“:

სიკვდილით დასჯა მას მიუსაჯეს,
ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი!
ეშაფოტიდან უყურებს შორს პანს
დღემდე თვალების გამხდარი რეტი.
ასეთი არის მისი პორტრეტი...
ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს...

ეს ნაწყვეტი ამოღებულია გალაკტიონის ლექსიდან „ისევ ეფემერა“ - იგი მისი დასკვნითი ნაწილია და რთული მისახვედრი არ არის, რომ „გახმდარი“ აქ გამხდარ ადამიანს ნიშნავს, ხოლო, „რეტი“ თვალების რეტს, მათ გამომეტყველებას, ანუ დარეტიანებული კაცის მზერას. როგორც ვხედავთ, ორივე სიტყვა ტექსტში პირდაპირი უზუალური მნიშვნელობით იხმარება, ოღონდ უჩვეულოა მათი შეკავშირება - კავშირი, რომელიც საგანთა და მოვლენათა ახალ, პოეტურ და ამავე დროს უჩვეულო ხედვას ემყარება.

ამდენად, გამხდარი, რეტდასხმული კაცის თვალები დანახული და აღბეჭდილია, როგორც „თვალების გამხდარი რეტი“, რაც ქმნის კიდევაც ლექსის და მისი ავტორის ორიგინალობას, რომ აღარაფერი ვთქვათ მის შინაარსობრივ ტევადობასა და ესთეტიკურ ღირებულებაზე.

ვფიქრობთ, სიტყვის სემურმა ანალიზმა ნათელი მოჰფინა პოეტური ხედვით აღბეჭდილ სიტყვის უჩვეულო კავშირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესელავა იმ გამორჩეულ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული პოეტური მეტყველების სირთულეც, სიღრმეც და თავისებურებაც და, მაინც, კვლევის თანამედროვე ლინგვო-სტილისტური და ლექსიკო-სემანტიკურ მეთოდებს მოკლებული, ვერ ამტკიცებდა მეცნიერულად იმას, რასაც ეჭვგარეშეა, გრძნობდა და განიცდიდა კიდეც.

სიტყვათა უჩვეულო და ალოგიკურ კავშირებს მ. კვესელავა ზოგ შემთხვევაში ლექსის სხვა კატეგორიის, საკუთრივ, არალექსიკურის პრევალირებით ხსნიდა. ამის ნიმუშად მოვიყვან ნაწყვეტს მისი „პოეტური ინტეგრალებიდან":

„...რითმი ათავისუფლებს სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობისაგან და სხვა დანიშნულების სტრუქტურულ ელემენტად აქცევს. მსგავს შემთხვევაში სიტყვა თავისი „შიშველი ფორმით" უკავშირდება ლექსის საერთო სტრუქტურას და არა ცნებას ლოგიკური მნიშვნელობით. შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს და იკითხოს: ცნება როგორ კარგავს თავის შინაარსს ან „შიშველი" ფორმით როგორ შედის ლექსის საერთო სტრუქტურაში. *აი როგორ!* (ხაზგასმა ჩემია - ი. მ.) ამ შემთხვევაშიც მე განგებ ვიღებ გალაკტიონის პოეზიის არა მესამე (ინტეგრალურ) არამედ პირველი სახეობის ლექსს:

მთავაზობდით დები ვარდთ
და ამბობდით ლანდებით:
თქვენ ისეთი კარგი ხართ,
თქვენ პოეტი ბრძანდებით.

ამ ლექსის რიტმი, მისი ინტონაციური ინერცია ისე გაგიყოლიებთ, რომ დარწმუნებული ვარ, ყურადღებასაც არ მიაქცევთ, რას უნდა ნიშნავდეს ამ კონტექსტში სიტყვა „ლანდებით". მას ხომ არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს სხვა სიტყვებთან. ამის გამო იგი აზრობრივადაც ამოვარდნილია კონტექსტიდან, მაგრამ ლექსის რიტმულ-მუსიკალურ დინებაში მაინც ასრულებს თავის ფუნქციას. თუ კიდევ გნებავთ ასეთი მაგალითი, აი, თუნდაც ეს:

როცა დაეცა შური ბინდისა
დამძიმებული მუქი ხავერდით,
ამართულიყო ის მთაწმინდაზე
სიკვდილის გვერდით.

„რა არის ეს „შური ბინდისა?" - იკითხავს მ. კვესელავა, - ჯერ ვიფიქრე, იქნებ კორექტურული შეცდომა იყოს-მეთქი, „მუქი" და არა „შური". „მუქი ბინდისა" სემანტიკურად ნათელია, ხოლო „შური ბინდისა" გაუგებარია. შემოწმებამ ჩემი ვარაუდი კორექტურული შეცდომის შესახებ არ დაადასტურა. გალაკტიონს ნამდვილად უწერია: შური ბინდისა. ჩანს, აქაც ის ხერხია გამოყენებული, რაც მოითხოვს სიტყვების გათავისუფლებას ჩვეულებრივი „ავტომატური კავშირებისაგან". ზოგჯერ ამგვარი „თავისუფლება" იწვევს სახის „სასურველ ბუნდოვანებას", ლოგიკური თვალსაზრისით შეუძლებლის პოეტურ გამართლებას...

პოეტური მეტყველების რიტმული დინება აქაც ისე გაგვიტაცებს, რომ ლოგიკურ შეუსაბამობებს სულაც არ ვაქცევთ ყურადღებას.

ან რა საჭიროა?!

ამ სიტყვებით ამთავრებს მიხეილ კვესელავა თავისი წიგნის ერთ-ერთ თავს „რიტმული ლანდები".

რას შეიძლება ნიშნავდეს აქ „ლანდები". უდავოდ იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ სიტყვის უჩვეულო ხმარებისას გალაკტიონი აუცილებლად აცნობიერებს მის სემურ სტრუქტურებს, ეძებს მისი მნიშვნელობის ზრდის შესაძლებლობს. პოეტის ხელში სიტყვა გაუცნობიერებლად ეძლევა მოქნილ სახეცვლილებას, რომლის აღწერა ჩვეულებრივ, ორდინალურ ლოგიკას არ ემორჩილება და რომელსაც ჩვენ ფსიქოლოგების მსგავსად უფლება გვაქვს „განსხვავებული ლოგიკა" ვუწოდოთ. (ს. ლეკლერი).

ჩვენი აზრით, „ლანდები" იმ სიმკრთალეზე, გაურკვევლობაზე და ეფემერულობაზე მიანიშნებს, რითაც შეიძლება ხასიათდებოდეს „დების" მეტყველება, როდესაც ისინი დიდ მგოსანს ვარდებს შესთავაზებდნენ და თან მოკრძალებით ეტყოდნენ „თქვენ ისეთი კარგი ხართ"... და ა. შ.

მაგრამ განა „გაურკვევლობა" თუ „ეფემერულობა" და მრავალი სხვა მსგავსი ნიშან-თვისება „ლანდის" როგორც ვირტუალური სიტყვის, სემანტიკურ ნიშან-თვისებებს არ წარმოადგენს?

ამგვარად, შესიტყვება „ამბობდით ლანდებით", თანახმად ჩვენი კლასიფიკაციისა, განეკუთვნება შესიტყვებათა პირველ კლასს, როდესაც სიტყვების სიგნიფიკატებს საერთო სემები გააჩნიათ და ერთ-ერთ მათგანს ტექსტში უვითარდება გადატანითი მნიშვნელობა. ეს კი შემდეგნაირად გვესახება: „ამბობდით ლანდებით" აღნიშნავს: „ამბობდით კრძალვით, ნაზად, გაურკვევლად, იდუმალად" და ა. შ., ანუ ისე, როგორც ამას გვთავაზობს „ლანდების" ვირტუალური სისტემა აქტუალურ ქმედებაში მოყვანილი.

რაც შეეხება შესიტყვებას „შური ბინდისა", ის მესამე კლასს განეკუთვნება, როდესაც სიგნიფიკატებს ენის სისტემაში საერთო არ გააჩნიათ და ორივე მათგანი პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება.

იმედი მაქვს, ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის შემდეგ აღარ უნდა იყოს „გაუგებარი" აღარც „ლანდები" და არც „შური ბინდისა" თუნდაც საკუთრივ იმ კონტექსტში, რომელშიც მათ მ. კვესელავა წარმოადგენს.

ამგვარად შესიტყვება „შური ბინდისა" მოცემულ კონტექსტში - ეს არის სიბნელის შური სინათლის მიმართ, რომელიც მარადიულ თემას წარმოადგენს პოეზიაში - შევადაროთ იგი „ხეების ჯიბრს" - ანალოგიურ მოვლენას სხვა შემთხვევაში:

„დაეშვა თოვლი... ხეების ჯიბრი დაფარა ნაბდით ნაყაჩაღარით" („რამდენიმე დღე პეტროგრადში").

ყოველი აისი წყვდიადს განადგურებით ემუქრება. ბინდი მარცხდება ყოველ ღამით, როგორც კი ცაზე რიჟრაში გაჩნდება. ამიტომაც „ეცემა" იგი მუქი „ხავერდით" „მთაწმინდაზე სიკვდილის გვერდით", რაც მთლიანი ლექსის სიმბოლურობას ემსახურება (ეს მაგალითი შევადაროთ ემი ლოუელის ზემოთ განხილულ ლექსს "Night clouds").

მიხეილ კვესელავა გრძნობს, რომ მათი შეკავშირება არ ექვემდებარება ლოგიკურ კავშირს, მაგრამ განა ლექსი ოდესმე „ლოგიკური კავშირების „პრინციპით აგებულა მხოლოდ... „ლოგიკური შეუსაბამობები" სწორედაც რომ იმ „განსხვავებულ ლოგიკას" ემორჩილება, რომელიც შემოქმედის აზროვნების მამოძრავებელია მარად, და მის მიერ შექმნილ სისტემაში შემთხვევით ნახმარი ელემენტი „შემთხვევითობად" არ განიხილება:

ერთი ხაზიც არ გაივლება უმიზნოდ... რადგან პოეზია ერთ ასოსაც არ დაუშვებს უმნიშვნელოს ისევე, როგორც ფერწერა არ დაუშვებს ერთ ერთ მარცვალს ქვიშისა ან ღეროს ბალახისა უმნიშვნელოს..." უილიამ ბლეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა წურწუმია

# ბიბლიური მოტივები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

ქრისტიანული სამყაროს ეთიკა და კულტურა იყო ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. ბიბლიური მოტივები, სახეები, განწყობა, ლექსიკა კვებავდა ბარათაშვილის პოეტურ სულს, მის ესთეტიკურ სამყაროს. რომანტიკული პესიმიზმის უმთავრესი გამომწვევი მიზეზი არის არსებული სინამდვილის შეურიგებლობა და აქედან გამომდინარე სწრაფვა ზებუნებრივისაკენ, ცისკენ, უსაზღვროებისაკენ, მისტიციზმისაკენ. რომანტიკული პოეზია და სული მთელი თავისი უნაზესი ბუნებით უპირისპირდება მახინჯ და არასრულყოფილ რეალობას.

ნ. ბარათაშვილი მიმართავს ბიბლიურ მოტივებს, როგორც პოეტური განწყობის გამომხატველს, როგორც ლიტერატურულ პირველწყაროს. ცხადია, პოეტი კარგად იცნობდა ბიბლიას, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. მისი ბევრი ლექსი აგებულია ბიბლიისა და სახარების ღრმა ცოდნის საფუძველზე. ახალგაზრდა ბარათაშვილი კარგად რომ ფლობდა საეკლესიო წიგნებს, ეს ჩანს მისი დის ბარბარე ვეზირიშვილის ნაამბობიდან: „ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“.

ნ. ბარათაშვილის გენიაში ორი საწყისი აღმოცენდა: ღვთაებრივი და მიწიერი. პოეტი მარტო მიწიერი სიყვარულით არ შემოიფარგლება. მას უფრო იზიდავდა დიდი, სრულყოფილი და ზეციური. აკი პოეტიც ამბობდა: „მაგრამ მე გვამში სული ველარ მომთავსებია“.

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილის პოეზიაში საღვთო და მიწიერი სიყვარული ისე კლასიკურად არის შეზავებული ერთმანეთთან, რომ მათი გამიჯვნა დიდ სირთულეს იწვევს. ე. ი. ძნელია გაგება, თუ საიდან იწყება მიწიერი და საღვთო მიჯნურობა, მაგრამ, თუ პოეტის ლექსების სიღრმეებში ღრმად ჩავიხედავთ, ცხადი ხდება, რომ ბარათაშვილის პოეზიაში ბიბლიური ფონი ენაცვლება მიწიერ სამიჯნურო განწყობას. სწორედ ამ ამაღლებული განწყობით გაემიჯნა ბარათაშვილი სპარსულ-აღმოსავლურ ტრადიციებს და დიდი რუსთაველისა და გურამიშვილის ხაზის გამგრძელებლად მოგვევლინა.

პოეტი შესტრფოდა როგორც მდინარის პირას მჯდომ ნაქებ ქეთევანს, რომელსაც „გიშრის თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკსა საცმელსა“ (ქეთევან), ასევე არახორციელ, ჰაეროვან, სატრფოს, რომლის თვალებიდან გამონადენი ცრემლი არა ამსოფლისაა:

> მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
> არ სტიროდა ამ სოფელსა,
> სახე შენიმოწყენილი
> არა ჰგვანდა ხორციელსა.

პოეტს ყაბახისა და კოჯრის არემარეც მოსწონდა, „მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო“, და ქალთა კრებაში მოსეირნე თეთრკაბიანი ქალი, რომელსაც პოეტი გულწრფელად უცხადებდა:

> დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,
> რომ ვერც მოდები
> ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნასა და ვერც დროები!

ამავე დროს პოეტის სულში „ზეცაც“ ბატონობდა. მისი სული ნათელი ფერებისაკენ მიილტვოდა და უჩნდებოდა სურვილი, გამხდარიყო „ვარსკვლავი განთიადისა მორბედი“ („არ უკიჟინო სატრფოო“). სურდა, გამხდარიყო მზე, რათა მზის „აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველი და ვარდი“. და ეს ლტოლვა არაამქვეყნიურია, ცისიერია, უხრწნელია, მშვენიერია, „მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“.

თუმცა, პოეტს „მიწაც“ უყვარდა და სწორედ მიწის სიყვარულმა დააწერინა „საყურე“, პოეტში უფრო და უფრო ილვიძებს „ზეცა“, ბუნება ილვიძებს და ბუნებისაკენ მიილტვის. პოეტმა დასძლია „მიწა“, ჩამოიშორა მიწის ჭუჭყი. თუ მანამდე, პირველ პერიოდში (ასე პირობითად შეიძლება დავყოთ ბარათაშვილის პოეზია.) პოეტი წერდა: „საყურეს“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „თავადის ჭ...ძის ასულს ეკ...ნას“, „შენნი დალალნი ყრილობენ გველად“ და სხვა, მეორე პერიოდში წერს: „ჩემი ლოცვა“ „შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს“, „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, „ცისა ფერსა, ლურჯსა ფერსა“, „ვპოვე ტაძარი“, „ჩინარი“, „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“.

ყოველივე ამის შემდეგ, ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ქალის აღქმა და გააზრება სულ სხვა თვალსაზრისით ხდება. რომანტიკულ განწყობაზე შეიძლება ზეგავლენაც კი იქონია შუა საუკუნეების ტრადიციულმა მიდგომამ ქალისადმი, ქალის გაღვთიურების კულტმა. იპოლიტ ტენის სიტყვებით რომ ვთქვათ: „პოეტმა თავისი სატრფო გადააქცია არაამქვეყნიურ სათნოების განსახიერებად და ევედრებოდა, რომ წინ გასძღოლოდა და მიეყვანა ზენა სამყაროს, „ღვთის სამეფოში“.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი – „შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს“ ეს ლექსი მთელი თავისი კაზმულობით ღვთისკენ სწრაფვის გამოვლინებაა. აქ მიწიერი სიყვარული მისტიკურ-ალეგორიულ ტრფიალში გადადის და ხორციელი ტრფობის ნაცვლად ისმის მსასოებელი ღაღადისი უფლის მიმართ, იმ უფლის მიმართ, „ყოვლნი კეთილნი“ რომ „შეიერთა“. პოეტი მზადაა, ემსახუროს ასეთ მიჯნურს. დაიწვას დასანაცრებლად და თავისი ფერფლი, ვით საკმეველი, შესწიროს სალოცავ სატრფოს.

„მამა ღმერთის“ სახე შთამბეჭდავად ფიგურირებს ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი – „ჩემი ლოცვა“. თვით ლექსის სათაური ფსალმუნებიდან იღებს სათავეს.

„მოისმინე ჩემი ლოცვა, უფალო, და ჩემს ვედრებას ყური მოაპყარი“ (38-13).

ლირიკული გმირი „ძე შეცდომილი“ ევედრება უფალს – „ცხოვრების წყაროს“, ცოდვების მიტევებას. „პირველ უმანკომ თვით ადამმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცოდა შენს მცნებას“, - კრძალვით მიმართავს პოეტი უფალს და შესთხოვს, მყუდროებას ნუ დაურღვევს მის სადგურს. უფალი „გულთა მხილავია“, უწყის ლირიკული გმირის ზრახვები, რომელიც ითხოვს: „მამა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“.

ცხადია, პირველწყარო ამ ლექსისა არის ბიბლიური წიგნები.

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა“ - აქ პოეტი გვესაუბრება არა ჩვეულებრივ წყაროს წყალზე, არამედ: „ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელსაც მე მივცემ, საუკუნო სიცოცხლისაკენ მომდინარე წყლის წყაროდ იქცევა მასში“ (იოანე 4.14).

ბიბლიიდან იღებს სათავეს ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „ცისა ფერსა, ლურჯსა ფერსა, ამ ლექსის პირველწყაროა დაბადება. როდესაც პოეტი ამბობს: „ცისა ფერსა, ლურჯსა ფერსა, პირველად ქმნილსა ფერს“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი, როგორც მორწმუნე ოჯახში და საზოგადოებაში აღზრდილი და საღვთო წიგნების კარგი მცოდნე, ყურადღებას ამახვილებს ღმერთის მიერ პირველად შექმნილ ფერზე, და ეს ფერი იყო ნათელი.

კიდევ უფრო საინტერესოა ლექსი „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ეს ლექსი ბიბლიური სიტყვების გაპოეტურება-ხორცშესხმის საუკეთესო ნიმუშია. პოეტი გვირჩევს „სევდით მაშვრალთ“, ვეზიაროთ ღვთის ჭეშმარიტებას, სიკეთეს, სათნოებას, სიყვარულს. „გასვათ სასმელი ღმერთასი“, რომელიც ყოველგვარ ტკივილს განაქარვებს ადამიანში.

ლექსში მთელი ყურადღება გადატანილია სულიერ ზიარებაზე. ლექსში მოხსენიებულია თასი. როდესაც ქრისტიანი კაცი ზიარებას ლებულობს მან თასიდან უნდა მიიღოს საზიარებელი ღვინო. ღვინო სიმბოლურად ქრისტეს სისხლის სიმბოლოა. ლექსში მოხსენიებულია ბიბლიური პერსონაჟი - მართა. საღვთო ისტორიიდან ვიცით, რომ მარიამი და მართა ლაზარეს დები იყვნენ:

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის,
ბედნიერი ვარ, მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ
და მოსალხინო მართასი!

ლექსში „ვპოვე ტაძარი“, პოეტს ანგელოზების, ბიბლიური დავითის, „ციურ დასთა გალობის ზარი ჩაესმის“. ასეთ ადგილას ეძებდა პოეტი „განსვენებას წრფელითა ზრახვითა“. წმინდა ლამპარი, როგორც პოეტი ამბობს „განმიტფობდა (სულსა) ციურის სხივითა“, მაგრამ მის სულში აალებული ეს ციური სხივი უკულმართი, ცრუ და მუხთალი ბედისწერისაგან ქრება და დასევდიანებულ პოეტს აღმოხდება:

„დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი“.

ამ ლექსის ბიბლიური წარმომავლობა სადავო არ არის. ლექსის პირველი წყარო ცხადია, ბიბლიაა.

როგორც ცნობილია, ტაძრის ნგრევისა და დამხობის მოტივები ბიბლიური წიგნებიდან იღებს სათავეს. ბარათაშვილის გამოთქმები: „განქრა ტაძარი-და უდაბნო ჩემდა მდუმარებს“, „მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი“. აქ უნებლიეთ ბიბლიურ წიგნებში გააზრებული ტაძრის ტაძრის დამხობის მოტივები შეგვახსენებს თავს.

მოვლენ დღენი, როცა ყოველივე იმისაგან, რასაც ხედავთ, ქვა ქვაზედ აღარ დარჩება, არამედ ყველაფერი დაინგრევა“. (ლუკა 21. 6).

„ჩამოაქცევს, დაამხობს შენი გალავნის მაღალ ბურჯებს, მიწასთან გაასწორებს“ (ესაია 74.10)

„წმინდა ლამპრის“ სახე-სიმბოლოც ბიბლიიდან იღებს სათავეს.

„უფალო ჩემო, ლამპარი ხარ, უფალი ბნელს მინათებს“ (მეორე მეფეთა 22. 29) „სიონის გამო არ დავდუმდები და იერუსალიმის გამო არ დავმშვიდდები, ვიდრე ნათელივით არ გამოჩნდება მისი სინათლე და ანთებული ლამპარივით მისი სახე“ (ესაია 62.1)

„ვპოვე ტაძარში“ დავითის ფსალმუნნის ინტონაცია ანარეკლი გაისმის: „ერთს ვთხოვ უფალს, ამას ვევედრები, რომ დავემკვიდრო უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვუმზერდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარს ვხილავდე, რადგან შემიფარავს იგი თავის კარავში გაჭირვების ჟამს“ (26. 4).

ნ. ბარათაშვილთან ამაოების თემა ბიბლიური წიგნებიდან, კერძოდ, ეკლესიასტედან იღებს სათავეს:

არ ვიცი ამ დროს ჩვენს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?
მაინც რა არის ჩვენი ყოფა,- წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ასეთია ის ბიბლიური მოტივები, ლექსიკა, ფრაზეოლოგიური შეხვედრები, განწყობის გადატანა, რომელიც ასე შესამჩნევლად ფიგურირებს ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. დამოწმებული მაგალითები მოწმობს, რომ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ბიბლიური წიგნებია.

„მერანში“ გამოვლინდა ყველაზე დიდი სევდა ახალგაზრდა პოეტისა. მართალია „მერანში“ ბარათაშვილი სძლევს ეკლესიასტეულ სევდას, მაგრამ აქ მთელი სიმძაფრით იჩენს თავს ადამიანთა გულცივობას, უყურადღებობას ზვარაკად შეწირული პოეტის დიდი სევდა.

და: „ვინც მაღალი გრძნობის მქონენი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიცა სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია... ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველებად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ერთადერთი გზა იყო სივრცეში გაჭრა, უსაზღვროება, სილაჟვარდე, გაქცევა თვალბედითი შავი ყორანის კლანჭებისაგან, ღვთის საუფლომდე მიღწევა.

„მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა, მან იგი აწ მოიხელთა“.
1845 წელი...
განჯა...
უცრემლოდ დატირებული მგოსანი...
მგლოვიარე სერაფიტები...
ქარიან ღამეს დედა ეფემიას გოდება...

ნ. ბარათაშვილს არ დასცალდა ბოლომდე გამოეცალა წმინდა თასი. დრო უჟამურმან დაჰკრა თავისი მას ავი თვალი, ცრუ და მუხთალმა წუთისოფელმა დაუხშო ტაძარი წმინდა - ნუგეშის კარი და...

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი...

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მაინც ჩანს დიდი ოპტიმიზმი. მას სწამს ზეცის, ანგელოზების, ღვთის ტაძრების, სადაც მარად უქრობლად ინთება წმინდა ლამპარი. სწამს, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ია ნადირაძე

## ქართული ხალხური გამოცანა

ქართული ფოლკლორის მცირე ჟანრებს შორის მრავალფეროვანი თემატიკით, თავისებური გამომსახველობითი ხერხებით, შემეცნებითი ხასიათით გამოირჩევა გამოცანა. იგი წარმოადგენს ,,მეტაფორების, მეტონიმების, პოეტური პარადოქსების და ტროპის უამრავ სახეობათა ისეთ მდიდარ არსენალს, რომლის მსგავსი არ იცის სხვა არა მარტო მცირე, არამედ გაცილებით უფრო დიდი მოცულობის ჟანრებმა“ (ხალხური სიბრძნე, V, ჯ. ბარდაველიძე. გამოცანა, გვ. 19)

გამოცანა ემყარება მხატვრული ფორმით დასმულ კითხვას, მოითხოვს მსმენელის აქტიურ დამოკიდებულებას, გონების დაძაბვას, მსჯელობას. იგი აღიარებულია, როგორც კონკრეტული სიბრძნის გამოხატულება, ადამიანის გონიერების, მისი ინტელექტის დადასტურება.

გამოცანა უხსოვარი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საწესჩვეულებო პოეზიასთან, მითოლოგიასთან, ტაბუსთან და მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა გართობის, თამაშის, გონების ვარჯიშის ფუნქციით, იქცა საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთ სახედ.

გამოცანის ამოსავალი, მისი წარმომშობი ერთ-ერთი პირობაა ანიმისტური აზროვნება: გამოცანაში სული აქვს ჩადგმული ყველა საგანს, ბუნების მოვლენას. პირველყოფილმა ადამიანმა გაასულდგმულა ბუნების დამთრგუნველი, საშინელი მოვლენები და შექმნა ხატოვანი მითები. ბევრ გამოცანას ატყვია ამ მითიური სიძველის ანაბეჭდები და, საერთოდ, გამოცანებში დანაშრევებად დარჩა კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპი. დროთა განმავლობაში გამოცანები დაფუძნდა ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში შეცვლილი ფუნქციით: თუ თავდაპირველ ეტაპზე ისინი ყოველდღიურ ყოფაში პირობითი მეტყველების, ტაბუირების სახით გამოიყენებოდა, თანდათან, სინამდვილეზე სწორი შეხედულების შემუშავების შედეგად ,,გამოცანური“ მეტყველებიდან გამოიყო გამოცანა, როგორც მხატვრული მოვლენა. ,,ძველ და ახალ გამოცანებს შორის მიჯნად დაიდო ძველი მითოლოგიური წარმოდგენების, როგორც ყოფა-ცხოვრებაში გამოცანური მეტყველების, საფუძვლის გაქრობა“ (В.П. Аникин, Русские народные пословицы, поговорки, загадки и детский фольклор М. 1957, стр.68)

გამოცანები გვხვდება უძველეს წერილობით ძეგლებში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500-2000 წლის წინათ სანსკრიტის ენაზე შექმნილ სარწმუნოებრივი ჰიმნების კრებულში ,,რიგვედა“ მოცემულია გამოცანის რამდენიმე ნიმუში; გამოცანები შესულია ძველ არაბულ მწერლობაში, იგავ-არაკული ჟანრის ,,ახიკარის დარიგებებში“, ბიბლიაში, თალმუდში, ძველ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც ხშირად გვხვდება გამოცანები, ხოლო რაც შეეხება წმინდა ხალხურ გამოცანებს, მათი ფიქსირება 150-200 წლის წინ დაიწყო. ამ საქმის წამომწყებად ითვლებოდა პლატონ იოსელიანი, რომელმაც XIX საუკუნის 30-იან წლებში შეკრიბა ანდაზები და გამოცანები. 1975 წელს მკვლევარმა ლ. ათანელიშვილმა მიაკვლია ,,მრავალთავში“ შესულ 71 კრიპტოგრამიან გამოცანას; ამდენად, ქართული ხალხური გამოცანების შემკრებლობის რეალური ისტორია უნდა დავიწყოთ კრიპტოგრამიანი გამოცანებით, რომლებიც შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის გასულსა და XIX საუკუნის დასაწყისში. შემდეგ ქართული გამოცანების შეკრებაში დიდი წვლილი შეიტანეს რ. ერისთავმა, ნ. უმიკაშვილმა, ა. წერეთელმა, ივ. გომელაურმა, მ. კელენჯერიძემ, თ. რაზიკაშვილმა, დ. ნახუცრიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, ქს. სიხარულიძემ...

გამოცანის ასაკი, მისი ფუნქციის ცვალებადობა, მხატვრული სპეციფიკა ართულებს ჟანრის ზუსტი და, ამასთან, ლაკონური განმარტების ჩამოყალიბებას.

არისტოტელეს გამოცანა კარგად შედგენილ მეტაფორად მიაჩნდა, ე. ბ. ტეილორს - უძველესი წყობის ამოცანად, რომელსაც სრულიად სერიოზული პასუხი უნდა გაეცეს (Первобытная культура, 1989, ст. 78); ა. კვიატკოვსკი ამბობს, რომ გამოცანა ძნელად გამოსაცნობი პოეტური გამოთქმაა, რომელშიც გამოსაცნობი საგნის ნიშნები დაშიფრულადაა მოცემული, იგი აგებულია შენელებული მეტაფორის, კალამბური ალეგორიზმისა და გართულებული პარალელიზმის პრინციპებით. (Поэтический словарь, М. 1966, ст. 110). ვ. ანიკინის განმარტებით ,,გამოცანა არის პოეტური დამაფიქრებელი აღწერა რაიმე საგნისა ან მოვლენისა ადამიანის მოსაზრებულობის გამოსაცდელად და მისთვის სინამდვილის პოეტური აღქმის სასწავლებლად შექმნილი (В. П. Аникин, Русские народные пословицы, поговорки, загадки детский фольклор, М. 1957, ст. 56) მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. რიბნიკოვას აზრით გამოცანები ხალხის ცოდნისა და გარე სამყაროზე შეხედულებების შეჯამებაა, ხალხური მსოფლმხედველობის თავისებური კურსია.

ცნობილმა რუსმა მეცნიერმა და კოლექციონერმა დ. ნ. სადოვნიკოვმა გამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა განმარტება, რომლის მიხედვითაც გამოცანაში ადამიანის ფანტაზიისათვის ფართო სივრცეა გახსნილი, „...загадка, это поэтическое замысловатое описание кокого-либо предмета явления сделанное с целью испытать сообразительность человека, равно как с целью раскрыть ему глаза на поэтическую красоту и богатство предмета-вещественного мира"(Д. Н. Садовников, загадки русского народа, СПБ, 1876 ст. 1-3).

მ. ჩიქოვანის აზრით, გამოცანა ემყარება მხატვრული ფორმით დასმულ კითხვას, მოითხოვს მსჯელობასა და დაშიფრული კითხვისთვის პასუხის მოძებნას. კითხვის მხატვრული ფორმა შეიძლება წარმოგვიდგეს მეტაფორის, პარალელის, ალეგორიის, რიცხვითი შედარების და სხვ. სახით. ამნაირი სიტყვაკაზმული კითხვის მიზანი გონების ამოქმედებაა, რათა პოეტურ სამოსელში დაფარული აზრი ამოვიკითხოთ. (ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 246)

გ. ჭელიძე გვთავაზობს გამოცანის შემდეგ განმარტებას: „გამოცანა გადატანითი მნიშვნელობის მოტივითა და ფრაზებით აგებული ასახსნელი სიტყვაა" (ქართ. ფოლკლორი, XIV, 1984. გვ. 54).

ფ. ზანდუკელის აზრით კი „გამოცანა რიტმული ჟღერადობის, კითხვით მოწოდებული იდუმალების შემცველი მცირეფორმიანი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც გასაშიფრის ცალკეული თვისებები და ნიშნები მეტაფორული მნიშვნელობით გვეძლევა" (ფ. ზანდუკელი, მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში, 1985, გვ. 171).

ყველა ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან შეიძლება შევაჯამოთ ის თავისებურებები რაც ახასიათებს გამოცანას:

1. გამოცანა შეიცავს კითხვას, რომელზეც უნდა გაეცეს პასუხი;

2. გამოცანაში ჩადებულ კითხვას ერწყმის იდუმალება;

3. გამოცანაში გარეგნობის კონკრეტული აღწერით, თვისებების ხაზგასმითა თუ დაპირისპირების გზით მოცემულია მინიშნება ამოსაცნობზე, რითაც მსმენელის აზრთა დინებას გარკვეული მიმართულება ეძლევა.

4. გამოცანაში არსებული პირდაპირი კითხვა ცვლის მეტაფორულობას და ამრიგად, საკმაოდ გავრცელებული მეტაფორული გამოცანების გვერდით გვხვდება პირდაპირი კითხვის შემცველი გამოცანებიც.

გამოცანის ბუნების, მისი არსის განმარტებისათვის საყურადღებოა თავად სახელი.

ქართული „გამოცანა" - გამოსაცნობი, განსამარტავი მცირე ტექსტია; ხალხი, კოლექტივი თავად მიუთითებს, რომ გამოცანა ასახსნელია, გამოსაცნობია და მისი თავისებურებები: 1. სიბრძნე (*„გამოცანას მოგახსენებთ, ვისაცა გაქვთ სიბრძნე მთელად"*); 2. გონების ძალა (*„ამისი გამომცნობელი, გონებით გამონადები"*); 3. რთული, კონტექსტი (*„ამისი გამომცნობელი ძნელია ქვეყანაზედა"*); 4. სათქმელი გაუცხოებულა (*„გამოცანას მოგახსენებ უცხოსა და მრავალფერსა"*); 5. სათქმელის უცხო სიტყვებზე გება; 6. იგავურობა (*„გამოცანას მოგახსენებ, კარგი რამე იგავია"*).

ე. ი. ხალხი გამოცანის იგავურობასთან ერთად გამოყოფს: ნართაულობას, სიბრძნეს, უცხო სიტყვებზე აგებულ რთულ და მრავალფეროვან სათქმელს, რომლის გამოცნობას შეძლებს „ჭკვიანი", „ბრძენი", „გულისხმიერი", „გონებით გამონადები" ადამიანი.

ქართული ხალხური გამოცანების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ გამოცანების ასახვის საგანი ადამიანთა ყოველდღიურ ყოფასთან მჭიდროდ დაკავშირებული უაღრესად კონკრეტული მოვლენები და ფაქტებია. ადამიანი ბევრს ფიქრობს გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებზე, ცდილობს ჩასწვდეს მათ არსს, მოძებნოს მათი ნიშანდობლივი და განსაზღვრული თვისებები და ლამაზ, მიმზიდველ ფორმაში გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მათდამი.

ბევრი ხალხური გამოცანაა შექმნილი გლეხური მეურნეობის ატრიბუტებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე... მათში გამოყენებულია მეტად თამამი მეტაფორები, ჩანს ფანტაზია:

*„ხე გავთალე ხისაო, არა ნაფოტისაო, შედიან და გამოდიან ანგელოზნი ღვთისაო"* (სკა)

*„არწივი წივის, მუხრანი ყვირის, მგელი ეპატრონება, ფუტუროს აყრის"* (გუთანი)

*„დედა-ტურფა, მამა ჯღინკი, შვილი გადარეული"* (მიწა, ვაზი, ყურძენი)

ასევე ბევრი გამოცანაა ადამიანზე, მისი სხეულის ნაწილებზე:

*„აყლაყუდა-ყუდაო, ყუდას ზევით გუდაო, გუდას ზევით - მიკრიჭა, მიკრიჭას ზევით მიჭვრიტა, მიჭვრიტას ზევით - ჭალა, შიგ ღორები წვანან"* (ადამიანი)

*„დავკეცე ფარის ოდენა, გავშალე ქვყნის ოდენა"* (თვალები)

*„თეთრი ლეწავს, წითელა აბრუნებს, ყორანა ეძახის: ჩამოყარეო"* (კბილები, ენა მუცელი)

გამოცანებში განსაკუთრებული ხატოვანებით არის გადმოცემული ბუნების მოვლენები, მნათობები:

*„ერთი თახჩა მაქვს კენჭებით გამოტ-*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ენილი“* (ცა)

*„გავიხედე - თვალი მიყო, მივედი და აღარ იყო“* (ელვა)

*„ყოველ თვისა და თვის თავზე ვარდი იმლება კლდის თავზე“* (მთვარე)

*„ავიარე ავლესაო, თხა დაეკლა პავლესაო, ხორცი ვთხოვე ნებითაო, გამომიდგა ქვებითაო“* (სეტყვა).

ძალზე შთამბეჭდავია გამოცანები ისეთ ცნებებზე, როგორიც არის სიცოცხლე, სიკვდილი. ასეთი გამოცანები თავისი რეალურობით და სისასტიკით შემაძრწუნებელიც კია:

*„დედამ დაზარდა შვილები, დიდრონები და წვრილები, დაჯდა და თვითონ შეჭამა, დააკრეჭინა კბილები“* (მიწა)

*„ერთი დედა ზრდის შვილებსა, დიდსა, პატარას, წვრილებსა, გაზრდის და თვითონვე შესჭამს, კიდევ ილესავს კბილებსა“* (დედამიწა)

*„ხუთი წავალთ, ოთხი მოვალთ“* (მიცვალებულის დაკრძალვა)

*„რა იცი და რა არ გახსოვს?“* (სიკვდილი და დაბადება)

*„ვერც იყიდი, ვერც გაჰყიდი, უმისობაც არ იქნება“* (სიცოცხლე)

გამოცანების სირთულეს საიდუმლოს შეფარვის ხერხი განაპირობებს. ამ მხრივ გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს: 1. გამოცანები, სადაც გამოსაცნობი ისეა დახასიათებული, რომ არც მთქმელი ჩანს, არც გამომცნობელია ნახსენები, არც გამოსაცნობი მეტყველებს:

*„ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბია, სცვივა და სცვივა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია“* (წელიწადი)

2. გამოცანები, სადაც თავად საგანი მეტყველებს:

*„დილით თეთრი ვარ, სადამოს შავ კუპრად გადავიქცევი, თუ თვალი მომკარ, უთუოდ საჭმელად გამოიქცევი“* (მაყვალი)

3. მთქმელი გვევლინება ამა თუ იმ საგნის მფლობელად, მხილველად:

*„ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე კიდევ სოსანი, ინდოეთს წავა, წყალს დალევს, აქავ მომივა მგოსანი“* (მერცხალი)

გამოცანის მხატვრული ფორმის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მისი წარმოშობის განსაკუთრებულმა პირობებმა და მისმა პირველადმა ფუნქციამ იქონია. მასში გამომსახველობით ხერხებს შორის ყველაზე მეტად მეტაფორაა გავრცელებული - თავად გამოცანა ხომ პირობითი, მეტაფორული მეტყველების საფუძველზეა წარმოქმნილი. მეტაფორა ფოლკლორისა და ლიტერატურის ყოველ ჟანრშია გავრცელებული გამოცანისთვის მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, „მეტაფორის გარეშე გამოცანა, როგორც ჟანრი, ვერ იარსებებს“ (ლიტ. ძიებანი, XIV, 1963, ჯ. ბარდაველიძე, გამოცანის მხატვრული ფორმის საკითხები, გვ. 308), თუმცა გვხვდება გამოცანებიც, სადაც პირდაპირი დახასიათება, ან შეკითხვაა მოცემული.

*„სახლში ძაღლი წევს, კუდი ბანზე აქვს“* (კვამლი)

*„რკინის ხარს ბამბის კუდი აბია“* (ნემსი და ძაფი)

*„მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“* (დღე-ღამე)

ამ მაგალითებში უსულო საგნის თვისებები სულიერზეა გადატანილი, სულიერისა - უსულოზე.

გამოცანებში ძალზე ხშირადაა გამოყენებული ალეგორიული მეტაფორები, რომლებშიც ზუსტადაა განმეორებული ხალხურ პოეზიაში დამკვიდრებული სიმბოლიკა:

*„ალვის ხე წაქცეულიყო, დამტვრეოდა ტოტები“* (ადამიანის სიკვდილი)

*„ორ დედას ხუთ-ხუთი შვილი ჰყავს“* (ხელის თითები)

ხშირადაა გამოყენებული ჰიპერბოლური მეტაფორები:

*„მკვდარსა ვჭამ და კუბოსა ვყრი“* (მზესუმზირა)

*„თოფი ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა“* (წისქვილი)

*„ცოცხალი მკვდარსა სცემს, მკვდარი უმოწყალოდა ყვირის“* (ზარი)

ფართოდა გავრცელებული პოეტური პარადოქსი:

*„კაცზე მაღალი, სკამზე დაბალი“* (ქუდი); *„უფეხოა, მაგრამ დადის, იმის ძალა ყელგან გადის“* (ფული) მეტაფორული გამოცანების გვერდით გვაქვს გამოცანები, რომლებშიც მეტაფორულობა არ იგრძნობა:

*„პაწაწინა მწერია, შალეულის მტერია“* (ჩრჩილი).

*„ორი წვერო, ორი რკალი, შუაში ერთი ლურსმანი“* (მაკრატელი)

ამრიგად, ხალხური გამოცანები შესანიშნავი საშუალებაა გარემომცველი სამყაროს აღსაქმელად. დღეს ისინი ძირითადად ბავშვების კუთვნილებას წარმოადგენენ, ახასიათებთ საგნობრიობა, კონკრეტულობა და ცხოვრების დეტალებისადმი მიმართება. შეიცვალა მათი ძველი ფუნქცია და ისინი გვაძლევენ სამყაროს შეცნობას მხატვრული, სახეობრივი ფორმით, ხსნიან საგანთა პოეტურ მხარეს.

აღსანიშნავია, რომ თუ ფოლკლორის ზოგიერთ ჟანრს ახალმა ეპოქამ საგრძნობლად შეუმცირა მასალა, გამოცანას - პირიქით, ახალმა დრომ ახალი თემები, საგნები, მოვლენები შეჰმატა: ყოველი ახალი საგანი თუ მოვლენა დაუყოვნებლივ პოულობს ადგილს გამოცანაში. ეს პროცესი უზრუნველყოფს და განაპირობებს გამოცანის უკვდავებას, პოპულარობას. გამოცანამ გადმოლახა მრავალი საუკუნე და ამით მას შეემატა მხატვრული სახეები, დახვეწილი ფორმა და ტევადი შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ კუკავა

## მეცხრამეტე საუკუნის რუსული ინკვიზიციის დამცველი

ჟურნალ „ცისკრის“ 1999 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნდა მანანა ხომერიკის სტატია სათაურით „ი-ერი ფილადელფოსი და იერემია წინასწარმეტყველი“, სადაც ის ჩვენ ბრალს გვდებს ფ. კიკნაძის ტექსტის დამახინჯებულ ციტირებაში. მ. ხომერიკი წერს „ისე გამოდის, თითქოს ფილადელფოსი იბერიელებს პირდაპირ მოუწოდებს: აღსდექით და იბრძოლეთო! რასაკვირველია, ფილადელფოსის მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ ის არასოდეს პირდაპირ არ იტყოდა სათქმელს და არც პროკლამაციას დაწერდა“[1].

მ. ხომერიკს ტექსტის დამახინჯებად მიაჩნია ფრაზიდან რამდენიმე სიტყვის გამოტოვება სამი წერტილით. ჯერ ერთი, ტექსტიდან სიტყვების გამოტოვება არ ნიშნავს ტექსტის დამახინჯებას და მეორე, თვით მ. ხომერიკი აღნიშნავს, რომ ფილადელფოსის მიზანი სწორედ ეს იყო, ე. ი. მოწოდება აჯანყებისაკენ. მაშინ რატომღა მიაჩნია მას ფილადელფოსის ტექსტის დამახინჯებად. ჩვენი ანალოგიური დასკვნა. მ. ხომერიკს იმის თქმა უნდა, რომ ფილადელფოსი საზოგადოებას აჯანყებისკენ კი არ მოუწოდებდა, არამედ ლოცვისკენ, მაგრამ თვით ხომერიკმაც აღიარა, რომ ფილადელფოსის მიზანი სწორედ ეს იყო ე. ი. მოწოდება აჯანყებისაკენ, მაშინ რაღას გვედავება? ესეც რომ არ იყოს, ფილადელფოსის მთელი თხზულება „გოდება იერემიასი“ წარმოადგენს სწორედ რომ პირდაპირ მოწოდებას აჯანყებისაკენ. ფილადელფოსი აშკარად, პირდაპირ, გაბედულად ბრალს სდებს რუსეთს იმ მძიმე შედეგებში, რაც გამოიწვია რუსეთის გაბატონებამ საქართველოში. იმ მძიმე მდგომარეობის აღწერა, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო რუსეთის გაბატონების შემდეგ, იყო სწორედ მოწოდება რუსეთის ბატონობისგან განთავისუფლებისაკენ და მაშასადამე, ბრძოლისაკენ მის წინააღმდეგ, თხზულებაში თუნდაც ერთი ფრაზა კიდეც რომ ყოფილიყო ლოცვისკენ მოწოდება, ამის გავრცელება მთელ თხზულებაზე იქნება როგორც ამ თხზულების არსის, ძირითადი აზრის დამახინჯება, ასევე საქართველოს განთავისუფლებისათვის თავგანწირულად მებრძოლი ფილადელფოსის როლისა და მნიშვნელობის დამცირება.

მ. ხომერიკი უარყოფს აგრეთვე ფილადელფოსის მიერ პროკლამაციების დაწერას. ის პირდაპირ ამბობს, რომ ფილადელფოსი „არც პროკლამაციას დაწერდა“.

მოღალატე და რენეგატი ი. ფალავანდიშვილი კი ფ. კიკნაძის შესახებ თავის დასმენაში წერდა: „კახეთში ქალალდებს კიკნაძე ბერი ავრცელებს, ქაღალდების საწყობი მის მონასტერშია მოთავსებული დამალვით. ეს ამბები ბერებმაც იციან. ის ყველგან დადის და სიტყვებს ამბობს. მისივე შედგენილია ამ ფარული საზოგადოების წესდება. ქართველი სამღვდელოების და ბერების აჯანყება მას აქვს მინდობილი. მას დიდი გავლენა აქვს სასულიერო წოდებებზე (ზ. ჭიჭინაძე. ისტორია ფარული საზოგადოებისა. ფილადელფოს კიკნაძე).

მაგრამ, გარდა ზ. ჭიჭინაძის ცნობისა, შემონახულია სხვა მასალებიც, რაც ადასტურებს ფილადელფოსის მიერ აშკარა, პირდაპირ მოწოდებას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისკენ. 1832 წლის შეთქმულების უბადლო მკვლევარი გ. გოზალიშვილი წერს: „მაშასადამე, ფილადელფოსს ჰქონია ისეთი სახის მიმოწერა, სადაც გამოცხადებით, აშკარა ლაპარაკი იყო შეთქმულებაზე... რა სამწუხაროა, რომ არ გადაგვირჩა, რა ძვირფასი მასალა იქნებოდა!“ ე. ი. თურმე ფილადელფოსს შესძლებია პირდაპირ, აშკარად ლაპარაკი შეთქმულებაზეც და, მაშასადამე, აჯანყებაზეც, რასაც, რატომღაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი კრიტიკის მიზნით - მ. ხომერიკი უარყოფს.

რომ ფილადელფოსი აშკარად მოუწოდებდა აჯანყებისკენ მოსახლეობას, დასტურდება „საგამომძიებლო კომისიის“ ცნობითაც, კომისიის წარმომადგენელნი ამბობენ: „ჩვენ დანამდვილებით შევიტყვეთ, კარგად ვიცით, რომ ფილადელფოს ბერი დადიოდა კახეთის სოფლებში და რუსის მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ასე თქვენს წინაშეც ხშირად ულაპარაკნია ღალატისათვის“ (გ. გოზალიშვილი. 1932 წლის შეთქმულება. ტ. II).

რომ ფილადელფოსი მოუწოდებდა აჯანყებისაკენ და იყო აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი, დასტურდება მღვდელ ეფრემ ალექსიშვილისა და პორუჩიკ დავით ნათალოვის დასმენიდანაც. ფილადელფოსს მათთვის უთქვამს, რომ აბელ ჩოლოყაშვილისათვის დაუვალებია ფშავ-ხევსურეთისა და,

- - - - - -

1. „ცისკარი“ №6, 1999 წ. გვ. 131

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, მთიულების აჯანყება, დავით ერისთავისთვის - არაგვის ხეობის მოსახლეობის, მაყაშვილისთვის - მისი გლეხების, ა. ჭავჭავაძისთვის - კახეთის გლეხობის, ნოდარ ჯორჯაძისათვის - დაღესტნელებისა და დილოელების აჯანყება (გ. გოზალიშვილი. იქვე).

ფილადელფოსის თხზულებების შესახებ იგივე გ.გოზალიშვილი წერდა: „ამ ორივე თხზულების (იგ. ფილადელფოსის „სიყვარული მამულისა და იერემიას-გოდება". თ.კ.) დანიშნულება იყო მოსახლეობის აღგზნება და მათი აჯანყების განწყობილებაზე დაყენება".

მ. ხომერიკი, გატაცებული ჩვენი კრიტიკითა და განქიქებით, ბრალად გვდებს თითქოს ჩვენ 1832 წლის შეთქმულების „საგამომძიებლო კომისიას" ცილი დავწამეთ და დავაბრალეთ ფ. კიკნაძის შრომების განადგურება. მ. ხომერიკი წერს: „ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ახლახან გამოითქვა აზრი, რომ ფ. კიკნაძის ზემოჩამოთვლილი თხზულებების გარდა, კომისიამ მისი სხვა ნაშრომები გაანადგურა. სინამდვილეში, კომისიას არაფერი გაუნადგურებია" (მ. ხომერიკი. ფ. კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი).

მ. ხომერიკი, მართალია, გვარს არ ასახელებს, მაგრამ ასახელებს ჩვენს მონოგრაფიას ფილადელფოსზე „სიყვარული მამულისა", გვ. 13. კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ეს ბრალდება მთლიანად მოგონილია მ. ხომერიკის მიერ. ჩვენს მონოგრაფიაში არსად არ არის ფრაზა, რომელიც მოტანილი აქვს ხომერიკს, როგორც ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ. პირიქით, ჩვენს მონოგრაფიაში (გვ. 4) ნათქვამია სრულიად საწინააღმდეგო: ფილადელფოსის „მრავალი შრომიდან მხოლოდ ოთხმა მოაღწია ჩვენამდე, ისიც იმის წყალობით, რომ 1832 წლის „საგამომძიებლო კომისიამ", ეს შრომები ჩართო საქმეებში, როგორც სამხილი ფილადელფოსის დასასჯელად და მართლაც, ფილადელფოსი დასაჯეს ისე, როგორც არ დაუსჯიათ შეთქმულების არც ერთი წევრი.

მაგრამ ჩვენი თვალსაზრისის დამახინჯება არ არის ისეთი დანაშაული, როგორც „საგამომძიებლო კომისიის" გამართლება და დაცვა. ხომერიკი ხომ რიხით აცხადებს, რომ კომისიას „სინამდვილეში არაფერი არ გაუნადგურებია". ეს განცხადება კი მხოლოდ შეცდომა კი არა, დანაშაულიც არის, რადგან მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველიცა და ქართველი საზოგადოებრიობაც, თითქოს „საგამომძიებლო კომისიას" არაფერი გაუნადგურებია... რა შეიძლება იყოს იმაზე მეტი განადგურება, როგორიც იყო „კომისიის" მიერ 1832 წლის შეთქმულების განადგურება და მისი მონაწილეების უმოწყალო დასჯა. კომისიამ ხომ გაანადგურა და ფიზიკურად მოსპო შეთქმულების ორგანიზატორნი ს. დოდაშვილი და ფილადელფოსი, დასაჯა შეთქმულების ყველა მონაწილე, მ. ხომერიკი კი რიხით აცხადებს, რომ „კომისიამ არაფერი არ გაანადგურა". ასეთ დანაშაულებრივ დასკვნამდე მიდის ის, გატაცებული ჩვენი განქიქებით. ერთად-ერთი, რაც კომისიამ ვერ შეძლო, ეს იყო ქართველ ერში თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლის სურვილი. ეს სწრაფვა კი ქართველ ერში ყოველთვის ცოცხლობდა და ცოცხლობს დღესაც.

მ. ხომერიკი ფილადელფოსის შრომების დაკარგვა-განადგურებას უარყოფს სხვაგანაც: „ითვლებოდა, რომ მისი დანარჩენი ნაშრომები დაპატიმრების დროს გაანადგურეს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს" („რელიგია", №5-6, 1999 წ.) აქაც, რაღა თქმა უნდა, მ. ხომერიკი ისევ ჩვენ გვაკრიტიკებს, თუმცა არ გვასახელებს.

ახლა გადავხედოთ მასალებს, რათა დავადგინოთ, იკარგებოდა თუ არა ფილადელფოსის შრომები დაპატიმრების დროს. როგორც ცნობილია, ფ. კიკნაძე პირველად რუსეთში, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში იყო პატიმრობაში. აი, თვით ფილადელფოსის ცნობა ამის შესახებ: „შემობრძანდენ არხიმანდრიტი, ღენერალი პოლკოვნიკი და ყაზახები... მოძებნეს ქაღალდები, ყველგან აქოთებდენ... დამიბარეს სუდში, იქ ვნახე ჩემი ქაღალდები სულ ერთად შეკერილი, გავშინჯე, რომ იმაში ორი საჭირო ჩემი ქაღალდი აკლდა და მოპარული იყო". (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი). ე. ი. მისი დაპატიმრების დროს ადგილი ჰქონია მისი ქაღალდების მოპარვასაც კი, რასაც ასეთი კატეგორიულობით უარყოფს მ. ხომერიკი.

ჩვენ ვწერდით: „მისი შრომების დიდი ნაწილი მეფის პოლიციამ ჩხრეკისა და გამოძიების დროს მოსპო, ბევრიც თვით ფილადელფოსმა გაანადგურა კონსპირაციის მიზნით".

ფილადელფოსის მიერ თავისი შრომების მოსპობის შესახებ ფილადელფოსის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გ. გოზალიშვილი წერდა: „ფილადელფოსმა დაპატიმრებამდე ბევრი რამის მოსპობა მოასწრო".

რას ამბობს თვით ფილადელფოსი ამის შესახებ: „შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე არ მოვსპობდი ჩემს მთავარ თხზულებებს, რომლებიც შეიცავდა ხალხისადმი აჯანყებისაკენ მოწოდებას და არ დავტოვებდი მხოლოდ ორს, რომელთა საფუძველზეც მე დამნაშავედ ვერ ჩამთვლიან" (გ. .გოზალიშვილი. დას. წიგნი).

თვით საგამომძიებლო კომისიის წევრებიც აღნიშნავენ: ფილადელფოსს ულაპარაკნია „თავისი მავნე თხზულებების შესახებ, რომლებიც მანვე სათანადო დროს დაწვა (იქვე).

აი, კიდევ ცნობა დაპატიმრების დროს მისი შრომების განადგურების შესახებ: „რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოზიდეს აუარებელი ნაბეჭდი ქაღალდები. ამ ქაღალდებისა ცოტა შეინახეს, დანარჩენი ცეცხლს მისცეს და იქვე დასწვეს ყველას თვალწინ" (ზ. ჭიჭინაძე. დასახ. თხზულება).

ამრიგად, ფაქტია და არ შეიძლება იმის უარყოფა (რასაც ცდილობს მ. ხომერიკი), რომ ადგილი ჰქონია ფილადელფოსის შრომების მოპარვასაც, დაწვასაც და თვით ფილადელფოსის მიერ მათ

განადგურებას.

განსაკუთრებით სამწუხაროა მურვან ყრუს შემოსევის შესახებ ფილადელფოსის პოემის განადგურება, რასაც თვით ფილადელფოსი გვატყობინებს: ბერი პორფირის თხოვნით „შევთხზე დაცემისათვის საქართველოისა ალლიღორიებ პოემა ტრაღედიური არა თუ აწინდელისათვის მდგომარეობისა, არამედ დროისათვის, ოდეს მურვან ყრუმან სპარსეთისაგან სრულებით მოაოხრა იგი“ (გ. გოზალიშვილი. დასახ. წიგნი).

ე. ი. სავსებით შესაძლებელი ყოფილა ფილადელფოსის შრომების დაკარგვა, რასაც ჩვენი კრიტიკისა და განქიქების მიზნით ჯიუტად უარყოფს მ. ხომერიკი.

მ. ხომერიკი წერს „აქ გვიჩნდება მთელი რიგი კითხვები: თუ პოემა ჩხრეკის დროს დაიკარგა და საგამომძიებლო კომისიამდე ვერ მოაღწია, მაშინ რა აიძულებდა ფილადელფოსს, რომ მისი არსებობა გაემჟღავნებინა (მით უმეტეს, თუ მან პოემა თვითონ მოსპო კონსპირაციის მიზნით). თუ პოემა მურვან ყრუს ეხებოდა, მაშინ ფილადელფოსი თავის ჩვენებაში რატომ უწოდებდა მას ალეგორიულს? ამგვარი განსაზღვრით ის ხომ კომისიას მიახვედრებდა, რომ მურვან ყრუს მიერ საქართველოს აოხრებაში რუსეთის მიერ თავისი სამშობლოს დაპყრობას გულისხმობდა („ცისკარი“ №6, 1999წ).

მ. ხომერიკს რომ დაკვირვებით წაეკითხა ფილადელფოსის ჩვენება, ეს კითხვები არ გაუჩნდებოდა, რადგან ცოტა ქვემოთ ფილადელფოსი გარკვევით ამბობს, რომ დაკარგულ პოემაში მას ჰქონია რუსეთის ხოტბა-დიდება, ხოლო პორფირი ბერს მისთვის უთქვამს, რომ ეს ხოტბა-დიდება უნდა ამოეღო. ფილადელფოსს კი არ ამოუღია. ამით, განა ცხადი არ არის, რომ ფილადელფოსი თავს იცავს და იმართლებს, რომ თითქოს ის დაკარგულ პოემაში აქებდა რუსეთს. ამრიგად, ამ პოემის ხსენება ფილადელფოსის მიერ იყო თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება. ვინ შეამოწმებდა უკვე არარსებულ, პოემაში იყო თუ არა ეს ხოტბა, რაც შეეხება პოემის ალეგორიულობას, არ იყო აუცილებელი, ალეგორიაში რუსეთი ეგულისხმათ, ალეგორია მას სპარსეთისგან თავდასაცავადაც სჭირდებოდა და კომისია ალეგორიაში აუცილებლად რუსეთს ვერ იგულისხმებდა. სამაგიეროდ, ფილადელფოსმა საკმაოდ სარწმუნო თავდასაცავი საშუალება გამონახა.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კრიტიკით გატაცებამ მ. ხომერიცი მრავალ მცდარ დასკვნამდე მიიყვანა.

მ. ხომერიკი სასხვათაშორისოდ აცხადებს, რომ ფილადელფოსი „პატიმრობაში გარდაიცვალა“ („რელიგია“, №6 1999 წ.) მაგრამ მ. ხომერიკი ერთი სიტყვითაც კი არ ამბობს, თუ რისგან გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე მამულიშვილი და რატომღაც ავიწყდება საშინელი სურათი მისი დაპატიმრებისა. ფილადელფოსს დაადეს ბორკილები, თოკით შებოჭეს, თოკის ერთი ბოლო ცხენოსან ყაზახს მისცეს და თვით ფილადელფოსი კი ფეხით გაუყენეს გზას შუამთიდან თბილისამდე. გზას კი, თვით ფილადელფოსის ცნობით 32 დღე მოუნდნენ. ამ „მოგზაურობის“ შესახებ ზ. ჭიჭინაძე გვაცნობებს: „შევიტყე, რომ ფილადელფოსი ისე მალე იმიტომ გარდაიცვალა, რომ მგზავრობის დროს გზაში ეცემნათ“ (დასახ. თხზულება).

მ. ხომერიკი ერთი სიტყვითაც კი არ ეხება იმ მძიმე, არაადამიანურ პირობებს, რაც ფილადელფოსს პატიმრობაში შეუქმნეს. ამის შესახებ იგი თხოვნით მიმართავდა „საგამომძიებლო კომისიას“: „გევედრებით, რათა კაცთ მოყვარებისაებრ თქვენისა და დიდ სულობისა ალმისუბუქოდ მე იწროება ესე... ვარ დაკეტილსა ფანჯარას გალესილს სახლში მარტოკა. ვთხოვ შეიწყალოთ კაცობრიობა და სიმართლისამებრ ჩემისა ალმისუბუქოთ მე მწუხარება ესე“ (გ. გოზალიშვილი. დასახ. წიგნი).

კომისიამ ამ თხოვნაზე როგორც იტყვიან, ყურიც კი არ შეიბერტყა. მას სასტიკი წამებით ამოხადეს სული საპატიმროს დილეგებში.

ფილადელფოსის შესახებ გ. გოზალიშვილი წერდა: „ფილადელფოსის პიროვნება შესწავლის ღირსია. ფილადელფოსის სახით ბერის სამოსელში ეპოქის ერთი მოწინავე მოქალაქე გვეგულება. მისი ღვაწლის დავიწყება არ გვმართებს“.

ამრიგად მეცხრამეტე საუკუნის რუსმა ინკვიზიტორებმა მოსპეს, გაანადგურეს მგზნებარე ქართველი პატრიოტი, დიდი შემოქმედებითი უნარის მქონე, ამაღლებული იდეებისათვის მებრძოლი ადამიანი, მაგრამ სამშობლო არასოდეს ივიწყებს მისთვის თავდადებულ შვილებს;

დასასრულს, არ შემიძლია არ გამოვთქვა სიამოვნება იმის გამო, რომ ახალგაზრდა მკვლევარი ასეთი გატაცებით იწყებს მოღვაწეობას, თანაც ჩვენს დიდ მამულიშვილზე ფილადელფოსზე, რომელიც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა. ხომერიკს მისი რამდენიმე შრომისთვის მიუკვლევია კიდეც, რაც დაცული ყოფილა საქართველოს ცენტრალურ არქივში.

მაგრამ აქვე არ შემიძლია არ ვუსაყვედურო - მას არ უნდა დაევიწყებინა ღვაწლი მის წინამორბედ მკვლევართა, თუნდაც გ. გოზალიშვილისა, ჩემზე რომ არა ვთქვა რა. რადგან თუ ყველა ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარი მხოლოდ თავის თავს წარმოაჩენს ამა თუ იმ საკითხის კვლევის დამწყებად,. ხოლო წინამორბედ მკვლევართა ღვაწლს კი დაივიწყებს ან შეეცდება მათ განქიქებას კვლავ თავის თავის წინ წამოწევის მიზნით, მაშინ ჩვენი მეცნიერება წინ ვერ წავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მირანდა თოღუა

## „ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“

ქართულ სასულიერო პოეზიას საფუძვლად ქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები უდევს. ჰიმნოგრაფთათვის უცხო არ არის ბიბლიური მოტივები, სახე-სიმბოლოები თუ პარალელები. ჰიმნოგრაფიასა და ახალი აღთქმის წიგნებში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ახალი“ და განახლების იდეა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში დაკვირვების საგანი გამხდარა. „ეპითეტს „ახალი“ ღრმა სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. „ახალი“ შესაძლოა „ძველს“ არც უპირისპირდებოდეს.. „ახალი“ სულიერი განახლების მანიშნებელია“. (ნ. სულავა).

განახლების იდეა ახალი აღთქმის წიგნებიდან მომდინარეობს, „რომელიც, როგორც მისტიკური ხედვის ობიექტი, იოანეს „გამოცხადებაშია“ ხორცშესხმული. „და ვიხილე ცაი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და ქუეყანაი წარხდეს... და ქალაქი იგი წმიდაი იერუსალიმი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან“ (გამოცხ. 21, 1-2). ამ ხილვაში უნდა ვიგულისხმოთ არა სხვა იერუსალიმი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ედრება ძველ იერუსალიმს, არამედ იგივე ქალაქი, რომელიც თუმცა ფერნაცვალია და განახლებული, მაგრამ ინდივიდუალობა არა აქვს დაკარგული“ (ზ. კიკნაძე).

„ახალი“ და განახლების იდეა სასულიერო პოეზიაში ხშირად გვხვდება. დავიწყოთ იმით, რომ ჰიმნოგრაფიაში საუბარია თავად ღმერთის განახლებაზე. „ადამის ცოდვების გამომსყიდველი ღმერთი „განახლებული ღმერთია“ (ტ. მოსია). ამ შემთხვევაში ღვთის ეპითეტად ვხვდებით „ძველს“, „ძველ დღეს“. „და ძუელი იგი დღეთაი დაჯდეს განკითხვად, მიგებად კაცად კაცადსა საქმეთაებრ“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 367).

ძველი დღის ახლად განახლება მიზნად ისახავდა ადამიანის ბუნების განღმრთობას, რომელიც მოყოლებული პირველცოდვიდან გაირყვნა, ბოროტის გავლენით „დაძველდა“. ჰიმნოგრაფის სიტყვები ამის პირდაპირი გამოხმაურებაა „ყრმად იხილვების ძველი იგი დღეთაი, რათა განაღმრთოს ბუნება დაძუელებული და ღირს ყოს სუფევად მამისა თანა“ (იოვანე მტბევარი, გვ. 78). ჩვილად შობილ ღმერთს იოვანე მტბევარი ახალ ყრმას უწოდებს (გვ. 82).

„ძუელი დღისა“ და „ძუელი კაცის“ მცნება ჰიმნოგრაფიაში ბიბლიიდან შემოდის. „ძუელი იგი კაცი ჩუენი მისთანა ჯუარს ეცუა, რათა განქარდეს ხორცი იგი ცოდვისაი“ (რომ. 6, 6).

ძველი დღე განახლებული ახლით დაეფლა ახალ სამარეს, რათა აღადგინოს ცოდვით დაცემულნი.

ახალ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ ქრისტე დაასვენეს კლდისაგან გამოკვეთილს სამარეში, სადაც მანამდე არავინ დაუმარხავთ; ჰიმნოგრაფთა თქმით, ახალმა სამარემ „დატია დაუტევნელი“.

სახარების ავტორი, გვამცნობს რა, რომ ქრისტე დაიდვა ახალსა სამარესა, იქვე დასძენს, რომ ის ახალია, რადგან „არავინ დადებულ იყო“. ჰიმნოგრაფთა გამოთქმა „ახალი სამარე“ უფრო მეტი შინაარსის მქონეა და თავისთავად ბადებს მასში დაფარული საიდუმლოს ახსნის სურვილს. გამოთქმა „ახალი საფლავი“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში უნებლიეთ გაიღვიძოს ფრაზეოლოგიურმა შესიტყვებამ „ძველი საფლავი“ (ტ. მოსია). მარიამ ღვთისმშობლის საშოში მაცხოვარმა „კაცებაი შეიმოსა“ და იშვა, როგორც კაცი და ღმერთი, საფლავში კი ევნო ხორციელი ბუნება და აღდგა ღვთაებრივი და მასთან ერთად ჯოჯოხეთის პყრობილი ადამის მოდგმის სულები. ქრისტეს ორბუნებოვნება ყველაზე ნათლად გაცხადდა ადამიანის ბიოლოგიური სიცოცხლის დასაწყისში (ე. ი. საშოში) და დასასრულს (საფლავში). ვიზიარებთ ტ. მოსიას მოსაზრებას, რომ „ღმერთი პირველად დაეფლა ქალის სხეულში, მარიამის მუცელი იყო მისი პირველი „საფლავი“, მარიამი კი მთად იწოდება, ჯვარცმის შემდეგ სამი დღის მანძილზე მიწაში მყოფი ქრისტეს საფლავი კი გამოეკვეთა კლდისაგან“. ამის მინიშნებას ჰიმნოგრაფები თავად გვაძლევენ. სასულიერო პოეზიაში მარიამ ღვთისმშობელს მთას უწოდებენ: მთა ღმრთისა, მთა პოხილი, რძემდინარე მთა. ერთ-ერთი მათგანია გამოუკვეთელი მთა „დანიელ პირველ გიხილა მთად გამოუკვეთელად, რომლისაგანცა ლოდი თვინიერ ხელისა გამოეკუეთა ქრისტე“ (იოანე მტბევარი, გვ. 72). ანალოგიურად საფლავიც გამოუკვეთელ კლდეშია გაჭრილი, რომელსაც ლოდი მიაფარეს. ამრიგად, ქრისტეს ღვთაებრივი ბუნებისთვის ჯერ „გამოუკვეთელი ქალწული“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი) შემდეგ კი მანამდე გამოუკვეთელი კლდე იქცა სამარედ და დაიტია ღმერთი, რომლის დიდებასაც ცანი ვერ იტევენ. ახლა კი ჰიმნოგრაფს მოვუსმინოთ, რომელიც პარალელს ავლებს დედა-ქალწულსა და ქალწულ სამარეს შორის: „შობილი ღმერთი ქალწულისაგან ქალწულმან მან საფლავმან გიტვირთა ხორცითა“ (ქართულნი, გვ. 310).

ჰიმნოგრაფთა მიხედვით, იესო, ქრისტე არის განახლებული ღმერთი და ამავდროულად, განახლებული ადამი, რადგან ქრისტეში ერთდროულად გამოისახა ღვთიური და ადამიანური ბუნება.

ახალის, განახლებულის და ძველის, დაძველებულის დაპირისპირებით ჰიმნოგრაფები ხსნიან განახლების შინაარსს. ღვთიურ მადლს დაშორებულ კაცობრიობას დაძველებულს უწოდებენ „დაძუელებულნი იგი დღეთა ბოროტთანი“ (იოანე მინჩხი). ხოლო კაცთა მოდგმის დაძველებული ბუნების განახლება ნიშნავს პირველსაწყისთან მიახლოებას: „განაახლა დაძუელებულნი და აღმოიყვანნა დანთქმულნი უფსკრულთაგან წყუდიადისა“ (ქართულნი, გვ. 380); „რომელმანცა დათრგუნა ძლევით სიკუდილისა სიმტკიცეი და ღმრთეებრ განაახლა ურწმენით დაძუელებულნი“ (ქართულნი, გვ. 316).

განახლების შესახებ ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობაში ვკითხულობთ:

„... რათა მეორედ მქმნას ჩუენ
თვით. კაც-ყოფითა ღმერთ-ქმნად დაძუელებულის
კაცთა არსების და განახლების ყოვლად“ (ანტონ ბაგრატიონი).

ჰიმნოგრაფები ქრისტეს მეორე აღამაღაც მოიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენიებენ, რომელიც სახეა ახალი ადამიანისა: „მოხუედ ხორცითა ადამ მეორე ხსნისათვის პირველისა“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 174); ხორცი ადამეანნი შაოხუენ, მხსნელო ხორცითა გამოშჩნდი მეორეი ადამ განახლებად პირველისა ურჩებით დაძუელებულისა“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 239).

„შობილი შენგან მეორეი ადამ მარჯუენით მამისა დაჯდა მაღალთა შინა“ (იოვანე მტბევარი, გვ. 150).

ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამი ცოდვათა გამო დასცილდა თავის პირველსახეს. უკვდავად ქმნილი ცნობადის ხის ნაყოფის ხილვით შეიმოსა ხრწნადი სამოსლით, რამაც გამოიწვია მხსნელის აუცილებლობა, რომელიც თავადაც ადამიანური ბუნების მატარებელი უნდა ყოფილიყო და სწორედ წარმავალი ბუნების დათრგუნვით უნდა ეზიარებინა ადამი პირველი პატივისათვის. „გარდაცვალება ჩათვლილია განახლების, აღდგომის წყაროდ, ხელახალი აღორძინების საშუალებად“ (აკაკი ბაქრაძე)

ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „ამიტომაც არ ვეცემით სულით, რადგან თუ ჩვენი გარეგანი კაცი იხრწნება, შინაგანი დღითიდღე ახლდება“ (კ.რ. 4,6). ახლა კი ჰიმნოგრაფებს მოვუსმინოთ: „ადამის თხემსა ზედა ჯუარს ეცუ მეორე ადამ ხორცითა, ქრისტე“ (ქართულნი, გვ. 334), რომელნი ნეფსიდ დაიკალ და შეიწირე მსხვერპლად მამისა, უცოდველო, ცოდვათათვის ადამისთა“ (ქართულნი, გვ. 277).

განახლების თემას ძველ აღთქმაშიც ვხვდებით. ბიბლიის მიხედვით, ცოდვის ჭაობში დანთქმულ კაცობრიობას ღმერთმა სასჯელად წარღვნა მოუვლინა (დაბ. 6, 5-12) რაც შემდგომ განახლებას უკავშირდება. ღმერთმა ნოე თავისი სიწმინდის გამო გამოარჩია და მისი შთამომავლობით განაახლა ის, რაც წალეკა.

კაცობრიობის სულიერ ხსნასა და განახლებას ჰიმნოგრაფები შემდეგ საუფლო დღესასწაულებს უკავშირებენ: შობას, ნათლისღებასა და აღდგომას.

უხილავი ღმერთი იმიტომ გახდა ხილული, რომ ეხსნა კაცთა მოდგმა მემკვიდრეობითი და ხორციელი ცოდვებისაგან. მისი შობისთანავე „იყოს განახლებაი ყოველთა“. იოანე მინჩხის თქმით, ქრისტემ კვლავ დაუბრუნა კაცობრიობას უხრწნელების პატივი.

ნათლისღებას მეორედ შობასაც უწოდებენ, ცხადია, იგულისხმება სულიერი შობა, ცოდვათაგან გათავისუფლება. „ნათელმან მზისა უბრწყინვალესმან წყალთა განწმენდა ინება, რომლითა განხრწნილი ადამ ნათლისღებითა თვისითა კუალად განაახლოს ყოველთა მეუფემან“ (იოვანე მტბევარი, გვ. 110). „წყლით რღუნასა ცოდვისასა აწ გუახარებს დასცხრომასა სულისა იგი ტრედი, რამეთუ მადლისა რტოი უტვირთავს და განგუყოფთ ყოველთავე უხრწნელებასა მადლით“ (ქართულნი, გვ. 221).

წყლით განბანის შესახებ ძველ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ უფალმა უბრძანა მოსეს სადღესასწაულო კარვის წინ დაედგა საბანელი და წყალი ჩაესხა, ყველაფრისათვის ეცხო მირონი, კარვის შესასვლელთან მიეყვანა აარონი შვილებითურთ და წყლით განებანა ისინი (გამოს. 40, 7-12). წყლით განბანაზეა საუბარი ეზეკიელის წინასწარმეტყველებაშიც „და გასხურო თქუენ წყალი წმიდაი და განსწმდეთ ყოველთაგან არაწმიდებათა თქუენთა“ (ეზეკ, 36, 25). წარღვნის სიმბოლური მნიშვნელობაც კაცობრიობის განბანაა.

წყალი სიწმინდის, ნაყოფიერების უძველესი უნივერსალური სიმბოლოა, წყაროა თავად სიცოცხლისა. წყლის, როგორც განმწმენდის მიმართ დამოკიდებულება, დამახასიათებელია იუდეველთა, ქრისტიანთა რელიგიებისათვის, ასევე განმწმენდის ინდური რიტუალისათვის. ჰიმნოგრაფთა ახალი განბანა ახალი აღთქმისეული, სულიწმიდის მადლით განბანას, ნათლისღებას ნიშნავს, როდესაც ადამიანებს ჩამოერეცხებათ ამქვეყნიური ცოდვები, რომელიც მათ სულსა და სხეულს ამძიმებს, განწმენდას, ცოდვათაგან განბანას, ძველი ცხოვრებისაგან განძარცვას და ხელახლა შობას.

მაცხოვარმა ჯვარზე გაკვრით გამოისყიდა ადამისა და მისი მოდგმის ცოდვა, უმანკო სისხლის დათხევით განბანა და განაახლა ისინი. „აღდგომითა შემუსრა ჯოჯოხეთისა ძალი და ადამ აღმოიყვანა მის თანა წმიდათა გუამნი და მამასა წარუდგინა განახლებული, ვითარცა ღმერთ არს“ (იოანე მტბევარი, გვ. 146). „აღავსე სოფელი ნათლითა და განმაახლენ აღდგომისა ნათლითა“ (ქართულნი, გვ. 338). ქრისტესთან ერთად ჯვარცმა და შემდეგ განახლება ეხმაურება ახალი აღთქმის წიგნს, „ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღსდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას. რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები“ (რომ. 6. 4-6). განახლება, როგორც მადლი აღდგომისა, წმინდა მამათა სწავლებით „არ არს სხუასა გვქადაგებს, არამედ მუნვე მიქცევასა, ვინაიცა განვისხენით პირველ“ (გრიგოლ ნოსელი).

ზეამყვანი გზა მოიცავს ორ ეტაპს - ძველსა და ახალს. პირველი ნიშნავს დაპირებას მხსნელის მოვლენის შესახებ, მეორე კი გვამცნობს ცათა სასუფეველში თითოეული პიროვნების დამკვიდრების საშუალებას (ნ. პაპუაშვილი). ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ახალი აღთქმა გამოცხადებულია ახალ მემკვიდრეობაზე, რომელშიც ღვთის მადლით განახლებული ადამიანი იცხოვრებს ახალი ცხოვრებით, ანუ სულიერი ცხოვრებით. ძველი აღთქმა მოასწავებდა ხორციელ ხალხს, რომელიც ძველი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. იესო ქრისტე კი გვევლინება, როგორც საგანი ორივე აღთქმისა. ძველისა, როგორც მისი წინასწარმეტყველება და მოლოდინი, და ახლისა, როგორც აღსრულება ამ მოლოდინისა. ჰიმნოგრაფები მას ახალი აღთქმის შუამდგომელსაც უწოდებენ. ახალი აღთქმის მიხედვით, ის იმიტომ არის ახალი აღთქმის შუამდგომელი, „რათა მისი სიკვდილის შემდეგ, რაც პირველი აღთქმის დანაშაულთა გამოსასყიდად მოხდა, მათ, ვინც მოწოდებულნი არიან მარადიული მემკვიდრეობისათვის, მიიღონ აღთქმული“ (ებრ. 9. 15).

წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: „თუკი სასაცილოა ისეთი ადამიანი, მზიან დღეში სანთლებს რომ ინთებს, გაცილებით უფრო სასაცილოა იგი, ვისაც სახარება აქვს და მაინც ძველი აღთქმის ჩრდილს აფარებს თავს“. მთავარი განსხვავება ძველი და ახალი აღთქმის სჯულს შორის ისაა, რომ ძველი აღთქმის შჯული ადამიანის ქმედებათა გარეგან მხარეს უყურებს, ხოლო ახალი აღთქმისა ადამიანის გულს უცქერს, მის შინაგან გულისწადილს. ძველი აღთქმის სჯულში ადამიანი ისე დაემორჩილა ღმერთს, მონა რომ დაემორჩილება თავის ბატონს, ხოლო ახალ აღთქმაში იგი ისწრაფვის, ისე დაემორჩილოს ღმერთს, შვილი რომ დაემორჩილება საყვარელ მამას“.

ჰიმნოგრაფიაში ადამის ანალოგიურად არის წარმოდგენილი ევას განახლებაც, რომელიც ცოდვის დედადაც იწოდება. ღვთისმშობელი კი არის ახალი ევა, რომელმაც წინამორბედს „ვალი მიუზღა“ მისი ცოდვის გამომსყიდველია. სასულიერო პოეზიაში ევაც ადამის დარად არის წარმოდგენილი - სამოთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვით დაცემული და ქრისტეს მიერ განახლებული.

ახალი აღთქმა არის წუთისოფელში განახლებული ცხოვრებით სვლა, ქრისტემ გოლგოთაზე აიტანა კაცობრიობის ცოდვა და აღდგომასთან ერთად სულიერი ცხოვრების მაგალითიც დაუტოვა დახსნილ ადამიანებს.

სრულყოფილი ქრისტიანობა არის მაცხოვარში სიკვდილი და ამის წყალობით განახლება. მხოლოდ და მხოლოდ ნათლისღებით დაფლული შეიძლება იშვას ახალ ადამიანად. ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქრისტიანები „ახალ ხალხად“ იწოდებოდნენ, როგორც სულიწმიდის მადლით განახლებული ადამიანები (ზ. კიკნაძე). ჰიმნოგრაფები სულიწმიდის მადლით მოსილ კაცობრიობას ახალი აღთქმის შვილებს უწოდებენ „აწ მოვედით შვილნო, ახლისა აღთქუმისანო, ნაშობნო წმიდისა ემბაზისანო“ (ქართულნი; გვ. 336), ქრისტეს მცნების მიმდევარ ერს - ახალ ისრაელს. „გამოჩნდა შენგან მთავარი საუკუნეთაი, მამისა თანა მჟღობელი სიტყუაი, რომელმანცა დამწყსო ერი თვისი, ახალი ისრაელი“ (იოანე მტბევარი, გვ. 76). ასევე ახალ ისრაელს არაერთხელ უწოდებენ ახალაღთქმისეულ ქრისტიანულ ეკლესიას, რომელიც დედამიწაზე მაცხოვარმა და მისმა მოციქულებმა დააარსეს. (Библейская энциклопедия).

ახალი აღთქმის სამყაროში შეისხამს ხორცს ესაიას წინასწარმეტყველება უფლის ყრმაზე. აღსრულდება იგი ქრისტეს მესიანისტური ტანჯვისა და სიკვდილის საფასურად. ამ მისიის აღმსრულებელი კი განახლებული კაცობრიობის მამამთავარი ხდება; მამამთავრის ჯვარზე სიკვდილით იწყება ახალი კაცობრიობის ცხოვრება, ყალიბდება ფასეულობათა ახალი სისტემა (გრ. ფარულავა).

ისრაელის კურთხეულ დედაქალაქში უფლის შებრძანება სიმბოლურად ძველი იერუსალიმის დამხობას და ახლის შექმნას მოასწავებდა. იგი მანიშნებელია ბოროტებაზე სიკეთის, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა, რაც კაცობრიობას ძე-ღმერთის ჯვარცმითა და ბრწყინვალე აღდგომით ემცნო (ნ. პაპუაშვილი).

ქრისტეს იერუსალიმში შესვლის შესახებ სახარებაში ვკითხულობთ: „და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კაცვ მისთანა, აჰ ხსენით და მომგუარეთ მე იგი“ (მათე 21, 2.) მოწაფეებმა შეასრულეს უფლის ბრძანება, ზედ თავიანთი სამოსელი დაუფინეს და უფალი დიდებით შევიდა იერუსალიმში.

„რომელსა უპყრიან ცანი
და ქუეყანაი წამისყოფითა საღმრთოითა,
მსგავს ჩუენდა იქმნა ქუეყანასა ზედა
და ვითარცა კაცმან,
ჯერ იჩინა დაჯდომა კიცუსა ახალსა“ (იოანე მინჩხი, გვ. 262)

„აჰა ესერა
ზე ზის კარაულსა ზედა ახალსა“ (იოანე მინჩხი, გვ. 261-62)

ცათა დაუტეველნი და უხილავი ღმერთის იერუსალიმში ვირითა და ჩოჩორით შესვლა ძველ აღთქმაშივე იყო ნაწინასწარმეტყველები: „იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო ქადაგებდ, ასული იერუსალემისაი აჰა, მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავად მშვიდი, და მჯდომარე კარაულსა ზედა და კიცუსა ახალსა“ (ზაქ. 9. 9).

„ყრმათა ებრაელთა,
რაჟამს გიხილეს დამბადებელი,
სიმდაბლით მჯდომარე
კიცუსა ზედა, რომელსა ცანი ვერ იტევენ“ (იოანე მინჩხი, გვ. 263).

„ქრისტე, ღმერთო ყოველთაო,
აწ მოხუალ შენ დაჯდომად
კიცუსა,
ვითარ კაცი ხორცითა“ (იოანე მინჩხი, გვ. 249).

ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „ვიხილე უფალი საბაოთ მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა და სავსე იყო დიდებითა უფლის ტაძარი იგი“ (ეს. 6.1). თეოდორე აღმსარებლის თანახმად კი ეს საყდარი „ზესთა ყოველთა აღმატებულია“. ჰიმნოგრაფთა „ახალი კაცვ“ უნდა ნიშნავდეს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) მაღალ საყდარზე მჯდომი ღმერთის ამქვეყნიურ ტახტს, მაგრამ ამავდროულად წმიდასაც. მართალია, ცათა მპყრობელი ღმერთი ქვეყნად გარდამოხდა, მაგრამ წმიდა ადგილას მკვიდრდება. სიწმინდით იყო გამორჩეული ღვთისმშობელი, სულიწმიდის ძალით ჩაისახა იესო დედა-ქალწულის საშოში, გავიხსენოთ შეუწველი მაყვლის ეპიზოდიც, როდესაც ღმერთი ეუბნება მოსეს ეს ადგილი წმიდა მიწააო. ჰიმნოგრაფები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კაცთა სიყვარულისა და ხსნისათვის მოევლინა მაღალ საყდარზე მჯდომი ღმერთი ქვეყანას, „მის ფერხთა კუარცხლბეკს“ (მათე 5, 35) და იერუსალიმში ვირით შევიდა, როგორც ერთი ჩვენთაგანი. ქრისტეს დედაქალაქში ვირით შესვლა იყო ნიშანი მისი თავმდაბლობისა და მორჩილებისა. ამიტომაც ეს ცხოველი ქრისტიანულ ტრადიციაში იქცა სიმბოლოდ თვინიერებისა, მოთმინებისა, სიღარიბისა.

საგალობლებში ვხვდებით ახალ ერსაც, რომელიც მხსნელს ახალ საგალობელს აღუვლენს: „რამეთუ აღიბეჭდა სისხლითა ახლისა აღთქუმისაითა. ერი ახალი დაიხსნა საცთურისაგან, ესე არს კრავი ღმრთისაი წმიდაი“ (ქართულნი, გვ. 332). ეს ახალი ერი არის „ერი წმიდაი, გამოხსნილი უფლისა მიერ“ (ეს. 62, 12). ახალი საგალობლის შესახებ 149-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „უგალობდეთ უფალსა გალობითა ახლითა, ქებაი მისი ეკლესიასა შინა წმიდათასა“. ძველ აღთქმაში - „უგალობეთ უფალსა გალობა ახალი“ (ეს . 42,10) ძველი აღთქმის თანახმად, ანგელოზები დღენიადაგ განადიდებდნენ ღვთაებას და უგალობდნენ „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“ (ეს. 6, 3). იაონეს გამოცხადებაში კი ვკითხულობთ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო და რომელი არს და რომელი მომავალ არს!“ (იოან. გამოცხ. 4. 8.) ცოდვით დაცემამდე ადამიანიც, ანგელოსთა დარად, ღვთაებას განადიდებდა. ახალია საგალობელი, რომელსაც აღავლენენ ცოდვისგან დახსნილი ადამიანები, რომელთაც დაიბრუნეს პირველი პატივი, სამოთხეში ურჩობით დაკარგული „ერი ახალი, ახლითა სისხლითა მოგებული, გალობასა ახალსა უღაღადებთ“ (ქართულნი, გვ. 306). ამდენად, ცოდვილი, ღვთის სიწმინდისგან დაშორებული ადამიანის გალობა არ იყო წმიდა, ხოლო სულიწმიდასთან ნაზიარები კაცობრიობის გალობა შესაფერია უზენაესისა. „ახალი აღთქუმისა ძენი სულიერნი, რომელნი სულიერითა მით შესხმითა ქებით შეამკობენ სასოსა და მეოხსა ჩუენსა“ (ქართულნი, გვ. 297). ამ შემთხვევაში „ახალი“ წმიდას მნიშვნელობას იძენს.

ქრისტემ განწმენდილი ადამიანები მარადიული სასუფევლის გზაზე დააყენა, მაცხოვარი იქცა კაცობრიობისთვის სიცოცხლის ხისკენ მიმავალ გზად.

ადამ და ევა, დაეცნენ რა ცოდვით სამოთხის ბაღში, განიდევნენ და შეირისხნენ უფლის მიერ, ძეძვმა და ეკალმა დაფარა ედემისკენ მიმავალი გზა. „ადამიანის პირველი ცოდვის არსს ზუსტად გამოხატავს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში დამკვიდრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული ტერმინი „ცთომა“, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „გზის გამრუდება“ (ლ. გრიგოლაშვილი) ადამის შვილთა მხსნელმა ქრისტემ კი დაიდგა რა თავს ეკლის გვირგვინი განუახლა კაცობრიობას სულიერი განახლების და უკვდავების გზა - „გზაი ახალი და ცხოველი“ (ებრ. 10, 19), „გზა სასუფევლისკენ, ჰიმნოგრაფთა სიტყვებით, „საღმრთო გზა“, „ქრისტეს მცნებათა გზა“, „გზა ცხოვრებისა“, „გზა სიმართლისა“ ადამიანის ცოდვებისაგან განწმენდის გზაა, იდეალური წვდომის გზაა“ (ნ. სულავა).

განახლებულია ეკლესიაც, „შეიმოსა ეკლესიამან ძოწეული სამეუფო, განახლებული წყლისაგან და სულისა“ (ქართულნი, გვ. 345).

ახალი ძოწეულით შემოსილი ეკლესიის შვილნიც განძარცული არიან ძველი სამოსისაგან. ჰიმნოგრაფები ძველი აღთქმისეულ ადამს ძველ კაცს უწოდებენ, ქრისტეს მიერ განახლებულს კი ახალს, რამეთუ მან „განიძარცვა ძუელი კაცი“. ის ვინც ქრისტეშია - ახალი ქმნილებაა, „ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“ (II კორ. 5, 17). თავად სამოსს ბიბლიაშიც სიმბოლური დატვირთვა აქვს. ედემში მცხოვრები ადამი და ევა მოგვიანო ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ღვთიური ნათლით იყვნენ მოსილნი, ნიშნად მათი სულიერი უმანკოებისა, უმწიკვლოებისა. „როდესაც ადამი, ჩვენი პირველი მამა ცხოვრობდა ედემის ბაღში, იგი შემოსილი იყო, ვითარ ესე არს ცაზე, წარუვალი ნათლისაგან მოქსოვილი სამოსლით“ (ვ. შმაკოვი), ხოლო ცოდვით დაცემულები განშიშვლდნენ, დაბნელდნენ. ადამის შიშვლობა მიგვანიშნებს, რომ ის დაშორდა პირველსაწყისს, ღვთიურ მადლს;

თუკი განძარცული და შიშველი ადამი სახეა ცოდვით დაცემული კაცობრიობისა, შიშველი და განძარცული მტერი მაცთურის, ჯოჯოხეთის შემუსრვასა და ღვთის ხატის აღდგენაზე მიგვანიშნებს: „მიშუელი არს ჯოჯოხეთი მის წინაშე, რამეთუ მოსძარცუა სუფევაი მაღალმან“ (ქართულნი, გვ. 271); განსძარცუე შენ მთავარი იგი ამის სოფლისაი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 149).

სამოთხიდან განდევნილ ადამსა და ევას ღმერთმა ტყავის სამოსი უბოძა, რაც სიმბოლურად წარმავლობისა და ხორციელების მანიშნებელია. „ღმერთი არ განაძევებს ცოდვილთ ტყავის სამოსლის გარეშე, თუმცაღა ეს სამოსელი არ ათავისუფლებს მათ საზრუნავისაგან, იგი ნიშანია იმისა, რომ ადამიანები მოწოდებულნი არიან დაკარგული ღირსების აღსადგენად. მას შემდგომ სამოსელი იმ გაორების ნიშანია, რომელიც მოწმობს ცოდვით დაცემული ადამიანის ღირსების და დაკარგული დიდების აღდგენის შესაძლებლობას“ (Словарь Библейского богословия).

კაცის ბუნებისა და სამოსის დაძველება მისი ცოდვით დამძიმებაზე მიგვანიშნებს, ხოლო ძველი კაცისა და სამოსისაგან განძარცვა - პირველსაწყისთან დაბრუნებას: ჰიმნოგრაფიაში განძარცვის რამდენიმე ვარიაცია გვხვდება: ა) ძველი კაცისაგან განძარცვა: „განვიძარცოთ, მორწმუნენო, ძუელი კაცი საქმითურთ მისით და შევიმოსოთ მადლი სულისა ყოვლად წმიდისა“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 403); ბ) წყევის სამოსის განძარცვა: „რაითა განსძარცოს ადამს სამოსელი იგი წყევისაი“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 384); „რაითა განსძარცოს ადამს წყევისა სამოსელი და განუღოს სამოთხეი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 105); 5) ანალოგიური შინაარსის მატარებელია ტყავის სამოსისაგან განძარცვაც: პირველ „შექმნულსა განსძარცოს სამოსელი იგი ტყავისაი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 107); „ტყავისა სამოსელსა განიძარცუავს დღეს ადამ იორდანესა შინა და შეიმოსს ნათლისა სამოსელსა საღმრთოითა მით მადლითა, სულისაგან და წყლისა განახლებულსა“ (ქართულნი, გვ. 222); დ) ბნელისაგან განძარცვა: „სიბნელეი ცოდვისაი მოსძარცუე გულთა ჩუენთა“ (ქართულნი, გვ. 207); მოსძარცუე სიბნელე, უმეცრებისაი წყუდიადი გონებისა თუალთაგან“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 248). განძარცვაზე ყურადღებას ამახვილებს დიონისე არეოპაგელიც, რომელიც მოგვიწოდებს განვიძარცოთ მიწიერი ხედვისაგან და შინაგანი თვალით ჩავწვდეთ ღვთაებრივ საიდუმლოს; „ურწმუნონი ვართ მრავალნი საღმრთოთა საიდუმლოთა სიტყუებსა, რამეთუ ვხედავთ მათ მარტოდ შემოღებულთა მათ შორის გრძნობადთა სახეთა. ჯერ არს უკუეთუ თავით თვისით განძარცუაი. მათში მიშულად წმიდად სახილველ ქმნათა, რამეთუ ესრეთ მხედველნი მსახურ ვიქმნნეთ წყაროსა ცხოვრებისასა თავსა შინა თვისსა აღმომდინარესა“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი).

სამოსლის სიმბოლიკას ჰაგიოგრაფიულ მწერლობაშიც ვხვდებით. იოანე საბანისძე წერს: „განიძარცუ მან (აბომ) სამოსელი თვისი“. „შიშვლად მოვლენილი აბო ცხოვრებაში მიწიერი ცოდვებით იმოსება, იგი მრავალ ტანჯვას გაივლის, რათა თავის პირველსახეს დაუბრუნდეს“ (თ. გრძელიძე). აბოს განძარცვა ღმერთთან მიახლების სურვილის მანიშნებელია, მოწამე განიძარცვავს შიშის სამოსელსაც, რომელიც ბორკილად ედება მის სხეულსა და სულს, რითაც გამოხატავს მზადყოფნას დათმოს ამქვეყნიური ცხოვრება.

ბოროტ დღეთაგან დაძველებულთა განძარცვის საწყისი ბიბლიაა. „განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი და შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერებაი მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა“ (კოლ. 3.9-10). „შეიმოსეთ ახალი იგი კაცი ღმრთისა მიერ დაბადებული. ეს ახალი არის მეორედ შობილი ნათლისღების ძალით... ძალითა მით მეორედ შობითასა, განახლებითა სულის წმიდისაითა“ (ტიტ. 3, 5).

ქრისტემ განძარცული ადამი და მისი შთამომავლობა განახლებული სამოსით შემოსა და „ღმრთეებასა აზიარა“. მაცხოვარმა შემოსა: 1) ადამის შიშვლობა, რამეთუ სიშიშვლე სასჯელია: „შეჰმოსს დღეს ადამის შიშულობასა“ (იოვანე მტბევარი, გვ. 77) „ადამისსა შეჰმოსს შიშვლობასა, ვითარცა მოწყალე არს, (ქართულნი, გვ. 221); 2) გახრწნილი უხრწნელებით შემოსა: „შემმოსა მე უხრწნელებისა სამოსელი და მაზიარა ღმრთეებასა“ (იოვანე მტბევარი, გვ. 72); „შეჰმოსე ადამს პირველ განხრწნილსა, სამოსელი უხრწნელებისაი, ქრისტე და ღირს ჰყავ პირველსა დიდებასა“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 298); 3) განახლებული კაცობრიობა კვლავ ნათლით შეიმოსა: „კუალად შეჰმოსე განახლებულსა ნათლის სამოსელი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 111); „ტყავისა სამოსელს განიძარცუავს დღეს ადამ იორდანესა შინა და შეიმოსს ნათლისა სამოსელსა საღმრთოითა მით მადლითა, სულისაგან და წყლისა განახლებულსა“ (ქართულნი, გვ. 222); „მორწმუნეთა შეჰმოსა ძალი საღმრთოით მადლით“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 403).

ნათლის სამოსელი არის სიწმინდისა და უცდოველობის სიმბოლო. გამოცხადების მიხედვით, სულიერად ნათელი ადამიანები შეიმოსებიან ნათლის სამოსლით: „რომელმან ჰსძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი და არა აღვხორცო სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთასა და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა ჩემისა და წინაშე ანგელოზთა მისთა“ (გამ. 3, 5).

სამოსლად მოიაზრება ქრისტეს ხორციელი ბუნებაც, სხეულიც: ბუნებაი ადამეანეთა დაცემული შეიმოსე, სახიერო“ (იოვანე მტბევარი, გვ. 145); „ჯერ იყო ესრეთ შემოსად მოკუდავისა მის უკვდავებაი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 147), ხოლო როდესაც იესომ თავისი მოწაფეების წინაშე იცვალა ფერი, ღვთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი ნათლით მოსილი იხილეს იგი; „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვიდრე ნათელი“ (მათე 17, 2). „რაჟამს ფერი იცვალე, ქრისტე, გამოჰბრწყინდი ნათლითა მით უსხეულოთა“ (იოანე მინჩხი, გვ. 323).

ნათლის სამოსლის გვერდით გვხვდება ცეცხლისფერიც, რომელიც ღვთაებრიობის მაუწყებელია. ცეცხლისფერი სამოსელი მოსავთ ანგელოზებს, წმინდანებს. დიონისე არეოპაგელის მიხედვით: „სპეტაკობაი იგი და ცეცხლისფერობაი სამოსელთაი მომასწავებლად შემირაცხიან მე ღმრთისა სახეობისა ცეცხლისა ხატობითა. ხოლო ზეცის სავანოებისა - ნათელის სახეობითა, სადა - იგი არს ნათელი და ყოვლად საცნაური გამობრწყინვებაი ანუ მცნობელობითი განბრწყინვებაი“.

საინტერესო სახეა ღმერთშემოსილი, რომელიც წმინდანებსა და მოწამეებს მიემართებათ და ცოდვისაგან, ამქვეყნიურ გულისთქმათაგან განწმენდილ ადამიანზე მიგვანიშნებს, რომელიც თავისი ცხოვრებით ღმერთს ემსახურება. ჰიმნოგრაფები „ღმერთშემოსილს“ უწოდებენ წმინდა ბასილს, აბოს... ასევე არეოპაგიტულ კრებულში“ „ღმერთშემოსილად“ მოიხსენიება დიონისე არეოპაგელი.

თუკი ადამის სიშიშვლის დაფარვა, შემოსვა მისი სულიერი განახლების მაუწყებელია, იგივე შემოსვით გადმოცემულია კაცთა მტრის დაცემა - დამარცხება: „მაცხოვარ, მხსნელო ჩუენო, შემმოსელო, მტერთა სირცხვილისა და მახარობელო ჩუენ, მორწმუნეთაო, შეუცავითა ღმრთეებითა“ (მერჩოლიულნი, გვ. 310).

ნათლის სამოსელთან ერთად გვხვდება მეწამული, ძოწეული. ძოწეულით არის შემოსილი ღვთისმშობელი: „იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს, ღმრთის მშობელო“ (ფილიპე, გვ. 364). სასულიერო პოეზიაში ეს ფერები ქრისტესა და მოწამეთა დაღვრილ სისხლთან ასოცირდება: „სისხლისა დათხევითა მეწამულ ჰყავ ღუაწლი, სანატრელო, ყოვლად ქებულო მოწამეო ჰაბო და შეამკვე ძოწეულითა ეკლესიაი წარმართთაი“ (სტეფანე ჭყონდიდელი სანანოის-ძე. გვ. 152). ძოწეულით იყო შემოსილი ჯვარცმული იესო: „განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას“ (მათე 27, 28); „ედგა ეკლითა გვირგვინი და ძოწეული სამოსელი“ (იოანე 19, 5);

მეწამული საპირისპირო მნიშვნელობითაც გვხვდება. თუ ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს სისხლს და წყაროა განახლებისა, სამოთხის კარის გაღებისა, მეორე შემთხვევაში განასახიერებს ცოდვას, რომლისაგან განბანას შესთხოვს ჰიმნოგრაფი უფალს: „სიმეწამულე ბრალთა ჩუენთაი განასპეტაკე აწ უფროის თოვლისა, მხსნელო“ (ქართულნი, გვ. 215). ჰიმნოგრაფი ეხმაურება ფსალმუნს: „განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები“ (ფს. 50, 9).

სხეული სულის სამოსლადაც მოიაზრება. უცოდველი, პირველქმნილი ადამიანის სხეული ეთეროვანი იყო, ცოდვით დაცემულისა კი დამძიმდა, გაუმჭვირვალი გახდა.

სიბრძნე სოლომონისა გვასწავლის, რომ „განხრწნადი ხორცი დაამძიმებს სულსა და მიწიერი ცხოვრება დასტვირთავს გონებასა მრავალ ზრუნვათა“ (სიბრძნე სოლომონისა 9, 15). ადამიანს უნდა მართავდეს მიზანსწრაფვა და სურვილი სამოთხისეული პატივით შემოსვისა. ქრისტესთან დაფლულ და მასთან ერთად აღმდგარ მორწმუნეს „სიმძიმე ესე ხორცთაი ამათ არღარა შთაზიდვიდეს გუამსა ამას ქუეყნად, არამედ შემძლებელ იქმნეს სიწულადითა მათ აერთა შინა სვლად“ (გრიგოლ ნოსელი). სულის წაბილწულ სამოსელს განასპეტაკებს და „წულილით“ შემოსავს მარხვა, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით თვითგანწმენდად არის დასახული: „მარხვამან განდევნის კაცისაგან სული იგი მოწყინებისაი, რამეთუ აღუსუბუქნის „ხორცნი“ (იოანე მინჩხი, გვ. 200).

სასულიერო პოეზიაში საუბარია ახალ ხილვაზეც, რომელიც ქრისტეს შობას, ნათლისღებას და ჯვარცმას ეხება. მაცხოვრის შობა ჰიმნოგრაფთ ესახებათ ახალ შეერთებად, ახალ საიდუმლოდ. „გამოსახა საიდუმლოი ახალი გამოუკვლეველი განკაცებისა თვისისაი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 47), „ეჰა დიდებული განსაკვირვებელი ახლისა მის შეერთებისაი...“ (იოვანე მტბევარი, გვ. 55). ახალ განბანად არის წოდებული ნათლისღება „შენ, რომელმან წყალთა შინა იორდანისათა აწუენე ახალი განბანაი“ (ქართულნი, გვ. 223), ახალი ხილვა, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას ასახავს, ჰიმნოგრაფის მიხედვით სასწაული და განსაკრთომელია. „რაი არს უცხოი ესე სასწაული და ხილვაი განსაკრთომელი“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 173). სასულიერო პოეზიაში ამ შემთხვევაში დადასტურებული ეპითეტი „ახალი“ უდავოდ არ უპირისპირდება „ძველს“ ან „სხვას“. ჰიმნოგრაფი საგანგებოდა აღნიშნავს, რომ „ერთი ქრისტე, ძეი მხოლოდშობილი მხოლოისა მამისაი, უპირატესი საუკუნეთა, გამოჩნდა ქუეყანასა ორითა ბუნებითა და ერთ გზის შეიწირა მხოლოი მრავალთათვის“ (ქართულნი, გვ. 275). მართალია, ქრისტე ერთგზის ეცვა ჯვარს, მაგრამ ეს მისტერია მარადიულ აქტს წარმოადგენს. ამდენად, ეპითეტით „ახალი“ გამოხატული უნდა იყოს საღვთო საიდუმლოების „მიუწვდომლობა“, რომელიც თავის თავში განუმეორებელ, მარადიულ სიახლეს მოიცავს.

ეპითეტს „ახალი“ ჰიმნოგრაფები წმინდა მამათა ღვაწლის აღსანიშნავადაც იყენებენ. „ხატ სიწმინდისა გამოჩნდი ახალი იოსებ, ღირსი, საზრდელი უკუდავებისაი მიეც მორწმუნეთა მართალი სარწმუნოვებაი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 99), „ახალი სამოელი, აღთქმული სულისა მიერ წმიდისა, გამოჩნდი, ღირსი, სოფლისა სიხარულად ეფთვიმი ნეტარო“ (იოვანე მტბევარი, გვ. 116). ეს საგალობლები მიემართება ეფთვიმისა და ბასილის და ჰიმნოგრაფი მათ ბიბლიურ იოსებსა და სამოელს ადარებს. ანალოგიური მნიშვნელობით მიემართება „ახალი“ მაცხოვარსაც, „შენ რომელმან ელიაის მიერ ხალენითა განაპე იორდანე, მხსნელო. ახალისა ელიაისა მოხუედ ხორცითა ნათლისღებად იოვანესა“ (ქართულნი, გვ. 221).

ბიბლიური წიგნებით ნასაზრდოებ სასულიერო პოეზიას წითელ ზოლად გასდევს განახლების იდეა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს სულიერ განახლებას, სულის ზრდას. სამოთხეში ცოდვით დაცემიდან მოყოლებული, ადამის მოდგმა გამუდმებით ეძებს სიცოცხლის ხისკენ მისასვლელ გზას, რისთვისაც აუცილებელია პირველსაწყისთან მიახლოება. რაც შეეხება ჰიმნებში ასე გავრცელებულ ეპითეტს „ახალი“, მართალია, რიგ შემთხვევაში ის ეხმაურება განახლების იდეას, მაგრამ უმეტესწილად არაერთმნიშვნელოვანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წმინდა მამათა თუ მოწამეთა ღვაწლის აღმნიშვნელია; ეპითეტი „ახალი“ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვით გვხვდება: განახლებული, ბოროტისა და ძველისაგან განძარცვული, წმინდა, ქრისტეს სისხლით გამოსყიდული, ასევე გამოიყენება „მეორეს“ მნიშვნელობითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო პატარიძე

# მიხეილ ნასიძე - თეატრალური კრიტიკოსი

მიხეილ ნასიძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია სათეატრო კრიტიკა. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი თავგამოდებით იცავდა რეალისტური ხელოვნების და დრამატურგიის პრესტიჟს, ქართული თეატრის რეალისტურ მიმართულებას. თეატრში რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მიხეილ ნასიძე ბოლომდე დიდი ილიას ერთგულ მიმდევრად დარჩა. მისი თეატრალურ-კრიტიკული წერილები ძირითადად „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელშია“ გამოქვეყნებული და მოიცავს 1893-1901 წლებს.

ნასიძე იმჟამინდელი თეატრალური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. იგი ღრმად ერკვეოდა თეატრის სპეციფიკაში და პრობლემებში. მის მიერ დასმულ საკითხთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნააზრევი სათეატრო კრიტიკის დანიშნულებაზე. 1898 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი მისი საყურადღებო წერილი სწორედ იმ დროის ფრიად მტკივნეულ საკითხს - პროფესიულ და არაპროფესიულ კრიტიკას ეძღვნება. მ. ნასიძის აზრით, იმ დროს ქართული საზოგადოება სათეატრო კრიტიკისადმი მიდგომის მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: კრიტიკის საქმეში ნაკლებად ჩახედული მოხალისე კრიტიკოსები, ანუ „შინაური კრიტიკოსები“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №697) და მოწოდებით კრიტიკოსები. ეს ადამიანები იმ დროის მწერლობისა და სასცენო ხელოვნების თანამედროვენი იყვნენ. ერთნიც და მეორენიც გულგრილნი არ რჩებოდნენ ყველაფერ იმის მიმართ, რაც ქართულ სცენაზე ხდებოდა. იმ დროს თეატრის პარტერს ძირითადად ავსებდა დიდგვაროვანთა საზოგადოება, რომელიც ცდილობდა, ამა თუ იმ სპექტაკლის შესახებ თავისი „პირუთვნელი“ აზრი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში. ამ მოვლენით შეწუხებული კრიტიკოსი წერს: „სამწუხაროა, მაგრამ ასე კია. სალიტერატურო ჩვენი პანთეონი სალაყბომ აავსო ულირსის სახელებით და გზა და ადგილი არ მისცა ბევრს ჭეშმარიტს ნიჭიერებას“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №697). წერილის ავტორის აზრით, ობიექტური სათეატრო კრიტიკის დამკვიდრებას ხელს უშლიდა მაღალი საზოგადოების სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ ავტორის მიმართ. მიხეილ ნასიძე დაბეჯითებით მოითხოვს: „სალიტერატურო კრიტიკამ (იგულისხმება სათეატრო კრიტიკა, - ნ. პ.) უნდა ცოცხი მოუსვას ჩვენს პანთეონს. გამოგავოს და გამორეკოს იქიდამ ისინი, ვინც შესულან ამ წმინდა სახლში პურ-მარილით, კეკლუცობით, ჯეელობით, გვარიშვილობით და სხვა ულირსის საშუალებით და დასტოვოს მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭიერება“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897წ., №697).

რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში მოქცეული კრიტიკოსი პრივილეგირებული საზოგადოების მხრიდან უცილობლად დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, მაგრამ მას არ ეშინია ამგვარი დაპირისპირების და ბრძოლას უცხადებს „შინაურ კრიტიკოსებს“. „ძნელი და ხიფათიანია ეს ხელობა, აუარებელ მტრებსა და მეჭორეებს გაუჩენს კრიტიკოსს, გააძევებენ მას, აითვალწუნებენ და სხვა... მაგრამ მიუხედავად ყოველის სიძნელისა „მე გახლავარმა“ მტკიცედ გადასწყვიტა ემსახუროს სწორედ ამ საგანს, სწორედ ამ ეკლიანი გზით იაროს და თავისი სუსტის ძალ-ღონის მიხედვით მოუტანოს მცირე მაინც სარგებლობა“... მიხეილ ნასიძე ეკუთვნოდა იმ ჭეშმარიტ კრიტიკოსთა რიცხვს, ვინც არ ღალატობდა თავის მრწამსს და ქართული პერიოდული გამოცემების ფურცლებიდან გულმოდგინედ მეთვალყურეობდა ქართულ თეატრს. ტყუილად როდი აღარებს ქართული თეატრის დიდი მოამაგე ვალერიან გუნია კრიტიკოსის ხელობას მეთვალყურისას.

მიხეილ ნასიძე წმიდათაწმიდად მიიჩნევს დიდი ილიას შეხედულებას თეატრის რეცენზირების ზნეობრივ მხარეზე და ობიექტურობას თეატრის რეცენზენტის უმთავრეს მოვალეობად რაცხს. თეატრალურ-კრიტიკულ სტატიებში მიხეილ ნასიძე მყარად დგას რეალიზმის პრინციპებზე და ყოველ კრიტიკულ წერილში ცდილობს მკითხველი, ამავე დროს პოტენციური მაყურებელი, ცხოვრებაზე დააფიქროს. საზოგადოდ, მიხეილ ნასიძის თეარტალურ-კრიტიკული წერილების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი ნებისმიერ თეატრალურ რეცენზიაში მიზნად არ ისახავს მთელი სპექტაკლის გარჩევას; როგორც ნიჭიერი, საქმის მცოდნე კრიტიკოსი გუმანით გრძნობს მთავარს, მნიშვნელოვანს, იმას თუ რა იყო მაშინ აქტუალური და საჭირბოროტო ქართული თეატრისათვის, ქართული დრამატურგიისათვის, ქართული დრამატურგიისათის, ქართველი მაყურებლისათვის და საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოებისათვის. მიხეილ ნასიძე გამოუქვეყნებელი წერილის მიზანია:

1. ქართული საზოგადოების გათვითცნობიერება სათეატრო კრიტიკის დანიშნულებაში, რაც საზოგადოდ ახასიათებს ამ პერიოდის სხვა ავტორებსაც;

2. აღუძრას ქართველ მაყურებელს ქართულ წარმოდგენაზე დასწრების ინტერესი. როგორ და რა მეთოდით ცდილობს მ. ნასიძე ამის მიღწევას? ამ მიზნით უფრო დეტალურად განვიხილავთ იმ წერილებს, რომლებშიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი კრიტიკოსის შემოქმედებითი ლაბორატორია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მიხეილ ნასიძის რეცენზია 1898 წელს ქართულ თეატრში დადგმული

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპექტაკლისა „ბედი მუხთალთა“ ეკატერინე გაბაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. ამ ხუთმოქმედებიან პიესას გლეხთა ცხოვრებიდან ავტორმა უწოდე „სცენები“. სპექტაკლი ორი ახალგაზრდა კრიტიკოსის ყურადღების ცენტრში მოექცა. რეცენზიები გამოქვეყნდა სხვადასხვა გაზეთში. გამოვლინდა საინტერესო ფაქტი, რომ ორივე კრიტიკოსი ერთნაირად დაბალი დონისა აღმოჩნდა და, ამავე დროს, თითქმის ერთნაირად მოაზროვნე. მიხეილ ნასიძე უკმაყოფილო დარჩა აღნიშნული რეცენზიების პროფესიული დონით და უპასუხოდ არ დატოვა ისინი. მისი რეცენზია, რომელიც ორ წერილად გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელში“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, №№370, 371), შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკის კრიტიკად: ნასიძე კრიტიკოსების შემოქმედებით აზროვნებას უარყოფითად ახასიათებს. იგი ასწავლის ახალგაზრდა ავტორებს, რომ რეცენზიის აზრს პრესაზე და, შესაბამისად, სპექტაკლზე ჟანრი კი არ უნდა განაპირობებდეს, არამედ მთლიანად ხელოვნების ნაწარმოების ავკარგი. ასეთი ფორმალისტური მიდგომა განსახილველი საგნისადმი არ გამოადგება სასცენო ხელოვნებას, ვერ ჩადგება მის სამსახურში. კრიტიკოსი ხაზგასმით უჩვენებს ფორმალისტური მიდგომის უარყოფით მხარეებს, სწამს, რომ ფორმალიზმი კლავს რეცენზიის მიზანს, არასწორი მიმართულებით მიჰყავს რეცენზენტი და ეს მეთოდი სიღრმისეულად ვერ სწვდება სცენის მუშაკების მიღწევებს და ნაკლს. ავტორი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს მხატვრული ნაწარმოებისა და ხელოვნების კანონების ურთიერთობაზე. მ. ნასიძე გამოთქვამს აზრს, რომ პრესა თუ სპექტაკლი კრიტიკოსმა ასეთი პრინციპით უნდა განიხილოს: „რამდენად შესაბამება ნამდვილ ცხოვრებას, გვიხატავს ნამდვილ მოვლენათ, ე. ი. შესაძლებელთ და მოსახერხებელთ ცხოვრებაში, თუ პრესა „შეთხზულია“ კაბინეტში და არავითარი ნათესაობა არა აქვს-რა ცხოვრებასთან?“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, №№ 370, 371). - ეს არის რეცენზენტის ამოსავალი კრიტერიუმი პიესის თუ სპექტაკლის განხილვისას. იგი ავალდებულებს ავტორს, შეისისხლხორცოს თავისი დროის არსებითი თვისებები და თავისებურებანი. მ. ნასიძე შესანიშნავად ერკვევა დრამის თეორიის საკითხებში და მოითხოვს, რომ ყოველი დრამატურგი ექვემდებარებოდეს ამ თეორიის ძირითად და წამყვან დებულებებს - უბრალოდ კი არ უნდა მოგვითხროს ნაწარმოების გმირზე, არამედ აჩვენოს ადამიანი თუ მოვლენა მოქმედებაში, დინამიკაში. შემდეგი საკითხი, რომელსაც მიხეილ ნასიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ეს არის პიესის თუ სპექტაკლის ზნეობრივი გაკვეთილი. პიესამ თუ სპექტაკლმა მაყურებელს უნდა დაუსახოს ზნეობრივი იდეალი.

მიხეილ ნასიძე თეატრალურ-კრიტიკულ მოღვაწეობაში ემყარება მატერიალისტური ესთეტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომ ხელოვნება და, კერძოდ, თეატრი ექვემდებარება ისტორიული განვითარების პროცესს. იგი ყოველ საგაზეთო პუბლიკაციაში ხაზს უსვამდა თეატრის საზოგადოებრივ ფუნქციას და, როგორც პუბლიცისტი, იბრძოდა ქართულ სცენაზე ისეთი პიესების დამკვიდრებისათვის, რომლებიც თემატიკით, იდეური შინაარსითა და მხატვრული ღირსებით მაყურებელთა ზნეობრივ ამაღლებას შეუწყობდა ხელს. მას კარგად ესმოდა, რომ ყველაზე უკეთ ამ სამსახურის გაწევა ქართული თეატრისათვის შეეძლო მხოლოდ ქართულ ორიგინალურ პიესას. დრამატული საზოგადოების და ქართული თეატრის მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა თეატრში მოეზიდათ ახალგაზრდა ქართველი დრამატურგები. სცენაზე ყოველი ახალი პიესის გამოჩენა მ. ნასიძეს იმდენად სასიხარულო მოვლენად მიაჩნდა, რომ მას „ახალბედა ოჯახში შვილის გაჩენას“ ადარებდა.

კრიტიკისათვის დღესაც აქტუალური თემაა მიხეილ ნასიძის მსჯელობა კრიტიკოსისა და ნაწარმოების ავტორის ტანდემზე. კრიტიკოსის თეორიული ნააზრევი ავტორის მიერ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სამყაროს ილუსტრაციაა.

ამრიგად, მ. ნასიძეს ნათლად აქვს შეგნებული, რომ კრიტიკოსი ეხმარება ავტორს საკუთარი აზრის მკითხველისათვის - მაყურებლისათვის უფრო ნათლად მიწოდებაში და ნაწარმოებში დაფარული მხატვრული მოვლენის გაცხადებაში. ასე ამკვიდრებს გაზეთში მიხეილ ნასიძე ჭეშმარიტ სათეატრო კრიტიკას. მისი თვალსაზრისით ხელოვნების ნაწარმოების წარმატებას განაპირობებს „შინაგანი და გარეგანი“ - ფორმა და შინაარსი. მათი ერთიანობა, ჰარმონია ქმნის ნაწარმოების სიმშვენიერეს. მეორე - ხელოვნების ნაწრმოები გამსჭვალული, გამთბარი უნდა იყოს - სიკეთით, ზნეობით, სიწმინდით და მესამე - უტყუარი სიმართლე, „ლარისებრი სისწორე“ - ამ კატეგორიების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოების ქარგა. ამგვარი ერთობლიობა იწვევს მაყურებელში მშვენიერების გრძნობას, ესთეტიკურ ტკბობას, ზნეობრივ სისპეტაკეს, უსახავს ზნეობრივ იდეალს. აი, რას უნდა ემსახურებოდეს მხატვრული ნაწარმოები და მისი თეატრში განმახორციელებელი სცენის მუშაკი. მაგრამ უმთავრესი ფაქტორი მხატვრული ნაწარმოების წარმატებისა მაინც ის არის, თუ სინამდვილის რა საკითხებზე აქვს ავტორს ყურადღება გამახვილებული. რატომ აირჩია ეს თემა და რისთვის? და, რაც მთავარია, რამდენად ტიპიურია დრამატურგიულ ნაწარმოებში დახატული სინამდვილე ამ ქვეყნისათვის, ხალხისათვის და რამდენად გაართვა თავი ავტორმა დასახულ მიზანს.

მიხეილ ნასიძის სათეატრო კრიტიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი წერს ხელოვნებაზე, თეატრზე და ფიქრობს ადამიანზე, ცხოვრებაზე, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა „ცხოვრების მართლხედვაზე“.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIANSTATEINSURANCECOMPANY



# ახალი წიგნები


















ფასი 2 ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია გივი ხადაღაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები

